

29
35.

3

ს. ს. რ. — C. C. P. T. — S. S. R. G.



ВЕСТНИК СЕЛЬСКО-ХОЗЯЙСТВЕН. ИНСТИТУТА ГРУЗИИ
BULLETIN OF THE STATE AGRICULTURAL INSTITUTE OF GEORGIA

**საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო
ინსტიტუტის**

მ რ ა მ ბ ე



სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1935

1798.

საქ. სას.-სამეურნეო ინსტიტუტის
გოგამბე № 3



პ/მგ. რედაქტორი—ა. ბუაჩიძე.
ლიტრედაქტორი—ი. ლომოური.
ტექნ. რედაქტორი და კორექტორი:
ვ. გიორგობიანი.
გამომშვები—გ. იმედაშვილი.

წარმოებას გადაეცა 7/VI-35 წ.
ხელმოწ. დასაბეჭდად 19/VI—1935 წ.
მთავლიტი № 099.
შეკვეთა № 150.
ტირაჟი—1000.
სტ. 62×94.

სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა. უნივერსიტეტის ქუჩა, № 1,

სოფლის მეურნეობის უფლა დარგების გაზლილი აღმავლობის ხუთწლელი

პირველი ხუთწლედის მანძილზე საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა, გმირულ კომპარტიის მეთაურობით და მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის **სტალინის** ხელმძღვანელობით, შესძლო პროლეტარული რევოლუციის ყველაზე უფრო ძნელი ამოცანის გადაჭრა. მან გადაიყვანა მშრომელი გლეხობა სოციალიზმის რელსებზე, მოთხარა კაპიტალიზმის ფესვები სოფლად და მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე გაანადგურა კულაკობა, როგორც კლასი. ამით ჩვენ გაემარჯვეთ „უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლაში“ შინაურ კაპიტალიზმის წინააღმდეგ და საბოლოოდ გადავჭერით საკითხი „ვის—ვის“ ქვეყნის შიგნით. ეს გამარჯვებები მიღწეულ იქნა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციით, რომელიც წარმოადგენდა და წარმოადგენს სოციალიზმის ერთადერთ მატერიალურ საფუძველს; სწორედ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საშუალებით შეგძლია ჩვენ კაპიტალისტური ელემენტების განდევნა მრეწველობიდან და ბრუნვის სფეროდან, გავანადგურეთ ისინი სოფლად და გადავაქციეთ წვრილი გლეხური მეურნეობა სოციალისტური მეურნეობის ერთ-ერთ ფორმად, ვავერთიანეთ რა 217,05 ათას კოლმეურნეობებში 15 მილიონზე მეტი ინდივიდუალური მეურნე გლეხი, ე. ი. 61,5% 1932 წლისათვის. საკოლმეურნეო წყობის გამარჯვების საფუძველზე დაიწყო და გაიშალა მშრომელ გლეხობის კლასის გარდაქმნა სოციალიზმის შეგნებულ მუშაკებად.

ზემოხსენებული მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებანი მიღწეულ იქნა გააფთრებულ ბრძოლაში მავნებლების, კონტრრევოლუციონურ ტროცკისტ-ზინოვიეველთა ნაშთების და მემარჯვენე და „მომემარცხენო“ ოპორტუნისტების წინააღმდეგ.

საკოლმეურნეო წყობის გამარჯვებასთან ერთად ჩვენ გვაქვს გიგანტური მიღწევები საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის დარგში, რომელთა რიცხვი ავიდა 5 ათასამდე და სათესი ფართობი 1735 ჰექტარიდან 1928 წ. გაიზარდა 14107 ათას ჰექტარამდე 1933 წ. საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა ისტორიულ გამარჯვებების საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნა სოციალისტური სექტორის გაბატონებული როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ცხადად ამტკიცებს ზემოხსენებულ დებულებას.



მეურნეობათა ხვედრითი წონა და საშუალო სიდიდე სექტორების მიხედვით

№ რიგზე		1928 წელი		1932 წელი	
		ხვედრ. წონა ნათესებ.		ხვედრ. წონა ნათესებ.	
		%	წ/წ-ით	%	წ/წ-ით
			საშუალო სიდიდე ნათ. მეურნეობ. (ჰექტარ.)		საშუალო სიდიდე ნათ. მეურნეობ. (ჰექტარ.)
1	ერთპიროვნ. მეურნ.	97,3	4,5	22,0	3,15
2	კოლმეურნეობ.	1,2	42,0	68—	434,0
3	საბჭოთა მეურნ.	1,5	544,0	10—	2.303,0

ეს ცხრილი ნათლად გვიჩვენებს, რომ ერთპიროვნული მეურნეობა გადაყვანილ იქნა მეორეხარისხოვან პოზიციაზე, ხოლო სოციალისტური სექტორი გახდა აბსოლუტურად გაბატონებული სოფლად. ამასთან ერთად საბჭოთა მეურნეობების საშუალო სიდიდე დაახლ. 4-ჯერ გაიზარდა, ხოლო კოლმეურნეობათა კი 10-ჯერ და კიდევ უფრო მეტად. საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობა რაღაც შ—1 წლის განმავლობაში გადაიქცა მსოფლიოში უველაზე უფრო მსხვილ სოციალისტურ მიწათმოქმედებად.

საბჭოთა კავშირის გადაქცევამ ინდუსტრიალურ ქვეყნად, განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის გაუგონარმა ზრდამ, უზრუნველყო უდიდესი გარდატეხა — სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი ტექნიკური ბაზის გამოცვლის საქმეში. ქვემოლმოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ტექნიკურ ძეგებს სოფლის მეურნეობაში პირველ ხუთწლედის მანძილზე.

ტრაქტორების პარკი სოფლის მეურნეობაში: ²

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	1/X—1928 წელს		1/I—1933 წელს	
	რაოდენობა (ათ. ცალ.)	ძალოვნება ათას HP	რაოდენობა (ათ. ცალ.)	ძალოვნება ათას HP
ტ რ ა ქ ტ ო რ. რ ი ც ხ ე ი				
სულ	26,7	278,1	148,5	2225,0
აქედან:				
1. საბჭოთა მეურნ.	6,7	77,6	64,0	1043,0
2. სამანქ.-სატრაქტ. საღვურები . .	—	—	74,8	1077,0

¹ Итоги выполнения первого пятилетнего плана развития Нар. Хоз. СССР, გვ. 137.

² იხ. СССР в цифрах, გვ. 65.



სატრაქტორო პარკის გიგანტურ ზრდასთან ერთად პირველ ხუთწლეულში ჩვენ გვაქვს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობის ტექნიკურ შეიარაღების შესაფერი გადიდებაც: ასე მაგ., კომბაინების რიცხვი გაიზარდა 1707 ცალიდან 1930 წელში 11,5 ათას ცალინდე 1933 წ., საბარგო ავტოები 0,2 ათას ცალიდან 1930 წ.—13,5 ათასამდე 1933 წ. და სხვ. მთლიანად კი სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის საწარმოო საშუალებათა დინამიკა ისახება შემდეგ ცხრილში:

სოც. ნაპროკის საწარმოო საშუალებანი

(ღირებულება გაცვეთის ჩათვლით 1926—27 წ. უცვლელ ფასებში, მილიონ მან.):¹

ძირითად საწარმოო საშუალებათა დასახელება	1/1-28 წ.	1/1-32 წ.	1/1-33 წ.
ყველა ძირითადი ფონდ.	1.367	11.475	13.351
ყველა ძირ. საწარმოო საშუალებანი			
აქედან: ა) მანქანა-იარაღები.	103	1.499	1.827
ბ) ტრაქტორები	32	301	440

როგორც ვხედავთ, მანქანა-იარაღები თითქმის 18-ჯერ იზრდება, ხოლო ყველა ძირითადი ფონდები დაახლოებით 10-ჯერ. შემოხსენებულიდან ცხადია, რომ ჩვენ პირველი ხუთწლეულის მანძილზე არა მარტო მოვახდინეთ უდიდესი კლასობრივი და მეურნეობრივი ფორმების ძვრები, არამედ მნიშვნელოვნად შეეცვალეთ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი არქაიული ტექნიკური ბაზა და მნიშვნელოვნად მიუჯახლოვეთ ის მოწინავე ტექნიკურ მიწათმოქმედებას.

სოციალისტურმა ინდუსტრიამ თავის საკუთარი გამარჯვებების საფუძველზე დაიწყო სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის გაშლა და მისი სწრაფი ტემპებით აყვანა ინდუსტრიის მოწინავე ტექნიკურ დონემდე.

სოფლად კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების საბოლოოდ გამარჯვებასა და მიწათმოქმედების ტექნიკურ ბაზისის გიგანტურ ძვრებთან ერთად, ჩვენ გვაქვს ხელმძღვანელ და საწარმოო-ტექნიკურ ძალთა არნახული გადიდება სოფლის მეურნეობაში. რაღაც ორი-სამი წლის მანძილზე სოფლად გადასროლილ იქნა 23 ათასი კომუნისტი და 111 ათასი ინჟინერ-ტექნიკური და აგრონომიული ძალები; აგრეთვე მასიური პროფესიების (კომბაინერები, ტრაქტორისტები და სხვ.). მუშაკთა რიცხვი—2 მილიონამდე ავიდა, გარდა ამისა მომზადებულ იქნა კოლმეურნეობათა თავჯდომარეები, ბრიგადირები, მოანგარიშეები და სხვა 1600 ათას კაცამდე. როგორც ვხედავთ, თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში ბურჟუაზიულ-პომეშიკური სახელმწიფოები სოფლად გზავნიან მთელ არმიას პოლიციელებისა და მოსამართლე ჩინოვნიკებისა და ვაჭრების, რათა

¹ იხ. СССР в цифрах, გვ. 68.

აუქციონის საშუალებით გაყიდონ მშრომელი გლეხობის ქონება, აიღონ გადასახადები და სისხლის მორევში ჩაალჩონ გალატაკებულ გლეხობის რევოლუციური მოძრაობა.

საბჭოთა მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ აღზარდა და გაგზავნა სოფლად ხელმძღვანელ და აგრო-ტექნიკურ ძალთა მილიონიანი კადრები, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ გიგანტურ სოციალისტურ და ტექნიკურ ძვრებს სოფლის მეურნეობაში, ნერგავენ შრომისა და წარმოების სოციალისტურ ორგანიზაციას და წვრთნიან კოლმეურნე და საბჭოთა მეურნეობის მუშათა ათეულ მილიონებს სოციალისტური შრომის პრინციპების მიხედვით.

სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საწარმოთა გიგანტურმა ზრდამ უზრუნველყო სათეს ფართობების არნახული გადიდება პირველი ხუთწლედის უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აშკარად ასაბუთებს ამ დებულებას:

ყველა კულტურების სათესი ფართობი ს. ს. რ. კავშირში:¹

	მილიონ ჰექტარებში					
	1913	1929	1930	1931	1932	1933
მთელი სათესი ფართობი	105,0	118,0	127,2	136,3	124,4	129,7
ა ქ ე დ ა ნ კ უ ლ ტ უ რ ე ბ ი :						
ა) მარცვლეული	94,4	96,0	101,8	104,4	99,7	101,5
ბ) ტექნიკური	4,5	8,8	10,5	14,0	14,9	12,0
გ) ბალ-ბოსტანი	3,8	7,6	8,0	9,1	9,2	8,6
დ) საქონ. საკვები	2,1	5,0	6,5	8,8	10,6	7,3

ეს ცხრილი, ასახავს რა სტალინის მიერ მითითებულ ორ ძირითად ხაზს სოფლის მეურნეობის განვითარებაში 1930—33 წ. წ., ამავე დროს გვიჩვენებს, რომ გაშლილ რეორგანიზაციის პერიოდს თან ახლდა სათეს ფართობთა უდიდესი ზრდა, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო უზრუნველყოფილი მიწის დამუშავების საუკეთესო წესების გაშლით, რის გამოც მოსავლიანობის გადიდება ჩამორჩებოდა სათეს ფართობთა ზრდის ტემპებს და მარცვლეულ და ტექკულტურების საერთო პროდუქტია არ იძლეოდა სათანადო გადიდებას. ასე მაგ.: მარცვლეულ და ტექკულტურების საერთო მოსავალი საბჭოთა კავშირში ამავე პერიოდის მანძილზე შემდეგ სურათს იძლევა:

¹ ს ტ ა ლ ი ნ ი—მოსენება საქ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობაზე.



	1913	1929	1930	1931	1932	1933
ხორბლეული	801,0	717,4	835,4	694,8	698,7	898,0
ბამბა (ნედლი)	7,4	8,6	11,1	12,2	12,7	17,2
სელი (ბიკო)	3,3	3,6	4,4	5,5	5,0	5,6
შაქრის კარხალი	109	62,5	140,2	120,5	65,6	90,9
ზეთოვანი	21,5	35,8	36,2	51,0	45,5	46,0

როგორც ვხედავთ, სათესი ფართობების ზრდა 1931—32 წ. ვერ იძლევა პროდუქციის სათანადო გადიდებას, რაც პირველ რიგში უნდა აიხსნას წერილი გლეხური მეურნეობის რეორგანიზაციული პერიოდის სიძნელეებით და ხარჯებით, და აგრო-ტექნიკურ ღონისძიებათა არა საკმარისი დანერგვით, ხოლო 1933 წ. გვაძლევს სარეკორდო მოსავალს, რომელიც ბევრად სკარბობს ომის წინა დროინდელ ღონეს. ეს შედეგია იმის, რომ საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა პარტიის ხელმძღვანელობით და ამხ. ხტალინის მითითების საფუძველზე, პირი იბრუნეს ფართობის ხელაღებით გაფართოებისაგან მოსავლის გადიდებისაკენ და გაშალეს ბრძოლა აგრო-ტექნიკურ ღონისძიებათა დანერგვისა და გამოყენებისათვის.

თუ ჩვენ სოფლის მეურნეობის გაჩაღებული რეორგანიზაციის პერიოდში სათესი ფართობის სწრაფ ზრდასთან ერთად გვქონდა მოსავლიანობის ზიგზაგური ზრდა, მეცხოველეობის დარგი ხასიათდებოდა პირდაპირი დაკემით და პირუტყვის რაოდენობის თითქმის ერთი-ორად შემცირებით, რომელიც ყველაზე უფრო დაბალ წერტილს აღწევს 1933 წ. მეღორეობის გამოკლებით, სადაც ამ დროს იწყება შესამჩნევი აღმავლობა.

1932 წელში მეცხოველეობის დაკემა გამოწვეული იყო იმ გააფთრებული კლასობრივი ბრძოლით, რომელსაც აწარმოებდა კულაკობა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის წინააღმდეგ. ჯერ ერთი, კულაკობა უფრო ძლიერი იყო მეცხოველეობის დარგში, კერძოდ ჯიშინი მესაქონლეობის დარგში სხვა დარგებთან შედარებით; მეორე—მეცხოველეობა უაღრესად სათუთი დარგია და მისი განადგურება უფრო ადვილია; და მესამე—მეცხოველეობაში ყველაზე უფრო საგრძნობი იყო „მემარცხენე“ ოპორტუნისტული შეცდომების შედეგები, რომელიც დაშვებული იყო ადგილებზე და რომელსაც კულაკობა მოხერხებულად იყენებდა პროფოკაციისათვის მესაქონლეობის განადგურების სახით.

მთხედვად სოფლის მეურნეობის ცალკე დარგთა ზიგზაგობრივი განვითარებისა, როგორც სათესი ფართობთა ზრდის, ასევე მოსავლიანობის გადიდებისა

¹ ს ტ ა ლ ი ნ ი—მოსენება საქ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობაზე.

და კერძოთ მესაქონლეობის დაქვეითების თვალსაზრისით, მინც პარტიამ თავისი საყვარელი ბელადის აშხ. **სტალინის** ხელმძღვანელობით შესძლო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე ისტორიულ გარდატეხის მოხდენა სოფლის მეურნეობაში.

რალაც ორი-სამი წლის მანძილზე, „საბჭოთა კავშირი გარდაქმნილ იქნა წვირლ გლეხური მეურნეობის ქვეყნიდან მსოფლიოში ყველაზე უფრო მსხვილ სოფლის მეურნეობის ქვეყნათ“ (**სტალინი**). პარტიამ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა გამარჯვების საფუძველზე წარმატებით გადასჭრა ხორბლეულის პრობლემა, უკანასკნელის მეშვეობით ტექნოლოგიების საკითხი და შექმნა საფუძველები მეცხოველეობის პრობლემის სწრაფი გადაჭრისათვის. საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის რეორგანიზაცია და მისი აღმავლობა უზრუნველყოფილ იქნა სწორედ მაშინ, როდესაც მთელ მსოფლიოში მძვინვარებდა აგრარული კრიზისი და ხდებოდა მშრომელი გლეხობის გაუფონარი ვალატაკება.

მაგრამ პარტიამ პირველი ხუთწლედის მანძილზე არა მარტო უზრუნველყო სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ძირითადად გატარება და საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გამარჯვების საფუძველზე გადასჭრა ხორბლეულის და ტექნიკური კულტურების საკითხები, არამედ პირველ ხუთწლედის გამარჯვებებმა აგრეთვე საძირკველი დაუდევს სოფლის მეურნეობის ყველა დარგების გაშლილ აღმავლობას მეორე ხუთწლედისათვის, „არხებითად, —ამბობს **სტალინი**, —საანგარიშო პერიოდი (1930—33 წ. წ.) სოფლის მეურნეობისათვის იყო არა იმდენად სწრაფი აღმავლობის და მძლავრი გაქანების პერიოდი, რამდენად უახლოეს მომავალში ასეთი აღმავლობისა და ასეთი გაქანებისათვის წინასწარი პირობების შექმნის პერიოდი“.

როგორც მთელ საბჭოთა კავშირში—საქართველოშიაც პირველი ხუთწლედის მანძილზე ჩვენ გვაქვს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნის დარგში მთელი რიგი მნიშვნელოვანი ძვრები, როგორც საბჭოთა და კოლმეურნეობების მშენებლობის, ასევე სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის გამოცვლისა და კერძოთ ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების განვითარების დარგში. საკოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მშენებლობის შესახებ წარმოდგენას იძლევა ქვემოლ მოყვანილი ცხრილი:

	1927/28 წ.	1931 წ.	1932 წ.
კოლმეურნეობათა რიცხვი	239	3556	3425
ა) მათში გავრთ. მეურნეობა	3574	176440	165671
ბ) გავრთ. ნათესი (ათ. ჰექტ.)	2,2	248,2	242,8
გ) გავრთ. მუშა საჭონელი (ათ. სულ.)	0,4	120,5	128,0
საბჭოთა მეურნ. რიცხვი	37	137	192
ა) მათი სათესი (ათ. ჰექტ.)	1,0	21,9	34,1
ბ) ვენახი და ბაღი (ათ. ჰექტ.)	0,8	6,0	9,3
სამანქ.-სატრ. სადგ. რიცხვი	—	7	25
ა) ტრაქტორ. რიცხვი	—	310	707
ბ) მათი სიმძლავრე	—	3580	9363



ეს ცხრილი გვიჩვენებს როგორც საბჭოთა და საკოლმეურნეო მშენებლობის ზრდას, ასევე მათ შეიარაღებას ტრაქტორის მექანიკური ძალით. საკოლმეურნეო მშენებლობის გაშლას 1927/28 წლებთან შედარებით გვიჩვენებს აგრეთვე მეურნეთა და სათეს ფართობების კოლექტივიზაციის პროცენტი, რომელიც ცხრილში მოყვანილი შესაფერი წლების მიხედვით, უდრის:

	1927/28 წ.	1931 წ.	1932 წ.	1933 წ.
გაერთიანებ. მეურნეთა %	0,9	38,5	36,1	36,3
გაერთ. ნათესთა %	0,3	27,4	28,5	29,9

საკოლმეურნეო მშენებლობის მაჩვენებელთა შორის ყურადღებას იპყრობს კოლმეურნეობებში გაერთიანებულ კომლთა რიცხვის შემცირება და კოლექტივიზაციის %-ის შემცირებაც 1932 წელში, რაც არამტოუ არ მოასწავებს საკოლმეურნეო მშენებლობის უკანდახევას, არამედ პირიქით.

როგორც ცნობილია, ძველმა პარტხელმძღვანელობამ დაუშვა „უხეში პოლიტიკური შეცდომები გლეხობის საკითხში“, რაც ასახული იყო აგრეთვე საკოლმეურნეო მშენებლობაში, როდესაც გამოეყიდა კოლექტივიზაციის ციფრობრივ მაჩვენებლებს; ხშირად ქონდა ადგილი გლეხობის ძალდატანებით გაერთიანებას კოლექტივებში და ვერ უზრუნველყოფდა კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცება, რის გამოც კოლმეურნეობები ხშირად დანაგვიანებული იყო კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტებით და არ სწარმოებდა ბრძოლა მოსავლიანობის აწევისათვის.

ახალმა პარტხელმძღვანელობამ ამხ. ბერიას მეთაურობით, უზრუნველყო ამ შეცდომების ლიკვიდაციისათვის ბრძოლის გაშლა უკვე 1932 წელში. გაიწმინდა კოლმეურნეობანი არაჯანსაღი ელემენტებისაგან, გაიშალა ბრძოლა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისათვის და საკოლმეურნეო მშენებლობა დაყენებულ იქნა ჯანსაღი განვითარების გზაზე. ეს ფაქტი იმ მომენტებშია მქლავნდება, რომ, მიუხედავად კომლთა კოლექტივიზაციის %-ის შემცირებისა, კოლმეურნეობებში გაერთიანებულ მუშა-საქონლის და კოლექტივიზირებულ ნათესის % გაიზარდა, ხოლო 1933 წელში ჩვენ გვაქვს კოლექტივიზაციისათვის შემდგომი ზრდა როგორც კოლექტივებში გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვის, ასევე გაერთიანებულ სათეს ფართობთა მიხედვითაც. მაგრამ კოლექტივიზაციის საერთო %-ის ქვეშ იფარება ისეთი მნიშვნელოვანი დარგების კოლექტივიზაციის დიდი პროცენტი, როგორიცაა ჩაი, თამბაქო, ბამბა, შაქრის ქარხალი და სხვ. მაგ., ჩაის რაიონში კოლექტივიზაციის % უდრის 62,4, ბამბის—47,4, თამბაქოს—45,3, შაქრის ქარხლის—40 და სხვ.¹

¹ ლ. ბერია—მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობაზე.

საკომეურნეო მშენებლობის ზრდასთან ერთად, რომელიც განსაკუთრებით მძლავრია ტექნიკურ და სუბტროპიკულ კულტურების დარგში, ჩვენ გვაქვს საბჭოთა მეურნეობების სწრაფი ზრდა. ასე მაგ., 1928 წელთან შედარებით 1932 წ. საბჭოთა მეურნეობების სათესი ფართობები გადიდდა 34-ჯერ, ჩაისა და ციტრუსების დარგში 10-ჯერ და სხვ.

სატრაქტორო პარკის და მათ ძალოვნების მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად ჩვენ გვაქვს სასოფლო-სამეურნეო იარაღების ზრდაც, კერძოდ კომბაინების, გაუმჯობესებული გუთნების, სხვადასხვა სახის კულტივატორებისა და სხვ. ეს ფაქტი აშკარად ჩანს აგრეთვე კაპიტალურ დაბანდებთა გიგანტურ გადიდებაში. ასე მაგ., კაპიტალური დაბანდებიანი მთლიანად სოფლის მეურნეობაში 1927/28 წ. იყო 4,063 ათასი მანეთი, 1931 წ. 59.589 ათასი მან., ხოლო 1932 წ. 106.098 ათასი მან. ამ თანხებიდან უდიდესი ნაწილი წვივდა ტექნიკურ და კერძოდ სუბტროპიკულ კულტურების ხაზით.

ზემოხსენებულ სოციალ-ტექნიკურ ძვრებთან ერთად პირველ ხუთწლედის მანძილზე ჩვენ გვაქვს საქართველოს სოფლის მეურნეობის სათეს ფართობთა და საერთო პროდუქციის შემდეგი ზრდა:

მაჩვენებლები	1927/28 წ.	1931 წ.	1932 წ.	1933 წ.
სათესი ფართობი (ათას ჰექტ.)	788	926,9	851,6	938,1
აქედან ტექნ. კულტურ.	23,8	101,1	61,1	52,5
საერთო პროდუქცია 26/27 წ.				
შეკვლილი ფასებით (ათ. მან.)	—	180136	158432	177799
აქედან ტექნიკური კულტურების	14887,2	—	29746,7	30384,9

მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს სათესი ფართობის მნიშვნელოვან გაზრდას 1933 წელში, 1928 წელთან შედარებით, და მასთან ერთად ზრდის ზიგზაგურ განვითარებას განსაკუთრებით 1932 წელში, რაც აიხსნება ახალი ხელმძღვანელობის მიერ ბრძოლის გაშლით პირველ რიგში მოსავლის გადიდებისა და აგროტექნიკის დანერგვისათვის სათეს ფართობთა თავზეხელაღებითი გადიდების წინააღმდეგ. ამ ღონისძიებებმა უზრუნველყო სათეს ფართობთა ზრდის დაყენება ჯანსაღ ნიადაგზე, რაც განსაკუთრებით ენებოდა ტექნიკურ და სუბტროპიკულ კულტურებს, რომელთა გაშენების დროს ძველი ხელმძღვანელობა არ ანხორციელებდა მინიმალურ აგროტექნიკურ ღონისძიებებსაც კი.

მიუხედავად სათესი ფართობის ნაწილობრივი შემცირებისა 1932 წ. და ტექკულტურების კი 1933 წელში, ჩვენ გვაქვს საერთო პროდუქციის საგრძნობი ზრდა განსაკუთრებით ტექკულტურების დარგში, რაც უნდა მიეწეროს მოსავლიანობისათვის ბოლშევიკური ბრძოლის შედეგებს.

მოსავლიანობა ცენტრერებში ჰექტარზე:

	1932 წ.	1933 წ.
1. ხორბლეული კულტურები	6,9	9,2
2. აქედან თავთავიანი კულტ.	5,9	8,5
3. სიმინდი	7,8	9,8

ეს ცხრილი ცხადად გვიჩვენებს მნიშვნელოვან ძვრებს მოსავლის გადიდების საქმეში, „მაგრამ ეს წარმატება—მხოლოდ პირველი ნაბიჯია მოსავლიანობის გადიდების საქმეში, ამიტომ მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლის საკითხები მომავალშიც ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს“¹.

მნიშვნელოვან ძვრებს ჰქონდა ადგილი აგრეთვე ჩაის განვითარების დარგში, რომელზედაც განსაკუთრებით მიუთითა 1931 წ. 31/X-ის საკ. კ. პ. (ბ) ც.კ.-ის დადგენილებამ. 1932—1933 წლების მანძილზე გაშენებულ იქნა 13 ათასი ჩაის პლანტაცია, კაპიტალურად დარემონტდა 5.323 ჰექტ., აღდგენილ იქნა 1932 ჰექტ. და ჩაის პლანტაციების საერთო ფართობმა 1933 წელში მიაღწია 33325 ჰექტარს. ფართობის გადიდებას თან ახლდა ჩაის მოსავლიანობის საგრძნობი გადიდება 800 კგ. 1930—31 წ. 1200—1400 კგ-მდე 1933 წელს.

მესაქონლეობის დარგში განსაკუთრებით საგრძნობი იყო 1930—31 წლების შეცდომები კოლექტივიზაციის დარგში; ამ შეცდომებს თან ერთვოდა მვენებლების მუშაობა ამ დარგში. მეცხოველეობიდან ყველაზე უფრო დაზარალდა თხის და ცხვრის ჯგოგი, რომლის რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. აგრეთვე უაღრესად დიდი იყო ახალგაზრდა პირტყვის დაცემა მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში და საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმებში. პარტიის ღონისძიებებმა საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცების დარგში უზრუნველყოვეს გარდატეხა მეცხოველეობის დარგში 1932/33 წ.

ზემოხსენებული ანალიზი ცხადყოფს მნიშვნელოვან ძვრებს, რომელნიც მოხდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში პირველი ხუთწლედის მანძილზე და განსაკუთრებით კი მის უკანასკნელ წლებში, ახალი ხელმძღვანელობით გაშლილი ბრძოლის მეოხებით 1931 წლის საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილების საფუძველზე; ამ დადგენილებამ ახალი ეტაპი გახსნა ა.-კავკასიის და საქართველოს სახალხო მეურნეობის და კერძოთ კი სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში.

პირველ ხუთწლედის შედეგად ჩვენ გვაქვს საკმაოდ დიდი ბირთვი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების ხაზით და აგრეთვე მნიშვნელოვანი ტექნიკური ძვრები, რომელთა ბოლშევიკური გაშლა უზრუნველყოფს მეორე ხუთწლედში საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგების და კერძოთ კი ტექნიკურ და სუბტროპიკული კულტურების მძაფრ აღმავლობას.

¹ ლ. ბერი ა — მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობაზე.



ჩვენ ზევით ხაზი გავუსვით იმ ძირითად მომენტებს, რომელნიც ასაბუთებენ მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობის ძვრებს სოფლის მეურნეობის დარგში, პირველი ხუთწლედის მანძილზე. ამ ძვრებში, როგორც კლასობრივ, აგრეთვე მეურნეობრივ და ტექნიკურ დარგში, ბაზა შეუქმნეს მეორე ხუთწლიან გეგმის შედგენას, ეს გეგმა კი ამთავრებს საბჭოთა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ და ტექნიკურ რეკონსტრუქციას მეორე ხუთწლედის მონაკვეთში.

სოფლის მეურნეობის სფერო ერთ-ერთი და უაღრესად საპასუხისმგებლო ფრონტია იმ ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში, რომელთაც აყენებს პარტია საბჭოთა კავშირის პროლეტარიატისა და ყველა მშრომელების წინაშე.

როგორც ცნობილია, მეორე ხუთწლედის ძირითად პოლიტიკურ ამოცანად დასახულია კაპიტალისტურ ელემენტთა ნაშთებისა და საერთოდ კლასების ლიკვიდაცია, რაც მოასწავებს უკლასო სოციალისტურ საზოგადოების შექმნას. ცხადია, რომ ამ ამოცანის გადაჭრა სოფლის მეურნეობის განვითარების სფეროში ნიშნავს კოლექტივიზაციის საფეხებით დასრულებას და, მაშასადამე, **სოციალისტურ წარმოების წესის გადაქცევას ერთადერთ წარმოების წესად**, როგორც მთლიანად სახალხო მეურნეობაში, ასევე სოფლის მეურნეობაშიც. ამ ამოცანის გადაჭრა უკვე მომზადებულია, რამდენადაც ჯერ კიდევ პირველ ხუთწლედში, ჩვენ დავასრულეთ ძირითადად საბჭოთა კავშირის მთავარ, ხორბლყულ რაიონების კოლექტივიზაცია და საბოლოოდ დასრულდნა იქნა ძველ, ერთპიროვნულ მეურნეობის კაპიტალისტური-განვითარების გზა. მაშასადამე, ზემოხსენებულ ამოცანის გადაჭრა არ მოითხოვს მეორე ხუთწლედში კოლექტივიზაციის ისეთივე გაშლილ ტემპებს, როგორც პირველ ხუთწლედში გეჭონდა. მთავარი ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ „განვამტკიცოთ კოლმეურნეობანი **ორგანიზაციულად**. გამოვდევნოთ იქიდან მავნებლური ელემენტები... და გადავაქციოთ კოლმეურნეობანი ნამდვილ ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად“ (სტალინი). პარტიისა და ყველა მშრომელთა საყვარელი ბელადის ამ. სტალინის ზემოხსენებულ დებულებიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის ცენტრალური ამოცანა მეორე ხუთწლედში მდგომარეობს კოლმეურნე მასების სოციალისტურად აღზრდაში, მათში სოციალისტური წარმოების, შრომის ორგანიზაციის და სოციალისტური დისციპლინის დანერგვა-განმტკიცებაში, რომ ჩვენ აღვზარდოთ კოლმეურნეები პრაქტიკულ ბრძოლაში, ავსწოთ მათი კულტურული და პოლიტიკური დონე, **გადავაქციოთ ისინი სოციალისტური საზოგადოების აქტიურ და შეგნებულ მშენებლებად**. ეს პროცესი არის და იქნება გააფთრებული კლასობრივი ბრძოლა კაპიტალისტურ ელემენტთა ნაშთების საბოლოოდ ლიკვიდაციისათვის და მათი ყოველგვარი მახინჯიების აღმოფხვრისათვის. ზემოხსენებულ მთავარ ამოცანებთან ერთად და ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის პროცესში ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ სათანადო მუშაობის ჩატარება ხვალინდელ კოლმეურნეთა, მაგრამ დღეს ჯერ კიდევ ერთპიროვნულ მშრომელ გლეხობის შორის, რათა ისინი საბოლოოდ დაეარწმუნოთ საკოლმეურნეო წყობის უპირატესობაში, გაეერთიანოთ კოლმეურნეობებში. ვასაგებია, რომ დარჩენილ ერთპიროვნულ მშრომელ გლეხობის გაერთიანება კოლმეურნეობებში არ მოხდება თვითღინებით, რომ მათ კოლმეურნეობებში გაერთიანები-



სათვის საჭიროა თავდადებული, სისტემატიური ორგანიზაციული და მეთოდური აღმზრდელი მუშაობა, რომ დაძლეულ იქნეს მათში წერილმესაკუთრული სულისკვეთება, მოექცნენ ისინი საკოლმეურნეო მშენებლობის საერთო ფერხულში და გახდნენ საკოლმეურნეო ოჯახის ღირსეულ წევრებად. ცხადია, ეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს ყოველგვარი ძალდატანების ძირშივე აღმოფხვრის გზით ერთპიროვნულ მშრომელ გლეხობის მიმართ.

ყველა ზემოხსენებული ამოცანების წარმატებით გადაჭრა უზრუნველყოფს მეორე ხუთწლედის ბოლოს კაპიტალისტურ ელემენტთა ნაშთების საბოლოოდ აღმოფხვრას სოფლად და მშრომელ გლეხობას გადააქცევს სოციალიზმის აქტიურ და შეგნებულ მშენებლად.

მაგრამ სამუშაო ძალის, როგორც მთავარი საწარმოო ძალის, სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ მშენებლად გახდომის პროცესი სოფლად არაა იზოლირებული პროცესი, არამედ იგი, იმავე დროს წარმოადგენს კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ტექნიკურ შეიარაღებას მოწინავე ტექნიკის უკანასკნელ სიტყვის მიხედვით. „საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობა, — ამბობს ანს. კუიბიშვილი, — რომელიც გახდა პირველ ხუთწლედის წლებში მსოფლიოში ყველაზე უფრო მსხვილ წარმოებად, მეორე ხუთწლედის მანძილზე ხდება ყველაზე უფრო მოწინავედ მსოფლიოში თავისი ტექნიკური შეიარაღებით; სასაოფლო-სამეურნეო შრომა ხდება ინდუსტრიალურ შრომად“. თუ როგორი იქნება ეს ტექნიკური ძვრები, ამაზე წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

სატრაქტორო პარკის სიმძლავრე სოფლის მეურნეობაში (ამორტიზაციის ჩართვით):¹

წლები	ათასი
1932	2.225
1933	3.100
1934	4.400
1935	5.575
1936	6.775
1937	8.200
1937 წ. %/0-ში 1932 წ.	368.5

როგორც ვხედავთ, სატრაქტორო პარკის სიმძლავრე სოფლის მეურნეობაში რაღაც ხუთიოდე წლის მანძილზე თითქმის 4-ჯერ იზრდება და, მასასადამე, სოფლის მეურნეობა გადასხდება ძველ გაძვალტყავებულ გლეხურ ცხენიდან სოციალისტური მძიმე ინდუსტრიის ცხენზე. ცხადია, ეს ფაქტი არამც თუ არ უგულვებელყოფს ცხენის ძალის გამოყენებას სოფლად, არამედ პირიქით, მოითხოვს მის შემდგომ გადიდებას და რაციონალურ შეთავსებას ტრაქტორთან. მაგრამ მეორე ხუთწლედის მანძილზე ტრაქტორი წარმოადგენს ჩვენი სოფლის მეურნეობის მექანიკური მამოძრავებელ ძალის მთავარ წყაროს.

¹ იხ. Стеногр. отчет 17-го Съезда ВКП (б), გვ. 361.



სატრაქტორო პარკის ზრდასთან ერთად მეორე ხუთწლედში სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფილია მისაბმელი და სხვა სას.-სამ. მანქანების გიგანტური ზრდით. ამხ. მოლოტოვის მიერ მოყვანილი ცხრილი სხარტად ახასიათებს ამ ფაქტს. სას.-სამ. მანქანების პარკი მთელ სოფლის მეურნეობაში (საბჭოთა მეურნეობანი, სამანქ.-სატრ. სადგ. და კოლმეურნეობანი):¹

	1932 წ.	1937 წ.
კომბაინები	15,5	100
რთული (ათ. ცალად)	47,7	80
ელექტრო-დაღმულობანი (ათ. კვტ.)	65,9	425
სარემონტო სახელოსნოები	2320	6920
სატვირთი ავტოები (ათ. ცალ.)	14,5	128

ეს ცხრილი ასაბუთებს სოფლის მეურნეობის ტექნიკონსტრუქციის პროცესს, რომელიც ძირითადად სრულდება მეორე ხუთწლედში და რომლის შედეგად სოფლის მეურნეობა თავისი ტექნიკური განვითარების დონით ხდება ინდუსტრიის სახეობად.

ტრაქტორებისა და სხვა მანქანა-იარაღების არნახული ზრდა საბჭოთა სოფლის მეურნეობაში ახდენს მეორე ხუთწლედის განხორციელების პროცესში სასოფლო-სამეურნეო შრომის პროცესების მაღალ-ტექნიკურ შეიარაღებას და ამთავრებს ძირითადად მათ მექანიზაციას. შრომის პროცესების მექანიზაციის შესახებ სოფლად სრულ წარმოდგენას იძლევა ამხ. კუიბიშევის მიერ მოყვანილი ცხრილი; ამ ცხრილის მიხედვით მექანიზაციის დონე (ნათესა მთელი ფართობის მიმართ $\% / \text{ო} / \text{ში}$) ისახება შემდეგ მაჩვენებლებში:²

მაჩვენებლები	მანქანა-იარაღები	1932 წ.	1937 წ.
1) დახენა საგაზაფხ. თვისისათვის	ა) კავით	9,8	—
	ბ) ტრაქტ გუთნით	89,2	20
	გ) ტრაქტ. სათ. მანქ.	1,0	80
2) ხორბლეულთა თესვა	ა) ხელით	74,4	—
	ბ) ცხენის სათ. მანქ.	25,4	45
	გ) ტრაქტ. სათ. მანქ.	0,2	55
3) ხორბლეულის აღება	ა) ნამგლით და ცელ.	44,4	—
	ბ) ცხენის ინვენტ.	55,4	40
	გ) ტრაქტორის ინვენტ.	0,2	60
4) ხორბლეულთა გაღლევა	მათი რიცხვი კომბ.	—	30
	ა) ხელით და სხვა წესით	40,7	—
	ბ) ცხენის ძალით	58,0	—
	გ) მექანიკური ძალით	1,3	100

¹ იხ. Стен. отчет 17-го С'езда ВКП (б), გვ. 361.
² XVII С'езда ВКП (б), стен. отчет, გვ. 391.



როგორც ცხრილიდან ჩანს, 1932 წელს პრიმიტიულ იარაღებით და შრომას (თესვა) მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგის — ხორბლეულ მეურნეობის შრომის ცალკე პროცესებში, ხოლო ცხენის ძალა გადაჭარბებულ როლს თამაშობდა. მეორე ხუთწლედის მანძილზე პრიმიტიული იარაღები და ხელით თესვა სავსებით იღვენება შრომის ყველა პროცესებიდან, ცხენის ძალა იკავებს მეორეხარისხოვან პოზიციებს, გალექვიდან კი სავსებით იღვენება, ხოლო ტრაქტორი და მისი მისაბმელი ინვენტარი იკავებს გაბატონებულ როლს შრომის ყველა პროცესებში.

თითქმის იგივე პროცესებს აქვს ადგილი სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მიმართაც, ე. ი. საბჭოთა სოფლის მეურნეობა ხდება ძარითადად მექანიზირებულ სოფლის მეურნეობად, რის გამოც მიწათმოქმედების წარმოების პროცესები სამრეწველო ტექნიკურ პროცესების ხასიათს ღებულობს. მაშასადამე, ახალი ტექნიკა, იქსოვება რა შრომის ახალი სოციალისტური ორგანიზაციის საერთო პროცესში, საშუალებას აძლევს ადამიანს დაიმორჩილოს სტიქიური მოვლენები, რაციონალურად გამოიყენოს ბუნების ძალები და უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩამორჩენილობის აღმოფხვრა.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღებისა და სასოფლო-სამეურნეო შრომის პროცესების მექანიზაციის მაღალი მაჩვენებლები ჯერ კიდევ არ ნიშნავს სათანადო ეფექტის მიღებას, რადგანაც „არ შეიძლება ტექნიკა მოვწყვიტოთ ადამიანებს რომელთაც ტექნიკა მოძრაობაში მოჰყავთ, ტექნიკა უადაშიანებოდ მკვდარია“ (ს ტ ა ნ ი). მაშასადამე, სოფლის მეურნეობის მოწინავე ტექნიკით შეიარაღება მოითხოვს ამავე დროს ამ ტექნიკის რაციონალურ და სრულ დატვირთვით გამოყენებას. მაგრამ საუკეთესო მანქანა-იარაღების რაციონალური გამოყენება გულისხმობს პირველ რიგში ამ იარაღების ბოლშევიკურ ათვისებას, ახალ ტექნიკურ საფუძველზე წარმოების და შრომის პროცესების ბოლშევიკურ ორგანიზაციას და, მაშასადამე, თავდადებულ ბრძოლას თითოეულ საბჭოთა მეურნეობაში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და კოლმეურნეობებში ტექნიკის დაუფლებისათვის, რომელსაც სოფლის მეურნეობის სფეროში თან ერთვის აგრონომიის გამოყენებისა და დაუფლების პრობლემაც. „დროა პირდაპირ განვაცხადოთ, — ამბობს სტალინი მეტალურგებთან საუბარში, — რომ ახლა მთავარია ადამიანები, რომლებიც ტექნიკას დაუფლებიან“. მაშასადამე, ადამიანს ეკუთვნის აქტიური როლი, ის ქმნის ტექნიკას და ეს ტექნიკა მან უნდა გამოიყენოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ტექნიკა მანქანების უძრავ გროვად გადაიქცევა. მუშათა კლასის დიდმა ბელადმა ა/წ. 4 მაისის სიტყვაში მოგვცა მუშაობის საბრძოლო პროგრამა და ეპოქალური ლოზუნგი, რომ „კადრები წყვეტენ ყველადღერს“. აქედან გასაგებია, რომ ბოლშევიკური ბრძოლა მოწინავე საწარმოო იარაღების დაუფლებისათვის წარმოების მთლიან პროცესში და, მაშასადამე, სოფლად მეცნიერული აგრონომიის პრაქტიკულ გამოყენებასთან ერთად წარმოადგენს იმ საბრძოლო ამოცანას, რომელიც დგას ჩვენს წინაშე. ამ მხრივ ტექნიკის და მთლიანად აგრო-ტექნიკის დაუფლების პროცესი, არის იმავე დროს კოლმეურნისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკათათვის შრომის სოციალისტური ორგანიზაციისათვის ბრძოლის პროცესი, მათი სოციალისტური აღზრდის პრო-



ცესიცი, რომლის შედეგად ჩვენ უნდა მივიღოთ სასოფლო-სამეურნეო შრომის გააქცევა ინდუსტრიულის სახეობად.

მეორე ხუთწლედში, — მიუთითებს მე-17 ყრილობის რეზოლუციები, — საბჭოთა კავშირი ანხორციელებს დიდ ნაბიჯს წინ ადამიანთა საზოგადოების საუკუნოებრივი დაპირისპირების, ჭალაქისა და სოფლის დაპირისპირების აღმოფხვრის საქმეში და ქმნის ყველა აუცილებელ პირობას ამ დაპირისპირების მოსასპობად. სოფლის მეურნეობა თავისი საზოგადოებრივი ფორმის მხრივ ხდება ერთ-ტიპიური მრეწველობასთან, სასოფლო-სამეურნეო შრომა იქცევა ინდუსტრიალური შრომის სახეობად“.

გიგანტურმა სოციალ.-ტექნიკურმა ძვრებმა, რომლებიც უნდა მოხდეს საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობაში, უნდა უზრუნველყონ იმ დავალებათა შესრულება, რომლებსაც ურდგენს მთელი სახალხო მეურნეობა სოფლის მეურნეობას.

მეორე ხუთწლედის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს მშრომელთა მატერიალურ-კულტურულ მდგომარეობის გაუმჯობესება 2—3-ჯერ. ამ დიდი ამოცანის შესრულებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს სოფლის მეურნეობის მიერ მეორე ხუთწლედის დავალებათა შესრულება როგორც საკვები პროდუქციის ზრდის საქმეში, ასევე „ბ“ ჯგუფის წარმოებისათვის ნედლეულის მიწოდების დარგშიც. ამის მიხედვით მეორე ხუთწლიანი გეგმა უდიდეს დავალებებს აძლევს სოფლის მეურნეობას. ეს დავალებები შემდეგ მაჩვენებლებში ისახებიან:

სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია მეორე ხუთწლედში (მილიონ ცენტ.):

	1932 წ.	1937 წ.	1937 წ. % 1932 წ. მიმ.
1. ყველა ხორბლეული	698,7	1105,6	158,2
2. ტექნიკური:			
ა) ბამბა—ნედლი	12,7	22,5	177,7
ბ) სელი (ბოქვო)	5,0	9,0	180,0
გ) შაქრის ქარხალი	65,0	276,0	420,7
დ) მშესუმხირა	22,6	35,7	158,0

მთლიანად კი სოფლის მეურნეობის პროდუქცია იზრდება (1926/27 წ. უცვლელ ფასებში) 13,1 მილიარდ მანეთიდან 26,2 მილიარდ მანეთამდე. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ეს გიგანტური ზრდა, ჯერ-ერთი, მიუთითებს იმაზე, რომ მან უნდა შექმნას ბაზა მშრომელთა მატერიალურ-კულტურულ დონის 2-ჯერ, 3-ჯერ გადიდებისათვის და მეორეც—იგი ასახავს იმ ფაქტს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპები უახლოვდება მრეწველობის განვითარების ტემპებს (მრეწველობის პროდუქციის ზრდა 214,1%, სოფლის მეურნეობის—200%). ამ მხრივაც იუხვრება ის ჩამორჩენილობა განვითარების ტემპებში, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენში სოფლად წვრილი გლეხური მეურნეობის არსებობის პირობებში. პროდუქციის შემოსენებული ზრდის ტემპები ეყრდნობა მოსავლიანობის გადიდებას სოფლის მეურნეობის ყველა დარგში და არა სათეს ფართობების ზრდას, რაზედაც ნათლად ლაპარაკობს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.



სათესი ფართობები-პირველ და მეორე ხუთწლეულებში (ათ. ჰექტარში)

	1932 წ.	1937 წ.	1937 წ. მიმართ % -ში	1932 წ. % -ში
მთელი სათესი ფართ.	134435	140000	104,1	
აქედან:				
ა) ხორბლეული	99711	104800	105,1	
ბ) ტექნიკური	14877	14050	94,5	
გ) ბალ-ბოსტანი	9215	9600	104,2	
დ) საკვები	10632	11550	108,6	

როგორც ვხედავთ, სათესი ფართობების ზრდა შედარებით მცირეა და ტექ-
კულტურების მხრივ იგი მცირდება კიდევაც. მაშასადამე, პროდუქციის ერთი-
ორად გადიდების ძირითად წყაროს წარმოადგენს მოხაველიანობის გადიდება,
რომელიც მეორე ხუთწლეულის ძირითადი საბრძოლო ამოცანაა სოფლის მე-
ურნეობაში.

თუ როგორ უნდა გაიზარდოს მოსავალი ცალკე კულტურების მიხედვით,
ამაზე წარმოდგენას იძლევა ამხ. მოლოტოვის მიერ თავის მოხსენებაში მოყვა-
ნილი ცხრილი:

ამ ცხრილის მიხედვით მოსავლიანობის შემდეგ ზრდას ექნება ადგილი
მეორე ხუთწლეულის მანძილზე:

(ცენტნერები ჰექტარიდან)³

	საშუალო 1928—32 წ.	1937 წ.	1937 წ. % 1928—32 წ.
ყველა ხორბლეული	7,5	10,6	141,4
საშემოდგომო ხორბალი	8,6	12,0	139,6
საგაზაფხულო ხორბალი	6,1	8,5	139,4
ქვავი	8,0	11,5	143,8
შვრია	8,3	11,2	134,9
ქერი	8,2	10,5	128,1
სიმინდი	8,9	14,5	162,8
ტექნიკური:			
ბამბა—ნედლი	7,5	12,0	160—
სელი (ბოკუკო)	2,2	3,7	165,8
შაქრის ჭარხალი	120,1	200	166,6
მზისუმწირა	5,5	8,5	154,6

როგორც ცხრილიდან სჩანს, კულტურების დიდი უმრავლესობა თითქმის
ერთნახევარჯერ იზრდება მოსავლიანობით, ხოლო ტექკულტურებში იგი უფ-

³ იხ. XVII С'езд ВКП(Б), stenotчет, გვ. 360.

იქმ.



რო მეტია. მოსავლიანობის გადიდების ასეთი ტემპები არ ახსოვს არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს და მისი დასახვა მხოლოდ იმ გამარჯვებების საფუძველზე ვახდა შესაძლებელი, რომელნიც მიღწეულ იქნენ პირველ ხუთწლეულში და რომელთაც ჩვენ უნდა მივალწიოთ მეორე ხუთწლეულის მანძილზე. თავისთავად ცხადია, რომ ამ ამოცანების გადაჭრა მოითხოვს აგროტექნიკის და მისი სულის და გულის—თესლთაბრუნვის დანერგვას საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, რომ ამას უნდა დაერთოს სასუქების ფართოდ გამოყენება და ნიადაგის წესიერად დამუშავება, რაც ჯერ კიდევ ვერ ღვას სათანადო დონეზე.

მაგრამ აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთლიანად გატარება და დამუშავების ხარისხის გადიდების პრობლემა წარმოადგენს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კამპანიების მცირე დროში ჩატარების საკითხსაც, რომლის გარეშე ვერ იქნება განხორციელებული აგროტექნიკური ღონისძიებანი, ხოლო ალენების დარგში, ჩვენ ვერ უზრუნველყოფთ დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას. მაშასადამე, თესვისა და ალენის კამპანიათა ვადების მინიმალურად შეკუმშვა და ალენის დროს დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს მეორე ხუთწლეულის ერთერთ საბრძოლო ამოცანას, რომლის წარმატებით გადაჭრისაგან ბევრადაა დამოკიდებული საერთო პროდუქციის ზრდის უზრუნველყოფა. სოფლის მეურნეობის ცალკე დარგთა გაშლილი აღმავლობის პროცესში, რომელიც ზემოხსენებულ მასალებიდან აშკარად სჩანს, მეორე ხუთწლეულის მანძილზე განსაკუთრებული ადგილი უკავია მეცხოველეობის განვითარებას. როგორც თავის დროზე მითითებული იყო, პირველ ხუთწლეულში გაშლილ რეორგანიზაციულ პერიოდის მანძილზე განსაკუთრებით დაზარალდა მეცხოველეობა, ცხოველების რიცხვი თითქმის ერთიორად შემცირდა 1929 წელთან შედარებით. გარდა ამისა, თუ ხორბლეულ ტექვულტურების აღმავლობა უკვე 1933 წელს დაიწყო, მეცხოველეობის დარგში 1933 წ. დაცემის უმდაბლეს წერტილს წარმოადგენდა მელორობის გამოკლებით.

ეს გარემოება უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანებს აყენებს ჩვენს წინაშე მეცხოველეობის განვითარების ხაზით მეორე ხუთწლეულის მანძილზე.

როგორც ზევით უკვე შევნიშნეთ, მიუხედავად მეცხოველეობის სულადობის შემცირებისა, პირველმა ხუთწლეულმა მაინც მოგვცა მტკიცე საფუძველები მესაქონლეობის პრობლემის დაძლევისათვის მეორე ხუთწლეულში. ვაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობამ სოფლად და გაიზარდა და განმტკიცდა საბჭოთა მეურნეობები. გადაჭრილი იქნა ხორბლეულის პრობლემა, რომელიც წამყვან როლს თამაშობს სოფლის მეურნეობაში და საფუძველს უქმნის მესაქონლეობის განვითარებას. განადგურებულ იქნა კაპიტალისტური ელემენტები სოფლად და ჩვენმა პარტიულმა და სხვა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი გამოცილილება მიიღეს მსხვილი სოციალისტური მესაქონლეობის ორგანიზაციის საქმეში. ეს ფაქტები ლაპარაკობენ იმაზე, რომ ჩვენ ახლა გვაქვს ყველა შესაძლებლობა, რათა სწრაფად უზრუნველყოთ მესაქონლეობის აღმავლობა, რისთვისაც საჭიროა „მეცხოველეობის საქმეს ხელი მოჰკიდოს მთელმა პარტიამ, ყველა ჩვენმა მუშაკმა, პარტიულმა და უპარტიომ; უნდა გვახსოვდეს, რომ მეცხოველეო-

ბის პრობლემა ამჟამად ისეთივე პირველი რიგის პრობლემაა, როგორც ვუ-
შინ იყო წარმატებით გადაჭრილი მარცვლეულის პრობლემა“ (სტალინი).

საყვარელი ბელადის ზემოსწინებულ მითითებების საფუძველზე პარტიამ
დასახა მეცხოველეობის განვითარების საბრძოლო გეგმა მეორე ხუთწლეულში,
რომლის შესრულება შეიძლება მხოლოდ თავდადებულ ბოლშევიკურ ბრძოლით.

თუ რამდენად გრანდიოზულია ეს გეგმა, ამას გვიჩვენებს ქვემოთმოყვა-
ნილი ცხრილი:

საქონლის სულადობა საბჭოთა კავშირში (მილ. სულ.):

	1916 წ.	1928 წ.	1932 წ.	1937 წ.	1937 წ. %/1932 წლ. მიმ.
ცხენები	35	33,5	19,6	21,8	111,2
მსხვილი რქ. საქონ.	58,9	70,5	40,7	65,5	160,9
ცხვრები და ირემი	115,2	146,7	52,1	96,0	184,3
ღორები	20,3	25,9	11,6	43,4	374,1

მეშასადამე, ვარდა ცხენისა, საქონლის რაოდენობა 1937 წელს, შედარე-
ბით 1932 წელთან, იზრდება თითქმის ერთიორად, ხოლო მეღორეობის დარ-
გში იგი ოთხჯერ გადიდებას იძლევა, რაც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ
საერთოდ მეცხოველეობის სწრაფი განვითარების უზრუნველყოფასთან ერთად
აუცილებელია სწრაფად მზარდ მეცხოველეობის დარგთა განსაკუთრებული გა-
დიდება, რათა დაეკმაყოფილოთ მუშათა კლასის და მშრომელი მასების მზარ-
დი მოთხოვნილება. მეცხოველეობის სულადობის გიგანტურ ზრდასთან ერთად
განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა საქონლის პროდუქტიულობის გადიდე-
ბას. ასე მაგ.: ამხ. კუბიშევის სიტყვით „მეორე ხუთწლეულის განმავლობაში
დასახულია წველადობის გადიდება ერბო-კარაქის საბჭოთა მეურნეობებში ორ-
ჯერ და კიდევ მეტად საკოლმეურნეო მესაქონლეობის ფერმებში 63%“. აგრეთ-
ვე უნდა გადიდდეს სახორცე საქონლის საშუალო წონაც. ამ ამოცანების გა-
დაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ახალგაზრდა საქონლის შენახვის და ჯიშისანი
საქონლის გაშენების საშუალებით, რასაც თანდათან უნდა ერთოდეს სისტემატური
ბრძოლა არსებული საქონლის პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

გასაგებია, რომ მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრაში უაღრესად მნი-
შვნელოვანი ადგილი უკავია **სმკვები ბაზის გადიდების საქმეს**. ამ საკითხში
საბრძოლო ამოცანაა, როგორც საკვებთა სათესი ფართობების გადიდება, ისე
მათი მოსავლიანობისა და კერძოდ ნოყიერ საკვებთა ფართობის და მოსავლი-
ანობის ზრდა.

გასაგებია, რომ მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრის მთავარ საფუძ-
ველს წარმოადგენს სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი განვითარება

¹ იხ. ამხ. მოლტოვის მოხსენება მე-17 ყრილობაზე.



და საბჭოთა მეურნეობისა და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების მუშაობის ბოლშევიკური გარდაქმნა და განმტკიცება. მაგრამ სოციალისტური მეცხოველეობის ფორსირებული განვითარება არამც თუ არ ეწინააღმდეგება კოლმეურნეთა და მშრომელ ერთბიროვნულ მეურნეთა პირად სარგებლობისათვის საჭირო ფარგლებში ძროხისა და სხვა პროდუქტული საქონლის მოშენებას, არამედ, პირიქით, ჯერ ერთი, იგი წარმოადგენს **დამხმარე საშუალებას** მეცხოველეობის პრობლემის სწრაფად გადაჭრისათვის, ხოლო მეორეს მხრივ, ამ ღონისძიებებით დამატებითი საშუალება იქმნება მშრომელი გლეხობის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ **სწორად შევთავაზოთ** სოციალისტური მეცხოველეობის, როგორც გადამწყვეტი ბერკეტის განვითარებასთან მშრომელ გლეხობის პირადი სარგებლობისათვის საჭირო საქონლის მოშენება, რასაც ბოლშევიკურად სწყვეტს სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო სტალინური წესდება.

ზემოხსენებულ გრანდიოზულ ამოცანათა გადაჭრა, როგორც მთლიანად სოფლის მეურნეობაში, ისე მისი ცალკე დარგების განვითარების ხაზით, შეიძლება მხოლოდ საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობათა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობის ბოლშევიკურად გარდაქმნის საფუძველზე. „მთავარი, რაც აუცილებელია სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობის უზრუნველსაყოფად, ესაა კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების **ორგანიზაციული და სამეურნეო განმტკიცება**“ (მოლოტოვი). პარტიის საყვარელი ბელადის ამხ. **სტალინის** მითითება, რომ გადავაქციოთ საბჭოთა მეურნეობები ნამდვილ სანიმუშო მეურნეობებად, ხოლო ყველა კოლმეურნეობები ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად, წარმოადგენს გასაღებს და საფუძველს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის გაშლილი აღმავლობის უზრუნველსაყოფად მეორე ხუთწლედში. ეს უკანასკნელი შეიძლება მიღწეული იქნეს მხოლოდ დამხმარე კლასობრივი მტრების ყოველგვარი მახინჯიების სრული დაძლევის საფუძველზე, იმ კლასობრივი მტრების, რომელნიც ჩვენ პირველ ხუთწლედში გავანადგურეთ, მაგრამ საბოლოოდ მათი ნაშთები კიდევ არ მოგვისპია. კლასობრივი მტრები, უახლოვდებიან რა თავის საბოლოოდ განადგურების უკანასკნელ მომენტს, არამც თუ არ გენებდებიან და არ ანელებენ ბრძოლას, არამედ ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ, რათა შეინიღონ ძირი გამოუთხარონ სოციალისტურ მიწათმოქმედებას, გაანიაგონ საზოგადოებრივი ქონება და ამით გააგრძელონ დროებითი მიწის თაყვანითი არსებობა. მაშასადამე, **პარტიული და კლასობრივი სიფხიზლე და გააფთრებული ბრძოლა კლასობრივი მტრებისა და ყოველგვარი ანტიპარტიული გადახრების წინააღმდეგ არის პირველი პირობა მეორე ხუთწლედის წარმატებით შესასრულებლად, როგორც მთელ სახალხო მეურნეობაში, ასევე სოფლის მეურნეობაშიც.**

პარტიამ მეორე ხუთწლედის უკვე გასული წლების განმავლობაში უდიდეს წარმატებებს მიაღწია მეორე ხუთწლედის შესრულების საქმეში. ეს წარმატებები მართლაც რომ გიგანტურია, როგორც საკავშირო მასშტაბით, ისე საქართველოს სოფლის მეურნეობაშიც. ამხ. **სტალინის** ინიციატივით, მისი უშუალო ხელმძღვანელობით პარტიამ მეორე ხუთწლედის პირველ წელს ჩამოაყალი-



ბა პოლიტგანყოფილებები მ. ტ. ს-ებთან და საბჭოთა მეურნეობებში, ვადრეკინსა სოფლად პარტმუშაობა, დარაზმა კოლმეურნე და მშრომელი ინდივიდუალური გლეხობა და გაშალა ბოლშევიკური ბრძოლა კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცების ფრონტზე. ამ გააფთრებულ ბრძოლის შედეგად ჩვენ გვაქონდა მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდება ყველა კულტურებისა და კერძოთ მარცვლოვან კულტურების ხაზით მეორე ხუთწლედის პირველ წელს; ხოლო 1934 წელს, მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, ჩვენ შევინარჩუნეთ 1933 წლის სარეკორდო მოსავლის დონე და მივიღეთ 200—300 მილიონ ფუთით მეტი მარცვლეული შედარებით 1933 წელთან. ეს გამარჯვება მიღწეული იქნა იმის გამო, რომ კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო და ორგანიზაციულ განმტკიცების საფუძველზე უფრო ორგანიზაციულად ჩაებატარეთ თესვის კამპანიები, შევამცირეთ თესვის ვადები 15—20 დღით შედარებით 1933 წელთან, მნიშვნელოვნად დავენერგეთ აგროტექნიკა და გავშალეთ ბრძოლა მოსავლის ბოლშევიკურ აღებისათვის. ამ გამარჯვებების საფუძველზე 1934 წ. პურის დამზადების გეგმა შესრულდა ერთნახევარი თვით ადრე, ვიდრე 1933 წელში და სახელმწიფომ მიიღო მილიარდნახევარი ფუთი პური, რომლისაგან 90% მეტი მოგვცა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. ამან კი საშუალება მისცა სახელმწიფოს გაეუქმებია ბარათების სისტემა პურზე და ზოგიერთ სხვა პროდუქტებზე 1934 წელში, და ამით უზრუნველყო მშრომელების მატერიალურ-კულტურული დონის შემდგომი ზრდა და საბჭოთა ვაჭრობის გაშლა.

შემოსენებულთან ერთად ჩვენ გვაქვს 1934 წელში პირველი საფუძვლიანი ძვრები მესაქონლეობის აღმავლობის ფრონტზე. ამ წელს მსხვილი რქოსანი საქონლის სულადობა გაიზარდა 10,4 პროც., თხებისა და ცხვრების რიცხვი 3,4 %-ით, ხოლო ღორების—43,9 %-ით, მეცხოველეობის პროდუქცია კი, წინასწარი გამოანგარიშებით, გადიდდა 13 %-ით, შედარებით 1933 წელთან.

შემოსენებულ წარმატებების გამო სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად მიუახლოვდა სამარეწველო პროდუქციის ზრდის ტემპებს.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის სწრაფ ზრდასთან ერთად ჩვენ გვაქვს კოლმეურნე მასების კეთილდღეობის არნახული გადიდება. მათი შემოსავლიანობა თითქმის ერთიორად გაიზარდა 1931—32 წელთან შედარებით. წარმატებით სრულდება ანხ. სტალინის ლოზუნგი—ყველა კოლმეურნეობათა შეძლებულად გადაქცევის შესახებ. კოლმეურნეთა საგრძნობი მასა უკვე ეზიარა შეძლებულ ცხოვრებას.

გიგანტური გამარჯვებებია მიღწეული სოფლის მეურნეობის ტექნიკურ შეიარაღების დარგშიც, რასაც გვიჩვენებს ქვემოთაყვანილი ცხრილი.

სატრაქტორო პარკი და მისი ძალოვნება სოფლის მეურნეობაში
(ათასობით):



	1932 წ.	1933 წ.	1934 წ.
ტრაქტორები	148,5	204,1	280
მათი ძალოვნება HP	2.225	310,0	4.460

როგორც ვხედავთ, რაღაცა ორი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის სატრაქტორო პარკი თითქმის ერთიორად გაიზარდა. და ამას თან ახლავს სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების გაუგონარი ზრდაც. ასე მაგ.: 1932 წელთან შედარებით კომბაინების რიცხვი 11 ათას ცალიდან 1934 წელს გაიზარდა 33 ათასამდე, ამავე პერიოდში რთული და ნახევრად-რთული საღებავი მანქანების რიცხვი 37 ათასიდან ავიდა 129 ათასამდე და სხვ.

უდიდესი მიღწევებია განხორციელებული აგრეთვე საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე, როგორც კოლექტივიზაციის რაოდენობრივი ზრდის ხაზით, ისე, კერძოდ, მისი ხარისხობრივი განმტკიცების მიმართულებით. კოლექტივიზაციის %-ტი 60 %-დან (1932 წ.) გაიზარდა 75 %-მდე, 1934 წლის ბოლოს, ხოლო ნათესი ფართობის მხრივ სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა 90 %-მდე ავიდა, ამასთან ერთად პარტიამ პოლიტგანყოფილებათა ჩამოყალიბებისა და სოფლად პარტმუშაობის გარდაქმნის საფუძველზე მეორე ხუთწლედის პირველ ორი წლის მანძილზე უზრუნველყო კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების ფრონტზე მნიშვნელოვანი გარდატეხა, მან პოლიტგანყოფილებათა შემწეობით ამხილა და „ძირითადად გააძევა კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან ანტისაბჭოთა, ანტისაკოლმეურნეო მავნებლური ელემენტები, რომელნიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეიპარენ და „ჩუმი მუშაობით“ ცდილობდნენ ისინი შეიგნებინათ დაეშალათ“ (საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 1934 წ. ნოემბრის პლენუმის რეზოლუციიდან).

ზემოხსენებულ მიღწევების საფუძველზე და ახალ, უფრო რთულ ამოცანების წარმატებით შესრულების მიზნით, პარტიამ თავის საყვარელი ბელადის ანხ. სტალინის ინიციატივით 1934 წელში გარდაქმნა მ. ტ. ს-ების პოლიტგანყოფილებანი ჩვეულებრივ პარტორგანიზაციებად სოფლად და დააყენა ჩვენს წინაშე მთელი რივი ახალი ამოცანები, რომელთა წარმატებით გადაჭრა უზრუნველყოფს მეორე ხუთწლედის შესრულებას სოფლის მეურნეობის დარგში. ეს ამოცანები პირველ რიგში ეხება ტექნიკისა და აგროტექნიკის ათვისებას სოფლის მეურნეობაში, კოლმეურნე მასების სოციალისტურ აღზრდის შემდგომ გაშლას, კლასობრივი მტრების ნაშთთა საბოლოოდ აღმოფხვრას და ამასთან ერთად ერთპიროვნულ მშრომელ გლეხობის თანდათანობით კოლმეურნეობებში ჩაბმას და საერთოდ მშრომელ გლეხობის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის



შემდგომ გადიდებას. ამ ამოცანების გადაჭრა შეიძლება მხოლოდ დასაბუთებულ კოლმეურნობათა, მ.ტ.ს-ების და საბჭოთა მეურნეობათა მუშაობის შედეგად, ბოლშევიკური გაშლით, საკოლმეურნეო აქტივის დარაზმებით და აღზრდით, სოციალისტურ შრომის და წარმოების ორგანიზაციის შემდგომი განმტკიცებით, რამაც უნდა მოგვეცეს სოფლად მიეღო რიგ ჯერ კიდევ ჩამორჩენილ სოციალისტურ საწარმოთა საბოლოოდ დაწვეა მოწინავეებზე, ხოლო მოწინავეების შემდგომი ბოლშევიკური განმტკიცება და ზრდა. სას.-სამ. არტელის სანიმუშო წესდება, რომელიც გამოთქმულ იქნა დიდი ბელადის, ანხ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით და მიიღო დამკვეთ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობამ, ასახავს უდიდეს ძვრებს საკოლმეურნეო წყობის ზრდის საქმეში და აყენებს საბრძოლო ამოცანებს მისი შემდგომი ზრდის მიმართულებით. სტალინის წესდების საფუძველზე საკოლმეურნეო წყობის შემდგომი განმტკიცება და ამ წესდების ბოლშევიკური გატარებისათვის კოლმეურნე მასების დარაზმვა უზრუნველყოფს მიწათმოქმედებაში მეორე ხუთწლედის ძირითადი ამოცანის ბოლშევიკურ გადაჭრას, სახელდობრ მოსავლიანობის ერთნაგევარ-ორჯერ გადიდებას.

ჩვენ ზევით უკვე აღვნიშნეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი მიღწევები პირველ ხუთწლედში, რომელნიც მოპოებულ იქნენ საქართველოს პარტიორგანიზაციის მიერ აშხ. ბერიას ხელმძღვანელობით. გასაგებია, რომ მეორე ხუთწლედი უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანებს აყენებს საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე. როგორც ზევით აღვნიშნეთ, საქართველო და დასავლეთ საქართველო განსაკუთრებით, თავისი მდგომარეობით წარმოადგენს სუბტროპიკების ქვეყანას, ამიტომ სუბტროპიკებისა და კერძოთ ჩაის განვითარების პრობლემა წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო ამოცანას მეორე ხუთწლედში. ამასთან ერთად ა.-კავკასია წარმოადგენს მეზამბეობის მეორე ბაზას. ამ დარგში საქართველოს და კერძოთ აღმოსავლეთ საქართველოს მთელი რიგი რაიონები თამაშობენ ფრიად მნიშვნელოვან როლს. მაშახადაძე, ტექნიკური კულტურების (თამბაქო, შაქრის ჭარხალი, რამი და სხვა) და სუბტროპიკული კულტურების განვითარების საკითხი წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ცენტრალურ პრობლემას მეორე ხუთწლედში.

ეს მომენტი, ცხადია, არამც თუ არ ნიშნავს სოფლის მეურნეობის სხვა დარგების უგულვებელყოფას, არამედ პირიქით, მოითხოვს უაღრესად ყურადღებით მოპყრობას როგორც მარცვლეულ კულტურებისადმი, ასევე განსაკუთრებით მეცხოველეობისა და მეხილეობის მიმართ. სოფლის მეურნეობის ამ დარგების განვითარება, განსაკუთრებით მთელ რიგ რაიონებში, სადაც მათთვის ფრიად ხელსაყრელი პირობები მოიპოვება, წარმოადგენს მეტად საპასუხისმგებლო ამოცანას. ჩვენი სოფლის მეურნეობის უაღრესად ძვირფასი დარგების განვითარების საკითხში გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა ირიგაციის და მელიორაციის პრობლემას.

ქაობების ამოშრობის დარგში ცენტრალურ საკითხს კოლხიდის პრობლემა წარმოადგენს, რომლის გადაჭრა და ამოშრობილ მიწების ათვისება, მართლაც გადააქცევს დასავლეთ საქართველოს საბჭოთა ფლორიდად.



როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს პარტორგანიზაციამ ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით უკვე პირველ ხუთწლედის დასასრულს უზრუნველყო ამხ. სტალინის მითითების საფუძველზე ძველი პარტხელმძღვანელობის უბეში პოლიტიკური შეცდომების ლიკვიდაცია და გაშალა ბრძოლა სოციალისტურ მიწათმოქმედების და საერთოდ სოფლის მეურნეობის ბოლშევიკური განვითარებისათვის. უკვე მეორე ხუთწლედის დასაწყისში პარტიამ მიაღწია მნიშვნელოვან გარდატეხას სოფლის მეურნეობის აღმავლობის სახით და წარმატებით განაგრძობს ბრძოლას მეოთხე ხუთწლედის ამოცანების ბოლშევიკურად გადაჭრისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობის მთავარი კულტურების განვითარების შესახებ მეორე ხუთწლედის პირველ ორ წელს წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი:

სათესი ფართობებისა და მოსავლის დინამიკა:

მაჩვენებლები	1933 წ.	1934 წ.
სულ სათესი ფართობები (ათას ჰექტ.)	939,4	950,81
მოსავლიანობა (ჰექტ. ცენტ.):		
ა. შემოდგომის ხორბალი	10,9	12,7
ბ. გაზაფხულის ხორბალი	8,1	8,9
გ. სიმინდი	9,8	11,0
დ. ბამბა	3,3	6,0
ე. ჩ ა ი	10,0	12,0

როგორც ვხედავთ სათესი ფართობების უმნიშვნელო ზრდასთან ერთად გვაქვს მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდება განსაკუთრებით ბამბისა და ჩაის დარგში. ცხადია, ეს მიღწევები „მხოლოდ პირველი ნაბიჯია მოსავლიანობის გადიდების საქმეში, ამიტომ მოსავლიანობისათვის ბრძოლის საკითხები მომავალშიაც ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს“.¹

მოსავლიანობის გადიდების მხრივ მნიშვნელოვანი გამარჯვებებია მიღწეული აგრეთვე თამბაქოს, შაქრის ქარხლისა და სხვა ტექნ. კულტურების დარგში. ასე მაგ., შაქრის ქარხლის მოსავალი 1933 წელთან შედარებით ერთი-სამად გაიზარდა 1934 წელს.

მარცვლეულ, ტექნიკურ და სუბტროპიკულ კულტურების ზრდასთან ერთად ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი აღმავლობა მეცხოველეობის დარგშიც, რასაც გვიჩვენებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

¹ ამხ. ლ. ბერიას მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობაზე, გვ. 55.

ცხოველთა სულადობა (ათასობით):

	1931 წ. 1/VII-თვ.	1932 წ. 1/VII-თვ.	1933 წ. 1/VII-თვის	1934 წ. 1/VII-თვის
მსხვილი რქოსანი საქონელი (კამეჩების-გამოკლებით, ათასი სული)	140	146,4	159,1	166,5
ცხვარი	125,4	161,3	187,7	209,7
ღორი	15,8	9,6	13,0	17,1
ცხენი	6,0	8,1	9,6	9,7

აქედან ჩანს, რომ მეცხოველეობის ყველა ძირითადი დარგები დაადგენ გაშლილი და შეუფერხებელი აღმავლობის გზას მეორე ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე. ცალკე დარგები იძლევიან მნიშვნელოვან გადიდებას: მაგალ., მეცხოველეობა, თითქმის ერთი-ორად გაიზარდა 1934 წელს. სოფლის მეურნეობის ყველა დარგების ზრდამ მოგვცა სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის მნიშვნელოვანი გადიდება 1932—34 წლებში. ასე მაგალითად: სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია უდრიდა 1932 წ. 158,432 ათას მანეთს (1926—27 წ. უკვ. ფასები), 1933 წ.—177,799 ათასს, ხოლო 1934 წ. წინასწარი გამოანგარიშებით 193,321 ათას მანეთს.

შემოსენებულ გამარჯვებებს საქართველოს პარტორგანიზაციამ მიაღწია საკოლმეურნეო წარმოების და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისათვის გააფთრებული ბრძოლის საფუძველზე. ამასთან ერთად უზრუნველყოფილ იქნა **ლენინური-სტალინური პოლიტიკის გატარება საშუალო გლეხობის მიმართ**. აღმოიფხვრა ძველი შეცდომები და „განმტკიცდა სოფლის სამეურნეო-პოლიტიკური მდგომარეობა“ (ლ. ბერია). „საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, —ამბობს საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 1934 წ. დეკემბრის პლენუმი, —რომლებიც განუხრელად ანხორციელებდნენ პარტიის ბელადის ანხ. **სტალინის** მითითებებს ბოლშევიკური კოლმეურნეობისათვის და კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრებისათვის ბრძოლის შესახებ, 1934 წ. სამეურნეო წელი გაატარეს ახალი წარმატებებით სოფლად საკოლმეურნეო წყაბილების განმტკიცების საქმეში“. საქართველოს კოლმეურნეობები პარტორგანიზაციებისა და განსაკუთრებით კი მ.ტ.ს.-ების პოლიტგანყოფილებათა ბოლშევიკური ბრძოლით მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ ორგანიზაციულად და პოლიტიკურად, გაიზარდა მათი მეურნეობრივი სიძლიერე და მათი ზედღრითი წონა, განსაკუთრებით ტექნიკურ და სუბტროპიკული კულტურების დარგში. მათ წარმატებით შეასრულეს და ასრულებენ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე. ამასთან ერთად დღითიდღე იზრდება კოლმეურნეთა შემოსავალი. პატიოსან და მშრომელმა კოლმეურნეებმა უდიდეს გამარჯვებებს მიაღწიეს შეძლებულად გადაქცევის საქმეში. სტალინური წესდების ბოლშევიკურად გატარების საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნა მშრომელი ერთპიროვნული გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილის გაერთიანება კოლმეურნეობებში, რის შედეგად თუ 1935 წ. 1 იანვრისათვის კოლექტივიზაციის დონე 47,9-ს აღწევდა, იგი იმავე წლის ივნისისათვის 53,6 %-დე ავიდა.



ზემოთ აღნიშნულ გამარჯვებების მიღწევა უზრუნველყოფილ ტერბული ბრძოლით კლასობრივი მტრების ყოველგვარი მახინჯებისა და ჯურის ოპორტუნისტული გადახრების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის შემდგომი გაძლიერება და პარტიული სიფხიზლის შემდგომი გამახვილება წარმოადგენს პირველ პირობას ახალ გამარჯვებების მოპოებისათვის მეორე ხუთწლიის შემდგომ წლებში ჩვენს წინაშე მდგარი გიგანტური ამოცანების დარგში.

საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ სამეურნეო და პოლიტიკურ ზრდასთან ერთად ჩვენ გვაქვს მთელი რიგი მნიშვნელოვანი დეფექტები აგროტექნიკის ათვისების, შრომის და წარმოების სოციალისტურ ორგანიზაციის დანერგვის და საკოლმეურნეო აქტივის აღზრდის ხაზით. კერძოდ ცალკე რაიონებში და ცალკე კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში პარტმუშაობის შემდგომი გარდაქმნა და გაძლიერება მე-17 პარტკრილობისა და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 1934 წ. ნოემბრის პლენუმის საფუძველზე, კოლმეურნეობათა, მ.ტ.ს.ების და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ბოლშევიკური გაშლა, — ეს არის სოფლად მუშაობის ცენტრალური ამოცანები. მხოლოდ ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრა უზრუნველყოფს ჩვენი სოციალისტური მიწათმოქმედების შემდგომ ზრდას და მასში მშრომელ ერთპიროვნულ გლეხობის ჩაბმას. „უნდა გვახსოვდეს, რომ კოლმეურნეობების რიცხოვობივი ზრდა უნდა სწარმოვადგინო მათი ნამდვილი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში ჩვენ მიერ მიღწეული წარმატებების ბაზაზე“ (საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 1934 წ. დეკემბრის პლენუმის რეზოლუცია).

1935 წელს კიდევ უფრო გრანდიოზული ამოცანები დგას ჩვენს წინაშე, განსაკუთრებით სუბტროპიკულ და ტექს. კულტურების დარგში. 1935 წ. ჩვენ ვაბანდებთ სოფლის მეურნეობაში დაახლ. 60 მილიონ მანეთს, რომელთაგან 40 მილიონი მიდის სუბტროპიკულ კულტურების ხაზით, ხოლო 12 მილიონი კოლხიდშენს ეძლევა. ამ თანხების ბოლშევიკური ათვისება, ხარისხობრივი მაჩვენებლების გადიდება, მემცენარეობის და მეხაჭონლეობის ყველა დარგში წარმოადგენს უარესად საპასუხისმგებლო ამოცანას, რომლის გადაჭრაზეც დამოკიდებულია 1935 წ. გეგმის შესრულება სოფლის მეურნეობაში.

გასავებია, რომ ზემოხსენებული ამოცანების გადაჭრა შეიძლება მხოლოდ საბჭოთა მეურნეობების და მ.ტ.ს. მუშაობა, კოლმეურნეობების და მშრომელ ერთპიროვნულ გლეხობის ბოლშევიკურ დარაზმვით, არტელის სანიმუშო წესდების ბოლშევიკური გატარებით და კლასობრივი მტრების წინააღმდეგ კიდევ უფრო გაძლიერებული ბრძოლით.

მე-17 ყრილობაზე პარტიის ბელადი ანხ. სტალინი ამბობდა: „არსებითად საანგარიშო პერიოდი (1930—33 წ.) სოფლის მეურნეობისათვის იყო არა იმდენად სწრაფი აღმავლობის და მძლავრი გაქანების პერიოდი, რამდენად უახლოეს მომავალში ასეთი აღმავლობისა და ასეთი გაქანებისათვის წინასწარი პირობების შექმნის პერიოდი“. დიდი ბელადის ეს დებულება სავსებით გამართლდა. პარტიამ სტალინის მტკიცე ხელმძღვანელობით უზრუნველყო სოფლის მეურნეობის ყველა დარგების აღმავლობა. გაშალა ბრძოლა ბოლშევიკური მიწათ-



მოქმედებისათვის მეორე ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე. წარმატებით სრულდება მეორე ხუთწლედის ძირითადი ამოცანები ქალაქად და სოფლად. ამ ამოცანების გადაჭრა კი ჩვენ მოგვცემს სრულ უკლასო სოციალისტურ საზოგადოების აგებას მეორე ხუთწლედში.

პროლეტარიატის დიქტატურის შემდგომი განმტკიცება, პარტიის გენერალური ხაზის განუხრელად გატარება და დაუნდობელი ბრძოლა კონტრრევოლუციურ ტროცკისტ-ზინოვიეველთა ნაშთების, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტების წინააღმდეგ, — აი ძირითადი პირობა მეორე ხუთწლედის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის როგორც მთელ სახალხო მეურნეობაში, ისე სოფლის მეურნეობაშიაც.

ი. ლომოვსკი და ვალ. სუპატაშვილი.

ლექსუმ-ქვემო სვანეთის ხორბლეული¹

საქ. სახ.-სამ. ინსტ. მარცვლეულ კულტ. კათედრა.

წინანდელი ლექსუმის მაზრა, დღეს გაყოფილი ორ ადმინისტრაციულ ერთეულად—ცაგერის და ჩოლურის რაიონად, თავის მხრივ შესდგება ორი, გეოგრაფიულად საკმაოდ განკერძოებულ ნაწილისაგან: პირველია სახელდობრ ლექსუმი, მეორე—ქვემო სვანეთი. ამ ფარგლებში მოქცეული ეს მხარე, თავისი საზღვრების საერთო მოხაზულობით მოგვაგონებს სამკუთხედს, რომლის წვერი მიმართულია სამხრეთისაკენ, ხოლო ფუძე ჩრდილოეთით გადადის ზემო სვანეთისაკენ, რომლიდანაც ყოფ. ლექსუმის მაზრას საზღვრავს სვანეთის ქედი. აღმოსავლეთით მდებარე რაჭისაგან მას ყოფს ფასის მთა, ხოროშის თავი და გველისთავის მთა, რომელიც ასკის წყალთან ერთად ჩადის მდ. რიონამდე სოფ. ტოლასა და ჭრებალოს ახლოს. დასავლეთიდან ეს რაიონი ასხის, ლეხის და ამბახის მთების სისტემით ისაზღვრება სამეგრელოდან, ხოლო სამხრეთით იგი შედარებით თანაბრად გადადის ოკრიბაში, სადაც ლექსუმის ადმინისტრაციულ საზღვრებს დაახლ. ავლებს მთა გორმაღალა, ნასოულარის სერი, ქვაყუნტა და სხ. მხოლოდ შედარებით მცირე მანძილზე, სოფ. ზოგიშიდან ტოლამდე საზღვარი გადის მდ. რიონის მიმართულებით. მაგრამ სამხრეთის საზღვრის მიმართულებას უმთავრესად არკვევს ხვამლის მთის მძლავრი მასივი, რომლის სამხრ.-აღმოსავლეთის და დასავლეთის მოსხლეტილი, დაქანებული კალთებით „ამოვსებულა“ მთელი ეს კუთხე მდ. რიონის და ცხენისწყალის შუა.

მდ. რიონი, ეს მთავარი არტერია დას. საქართველოსათვის, ლექსუმის საზღვრებში შედარებით მცირე მანძილითაა შესული. ამ რაიონის მთავარი მდინარე არის უპირველესად ყოვლისა ცხენისწყალი, რომელიც თავის დასაბამს, რამდენიმე ნაკადით, პოულობს ფასის მთისა და წურუნაგალის მყინვარებიდან, მიემართება სვანეთის და ლექსუმის ღრმა და ტყიან ხეობაში დასავლეთისაკენ. ლენტეხის ახლოს, დასავლეთიდან შენაკად მდინარეების—ხელედურას და ლაშ-კანურას მიღების შემდეგ, იგი, შებოჭვილი სვანეთის მთების კლდიანი კალთე-

¹ ამ გამოკვლევის პირველი ნაწილი გამოქვეყნებული იყო 1929 წ. იხ. „ექსპერ. აგრ. ინსტიტუტის მოამბე“ № 1. გვ. 83—94. ვალ. სუპატაშვილი: „ლექსუმის მაზრის ასლები“.

ბით, მკვეთრად უხვევს სამხრეთისაკენ, არღვევს ლეჩხუმის ქედს და ვიწრო კლდინან ხეობით გამოდის ძველი ციხის—შორის ციხის ახლოს შედარებით განიერ და დაცემულ ცაგერის ტაფობში. აქედან იგი ღებულობს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებას და ამ სახით მიეპართება ლეჩხუმის მთელ სივრცეზე. სამხრეთის საზღვართან იგი ერთხელ კიდევ იჭრება ღრმა ხეობით ამბახის და ხვამლის მთის კალთებს შორის და სტოვებს ლეჩხუმს სოფ. ლედეის ჩრდილოეთით. თავისი მიმდინარეობის მთელ მანძილზე, რომლის საერთო სიგრძე, ლეჩხუმ-ქვ. სვანეთის ფარგლებში უდრის დაახლ. 150 კილომეტრს, იგი შენაკადების სახით ორთავე მხრიდან იღებს აუარებელ დიდს და პატარა მთის მდინარეებს, რომელთა შორის, უკვე ნახსენებ ხელედურას და ლაშქანურის გარდა, აღსანიშნავია მდ. ჯანაულა, რომელიც გამოდის ასხის მთებიდან და ერთვის დასავლეთიდან ცხენისწყალს სოფ. ზუბის ახლოს.

მეორე მნიშვნელოვანი მდინარე, რომლის მთავარი კალაპოტი და შენაკადთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქსელი ქმნის ლეჩხუმის ცენტრალურ ნაწილში მეორე, უფრო ფართო ხეობას, ვიდრე ცხენისწყალის არტერია, არის მდ. ლაჯანულა; იგი გამოდის ლეჩხუმის ქედის და რაჭის მთების კალთებიდან და თავდაპირველად ღრმა, ტყიანი, ვიწრო კალაპოტით მიიმართება სამხრ.-დასავლეთისაკენ. სოფ. ორბელთან იგი რაოდენადმე იცვლის მიმდინარეობას, უხვევს პირდაპირ სამხრეთისაკენ, შედარებით გაშლილი, ვაკე ხეობით, სოფ. უსახელომდე, რომლის შემდეგ იგი ისევ შედის ვიწრო ნაპარალში და 5—6 კილომეტრის მანძილზე მიარღვევს გზას დაქანებულ, ციკაბო კირნარი მთის ჯიშების ვიწრო კალაპოტში. სოფ. და სადგურ ალპანასთან იგი უერთდება მდ. რიონს.

ამრიგად, ლეჩხუმის ყოფ. მაზრის მთელი ტერიტორია წარმოადგენს მაღალი მთებით მჭიდროდ გარშემორტყმულს, მოსაზღვრე რაიონებიდან საკმაოდ გამოკალკევებულს ტაფობს, მეტად უსწორმასწორო, მთებით და ხეობებით დასერილი ფსკერით. სამხრეთის საზღვართან აღმართული ხვამლის მთის კარგად დიდ მანძილზე ჩრდილოეთისაკენ მიმავალი კალთებით იგი გაყოფილია ორ მთავარ ხეობად—მდ. ცხენისწყალის და ლაჯანურას კალაპოტებით. ერთიც და მეორეც, ყოფ. მაზრის სამხრეთის საზღვრებთან მიმავალი ვიწრო, ღრმა და კლდინან ნაპირებში თანდათან ფართოვდება, იშლება და რელიეფის საერთო დაცემასთან ერთად ჰქმნის მთელი ამ რაიონის მთავარ სამოსახლო და სამეურნეო არეს. ასეთს დაცემულს, შედარებით გავაკებულს ხასიათს იგი ინარჩუნებს ცხენისწყალის მიმართულებით მურამდე. ხოლო მდინარე ლაჯანურას გასწვრივ სოფ. ლეშქაშამდე, რის შემდეგ რაიონის ეს ჩრდილო ნაწილი ისევ ღებულობს მკვეთრად აქანებულ ხაზებს და მაღალი მთებით, ღრმა ხეობებით გადადის ლეჩხუმის ქედის მთლიან სისტემაში.

მესამე ხეობა, საერთო მიმართულებით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ჩაჭრილია ლეჩხუმის მთების და სვანეთის ქედის შუა და ამ მძლავრი მთებით შემორტყმული ცხენის წყალი, უფრო მეტად შევიწროებულ კალაპოტით, მხოლოდ ალაგ-ალაგ ჰქმნის ცოტად თუ ბევრად ვაკე ადგილებს; ეს არის უკვე ქვემო სვანეთი.

გეოლოგიურად ეს მხარე წარმოადგენს შედარებით ერთფეროვანს (სოფ. სოცკი) და პეტროგრაფიულადაც საკმაოდ ლარიბ კუთხეს.

სამხრეთის ნაწილი მისი (სოფ. ვანჭეიში, მექვენა, ვანი, დერჩი, კორენიში, თვიში და სხ.) შექმნილია ზედა-იურის ჯიშებისაგან: კონგლომერატებით, ბრექჩებით, ღია და მუქი ფერის ქვაქვიშებით და დიბაზიტებით. ზემო-იურის დანალექთა შორის ალაგ-ალაგ იჭრებიან ცარცის სისტემის კირნარები, რომელნიც ხან დაწლილ შრეებიანი, — ხან მკვიდრი, მაგარი ფენებით გამოდიან ამ მხარის ცენტრალური ნაწილის მრავალ ადგილას. ჩრდილოეთით (სოფ. უსახელო, ლალიაში) მაგარ კირნარებს სცვლის მესამე სისტემის ეოცენურ დანალექთა „თევზის იარუსის“ ფხვიერი, შრიანი, თირი-მერგელი, მუქი მოლურჯო-მორიხო ფერისა. ხოლო უფრო ზევით (სოფ. უცხერი, ციპერი, ლუხვანი, ლარჩავალი, ორბელი და ცაგერი) — ამავე სისტემის მიოცენური ეპოქის სარმატის იარუსის ფხვიერი ან მკვიდრი, მსხვილ და წვრილ მარცვლიანი ქვაქვიშა ბაცი და მუქი ფერისა. ამ, შედარებით ერთფეროვან, პეტროგრაფიულ საფუძველზე წარმომობილი ნიადაგიც არ იძლევა დიდს სიჭრელეს. რაიონის გეოლოგიური ხასიათი და მისი რელიეფის პირობები იმთავითვე არ იძლეოდნენ შესაძლებლობას თავისი განვითარებით დამთავრებული ნიადაგის შექმნისათვის. დენუდაციის პროცესთა მქალაქი მიმდინარეობა უპირველესად ყოვლისა მთავარ გავრცელებას ანიჭებს ევრ. წოდ. „გამორეცხილი“ ნიადაგების სახეს; ასეთს მიწებს ახასიათებს განუვითარებლობა და წვრილი ელემენტების სიმცირე ზედა ჰორიზონტებში, ხრეშის და ქვიშის ნამტვრევებით (ჩონჩხის) სიმდიდრე და ჰუმუსიანობის სულ უმნიშვნელო დონემდე დასვლა.

ალუვიალური წარმომობების ნიადაგები მეტად მცირე რაოდენობით წარმოდგენილია მხოლოდ ალაგ-ალაგ, მდინარეთა, მაგალ. რიონის, ცხენისწყალის ნაპირების გასწვრივ. მცირედ არის გავრცელებული აგრეთვე „ნორმალური“, მცენარეთა გავლენით შექმნილი და დასრულებული ნიადაგები; მათ ჩვენ ვხვდებით ზოგიერთი მთების გავაკეხულ თავზე და დაცემულ ტაფობებში, ამავე რაიონისა და ცხენისწყალის გასწვრივ (კალინინ).

თუმცა ლეჩხუმის მინაგვარ მთის რაიონებში ნიადაგის შექმნის მსვლელობაზე გადამწყვეტი ფაქტორის მნიშვნელობა ენიჭება რელიეფს (დოკუჩაევ), მაგრამ ნიადაგის შემქმნელ დანარჩენ ფაქტორთა მოქმედება, მისი ინტენსიუობა და ხასიათი საბოლოოდ არკვევს მიწის ზედაპირის პეტროგრაფიულ ელემენტებისაგან წარმოქმნილ ისეთი კომპლექსურის მოვლენის სახეს, როგორცაა საერთოდ ნიადაგი. ნიადაგის შემქმნელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს, როგორც ვიცით, წარმოადგენს ჰავა.

მასზე ცოტა უფრო დეტალურად შეჩერდებით ქვევით; აქ კი ზოგადად შეიძლება მხოლოდ აღინიშნოს, რომ ლეჩხუმს ახასიათებს საერთოდ ზომიერი, გრილი ჰავა, საშუალო წლიური ტემპერატურით არა უმეტეს 6—9°-სა, მინიმუმ-მაქსიმუმ თბიერებათა რყევის მაღალი ამპლიტუდით და საკმაოდ უხვი ნალექიანობით (წლიური ჯამი 1000—1200მმ.). მეორე ფაქტორი — მცენარეულობა, ამ მაზრაში ძირითადად წარმოდგენილია ტყეებით, რომლითაც ლეჩხუმ-სვანეთი მდიდარია დღესაც, მაგრამ განსაკუთრებით მდიდარი იყო შედარებით ახლო

წარსულში (ნოსოვი 1893, დიმიტრიევ 1884, ლისოვსკი 1896, კალნინ 1902 და სხვ.). ტყე, თავისი შემადგენლობით საკმაოდ ზუსტად გამოხატავს მახრის ოროგრაფიულს და კლიმატიურს ხასიათს. სამხრეთ ნაწილში—იმერეთ-ოკრიბის მოსახლერე რაიონში აქ შევხვდებით რცხილას, მუხას, ცაცხეს, თელას, წაბლს; უფრო ზევით—ნეკერხალს და წიფელას, ხოლო მაღალ მთის მწვერვალებსა—კენ ფოთლოვანი ტყე თანდათან გადადის წიწვიანებში და ბოლოს სრულიად უთმობს ადგილს ნაძვსა და სოკს.

საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია ამ ტყეებში ქვედა იარუსიც. ამ ძირითად ფაქტორთა (მთის ჯიშის, რელიეფის, ჰავის, მცენარეულობის) შეერთებული მოქმედებით წარმომდგარი ნიადაგები პროფ. შახაროვის სქემით ეკუთვნის ზოგადად დას. საქართველოს ტყის ნიადაგების ტიპს, რომელნიც ფერის, სისქის, მექანიკური შემადგენლობის, გავრცელების პირობების და დედა-ჯიშების ხასიათის მიხედვით შეიძლება დაიყოს რამდენიმე სახედ:

1. მუქი რუხი თიხა ნიადაგი,
2. რუხი თიხა ნიადაგი,
3. მოწითალო რუხი, მოყვითალო თიხნარი ხრეშიანი და ქვიშიანი,
4. ბაცი რუხი ქვიშნარი ნიადაგი.

პირველი ორი სახე წარმოადგენს ლეჩხუმის ნიადაგების მთავარ ხასიათს, განსაკუთრებით მის ცენტრალურ ნაწილში და თავისი გავრცელებით გვხვდებიან მთის გავაკბულ თავზე და დაცემულ ფერდობებზე; ასეთს ჩვენ ვხედავთ, მაგალ., სოფ. დერჩის, თეიშის, კორინიშის, ლაილაშის, უსახელოს, ლუხვანოს, ორბელის, ცაგერის და სხ. მდინარეებში.

მესამე ტიპის—მოწითალო თიხნარი ხრეშიანი ნიადაგები გვხვდება უფრო დაქანებულ ფერდობებზე ეოცენის და ზედა იურის საფუძველზე (მაგ. სოფ. მეჭვენა, ვანი, ავჯი, ისუნდერი და სხ.). უფრო მცირე გავრცელებით სარგებლობს ალუვიალური ბაცი რუხი ქვიშნარი ნიადაგები. იგი გვხვდება მხოლოდ ალაგ-ალაგ მდინარეების გასწვრივ ან დაბლობ ნაკვეთებზე (მაგ. სოფ. მური, ეოშა, ქვიში).

ჰუმუსის რაოდენობა საერთოდ ყველა ტიპის ნიადაგში მეტად მცირეა. განსაკუთრებით ღარიბია ამ მხრივ ტყიდან გამოსული დაქანებულ ფერდობების მიწები, სადაც გამორეცხვის პროცესები მიმდინარეობენ დიდის ეაერგიით. ცოტა უფრო მეტია ჰუმუსი იმ ადგილებში, სადაც ნიადაგის შემქმნელ დედა-ჯიშად წარმოდგენილია კირნარი ან თიხა-კირნარი (მაგ. ქვიში, ზუბი, ორხვა, უსახელო). ასეთი ნიადაგები, ადგილობრივ „შავ მიწად“ ცნობილი, ითვლება საუკეთესო მიწებად (იაკოვლევ).
 შავა. ამ რაიონის კლიმატურ პირობათა ხასიათს არკვევს სამი მთავარი გარემოება: ზღვის დონიდან საერთოდ საკმაოდ მაღალი მდებარეობა, კავკასიონის მარად თოვლიანი ზოლის სიახლოვე და შავი ზღვის გავლენა. ამ სამ ძირითად ფაქტორთა გარკვეულ კომპლექსში შეფარდება ჰქმნის ლეჩხუმის ჰავის იმ ხასიათს, რომელსაც ფიგურაოვსკი აკუთვნებს მთების ტყის ზომიერი ჰავის ჯგუფს. ჰავის ამ ჯგუფს, ცენტრალური კავკასიონის დასავლეთ ნაწილში აღნიშნული აეტორი ახასიათებს შემდეგი ნიშნებით: წლიური საშუალო ტემპერატურა 8—4°C, თბიერების წლიური ამპლიტუდა 19—22°. ზამთარი შედარებით



	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	12	13	14
1. ზღვის საზღვაო ტემპ. (7-9 წ.) . .	0,5	0,8	4,6	9,1	12,5	16,1	19,2	19,5	15,6	11,7	5,6	1,5	9,7	
2. ტემპ.-ის აბსოლუტური მინიმუმი . .	-13,7	-17,6	-9,1	-1,3	-3,0	1,2	7,3	7,9	3,6	1,6	-11,6	-9,2		
3. საზღვაო აბსოლუტ. მინიმუმის . .	-10,2	-10,6	-6,2	-1,2	2,0	6,1	9,5	10,2	4,5	2,2	-4,6	-5,4		
4. ტემპ. აბსოლ. მაქსიმუმი	12,5	18,2	22,0	25,7	27,2	33,0	33,4	32,2	31,0	25,5	21,2	15,0		
5. საზღვაო აბსოლუტ. მაქსიმუმის . .	9,7	13,0	19,9	23,8	26,4	30,0	32,2	31,1	28,9	23,4	19,4	13,1		
6. წლიური და თვიური ტემპერ-ის უმა- ღდესი საზღვაო	4,2	3,1	6,8	12,6	15,4	18,7	20,0	21,1	18,1	13,2	7,8	2,8	10,2	
7. წლიური და თვიური ტემპ.-ის უმეი- რეს საზღვაო	-1,4	-1,9	3,4	5,0	10,7	15,0	18,1	17,4	14,2	10,2	2,5	0,7	8,9	
8. 7 ⁰ -ზე მეტი ტემპ.-ის უაბი	—	—	16	252	417	498	576	593	462	351	164	—	3334	
9. 10 ⁰ -ზე მეტი ტემპ.-ის უაბი	—	—	—	64	417	498	576	593	462	284	—	—	2894	
10. 13 ⁰ -ზე მეტი ტემპ.-ის უაბი	—	—	—	—	286	498	576	593	462	40	—	—	2455	
11. 15 ⁰ -ზე მეტი ტემპ.-ის უაბი	—	—	—	—	46	498	576	593	292	—	—	—	2005	
12. ყინვანი დღეების რიცხვი	23	23	12	1	1	0	0	0	0	0	6	18	84	

რბილი, განსაკუთრებით ფართო ხეობებში და ფერდობებზე, გაზაფხული ნაგვიანევი, მეტადრე მალალ ზოლებში, ზაფხული ზომიერად თბილი, ხოლო დაბლობებში საკმაოდ ცხელიც კი: ყოველ შემთხვევაში ორი თვის განმავლობაში— ივლისში და აგვისტოში, როდესაც საშუალო თბიერება 20°-ზე მეტიც არის ხოლმე. ზაფხულის პირველი ნახევარი წვიმიანი, შემოდგომა გაცილებით უფრო თბილი, ვიდრე გაზაფხული. ნალექთა წლიური რაოდენობა აღწევს 800—1700 მილიმ. და ირყევა სიმაღლისა და ადგილმდებარეობის მიხედვით: იმ ადგილებში, რომელნიც ზღვიდან მიმდინარე დასავლეთის ქარისაგან დაცული არიან მთის მალალი ქედებით, მაგალ., ლეჩხუმის ჩრდილო ნაწილი და ქვემო სვანეთი, ნალექთა რაოდენობა არ აღემატება 800—900 მილიმ. მეტია სისოვლე, შედარებით უფრო ვაშლილ ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში.

სასოფლო სამეურნეო თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი რაიონის— შუა და სამხრეთ ლეჩხუმის კლიმატურ ხასიათის შესახებ საკმაოდ ნათელ წარმოდგენას მოგვცემს ლაილაშის მეტეოროლოგიურ სადგურის ცნობები; სამწუხაროდ იგი არის ერთადერთი პუნქტი, საიდანაც ჩვენ შეგვიძლია ცოტად თუ ბევრად სისტემატიურ დაკვირვებათა შედეგების მიღება. ლეჩხუმის სხვა რაიონების შესახებ არაავითარი ცნობები არ არის. არ არსებობს მეტეოროლოგიური ცნობები აგრეთვე ქვემო სვანეთის შესახებ. ა. კალვებიტის მიერ მოყვანილი ცნობები ჯერ ერთი ეხება მხოლოდ ზემო სვანეთს, და მერე—არ წარმოადგენს სარწმუნო და თავისი შინაარსით ამომწურავ მასალას, დაკვირვებათა მეტად ნაწყვეტ-ნაწყვეტად და არეულად წარმოების გამო. ლაილაშის მეტეოროლ. სადგურის ცნობათა მიხედვით ლეჩხუმის ცენტრალური ნაწილის ჰავის ძირითადი ელემენტები გამოხატულნი არიან შემდეგნაირად.¹ (ცხრილი იხ. 32 გვ.).

ეს ცნობები ჩვენთვის ბევრნაირად არის საყურადღებო. როგორც ხედავთ, თბიერების წლიური საშუალო უორის 9,7° და ირყევა 8,9—10,2°-ის ფარგლებში. ყველაზე ცივი პერიოდი მოდის ნანვარზე და თებერვალზე, როდესაც ტემპერატურის აბსოლუტ. მინიმუმი დადის ზოგიერთ წლებში—17,6°-მდე, ხოლო საშუალოდ—10,6°-მდე. ყველაზე თბილი პერიოდი მოდის ივლისზე და აგვისტოზე (საშუალო აბსოლუტ. მაქსიმუმი 31—32°). ყინვიანი დღეების რიცხვი უდრის 84 და მთლიანად უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა გამოიხატება 150 დღეში, ხოლო თუ ამას მიუმატებთ აპრილს და მაისს, როდესაც ყინვა იშვიათი და სწრაფლწარმავალი მოვლენაა, მაშინ უყინვო დღეების რიცხვი 200-მდე ავა.

არა ნაკლებ საკულისხმოა სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ევრეთწოდ. „სასარგებლო“ ტემპერატურის ჯამი. 5°-ზე მალალი თბიერების პერიოდი გრძელდება 8 თვის განმავლობაში და მისი ჯამი 3000°-ზე ზევით აღის. ეს პირდაპირ მივლითი თვის პურეულთა საშუამოდგომო ფორმათა კულტურის სრულ შესაძლებლობაზე. 13—15°-ის პერიოდი გრძელდება 4¹/₂—5 თვე და სითბოს საერთო

¹ წერილში მოყვანილი მეტეოროლოგიური ცნობები, საბოლოოდ დამუშავებული სახით მოკვანოდა სას.-სამ. ინსტიტუტის კლიმატოლოგიის კაბინეტმა, რისთვისაც პროფ. ივ. გაჩეჩილავს უღრმეს მადლობას მოვასხენებთ.



ჯამი მაისიდან სექტემბრის გასულამდე უდრის 2.800—2000 გრადუსს, სეზონით საკმარისია მინდვრის მცენარეთა უმეტეს წარმომადგენელთა ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის, ისეთი სამხრეთის მცენარის ჩართვითაც, როგორცაა სიმინდი, ლობიო და სხვ. ამრიგად, ლეჩხუმის შუაგულ ნაწილში კულტურულ მცენარეთა ფლორისტური და გეარობლივი შემადგენლობა სრულიადაც არ იძლევა მკაცრი მთის პირობათა სურათს. ამ გარემოებას საფუძვლად ადინიშნავს ჯერ ისევ XVII საუკ. დამლევს ვახუშტი „საქართველოს გეოგრაფიაში“. „თუმცა არს ლეჩხუმი მთის ადგილათ თქმული, განა არს ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყოველნი მარცვალნი, თვინიერ ბრინჯ. ბანხისა“.

მაგრამ სითბოს ასეთი სიუხვე სრულიადაც არ არის დამახასიათებელი მთელი ლეჩხუმ-ქვ. სვანეთისათვის. კლიმატოლოგების დასკვნით, მთის რაიონებში ზღვის დონიდან სიმაღლის ყოველი 100 მეტრით მატება იწვევს სითბოს წლიური ჯამის $1/2^{\circ}$ შემცირებას. სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ცაგერი-დებვირი-წიფერჩა-ლუხვანოსა და ლაილაში-ორბელის შედარებით დაბლობი მდებარეობიდან ლეჩხუმის ქედის მიმართულებით კულტურულ მცენარეთა შემადგენლობა თანდათან ღარიბდება: დაახლ. 900—1000 მეტრზე ზღ. დონ. თავდება ვენახის ზოლი, შემდეგ, უფრო ზევით, მცირდება და ბოლოს სწყდება სიმინდი, ლობიო, ხოლო უკიდურესს ზოლამდე 2.000—2.500 მეტრ. სიმაღლეს აღწევს მხოლოდ ზოგიერთი ფორმები ვაზ. ხორბლისა და ქერი.

ნალექთა თვიური და წლიური ჯამი, მისი სიუხვე და განაწილება მოცემულია ქვევით მოყვანილ ცხრილში.

	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური ჯამი
ნალექთა საშუალო თვიური ჯამი მილიმეტრ. . .	68	60	92	111	129	136	89	64	115	99	96	90	1149
იგივე წლიურის % ⁰ / ₀ -ში .	6,0	5,2	8,0	9,6	11,3	11,8	7,7	5,6	10,0	8,7	8,3	7,8	100
წვიმიანი დღეების რიცხვი	11	11	13	15	16	17	12	10	12	11	10	14	152
თოვლიანი დღეების რიცხ.	8	8	7	1	1	—	—	—	—	—	3	6	34

ნალექიანობის მაჩვენებელი ციფრები, დაჯგუფებულნი წლის მთავარი სეზონების მიხედვით, გვაძლევს შემდეგ სურათს:

ზამთარი (XII, I, II)—218 მილიმ., ანუ წლიური ჯამის 19,0⁰/₀
 გაზაფხული (III, IV, V)—332 „ „ „ „ 28,9 „
 ზაფხული (VI, VII, VIII)—289 „ „ „ „ 25,1 „
 შემოდგომა (IX, X, XI)—310 „ „ „ „ 27,0 „

როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, ეს რაიონი საერთოდ ინარჩუნებს დასაქართველოსათვის დამახასიათებელ მაღალ ნალექიანობას. ნალექთა როგორც საერთო ჯამი, ისე წვიმიანი დღეების რიცხვი საკმაოდ დიდია და შედარებით თანაბრივადივც განაწილებული წლის მანძილზე. მაგრამ ამ განაწილებაში მაინც ეხვედებით ერთგვარს გადახვევას დას. საქართველოს ძირითად რაიონებიდან. ამ უკანასკნელთა მეტად დამახასიათებელს მომენტს შეადგენს ნალექთა განაწილებაში გარკვეული სურათი, რომელიც მაის-ივნისზე გვიჩვენებს თითქმის მუდამ ნალექთა მინიმუმს ხშირად აშკარად გვალვის ხასიათით. აქ ეს ორი თვე წარმოადგენს ყველაზე მშრალ პერიოდს, წინააღმდეგ აღმ. საქართველოსა, სადაც სწორედ ამ ორ თვეზე ჩვეულებრივ მოდის წვიმიანი დღეების და ნალექიანობის მაქსიმალური რაოდენობა. ამ მხრივ, ე. ი. ნალექთა განაწილების მიხედვით ლეჩხუმში უფრო მოგვაგონებს აღმ. საქართველოს პირობებს: გაზაფხული ნესტიანი, ზაფხული საკმაოდ მშრალი, შემოდგომის დასაწყისის ნალექების მეორე მაქსიმუმი, ზამთარი კი შედარებით მშრალი; დეკემბერში და განსაკუთრებით კი იანვარ-თებერვალში ყინვიანი დღეების სიმრავლე ხელს უწყობს თოვლის საფარის სიმკვიდრეს და მის შენარჩუნებას აგრეთვე საკმაოდ ცივი მარტის განმავლობაშიც. ეს გარემოება თავისთავად ხელსაყრელ პირობას ჰქმნის პურეულთა საშემოდგომო ფორმათა კულტურისათვის ლეჩხუმის სამხრეთ და ნაწილობრივ ცენტრალურ ნაწილში.

თუ სავეგეტაციო სეზონის მაჩვენებლად ჩვენ ავიღებთ თბიერების დონეს 5⁰-ზე ზევით და ყინვებისაგან სავსებით თავისუფალ პერიოდს, მაშინ ლეჩხუმის ამ ნაწილში იგი შეიცავს დროის განაკვეთს აპრილიდან ოქტომბრის გასულამდე, ე. ი. სულ 7 თვეს, ანუ 200—210 დღეს. ამ პერიოდში რაიონი ღებულობს ნალექების სახით 743 მილიმ., ე. ი. წლიური ჯამის 64—65%¹, რომლის ნახევარი მოდის არსებულად სავაზაფხულო პერიოდზე. ზაფხულის განმავლობაში ნალექთა რაოდენობა მინიმუმს აღწევს და ზოგიერთ წლებში საკმაოდ მკაცრი გვალვის ხასიათს ღებულობს.

სოფლის მეურნეობა. ის სტატისტიკური მასალა, რომლის საშუალებით შესაძლებელი უნდა იყოს ამ რაიონის სასოფლო მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობის დახასიათება, სადღეისოდ მაინც ვერ გვაძლევს ამისათვის საკმარის და სანდო ცნობებს. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, არის თვით ამ მასალის მეტად სათურო და ზოგჯერ საექვო ხასიათი, მეორეს მხრივ კი ის ცვლილებები, რომელნიც ეხებოდნენ ამ ტერიტორიის ამა თუ იმ სახით ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოიჯენას. 1925 წ. (გამოკვლევის წარმოების დროს) ჩვენ საქმე გვექონდა ლეჩხუმის მაზრასთან; ამის შემდეგ, ადმინისტრაციულ ერთეულთა გამსხვილების საერთო ტენდენციის შედეგად, ჩამოყალიბდა რაქა-ლეჩხუმის მაზრა. ბოლო დროს კი, საწინააღმდეგო თვალსაზრისით წარმოებულმა ვადამიჯენამ, ყოფ. ლეჩხუმის მაზრა დაჰყო ორ ადმინისტრ. რაიონად (კაგერის და ჩოლურის) და ამავე დროს ჩამოაშორა მას მისი ტერიტორიის სამხრ. ნაწილში მდებარე რამდენიმე ერთეული: სოფ. მექვენა, ონკეიში, დერჩი, ვანი და სხვ. ამნაირი ხშირი ვადამიჯენა საკმაოდ ართულებს არსებული სტატისტიკური მასალის გამოყენების შესაძლებლობას მეტადრე იმ შემთხვევებში, როდესაც იგი დამუშავე-



ბულია არა წერილი ერთეულის, არამედ მხოლოდ ძირითადი—მაზრატის რაიონული საზღვრების მიხედვით. მაგრამ ჩვენი წერილის მიზნებისათვის ამ გარემოებას არა აქვს მაგრე რიგად დიდი მნიშვნელობა. სასოფლო მეურნეობის ამსახველი სტატისტიკური მასალა ამჟამად ჩვენ გვეჭირდება მხოლოდ ზოგადი სურათის მისაღებად, იმ მნიშვნელობის განსამარტავად, რომელიც ეძლევა ჰურეულთა კულტურას გამოკვლეული ერთეულის ფარგლებში. ამ მოსაზრებით ჩვენ ვღებულობთ ორ თანამედროვე რაიონს—ცაგერის და ჩოლურის ადმინისტრ. ერთეულებს, რომლიდანაც ძირითადად შესდგებოდა 1925 წელს ლეჩხუმის მაზრა. ეს ორი რაიონი—სახელდობრ ლეჩხუმი (ცაგერის რაიონი) და ქვემო სვანეთი (ჩოლურის რაიონი) მთლიანად შეიცავს 206.000 ჰექტარით გამოსახულ ტერიტორიას. ქვემოდ მოყვანილი ცხრილი განმარტავს ამ ფართობის განაწილებას ორი რაიონის ფარგლებში და მთელი ტერიტორიის დაყოფას მიწების კატეგორიის მიხედვით.

მიწების კატეგორია	ცაგერის რაიონი		ჩოლურის რაიონი	
	ჰექტ.	%	ჰექტ.	%
1. საკარმიდამო	570	0,8	300	0,22
2. სახნავი	12.534	17,9	2.000	1,47
3. ბაღი	88	0,12	—	—
4. ვენახი	770	1,1	—	—
5. სათიბი	101	0,14	137	0,1
6. საძოვრები	5.933	8,47	48.602	36,0
7. ტყე და ბუჩქნარი	38.820	55,16	71.000	52,2
სულ გამოსადევი	58.816	84,0	122.039	90,0
გამოუსადეგარი	11.184	16,0	13.961	10,0
სულ ყველა მიწები	70.000		136.000	

თუმცა ჯამში ასე მკვეთრად მორგვალბული ციფრები კანონიერ ექვს ბადებენ მათი სარწმუნო ღირებულების შესახებ, მაგრამ რაიონის ზოგადი დახასიათებისათვის ცხრილში მოცემული სურათი მაინც საყურადღებოა.

უპირველესად ყოვლისა თვალში გვეცემა ორავე რაიონის სიმდიდრე ტყის საფარით, რომელსაც უჭირავს მთელი ტერიტორიის 53,3%; ცაგერის რაიონის ცოტა უფრო მდიდარია ტყით, ვიდრე ჩოლურის, მაგრამ ეს უკანასკნელი სამაგიეროდ შეიცავს საძოვრების ვაცილებით უფრო მეტს ფართობს. ტყისა და საძოვრების მთელი ფართობი ცაგერის რაიონში მოცემულია 64%-ით, ქვემო სვანეთში კი—88%-ით.

რაც შეეხება არსებითად კულტურული მიწების კატეგორიას, რომელშიაც, საკარმიდამოს გამოკლებით, ჩვენ ვანგარიშობთ სახნავს, ბაღს, ვენახს და სათიბს,

—მთელი ტერიტორიის საერთო ფართობიდან, მასზე მოდის სულ 15.630 ჰექტ., ანუ საერთო სივრცის 7,6⁰/₁₀. კულტურული მიწების ასეთი სიმცირე განსაკუთრებით დამახასიათებელია ქვ. სვანეთისათვის, რომლის საერთო ტერიტორიის ფართობიდან, ამ კატეგორიის მიწებზე მოდის სულ 1,5⁰/₁₀, სხვა სურათს ეხედავთ ცაგერის რაიონში: აქ კულტურული მიწების შეფარდება გაცილებით უფრო დიდია და შეადგენს მთელი ტერიტორიის თითქმის 1/3-ს (19,22⁰/₁₀). ამასთან ერთად, სახნავეს გარდა, ცაგერის რაიონში, თუმცა მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც ეხედებოდა ბაღებსა და ვენახს.

ამ კუთხის სასოფლო-სამეურნეო ვითარებისათვის სხ. შორის საყურადღებოა ვენახის ფართობის საგრძნობი შემცირება. ლეჩხუმის მაზრისათვის 1875 წ. აღრიცხული იყო 1980 ჰექტ. (1800 დესეტ.) ვენახი (Очерк винод. на Кавказе 1875 г. Изд. стат. Комит.).

1892 წ. ეს ფართობი გადიდა 2340 ჰექტ.-მდე (იაკოვლევი, 1896 წ.). თუ გამოვაკლებთ იმ ერთეულებს, რომლებიც ამჟამად არ შედიან ცაგერის რაიონში, სახელდობრ დერჩის და ლენტეხის მაშინდელ სოფლ. საზოგადოებას, მაინც ვენახების ფართობი მიაღწევს 1950 ჰექტ., ე. ი. წარსული საუკუნის დამლევს ლეჩხუმის ვენახების საერთო სივრცე 2 1/2-ჯერ მეტი ყოფილა, ვიდრე ამჟამად.

მაგრამ ჩვენთვის მაინც მთავარი მნიშვნელობა სახნავე მიწების გამოყენებას აქვს იმდენად, რამდენადაც იგი მოგვცემს საერთო წარმოდგენას მემინდვრობის მიმართულებისა და მისი შემადგენლობის შესახებ.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი, დამუშავებული საქ. მიწსახკომის „სასოფლო-სამეურნეო კამპანიის“ 1931, 1932 და 1933 წლ. გეგმების მიხედვით, შეგმდგეს სურათს გვიხატავს მინდვრის მცენარეთა ფართობის შესახებ ცაგერის და ჩოლურის რაიონებში.

ცაგერის რაიონი

	ხორბალი			ქერი			სიმინდი	სხვა კულტ.	სულ
	შემ.	გახ.	სულ	შემ.	გახ.	სულ			
1930/31 წ.	3,831	—	3,831	—	65	65	9,592	250	13,748
1931/32 წ.	3,507	—	3,507	—	30	30	8,600	95	12,232
1932/33 წ.	3,000	—	3,000	—	—	—	7,000	50	10,050
3 წლის საშუალო	—	—	3,446	—	32	32	8,397	132	12,010

ჩოლურის რაიონი



	ხო რ ბ ა ლ ი			ქ ე რ ი			ს ი მ ი ნ დ ი	ს ბ ვ ა	მ / რ
	შ ე მ .	გ ა ზ .	ს უ ლ .	შ ე მ .	გ ა ზ .	ს უ ლ .			
1930/31 წ.	113	297	410	—	170	170	610	181	1.371
1931/32 წ.	96	400	496	—	300	300	600	65	1.461
1932/33 წ.	—	300	300	—	300	300	600	100	1.300
3 წლის საშუალო	—	—	462	—	257	257	602	115	1.377

როგორც ვხედავთ, ცალკე წელთა საწარმოო გეგმის რიცხოვრებრივ გამოხატულებაში ადგილი აქვს მნიშვნელოვან განსხვავებას. ეს გარემოება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ცაგერის რაიონისათვის: 1930—31 წლის საწარმოო დავალება ნათესების ხაზით საგრძნობლად აღემატება სახნავი ფართობის მთელ რაოდენობას, ხოლო 1932—33 წლ. გეგმა, წინააღმდეგ, გამოუყენებლად სტოვებს ამ ფართობის კარგა დიდ ნაწილს (15,8%), ალბათ სანასვენოდ. ამის გამო ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ სამი წლის საშუალო მონაცემების გამოყენება, რომელიც თუმცა მხოლოდ პირობითი ხასიათის მაჩვენებლებს მოგვცემს, მაგრამ უფრო სანდოთ ასახავს ცალკე ერთეულთა სამეურნეო ვითარების საერთო სურათს.

იგივე მონაცემები, ცალკე კულტურების მიხედვით გადაანგარიშებული მთელი სახნავი ფართობის $\frac{0}{100}$ -ში, არკვევენ ამა თუ იმ კულტურული მცენარის ხვედრითი წონას რაიონის პირობებში.

	ხო რ ბ ა ლ ი	ქ ე რ ი	ს ი მ ი ნ დ ი	ს ბ ვ ა
ცაგერის რაიონი	28,7	0,2	70,0	1,1
ჩოლურის	29,2	18,7	43,7	8,4
ორთავე რაიონში ერთად	28,8	2,2	67,2	1,8

დასავლეთ საქართველოსათვის (აფხაზეთის და აჭარისტანის მითვლით), რომლის მინდვრებზე, მიუხედავად ტექნიკურ, საბოსტნე და საკვებ მცენარეთა კულტურის შედარებით სწრაფი ზრდისა, სიმინდი მაინც წარმოადგენს ვაბატონებულ მცენარეს (ყველა ნათესების 83,7%), ხოლო თავთავიან (ხორბლის და ქერის) პურეულთა როლი მეტად უმნიშვნელოა (4,8%), — ლეჩხუმის რაიონი უნდა აღინიშნოს, როგორც თავისებური კუთხე, სადაც თავთავიან პურეულთა საერთო ფართობი უდრის ყველა ნათესების თითქმის $\frac{1}{3}$ -ს, ხოლო სიმინდზე მოდის სულ 67,2%.



ამ მხრივ ლეჩხუმი ჩამორჩება მხოლოდ რაჭას და ზემო სვანეთს. ყოფ. მაზრის ორ შემადგენელ რაიონში ხორბლის და ქერის საერთო ნათესი სავსებით ვათანასწორებულია სიმინდთან, როგორც ამას გვიჩვენებს ზევით მოცემულის მინაგვარად შედგენილი ცხრილი 1932—33 წლის მიხედვით:

	ხორბალი	ქერი	ს უ ლ	სიმინდი	ს ხ ვ ა	ყველა
ონის რაიონი	2.700	1.600	4.000	2.500	987	7.787
ამბროლაურის რაიონი	4.600	450	5.050	7.000	861	12.911
სულ რაჭაში	7.300	2.050	9.350	9.500	1.848	20.698

იგივე მონაცემები, გადაანგარიშებულნი %/0-ში, გვაძლევს თავთავიან პურეულთა და სიმინდის შეფარდებას რაჭის საერთო ნათესების სივრცეზე, რომელიც პირველთათვის უდრის 45,2%/0, სიმინდისათვის 45,9, ხოლო სხვა ნათესებისათვის 8,9 %/0.

რაც შეეხება ზემო სვანეთს, აქ ადვილად გასაგები მიზეზების გამო, სიმინდის კულტურას დათმობილი აქვს სულ 20,5 %/0, ხოლო თავთავიან პურეულზე მოდის 60—65%/0.

ცოტა ზევით, კლიმატურ პირობათა განხილვის დროს, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ მინდვრის მცენარეთა გავრცელების ნათლად გამოხატული ზოლადობა. რიონის, ცხენისწყალის და ლაჯანურას მიმდინარეობის სამხრეთ და შუა ნაწილში, ე. ი. ამ რაიონის ყველაზე მჭიდროთ დასახლებულ ადგილებში, ცაგერის რაიონის სოფლის საბჭოთა უმეტეს ტერიტორიაზე მინდვრის მცენარეთა შორის მთავარი ადგილი ეკუთვნის სიმინდს. ამ რაიონის სამხრეთ ნაწილში, იმ კუთხეში, რომელიც ბუნებრივ გავრცელებას წარმოადგენს მოსაზღვრე ოკრიბისა და ქუთაისის რაიონისა, მაგალ. ირხვის, დერჩის, მექვენას, ოყურეშის მიდამოებში, ე. ი. ზღვის დონიდან დაახლ. 350—750 მეტრამდე ვხვდებით ქუთათური ჰიბრიდის კულტურას; იმავე ზოლში, და უფრო მაღლა, შედარებით ფართე გავრცელებით სარგებლობს ეგრ. წოდ. „ოდესური“, თეთრი სხვილ მარცვლიანი ფორმა *Zea Mays indurata St. var. alba*.

უფრო ზევით, ქვემო სვანეთის, ანუ ჩოლურის რაიონში, სიმინდის გავრცელების ზედა ზოლში გვხვდება „მთის სიმინდი“—პატარა ტანიანი, მოკლე ტაროიანი და ყვითელი მარცვლიანი ფორმა, აღწერილი ლ. დეკაპრელევიჩის მიერ 1919 წ. სახელწოდებით *Z. m. indurata St. subvar. montana*.

ასეთსავე ზოლადობას აქვს ადგილი თავთავიან პურეულთა გავრცელებაში. ქერი, რომელიც მთელი ლეჩხუმისათვის აღნიშნულია საერთო ნათესთა ფართობის მხოლოდ 2,2%-ით, სულ უმნიშვნელო რაოდენობამდე (0,2%) დადის ცაგერის რაიონში; სამაგიეროთ ქერის სამეურნეო მნიშვნელობა გაცილებით უფრო დიდია ქვემო სვანეთში, სადაც მისი ფართობი შეადგენს 18,7% მინდვრის ყვე-



ლა ნათესებში. სამწუხაროდ, ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალა არაა სრულყოფილი და ძლევს საშუალებას ლეჩხუმის ქერის სრული ბოტანიკური აღწერისათვის. მხოლოდ ნიმუშთა ანალიზი მხოლოდ ადასტურებს იმ დასკვნას, რომელიც აღნიშნულია ლ. დეკაბრელევიჩის და ვლ. მენაბდის გამოკვლევაში რაქის ქერების შესახებ, დასკვნას—რომ ამ რაიონის ქერს ახასიათებს ფორმათა შედარებითი სიღარიბე. ჩვენს მასალაში ეს ერთფეროვანების სურათი უფრო მკვეთრია: არ შეგვხვდებოდა არც ოთხზოლიანი „კომერი“ ქერი, აღნიშნული ზემო სვანეთისათვის კალვეიტის (1910 წ.) და ივ. ბახტაძის (1927 წ.), ხოლო ოსეთში მ. პრიხოდკოს მიერ, არც სადა ფხიანი ან უკილო მარცვლიანი (var. nudum L.) ფორმები, რომლებსაც თუმცა მცირე რაოდენობით, მხოლოდ ალაგ-ალაგ, მაგრამ მაინც ვხვდებით რაჭაში (დეკაბრ. და მენაბდე 1929 წ.). ყოველ შემთხვევაში, ლეჩხუმში თუ ერთადერთს არა, გაბატონებულ ფორმას მაინც წარმოადგენს ჩვეულებრივი ორზოლიანი „ბრტყელი“ ქერი, *Hordeum distichum nutans Schübl, f. colchicum Reg.*—სავაზაფხულო ფორმა, საქართველოს სხვა რაიონებში ხშირად „ახალ თესლად“ წოდებული.

მაგრამ, რამდენად ერთფეროვანია ლეჩხუმის ქერის შემადგენლობა, იმდენად მდიდარი, ნაირფორმიანი და თავისებურია ამ რაიონის ხორბლის ბოტანიკური რაობა.

ლეჩხუმური ხორბლულის მტკრევად თავთავიანი ფორმების, ანუ „ასლისებური“ ჯგუფის შესახებ წინასწარი, აღწერილობითი ხასიათის ცნობა ჩვენ მიერ უკვე გამოქვეყნებულია 1929 წ., სადაც საკმაო სიცხადით გადაშლილი და ხაზგასმულია ის არაჩვეულებრივი მრავალფორმიანობა, რომელსაც გვიჩვენებს საქართველოს ეს კუთხე ასლისებური ხორბლულის ფარგლებში. მაგრამ ამ რაიონის ხორბლულის დეტალური შესწავლის მთავარი მნიშვნელობა ფორმათა ამ სიმდიდრეში კი არ არის, არამედ იმ განსაკუთრებული თავისებურობის გამოამჟღავნებაში და ახსნა-გაუმჯობესებაში, რომელსაც ვგაძლევს ამ ჯგუფის ბოტანიკური და გენეტიკური რაობა. ჯერ სულ ათიოდე წელიწადია მას შემდეგ, რაც სპეციალურ აგრო-ბოტანიკურ ლიტერატურაში გამოვიდა აქაური „ზანდურის“ სახელწოდებით აღნიშნული *Triticum Timopheevi Zhuk.*, მაგრამ დღეისათვის უკვე ამ სახის ირგვლივ დაგროვილია საკმაოდ საყურადღებო გამოკვლევითი ხასიათის მასალა (ქუკოცსკი, 1923, 1928, სტოლეტოვა 1925, ფლაქსბერგერი 1926 წ., დეკაბრელევიჩი და მენაბდე 1929 წ., ერიციან 1929 წ., აბესაძე 1929, ხინჩუკ 1929 და სხ. სულ ახლო ხანში (19ა3 წ.) გამოვიდა ლ. დეკაბრელევიჩის და ვლ. მენაბდის ახალი გამოკვლევა ლეჩხუმის ასლისებური ხორბლულის შესახებ: ეს ნაშრომი იმდენად საყურადღებოა არა მარტო მდიდარი მასალის სპეციალური ლირებულებით, არამედ ზოგადი, ფართო თეორიული დასკვნებითაც ხორბლის გენეტიკური პრობლემის დარგში, რომ უშეკვლია გამოიწვევს კვლევის ახალ ტალღებს. აღნიშნული ნაშრომის ცენტრალურ ადგილს წარმოადგენს „მახას“ საკითხი. ეს ფორმა ჩვენს გამოკვლევაში აღწერილია ზოგიერთი მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით *Tr. dicoccum Schrank*-ის ფარგლებში, სადაც ჩვეულებრივი ასლების (*var. ruifum Schübl* და *farrum Bayle*) გარდა მოგათავსეთ „მახას“ სახელწოდებით აღწერილი თავისებური ფორმები: *var. chvamicum Supat.*, *agvicum Supat.*, *submajus*



Körn, tricoccum Schäbl. და აგრეთვე ლ. დეკაპრელიევიჩის და ელ. მენაბდის მიერ რაქის მასალაში აღნიშნული და იმავე ორმარცვლიანას ახალ სახესხვაობათა აღწერილი ფორმა paleoimereticum Dekapr.-Menabde. მაგრამ მაშინაც, ახლად გამოყოფილ სახესხვაობათა (agvicum, submayus და tricoccum) თავთავის აგებულების ზოგიერთმა დეტალებმა მიგვიითეს მათს მსგავსებაზე spelta-ს ჯგუფთან და გვაიძულეს მათს დიაგნოზში ხაზგასმით აღგვენიშნა სპელტისებური ხასიათი (speltiformae). ლ. დეკაპრ. და მენაბდის ზევით ნახსენებ შრომაში მახას ჯგუფთა ერეციანის მიერ ციტოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე აღიარებულია spelta-სთან დაახლოებულ, მაგრამ მთელ რიგ ძირითად ნიშნებით მისგან საკმაოდ მკვეთრად განსხვავებულ ფორმად—ახალ, დამოუკიდებელ სახედ—Tr. Macha. ეს უქანასკნელი, თითქოს უნდა წარმოადგენდეს Tr. spelta-ს გენეტიურ წინამორბედს, პირველადს პოლიმორფიულ ჯგუფს, წარმომშობს თანამედროვე სპელტისა. რამდენად სამართლიანი და საფუძვლიანია ასეთი დიდი მნიშვნელობის დასკვნათა მიღება,—ამას მომავალი დაგვიანებებს, როდესაც მეტს მასალას მოგვეცემს ამ ფორმის უფრო დეტალური მორფოლოგიური და გენეტიური შესწავლა, მაგრამ ისიც, რაც დღეს ხელთ გვაქვს ლენჩუმიური ასლისებური ხორბლების, საერთოდ, და მახას შესახებ, კერძოთ,—ერთხელ კიდევ ადასტურებს ამ რაიონის განსაკუთრებულ ღირებულებას ხორბლების ზოგად ფილოგენეზისის პრობლემისათვის.

არის კიდევ ერთი საკითხი ლენჩუმის ასლისებური ხორბლის შესწავლასთან უშუალოდ დაკავშირებული. ეს არის ამ ჯგუფში შემავალ ძირითად ფორმათა ქართული ნომენკლატურა. ამ მხრივ სადღეისოთ ბევრი რამ არის მოსაგვარებელი. ის ტერმინოლოგიური არეულობა, რომელსაც დღეს ეხებათ ამ სფეროში და რომლის შექმნას საკმაოდ ხელს უწყობს ქართულ ლექსიკოგრაფიის ამ საკითხში სრული გაურკვევლობა, მთელი სიცხადით წარმოდგენილია პროფ. ივ. ჯავახიშვილის ახალ შესანიშნავ გამოკვლევაში¹. პატივცემული მეცნიერი თავის მხრივ სცდილობს ერთგვარ წესრიგში მოიყვანოს ცნებათა დღევანდელი აღრევა, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავს ამ ძნელ საქმეში ქართველ ბოტანიკოსთა და აგრონომთა დახმარების აუცილებლობას; ეს მოთხოვნა მით უფრო სამართლიანია, რომ ამ არეულობაში ჩვენმა თაობამაც შეიტანა თავისი წვლილი.

ხორბლულის მტკრეველ თავთაეიანი ფორმები, რომელნიც ჩვენ პირობითად და ხელოვნურად მოქცეული გვაქვს ერთს, ასლისებური ხორბლების ჯგუფში, არსებითად წარმოადგენენ ერთი მეორისაგან დამოუკიდებელ და გენეტიურად დაშორებულ ბოტანიკურ ერთეულებს, იმდენად განსხვავებულთ ურთიერთისაგან, თუნდაც წმინდა გარეგნული ხასიათით, რომ მათი ერთმანეთში არევა და გაუმიჯნელობა სამეურნეო ასპარეზზე და ხალხის შემეცნებაში ყოველად დაუჯერებელია.

აღმ. საქართველოში ყველგან, სადაც კი შენარჩუნებულია Tr. dicoccum-Schr-ის კულტურა, ამ სახეს მუდამ ასლი ეწოდება. პროფ. ივ. ჯავახიშვილის ზევით დასახელებულ შრომაში ხაზგასმით აღნიშნულია აღმოს. და დას. საქარ-

¹ ივ. ჯავახიშვილი. „საქართველოს ეკონომიური ისტორია“. წიგნი პირველი. 1930 წ.



თველოში ძირითადი ტერმინების თითქმის მუდმივი იგივეობა. არ არის საბუნებისმეტყველო ვიდეორობა, რომ ასლი ამ შემთხვევაში წარმოადგენს გამონაკლისს. ამიტომ ლექსუმში მიღებული სახელწოდება „მასა“ არ შეიძლება გავრცელდეს იქ არსებულ ორმარცვლიანას ფორმებზე, მით უფრო, რომ როგორც ვნახეთ, მასას ფარგლებში შესული ფორმები ძირითადად არც შეიძლება მივაკუთვნოთ dicocum-ის სახეობას.

Tr. monococcum Z.—ერთმარცვლიანას ქართულმა ლექსიკოგრაფიამ არ დაუდასტურა მისი სახელწოდება, ხოლო თანამედროვე სოფლის მოსახლეობამ და მათი წაბაძვით, აგრონომიულმა ლიტერატურამაც მას სრულიად წაართვა ის სახელი, რომელიც მას უეჭველად ეკუთვნოდა წარსულში და რომელიც გარკვევით აღნიშნული აქვს აკად. გიულდენშტედს 150 წლის წინათ (1773 წ.). აღამიანის აზროვნებაზე წინასწარ აკვიატებული აზრის შემმოკველი გავლენის ერთი თვალსაჩინო მაგალითი: *Tr. Timopheevi*-ს მიმართ მიძღვნილ მრავალ ნაწარმოებში, როგორც ქართულ, ისე რუსულ სვეც. ლიტერატურაში თითქმის ყველას და თითქმის უცვლელად მოჰყავს ამ უცხოელი მეცნიერის თხზულებიდან ერთი და იგივე ციტატი: „und baut wie in ganz Georgien, meist Triticum aestivum (georg. Kulago), weniger aber Triticum monococcum (georg. sonderi)“ ან მეორე— „sparsamer säen Triticum monococcum, imer. sarduri., der schönes, weisses Brod geben soll“. თითქოს ნათელია... სახელგანთქმულ ლინნეის მიერ შედგენილ პურეულ მცენარეთა სისტემატიკის გამოკვეყნების 20 წლის შემდეგ მეცნიერ-ნატურალისტს გიულდენშტედს ალბათ ჰქონდა უნარი და საბუთი ზანდურის სახელწოდების მატარებელი ფორმა ხორბლისა გაერკვია და აღენიშნა *Tr. monococcum*-ის სახელით. მაგრამ ჩვენ მკვლევართ არა სწამთ გიულდენშტედტის კომპეტენცია და იყენებენ მის ციტატს მხოლოდ იმისათვის, რომ... ზანდურის სახელწოდებით მონათლონ „ახლად შობილი“ *Tr. Timopheevi*, იმ საბუთით, თითქოს ლექსუმში ამ „ახალ“ სახეს ზანდურს უწოდებენ. არ არის ეს მართალი. ზანდურის სახელწოდებით დღეს ლექსუმში ცნობილია არა *Tr. Timopheevi*, არამედ მისი და *Tr. monococcum*-ის ნარევი (ამას სხ. შორის ადასტურებს ლ. დეკაპრელივიჩი და მენაბდის ზევით ნახსენები გამოკვლევეც).

ხოლო ამ ნარევში ამ ორი ფორმის ურთიერთი შეფარდება ყოველთვის არ იხრება ორმარცვლიანას სიქარბისაკენ. შესაძლებელია, რომ სამეგრელოს ნესტიანი და თბილი ადგილებიდან რაქა-ლექსუმის შედარებით მკაცრ პირობებში ერთმარცვლიანა-ზანდურის შეზივნამ ხელი შეუწყოს მასში შერეული *Tr. Timopheevi*-ს გაძლიერებას და იმდენად გააბატონა იგი ერთმარცვლიანას ნათესაში, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა წარმოდგენაში ზანდურის სახელწოდება ამ შესულ, სხვა ფორმასედაც გავრცელდა. ლექსუმში მშვენივრად არჩევენ ერთმანეთისაგან ამ ორ ფორმას: აღნიშნავენ რა ორთავეს ზანდურის სახელწოდებით, ერთმარცვლიანას უწოდებენ გვაწა-ზანდურს, ხოლო უფრო ბრტყელ, განიერ თავთავიან ორმარცვლიანას — *Tr. Timopheevi*-ს „ჩელტა ზანდურს“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უკანასკნელი ტერმინი შეიძლება მივაკუთვნოთ *Tr. Timopheev*-ს,



ხოლო სახელწოდება „ზანღური“, პროფ. ივ. ჯავახიშვილის თანახმად ნარჩუნით *Tr. monococcum*-ს.

თავისთავად იბადება კითხვა—რალა არის „მახა“. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ავტორის მოსაზრებით ამ სახელწოდების ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს სახე *Tr. dicoccum* Schr., ტერმინი „ასლი“ კი, მისი აზრით, წარმოადგენს ზოგად სახელს მტერვეად თავთავიანი ხორბლეულის მიეღი ჯგუფისა. შეიძლება ეს ესეც იყოს, მაგრამ ჩვენში ექვს ჰბადებს ერთი გარემოება, სახელდობრ **სახა სულხან ორბელიანის** სწორედ ის განმარტება „მახასი“, რომელიც მოჰყავს პროფ. ივ. ჯავახიშვილს. „მახა—ყანა ასლსა ჰგავს“. ასლი რომ ზოგადი ტერმინი იყოს, ასეთს განმარტებას ადგილი არ ექნებოდა და იგი ისეთივე შეუსაბამოა იქნებოდა. როგორც მაგალ., „დიკა—ყანა, ხორბალსა ჰგავს...“ ლექსიკოგრაფმა თავისი განმარტებით კი არ დაუთავშირა მახა ასლს, არამედ მხოლოდ აღნიშნა მათ შორის მსგავსება. ამ შემთხვევაში ტერმინი „ასლი“ ჰკარგავს თავის ზოგად ხასიათს და მაშინ მას უნდა მიეცეს კერძო მნიშვნელობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველაზე სამართლიანი იქნება სახელწოდება „ასლი“ ვინმეა რომ იმ აზრით, რომლითაც დღესაც ცნობილია აღმ. საქართველოში, ე. ი. *Tr. dicoccum*-ის აღსანიშნავად, მაგრამ თუ ეს ასეა, ისევ გაურკვეველი რჩება „მახას“ ტერმინოლოგიური მნიშვნელობა—ასლისებური ხორბლის რომელ ფორმას ან სახეს ჰგულისხმობს ეს სახელწოდება. სამწუხაროდ, არსებული ცნობების და მასალის საფუძველზე ამ საკითხის გადაჭრა თითქმის შეუძლებელია. სადღეისოდ დასაშვებია მხოლოდ ზოგადი მოსაზრების გამოთქმა, ერთგვარი საორიენტაციო მსჯელობა და ისიც რაც შეიძლება ფრთხილი, რათა უფრო მეტი არგვდარევა არ იქნეს შეტანილი ისედაც საკმაოდ ბუნდოვან მდგომარეობაში მყოფ საკითხში. ამის გამო ჩვენ რაიმე გარკვეულ დებულებას კი არ ვაყენებთ, არამედ მხოლოდ კითხვად ვსვამთ შემდეგს: ხომ არ შეიძლება „მახას“ სახელწოდებით ვიგულისხმოთ ასლისებური ხორბლის მე-3 ჯგუფის წარმომადგენელი—*Tr. spelta* L.? მტერვეად თავთავიანი ხორბლეულის ამ სახის კულტურის შესახებ საქართველოში დღევანდლამდე არავითარი ცნობა არ მოგვეპოება. ჩენი ქვეყნის სხვადასხვა უბნის ბოტანიკურმა და აგრობოტანიკურმა გამოკვლევამ ჯერჯერობით არსად არ გვიჩვენა არამცთუ არსებული კულტურა სპელტასი, არამედ მისი კვალიც კი. მხოლოდ იშვიათად, კანტიკუნტად, თითო-ორლა ეგზემპლარად გვხვდება იგი, როგორც ობლად შთენილი შენარევი სხვა ნათესებში. არაფერი არ ადასტურებს ამ ფორმის ფართო მოშენებას არამც თუ დღეს, არამედ შედარებით ახლო წარსულშიაც. არ არის ცნობა აგრეთვე მისი გავრცელების შესახებ უფრო შორეულ წარსულში. მეორეს მხრივ, ძნელად დასაშვებია აზრი, რომ სპელტა არას დროს არ ყოფილიყოს საქართველოს მიწაწყალზე. ამას არსებითად ეწინააღმდეგება არა მარტო დღევანდელი წარმოდგენა ამ ფორმის გენეტიური რაობისა და მისი წარმოშობის შესახებ, არამედ ის ახალი მომენტიც, რომელიც გაშუქებულია ლ. დეკაპრედევიჩის და ვლ. მენაბდის უკანასკნელ გამოკვლევაში ლენჩუმის ასლების ირგვლივ და რომელზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი ცოტა ზევით (გვ. 40), ხაზგასმით აღსანიშნავია ის მეტად დიდი მნიშვნელობის გარემოება, რომ ადგილობრივ



„მახას“ სახელწოდებით გაერთიანებულ ფორმათა შორის უმეტესობა თუთუნის ეკუთვნის არა 28 ქრომოზომიანს *dicoecum*-ის, არამედ 42 ქრომოზომიან სპელტოიდის ჯგუფს. თავთავის განსაკუთრებული სიმკვრივისა და თავთუნის კილის თავისებური მოყვანილობის გამო, აღნიშნულ ავტორთ შესაძლებლად მიაჩნიათ „მახას“ გამოყოფა ცალკე, ახალ სახედ. ჩვენის აზრით ასეთი დასკვნა ცოტა არ იყოს—ნადრევიან: თავთავის სიმკვრივე საერთოდ პურეულეზში არ არის მკვიდრი ნიშანი, მისი ცვალებადობის მაგალითები აუარებელია აგრონომიულ ლიტერატურაში; ამიტომ გასაგებია, რომ თავთავის სიმკვრივის ესა თუ ის ხარისხი ამჟამად უკვე აღარ მიაჩნიათ ხორბლის გვარში სახობრივი გამოიჯვინის საბუთად. ამრიგად, „მახას“ თავთუნის მართლაც განსაკუთრებული სიმკვრივე მაინც არ გვაძლევს საბუთს ამ ფორმის *spelta*-ს ჯგუფიდან გამოცალკეებისათვის. სახობრივი განკერძოების ნიშანთვისებათა შორის უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა მიეწეროს თავთუნის კილის ხასითს, მაგრამ მახას შემთხვევაში არც იგია მოცემული თავისებურობის ისეთი მკვეთრი გამოხატულებით რომ უცქველ საბუთად გახდეს დამოუკიდებელი სახის აღიარებისათვის. თვით ავტორთა სიტყვით მახას თავთუნის კილის მოყვანილობის მხრივ ჩვენ ვხედავთ ყველა გარდამავალ საფეხურებს ტიპიურ პირწათილად, „ნიჩბისებური“ ფორმიდან წაგრძელებულ „ბოთლისნაირ“ მოყვანილობამდე. „ამრიგად,—ამზობენ ლ. დეკარელევიჩი და მენაბდე,—მახას ფორმათა ჯგუფი, თავთუნის კილის მოყვანილობის მხრივ, იმეორებს რა რბილი ხორბლების თითქმის მთელ მრავალნაირობას, ჰქმნის მასთან პარალელურ რიგს მტვრევად თავთავიან ფორმებში“ (გვ. 19). მაგრამ ეს რიგი არ იქნებოდა სრული და მთლიანი, თუ მის ერთ მხარეს არ მოვითავსებთ *Tr. spelta*-ს, როგორც ერთს პოლიუსს ტიპური სპელტისებური კილით და თავთავის სიმკვრივის ყველაზე მცირე ინდექსით დახასიათებული ფორმებისა.

ამ მოსაზრებათა საფუძველზე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ვიფიქროთ, რომ ლეჩხუმის „მახას“ წარმოადგენს *Tr. spelta*-z-ს ჯგუფის თავისებურ წევრს და თუ ხორბლის ამ სახისათვის აქამდის არ არის მოცემული ქართული ტერმინი, იქნება „მახას“ სახელწოდება შეიძლება განზოგადებულ იქნეს *Tr. spelta*-ს მთელი სახის აღსანიშნავად.

რამდენადაც მდიდარი და თავისებურია ლეჩხუმის ასლიებული ხორბლეულის შემადგენლობა, იმდენად შედარებით ერთფეროვანი და ჩვეულებრივია ეგრედწოდ. „ნამდვილი“ ხორბლების ჯგუფი. ცაგერის რაიონში ხორბლის ნათესათა თითქმის მთელი ფართობი აღნიშნულია საშემოდგომო ფორმებით, ხოლო მთლიან რაიონში კი, პირიქით, სავაზაფხულო ნათესით; პირველში საგაზაფხულო, ხოლო მეორეში—საშემოდგომო ხორბალი გავრცელებულია ისეთი მცირე რაოდენობით, რომ არც კი ჰყვებიან აღრიცხვისა და დაგვემის მაჩვენებლებში.

ხორბლის ძირითად ბოტანიკურ სახეთა შორის აქ გვხვდება: *Tr. vulgare* Vill., *Tr. compactum* Host., *Tr. durum* Desf., *Tr. persikum* Vav., *Tr. turgidum* L. როგორც ყველგან საქართველოში, ისე აქაც ხორბლის ნათესათა შორის პირველი ადგილი ეკუთვნის ჩვეულებრივი, ანუ „რბილი“ ხორბლის—



Tr. vulgare-ს ჯგუფს. იგი გაბატონებულია არა მარტო ლეჩხუმის დაბლობურ რაიონებში, არამედ თავისი საგაზაფხულო ფორმებით აღწევს საერთოდ პურეულთა გავრცელების უმაღლეს საზღვრებამდე.

ამ სახის ფარგლებში შემაჯავლო სახესხვაობათა რიცხვი არ არის მცირე. როგორც ადგილობრივ თავთავეზად, ისე მარცვლად შეგროვილი მასალის შესამოწმებლად მუხრანის სასწავლო მეურნეობაში გამოთესვამ გვიჩვენა Tr. vulgare-ს 12 სახესხვაობა, სახელდობრ:

- | | |
|-------------------------------|----------------------------|
| 1. var. erythrospermum Korn. | 8. nigroaristatum Flaksb. |
| 2. „ ferrugineum Al. | 9. lutescens Al. |
| 3. „ Hostianum Clem. | 10. militurum Al. |
| 4. „ pseudo-Hostianum Flaksb. | 11. albidum Al. |
| 5. „ caesium Al. | 12. suberythrospermum Vav. |
| 6. „ barbarossa Al. | 13. subferrugineum Vav. |
| 7. „ Pseudo-barbarossa Varv. | |

ფხიან ფორმებიდან როგორც ლეჩხუმის, ისე ქვ. სვანეთის მთელ ტერიტორიაზე აშკარა უპირატესობა ეძლევა თეთრთავთავეზიან და წითელმარცვლიან შეუბუხსავ ვარიაციას—erythrospermum-ს, რომელიც აქ ყველგან ჰქმნის პურეულთა ნათესის მთავარ ფონს და თავისი საგაზაფხულო ფორმებით აღწევს ამ რაიონის პურეულთა კულტურის უმაღლეს საზღვრებს. მაგრამ შემოდგომის ფორმა მაინც მთავარია და უფრო მის მიმართ ხმარობს ადგილობრივი მოსახლეობა ძველს, ამჟამად მხოლოდ ალაგ-ალაგ შენარჩუნებულ სახელწოდებას „იფქლს“. მასთან მკვიდროდ დაკავშირებულია და ყველგან მეტის თუ ნაკლებ რაოდენობით, თეთრი იფქლის ნათესებში, შენარჩუნების სახით გვხვდება ვარიაცია ferrugineum, საქართველოს სხვა რაიონებში ცნობილი წითელი დოლის სახელწოდებით. სუფთა ნათესის სახით იგი აღნიშნულია მხოლოდ ლაილაშის ერთ-ერთ ყანაში და ადგილობრივ იგი იხსენიება „რუსული“ პურის სახელით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ფორმა, სუფთა სათესლე მასალის სახით, მართლაც შემოტანილია რუსეთიდან. დანარჩენ სახესხვაობებიდან:

Var. caesium—გვხვდება აქა-იქ, როგორც შენარჩევი იფქლის ყანებში. სუფთა ნათესის სახით აღნიშნულია მხოლოდ სოფ. ცაგერის ქალებში. საშემოდგომო ფორმა.

Var. nigroaristatum, შეუბუხსავე, თეთრ თავთავეზიანი, შეეფხიანი და წითელმარცვლიანი ფორმა.—მხოლოდ როგორც იშვიათი შენარჩევი.

Var. Hostianum—აგრეთვე უმეტეს წილად როგორც მცირერიცხოვანი შენარჩევი. მხოლოდ ორ ადგილას, ოყურეშის მიმართულებით, იგი აღნიშნულია მთავარი ფონის ხასიათით, სადაც ამ სახესხვაობაზე მოდიოდა ყანის 70%—მდე.

იშვიათად და ისიც მცირე შენარჩევად აღნიშნულია ვარიაციები: pseudo-Hostianum, barbarossa და pseudo-barbarossa, მაგრამ ძირითადად უფრო დაცემულ, ვაკე ადგილებში. მთის ზონებში ეს ფორმები აღნიშნული არ ყოფილა.

ჩვეულებრივი ხორბლის ფხიან (ჯვ. aristata) და უფხო ფორმების (ჯვ. mutica) შუა აკად. ნ. ვავილოვი ათავსებს ერთგვარ გარდამავალ, მოკლეფხიან

ჯგუფს (*breviaristata*). ამ ჯგუფიდან ლეჩხუმის რაიონში გვხვდება *subsericeum*, *hrospermum* და *subferrugineum*, ფორმები, რომელნიც ზემო სვანეთისათვის აღნიშნული აქვთ ნ. კეცხოველს და ივ. ბახტაძეს, ხოლო რაქისათვის ლ. დეკაპრელევიჩს და ვლ. მენაბდეს, ზემოთ დასახელებული ცხრა სახესხვაობით განისაზღვრება ამ რაიონის რბილი ხორბლების ფხიან ფორმების შემადგენლობა.

რაც შეეხება უფხო ფორმებს, რომელთა შენაჩრებ სახელწოდებად ლეჩხუმ-ქვ. სვანეთში შენარჩუნებულია ძველი ქართული ტერმინი ხულგო ანუ ხულუგო (ხულუნგო?), აქ იგი, თუმცა თავისი ფორმათა სხვაობით უფრო ღარიბია, მაგრამ სამეურნეო მნიშვნელობით არც მაგარე ჩამოუვარდება ფხიან ფორმებს. საქართველოს პურეულთა კულტურის ძირითად რაიონებში ბევრი არ არის ისეთი კუთხე, სადაც უფხო ხორბლის ხვედრი მნიშვნელობა ასე მაღალი იყოს. აღსანიშნავია აგრეთვე ფხიან და უფხო ხორბლის ურთიერთი შეფარდების სურათი ზოლადობის მიხედვით. თუ დაბლობ ადგილებში უფხო ფორმების სამეურნეო მნიშვნელობა შედარებით მცირეა, ზევით, მთის ზონებში პურეულთა ნათესის შემადგენლობაში მათი მონაწილეობა თანდათან უფრო თვალსაჩინო ხდება და დაახლ. 1200—1300 მეტრ. სიმაღლეზე ალაგ-ალაგ სჭარბობს კიდევ ფხიან ფორმებს. ასეთი სურათი თითქოს არ ეთანხმება იმ საზღვრებს, რომელშიაც ათავსებენ უფხო ფორმებს რაქის პირობებისათვის ლ. დეკაპრელევიჩი და ვლ. მენაბდე (1000 მეტრი), მაგრამ სავსებით ერთვის იმავე ვლ. მენაბდის დასკვნას, მოცემულს მეორე გამოკვლევაში¹, სადაც უფხო ფორმების შვეული გავრცელება აღწევს 2000 მეტრამდე, ე. ი. შქედის სუბალპიურ სარტყელშიაც.

უფხო ფორმების ზევით აღნიშნულ 3 სახესხვაობიდან პირველი ორი: *var. militarium*—წითელთავთაიანი, წითელმარცვლიანი და *lutescens*—თეთრთავთაიანი—წითელმარცვლიანი—მოცემულია რაიონის ყველა ნათესებში მჭიდრო და განუშორებელი თანამგზავრობით, ისეთი ურთიერთი შეფარდებით, რომ ძნელია ცალკე შემთხვევაშიაც რომელიმეს მიეცეს უპირატესობა. რაიონის ქვედა ნაწილებში ორთავე ვარიაცია გვხვდება საშემოდგომო ნათესად, მთის ზოლებში კი უმთავრესად სავაზაფხულო ფორმებით.

რაც შეეხება მესამე სახესხვაობას—*var. albidum*, იგი, როგორც ჩვეულებრივი თანამგზავრი ან შენარევი ხორბლის ნათესში, არსად არ გვხვდება. აღნიშნულია მხოლოდ ერთი შემთხვევა, სახელდობრ ცაგერის მიდამოებში, სადაც *var. albidum*—თეთრთავთაიანი და თეთრმარცვლიანი უფხო ფორმა წარმოდგენილი იყო სუფთა ნათესით. წამოღებულ ნიმუშზე აშკარად თვალში ეცემა თავთავის წმინდა სკვერპედის ტიპი. როგორც ვიცით, ეს უკანასკნელი ხასიათით თავის თავგამსხვილებულთა თავთავით, სადაც ზედა თავთუნები განწყისებულნი არიან გაცილებით უფრო მეტის სიმკიდროვეთ, ვიდრე ქვედა ნახევარში. *Squarehead* ფორმა, პირველად ნახული წარს. საუკ. 60-იან წლებში ინგლისში და შემდეგ, მრავალ გზით და სხ. და სხ. მიმართულებით გაუმჯობესებული, დღეს წარმოადგენს დას. ევროპის ძირითად საწარმოო ჯიშთა შორის ყველაზე მაღალ მოსავლიან ჯიშს და „ინტენსიური კულტურის“ თანამგზავრს. მისი წარ-

¹ В. Л. Менабде—„Материалы по изучению географии хлеба. злаков Вост. Грузии в связи с их зональностью“. ტფ. ბოტანიკური ბაღის ნაწერები, ნაწ. მე-6, 1929 წ.



მოშობის შესახებ არსებობდა რამდენიმე აზრი: თავდაპირველად მას იხმარებდნენ როგორც სპონტანურ ვარიაციას, ანუ, დღევანდელი ტერმინოლოგიით მუტაციურ მოვლენას. მიმდინარე საუკ. პირველ ათწლეულში ცნობილი კ. რიუმერ vulgare-ს და compactum-ის შეჯვარებით ლებულობს ტიპურ სკვერპედს, რაც აძლევს მას საბუთს ამ ფორმის წარმოშობა დაუკავშიროს ბუნებრივი შეჯვარების პროცესს. მაგრამ უფრო ახალი გამოკვლევანი სკვერპედ-ტიპის წარმოქმნის შემთხვევებს აწერენ არა მარტო მუტაციურ და ჰიბრიდულ მოვლენებს, როგორც ირკვევა, თავთავის ფორმა, თავთუნების სიმჭიდროვე, თავთავის სიმკვრივე სხ. და სხ. ნაწილებში თვალსაჩინოდ არის დაკავშირებული მცენარის კვების და საერთოდ არსებობის პირობებთან. ზეელჰორსტის, ოლშერის და სხ. გამოკვლევათა მიხედვით სკვერპედის თავგამსხვილებული თავთავი ხან იშლებოდა, ხან მკვიდრდებოდა იმისდამიხედვით, თუ რამდენად უზრუნველყოფილი იყო მცენარე სითბოთი, წყალით, საკვები ნივთიერებით და სხვ.

სკვერპედ-ტიპის ასეთი მრავალგზოვი წარმოქმნის შესაძლებლობა თავისთავად ამართლებს ვულებას, რომ ასეთი ფორმის მატარებელი ხორბლის არსებობა მოსალოდნელი უნდა იყოს მრავალ ადგილას, სინამდვილემ გაამართლა ეს მოლოდინი: ბუნებრივი გზით წარმოქმნილ სკვერპედ-ტიპის შემთხვევები არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული როგორც საზღვარგარეთის, ისე რუსულ აგრობოტანიკურ ლიტერატურაში. აღნიშნულია ამ ფორმის არსებობა ჩვენშიც, ოღონდ ყოველთვის და ყველგან როგორც მეტად იშვიათი და ცალკეული მოვლენა. მაგრამ ცაგერის მიდამოებში ამ ფორმის სუფთა ნათესის სახით, მთლიანი ყანით შეხვედრა არ შეიძლება მიეკუთვნოს ადგილობრივი წარმოშობის ამგვარ იშვიათ შემთხვევებს. ეს მოსახრება მტკიცდება თვით ნიმუშის საერთო ხასიათით. როგორც ადგილზე აღებული ეგზემპლარები, ისე მათი რეპროდუქცია მუხრანის სასწ. მეურნეობის ნაკვეთზე, ყოველგვარ ექვს გარეშე გვიჩვენებენ, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს მაღალ კულტურულ, გაუმჯობესებულ და, მაშასადამე, შემოტანილ ფორმასთან. ამის საბუთია თუნდაც თავთავის სუფთა, „კეთილშობილი“ მოყვანილობა, მარცვლის სიმსხო და მაღალი აბსოლუტური წონა, რომელიც საშუალოდ აღწევს 1000 გრამს ან 1 კგ-ს, რაც არც ერთ შემთხვევაში არ შეგვხვედრია ნამდვილ ადგილობრივ ჯიშში. როგორც გამოირკვა, ამ ხორბლის თესლი მართლაც შემოტანილი ყოფილა რუსეთიდან და თავიდანვე მიიპრო ყურადღება თესლის საუცხოო ხარისხით და მაღალი მოსავლიანობით (ადგილობრივი შეფასებით—იმ დროს, როდესაც ჩვეულებრივი ხულუგოს „13 კონიდან გამოდის 1/2—2 ფუთი“, სკვერპედის ფორმა „იმავე 13 კონიდან იძლევა საშუალოდ 4 ფუთს“). საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ჩამოტანილ ნიმუშებში ჯერ არავითარი ნიშნები არ იყო ამ ფორმის გადაგვარებისა და, მაშასადამე, საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ლენჩუშის პირობები მისთვის საკმაოდ შეწყობილი ყოფილა. ეს გარემოება თავის მხრით მეტად საგულისხმოა, როგორც ერთგვარი მითითება იმ ღონისძიებათა მიმართულებაზე, რომელიც დაკავშირებულია ჩვენში ხორბლის ახალი ჯიშების შთანერგვის რთულ და საპასუხისმგებლო ამოცანასთან. თუ აღმ. საქართველოს მრავალ კუთხეში საბჭ. კავშირის სამხრეთ რაიონებიდან შემოტანილმა „უკრაინკამ“ და

„კოოპერატორკამ“ ჯერჯერობით მოგვცა საკმაოდ მაღალი ეფექტი, რემოცია კიდევ არ გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ასეთივე დადებითი შედეგი მოჰყვება ამ ჯიშების გავრცელებას დას. საქართველოს მთიან რაიონებში, სადაც კლიმატურ ფაქტორთა თავისებური დაჯგუფება სულ სხვანაირ ხასიათს აძლევს ამ ადგილების ჰავის ძირითად ელემენტებს, ვიდრე ეს გვაქვს სამხ. რუსეთის აშკარად კონტინენტალურ პირობებში. ლეჩხუმის ჰავის ზევით მოცემული დახასიათება, დამყარებული მეტეოროლოგიურ ცნობებზე, საკმაო სიცხადით აღნიშნავს ამ კუთხის შედარებით ზომიერ თბიერებას, მაღალ ნალექიანობას, მის თანაბარ განაწილებას სეზონების მიხედვით. და უნებურად, თავისთავად გვსახება მოულოდნელი პარალელი ჩვენს მთებში მივარდნილ ლეჩხუმის და დასავ. ევროპის იმ ზომიერი თბიერების და მაღალი ნალექიანობის რაიონებს შორის, სადაც ჩაისახა თანამედროვე სკვერპედი (შოტლანდია, ინგლისი) და სადაც მან მიიღო ასე დიდი სამეურნეო მნიშვნელობა (პოლანდია, დას. გერმანია და სხ.). მაგრამ რაკი დღევანდელ საერთაშორისო პირობებში ჩვენ არ შეგვიძლიან ვაუმჯობესებულ ჯიშთა გავრცელების საქმე დავამყაროთ ევროპის მაღალხარისხიან ჯიშების მასსიურ ინტროდუქციასზე, ამიტომ, და მით უფრო, სავალდებულო უნდა იყოს ჩვენთვის მეტის ყურადღებით მოვებყროთ იმ ძვირფას მასალას, რომელიც, შემთხვევით შემოსული ჩვენში, უკვე დაადგა „მონინურების“ გზას და ადვილად შეიძლება გახდეს ვაუმჯობესებულ ჯიშთა სათესლე ფონდის შესაქმნელ წყაროდ.

„რბილ“ ანუ ჩვეულებრივ ხორბალთან შედარებით სხვა სახეების გავრცელება ლეჩხუმ-ქვ. სვანეთის მინდვრებზე სულ უმნიშვნელო და ზოგჯერ შემთხვევითი ხასიათისაა.

Tr. compactum—ფორმა მეტად ახლოს მდგომი *Tr. vulgare*-სთან, თითქმის მუდამ თანსდევს უკანასკნელს, როგორც უმნიშვნელო შენარევი. მხოლოდ ორიოდ ადგილას, სახელდობრ სოფ. ლაილაშის ერთ-ერთ მინდორზე და ცაგერის ქალაქში აღნიშნულია ამ სახის ვარიეტა *erinaeum Desv.* სუფთა ნათესის სახით.

უფრო მეტის გავრცელებით სარგებლობს ევრ.-წოდ. „მაგარი ხორბლის“, ანუ თავთუხის ჯგუფი—*Tr. durum Desf.*; მაგრამ ეს სახეც არ გადადის სუფთა, დამოუკიდებელი ნათესის ხასიათში და თითქმის ყველგან იგი წარმოადგენს მეტის თუ ნაკლები რაოდენობით გამოხატულ ნარევეს დოლის პურის ყანებში. მაგარი ხორბლის სახესხვაობათა საკმაოდ მდიდარი შემადგენლობიდან აქ ჩვენ გვხვდება სულ 5 ვარიეტა: თეთრთავთუხიანი—*leucurum Al.*, წითელთავთუხიანი—*hordeiforme Host.*, შავთავთუხიანი—*caerulescens Bayle* და ევრ. წოდ. „შავ-ფხა“—*var. apulicum Körn.* და *niloticum Körn.* აღნიშნულ სახესხვაობებიდან მხოლოდ პირველი—თეთრი თავთუხი, აღნიშნულია სუფთა ნათესად სოფ. ნაყურალეშის ყანებში, მაგრამ ისიც იმდენად იყო დაავადებული ყანგით, რომ მისი ნამდვილი სახის გამორკვევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მუხრანში გამოთესვის შემდეგ.

ყოველგვარი მოლოდინის წინააღმდეგ არც ლეჩხუმში და არც მცხეთაში ნეთში არსად არ შეგვხვდებოდა „დიკა-პურის“ ის სპეციფიური ფორმა, რომელიც ამჟამად გამოყოფილია ცალკე სახით — *Tr. persicum* Vav.-ის სახელწოდებით და რომელიც თითქმის უკლებლივ გვხვდება ჩვენი მთის ზოლების ყველა რაიონში. დას. საქართველოს მთიან ადგილებში *Tr. persicum* აღნიშნული აქვს ზემო სვანეთისათვის ნიკ. კეცხოველს და ივ. ბახტაძეს, რაქისათვის ლ. დეკაპრელევიჩს და ვლ. მენაბდეს. ამგვარად, თითქოს სავსებით შესაძლებელი უნდა იყოს ამ ფორმის გავრცელება ლეჩხუმ-ქვ. სვანეთშიაც; მაგრამ არსად, მთელი გამოკვლეული ტერიტორიის არც ერთს ზოლში იგი არ ყოფილა ნახული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში თითო-ორიოდა თავთავს ლეჩხუმის ყანებში, ხოლო ქვ. სვანეთში მხოლოდ ერთს შემთხვევას, სოფ. ჩოლურის ახლოს, სადაც ნათესში ნაპოვნი იყო ერთადერთი ეგზემპლარი. ეს უმნიშვნელო მასალა, წარმოდგენილი ცალკეულ ნიმუშებით, შესდგება შემდეგი ქვესახეებისაგან: *v. stramicum* Zhuk. (სოფ. თეკალი და სასაში) *v. rubiginosum* Zhuk. (ცაგერი, გენდოში) და *var. fuliginosum* Zhuk. (ჩოლური). უფრო მეტის გავრცელებით, თუმცა იმავე ვარიაციული შემადგენლობით აღნიშნულია ხორბლის ეს სახე მოსახლურე რაქისათვის (დეკაპრ.—მენაბდე) და შეიძლება სწორედ აქედან გამოერია იგი ლეჩხუმის ნათესებს. მართლაც, ადგილობრივი მეურნისათვის სახელწოდება „დიკა“ არ არის უცნობი, მაგრამ ამ ტერმინით მისთვის იგულისხმება „რბილი“ ხორბლის საგაზაფხულო ფორმები და არა ის, რომელსაც დიკა-პურის შესატყვისობით თითქმის მუდამ აღნიშნავს ჩვენი გლეხი, მაგალ. ქართლში, სპეციფიურ სახეს — *Tr. persicum* Vav.

გამოკვლეულ რაიონში შეხვედრილ ხორბლის სახეთა სიას უნდა დაემატოს კიდევ ერთი — *Tr. turgidum* L., ეგრ.-წოდ. ინგლისური ხორბალი, რომელიც შედარებით ფართოდ არის გავრცელებული აზრბეიჯანში (ლ. დეკაპრელევიჩ); გვხვდება იგი აგრეთვე აღმ. საქართველოს ზოგიერთ რაიონებში: საქმაოდ ხშირად ყარაიასა და ბორჩალოში; მცირე შენარევის სახით აღნიშნულია მუზრან-საგურამოს ვაკეზე (ივ. ჩხენკელი, მენაბდე, ახ. ერიციანი). გ. აბესაძეს ხორბლის ეს სახე მოყვანილი აქვს ყოფ. ახალციხის მაზრისათვის, სადაც აწყურის მიდამოებში მას უნახავს ინგლისური ხორბლის სუფთა ნათესი მეტად თავისებური ვარიაციული შემადგენლობით.

დას. საქართველოს ხორბლოვან პურეულთა გავრცელების ზოლებში *Tr. turgidum* L. აღნიშნული აქვს ივ. ბახტაძეს აფხაზეთისათვის, სადაც ყოფ. ვაგრის მაზრის ჩრდ. საზღვართან მდებარე სოფლებში ადგილობრივი მოსახლეობა (ოსმალებიდან გადმოსული სომხობა) აწარმოებს ამ ფორმის კულტურას სუფთა ნათესის სახით. პირველადი სათესლე მასალა შემოტანილი ყოფილა ოსმალებიდან. ლეჩხუმშიაც, რაღა თქმა უნდა, იგი არ არის ადგილობრივი ფორმა; ამას ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, რომ არც ერთ გამოკვლეულ წერტილში იგი არსად შეინიშნული არ ყოფილა სულ მცირე შენარევის სახით მაინც. მხოლოდ ნაყურალემის მიდამოებში, და ისიც მხოლოდ ერთს ადგილას, ნახული იყო „ინგლისური“ ხორბლის სუფთა ნათესი, დაახლ. 1 ჰექტ. ფართობზე. ამ

ნათესის ძირითადი ფონი წარმოდგენილია შავთავთავიანი, წითელმარცვლიანი, შებუსვილი ფორმით, var. *jodorum* Al., ხოლო შენარევის სახით გვხვდება შიგ აგრეთვე შებუსვილი, ოღონდ თეთრთავთავიანი, შავფხიანი და წითელმარცვლიანი ვარიაცია *rubriatum* Körn. ადგილობრივ გამოირკვა, რომ ამ ხორბლის თესლი, სულ უმნიშვნელო რაოდენობით, შემოტანილი ყოფილა სოჭიდან და, თანდათანობით მომრავლებით, უკვე შექმნილია მცირეოდენი სათესლე ფონდი ამ მეტად საყურადღებო ფორმისა, რომელიც დას. ევროპის სამეურნეო პრაქტიკაში ცნობილია თავისი მაღალი მოსავლიანობით და რომელმაც ეს რეპუტაცია სავსებით გაამართლა შავი ზღვის ჩვენს სანაპიროზედაც: ივ. ბახტაძის ცნობით მისი მოსავალი არ ჩამოუვარდება სიმინდს.

მაგრამ „ინგლისური“ ხორბლის ეს ერთადერთი შემთხვევა, ნახული ლენჩუმში, საყურადღებოა არა მარტო ამ მხრივ. ვარიაცია *jodorum* Al., რომელიც ამ ნათესში წარმოადგენს მთავარ ფონს, შედარებით იშვიათი ფორმაა; ყოველ შემთხვევაში, საბჭ. კავშირის ფარგლებში იგი ჯერ არავის მიერ აღნიშნული არ ყოფილა (ფლაქსბერგერ). არა აქვს იგი ნახსენები აგრეთვე ივ. ბახტაძესაც ზემოთ დასახელებულ გამოკვლევაში, რაც ჩვენთვის, ცოტა არ იყოს, გაუგებარია, რადგან ლენჩუმში სოჭიდან მოტანილი სათესლე მასალა უშუალოდ დაკავშირებული უნდა იყოს გავრის რაიონის ჩრდ. საზღვრ. მდებარე სოფლების ზემოხსენებული ავტორის მიერ აღნიშნულ ნათესებთან. ადვილად შესაძლებელია, რომ ადგილობრივ აღებულ ნიმუშთა რკვევის დროს პატივც. ივ. ბახტაძეს ინგლისური ხორბლის შავთავთავიან ფორმებში „გამოეპარა“ შებუსვილი ეგზემპლარები და ისინი მოხვდნენ იმავე შავთავთავიან, ოღონდ შეუბუსვსა—*nigriglumaceum*-ის ჯგუფში. თუ კი შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ შავი ზღვის სანაპიროზე „ინგლისური“ ხორბლის კულტურა თავის დასაბამს ჰპოულობს თურქეთიდან შემოტანილ სათესლე მასალაში, მაშინ ვარ. *jodorum*-ის ჩვენს ნათესებში არსებობა სავსებით გასაგებია: ვ. კობეღევის მიხედვით, ეს სახესხვაობა, თუმცა მცირე შენარევის სახით, გვხვდება სამსუნის ვილაიეთში,¹ საიდანაც ლტოლვილითა არა მცირე ნაწილი დღეს წარმოადგენს შავი ზღვის სანაპიროზე სომხური სოფლების მოსახლეობას.

ლენჩუმში ჩატარებული გამოკვლევის, ე. ი. 1928 წლის შემდეგ ჩვენ, სამსუნსა, უკვე აღარ გვქონდა საშუალება თვალი გაგვეყარებინა „ინგლისური“ ხორბლის ნათესისათვის და დღეს აღარავითარი ცნობები არა გვაქვს იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწვია მას,—შეინარჩუნა მან თავისი „დამოუკიდებელი“ არსებობა, გავრცელდა იგი, თუ, პირიქით, ვერ გაუძლო ადგილობრივ ფორმათა კონკურენციას და, ადამიანის მზრუნველობის გარეშე მიტოვებული, იგი გაითქვიფა იტკლის, ხულუგის და სხ. ნათესებში და ამიერიდან ახლად ჩატარებული გამოკვლევა, თუ მიაგნებს სადმე მას, დაუსვამს ნიშანს „იშვიათი შენარევი“...

დასასრულ, საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება. დას. საქართველოს 26 რაიონიდან (აჭარისტიანის და აფხაზეთის გამოკლებით) სულ ხუთი-

¹ П. М. Жуковский—Земледельческая Турция, 1933. გვ. 192—196.



დღე ისეთი, სადაც ხორბლის კულტურა წარმოადგენს სასოფლო მეურნეობის ცენტრს, სადაც მნიშვნელოვან დარგს, ძველი გეოგრაფიული ნომენკლატურით ესენი არიან: სვანეთი, რაჭა და ლეჩხუმი. თუ პირველი, განსაკუთრებით კი ზემო სვანეთი, თავისი სპეციფიური მდებარეობით ისახება როგორც თავისებურ, საკმაოდ განკერძოებულ სამეურნეო ხასიათის მატარებელ კუთხედს, ორი დანარჩენი—რაჭა და ლეჩხუმი, პირიქით, გვიჩვენებენ ბევრ შემთხვევაში მეტად დიდ მსგავსებას არა მარტო სამეურნეო წარმოების საერთო ხასიათით, არამედ თვით კულტურულ მცენარეთა შემადგენლობის მხრივაც.

ქვევით მოყვანილი ცხრილი, სადაც შეჯამებულად მოცემულია ამ ორ რაიონში აღწერილი ხორბლის გვარობრივი, სახობრივი და ვარიაციული შემადგენლობა და სადაც რაჭის შესახებ ცნობები ამოღებულია ლ. დეკაპრელევიჩის და ვლ. მენაბდის არაერთხელ ნახსენებ გამოკვლევებიდან, — ამ სიხალოვეს ნათლად ასაბუთებს.

სახე, სახესხვაობა	რაჭა	ლეჩხ.	სახე, სახესხვაობა	რაჭა	ლეჩხ.
I Tr. vulgare Vill.			II Tr. compactum Host.		
1. var. erythrospermum Körn.	+	+	I. var. erinaceum Desf.	+	+
2. „ ferrugineum Al.	+	+	III Tr. durum Desf.		
3. „ militurum Al.	+	+	1. var. leucurum Al.	+	+
4. „ lutescens Al.	+	+	2. „ hordeiforme Al.	+	+
5. „ albidum Al.	—	+	3. „ apulicum Körn.	+	+
6. „ suberythrosperm: Vav.	+	+	4. „ coerulescens Bayle	+	—
7. „ subderrugineum Vav.	—	+	5. „ libycum Körn.	+	+
8. „ barbarossa Al.	+	+	6. „ niloticum Körn.	—	+
9. „ pseudo-barbarossa Vav.	+	+	IV Tr. persicum Vav.		
10. „ Hostianum Clem.	+	+	1. var. fuliginosum Zhuk.	+	+
11. „ pseudo-Hostianum Flaksb.	+	+	2. „ stramineum Zhuk.	+	+
12. „ caesium Al.	+	+	3. „ rubiginosum Zhuk.	+	+
13. „ nigroaristatum Elaksb.	+	+	V. Tr. turgidum L.		
			1. var. jodorum Al.	—	+
			2. „ rubriatum Körn.	—	+

თუ ამ ცხრილში მოთავსებულ ფორმებიდან ამოვიღებთ „ინგლისური“ ხორბლის ორთავე ვარიაციას და აგრეთვე „სკვერპედს“ (Tr. vulg. albidum), როგორც უეჭველად შემოტანილთ და მაშასადამე ამ რაიონებისათვის არსებითად

უცხო ფორმებს, მაშინ რაქული და ლეჩხუმური ხორბლის ბოტანიკური მკვლევარების ნობა უფრო თვალსაჩინო გახდება. მაგრამ ეს სიახლოვე არ შემოიფარგლება მარტო „ნამდვილი“ ხორბლის საზღვარში. ასეთსავე თითქმის სრულ იგივეობას ვხვდებით კილიანი ხორბლებულის ჯგუფში, ქერის, სიმინდის და სხ. კულტურულ მცენარეთა შემადგენლობაშიაც, რაც აშკარად გვიჩვენებს ამ ორი კუთხის სასოფლო მეურნეობის ერთის გზით სვლას და მჭიდრო ურთიერთს კავშირს არა მარტო დღეს, არამედ წარსულშიაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე გ.—ხორბლის ახალი სახის Tr. Timopheewi Zhuk. და საქართველოში მისი გავრცელების შესახებ.—საქ. ექსპერიმ. აგრონომიის ინსტიტუტის მოამბე № 2. 1929 წ.
2. აბესაძე გ.—ახალციხის მაზრის ხორბლები.—საქ. ექსპ. აგრ. ინსტიტუტის მოამბე № 7. 1930 წ.
3. ვახუშტი.—საქართველოს გეოგრაფია. პეტერბურგი. 1842 წ.
4. კეცხოველი ნ.—მასალები კულტურულ მცენარეთა ზონალობის შესასწავლად კავკასიონზე. 1928 წ. ტფილისი.
5. მიწათმოქმ. სახ. კომისარიატი—1930, 31, 32 და 33 წლის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმა.
6. სუპატაშვილი ვალ.—ლეჩხუმის მაზრის ასლები.—საქ. ექსპერიმენტ. აგრონომიის ინსტიტუტის მოამბე № 1. 1929 წ.
7. ჯავახიშვილი ივ.—საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი I. ტფილისი 1930 წ.
8. Бахтадзе И. Г.—Результаты обследования полевых культур ССР Абхазии и Верхней Сванетии.—Известия Абхазск. Сель. хоз. Опытн. Станции № 35. 1927 г.
9. Декапрелевич Л. Л.—К изучению завак. сортов кукурузы.—записки научн. прик. отд. Тифлис. Ботанического Сада. Вып. I. 1919 г.
10. Декапрелевич Л. Л. и Менабде В. Л.—К изучению полевых культур Зап. Грузии. I. Рача.—Записки научн. прик. отд. Тифл. Бот. Сада. Вып. VI. 1929 г.
11. Декапрелевич Л. Л. и Менабде В. Л.—Шлячатые пшеницы Западн. Грузии. 1933 г.
12. Дмитриев Н. Г.—Пешая прогулка в Сванетию.—Известия Кавк. Отд. Русск. Геогр. Общ. Т. X. 1889—91 г. Тифлис.
13. Ерицян А. А.—Материалы к генетике пшениц.—Записки научн. прик. отд. Тифл. Бот. Сада. Вып. VI. 1929 г.

14. Жуковский П. М.—Дикая двузернянка в Грузии.—Записки н. пр. отд. Тифл. Бот. Сада. Вып. III. 1923 г.
15. Жуковский П. М.—Новый вид пшеницы.—Труды по прикл. бот., генет. и селекции. Вып. II, том XIX. 1928 г. Ленинград.
16. Жуковский П. М.—Земледельческая Турция.—1933. Ленинград.
17. Захаров С. А.—К характеристике высокогорных почв Кавказа. 1914 г. Тифлис.
18. Захаров С. А.—О главнейших итогах и основных проблемах изучения почв Грузии.—Известия Тифл. Госуд. Политехн. Инст. Вып. I. 1924 г. Тифлис.
19. Калинин М. Ф.
20. Кальвейт Э. М.—Очерк сельского хозяйства Верх. Сванетии—1911 г. Тифлис.
21. Качергин В.—Атмосферные осадки Закавказья. 1928 г. Тифлис.
22. Лисовский В. Я.—Закавказье, часть I.—Записки Кавк. Отд. Русск. Геогр. Общ. книга XX. 1896 г. Тифлис.
23. Менабде В. Л.—Материалы по изучению географии хлебных злаков Вост. Грузии в связи с их зональностью.—Записки н. пр. отд. Тифл. Бот. Сада. Вып. VI. 1929 г.
24. Носович Д. П.—Экономический быт государственных крестьян в Лечхумском уезде Кутаисской губ.—Материалы для изуч. экон. быта госуд. крест. Закавказ. Края. Т. I. 1893 г. Тифлис.
25. Приходько М.—Зональное распределение пшениц в Юго-Осетии.—Изв. Тифл. Гос. Политехн. Инст. 1926 г.
26. Столетова Е.—Подба-эммер *Triticum dicoccum schrank.*—Труды по прикл. Бот. и селекции. Т. XIV. 1924—25 г. Ленинград.
27. Фигуровский И. В.—Климаты Кавказа. 1914 г. Тифлис.
28. Флаксбергер К. А.—Определитель настоящих хлебов.—1923 г. Ленинград.
29. Флаксбергер К. А.—К изучению диких однозернянок и двузернянок.—Тр. по пр. бот., генет. и сел. Т. XVI, вып. 3. 1926 г.
30. Хинчук А. Г.—К генетике *Triticum Timopheevi Zhuk.*—Тр. по пр. бот., генет. и сел. Т. XX. 1929 г.
31. Яковлев А. А.—Виноградарство и виноделне в Лечхумском уезде.—Сборник сведений по виноград. и винод. на Кавказе. Вып. III. 1896 г. Тифлис.
32. G ü l d e n s t ä d t D. J. A n t o n .—Reisen durch Russland und in Caucasischen Gebürge. 1787—1791.
33. Meyer Karl.—Über d. Einfluss verschieden hohen Wassergehaltes... auf d. Entwicklung d. Göttinger begrannten square—head—weizens.—journal f. Landwirtsch. 57. 1909.



34. Ohlmer W.—Über d. Einfluss d. Düngung... auf die
und Ausbildung d. Ähre und d. Ausbildung der Kolbenform beim Göttinger begranneten square—head Winterweizen.—Journal f. Landwirtschaft 56. 1908.

35. Rümker V.—Methoden der Pflanzenzüchtung.—1909. Berlin.

36. Schindler Fr.—Handbuch des Getreidebaus. 1920. Berlin.

37. Seelhorst V.—Der Einfluss des Standortes auf die Entwicklung des Getreides.—Jahrb. der D. L. Ges. 27. 1912.

Ю. Н. ЛОМОУРИ и В. М. СУПАТАШВИЛИ

ПШЕНИЦЫ ЛЕЧХУМА И НИЖНЕЙ СВАНЕТИИ

Материалом для данной работы послужили сборы экспедиционного обследования этих районов, проведенные бывш. Кафедрой Частного Земледелия С. Х. Института Грузии еще в 1928 году. Первая часть, касающаяся чрезвычайно интересной и своеобразной для Лечхума группы „пленчатых пшениц“, опубликована в 1929 г. в „Вестнике Инст. Экспериментальной Агрономии Грузии“ № 1. Настоящая работа ограничивается рассмотрением главн. обр. группы „настоящих“ пшениц (*frumentum*), причем обзору их предшествует краткая характеристика естественно-исторических условий Лечхума и Н. Сванетии; так же схематически-сжато рассматриваются основные элементы сельского хозяйства в общем и полеводства в частности.

В отличие от большинства с.-х. районов Зап. Грузии, где культура колосовых хлебов или не встречается вовсе, или представлена крайне незначительными площадями, полеводство Лечхума и Н. Сванетии показывает след. соотношение полевых культур в ‰-ах:

	Пшеница	Ячмень	Кукур.	Проч.
Цагерский район (Лечхуми)	28,7	0,2	70,0	1,1
Чолурский * (Н. Сванетия)	29,2	18,7	43,7	8,4

Как видим, вертикальная зональность в распределении полевых культур выражена достаточно ясно: в нижней зоне — Лечхуми (500—800 метр. н. у. м.) преобладающим злаком является кукуруза, за ней следует пшеница, а доля ячменя сведена почти к нулю. В верхней же зоне, т. е. в Н. Сванетии (более 1000 метр. н. у. м.) посевы кукурузы значительно сокращены, а удельн. вес ячменя достигает до 19‰. Следует отметить также, что в указанных районах мы не встречаем вовсе посевов ржи и овса.

Отмеченная зональность обнаруживается не только в соотношении отдельных культур, но и в их биологической группировке. Так, в Цагерском районе мы не встречаем яровых пшениц или, во всяком случае, по-



საქართველოს
სოფლის მეურნეობის
უნივერსიტეტი

севы их настолько незначительны, что в оперативных сводках Наркомзема Грузии за 1930—33 г. г. не учитываются вовсе. В Н. Сванетии, наоборот: яровые формы решительно преобладают и озимые пшеницы встречаются здесь в виде исключения.

Видовой состав пшениц представлен достаточно полно. Здесь мы встречаем: *Tr. vulgare* Vill., *Tr. compactum* Host., *Tr. durum* Desf. *Tr. persicum* Vav. и *Tr. turgidum* L.

Как везде в Грузии, так и здесь определенно господствует мягкая пшеница, которая доминирует в посевах не только нижней зоны, но своими яровыми формами занимает почти всю площадь пшеничных полей в горной полосе, доходя до крайних высотных пределов культуры хлебов вообще.

В отношении разновидностей мягкая пшеница представлена здесь довольно богато: всего отмечено 13 разновид., Перечисление которых см. в груз. тексте на стр. 51.

Из остистых форм преобладает var. *erythrospergum* Kögn.; ей неизменно сопутствует в виде б. или м. частой примеси var. *ferrugineum* Al., которая лишь в одном случае, в окрестностях сел. Лайлаши (Цагерский р.) встречается в виде чистого посева, при чем местное население определяет его под названием „русской“ пшеницы. Остальные разновидности встречаются также в виде лишь сравнительно редкой примеси, хотя на пахотных участках гор. Цагери отмечен один случай чистого посева var. *caesium* Al. и в двух местах зарегистрированы посевы, где основной фон (до 70%) представлен вариацией *Hostianum* Clem.

Безостые мягкие пшеницы (var. *milturum* Al. и *lutescens* Al.) по своему удельному весу не уступают остистым, а в верхней зоне местами даже преобладают над ними, поднимаясь до пределов субальпийской полосы (до 2000 метр.).

Из безостых форм близ Цагери отмечен единственный случай нахождения var. *albidum* Al., и то в виде чистого посева. Форма эта представлена настоящим скверхедом, явственно культурного типа. „Завезена из России“ и на протяжении ряда лет удерживает сверххедный характер строения колоса, отличное качество зерна (абсолютн. вес 1000 семян 48,5 гр.) и высокую урожайность (по местным отзывам—вдвое большую против обычных форм).

Tr. compactum—караиковая пшеница представлена лишь одной вариацией *erinaceum* Desf. и всегда в виде незначительной примеси в посевах мягких пшениц. Но в окрестностях Цагери обнаружен и чистый посев (2 случая) той же разновидности.

Нетипична для этих районов также группа твердых пшениц представленная здесь 5-ю вариациями: *Leucurum* Al., *hordeiforme* Host.,

coerulescens Bayle, apulicum Körn. n nilsticum Körn. Лишь в одном случае отмечен чистый посев разновид. leucurum, и то сплошь заражен ржавчиной. Остальные вариации—в виде редкой примеси.

Против ожидания не видим здесь также культуры «персидской» пшеницы. Мы не встречали ее не только в нижней зоне, но и в горной полосе, где посевы пшеницы представлены яровыми формами исключительно erythroperum n lutescens—milturum. Tr. persicum Vav. в описываемые нами районы не проникла и, находясь в посевах яровых мягких пшениц единичные экземпляры (var. stramineum Zhuk., rubiginosum Zhuk. n fuliginosum Zhuk.) безусловно являются случайными примесями.

Tr. turgidum L.—«английская» пшеница не принадлежит к числу местных форм; нигде, за исключением одного случая, мы не встречали этот вид не только в чистых посевах, но и в примеси. Единственный же случай обнаружения посевов английской пшеницы близ сел. Накуралеш (Цагерский р.) представляет значительный, в практическом отношении, интерес. Небольшая площадь, около 1 га, занята чистым посевом Tr. turgidum. Отмечается прекрасное развитие всего растения, здоровый вид и высокая урожайность. Интересен также состав посева: английская пшеница здесь в основном представлена вариацией rubriatum Körn. в смеси с черноколосой, краснозерной и опушенной разновидностью jodogum Al., т. е. формой, по свидетельству Е. А. Флакбергер, нигде на территории Союза не обнаруженной, удалось установить, что английская пшеница в Цагерский район попала извне; посевной материал в небольшом количестве («одна горсточка») завезен из бывш. Сочинского Округа, на границе которого, в нескольких селениях соседнего Гагринского у. (Абхазская АССР.) И. Г. Бахтадзе¹ отмечает чистую культуру английской пшеницы, завезенной выселившимися из Турции армянами и греками, нынешними жителями указанных селений. Весьма возможно, что накуралешская англ. пшеница проникла сюда именно из этого района и т. обр., в конечном счете, она турецкого происхождения. В таком случае присутствие формы jodogum Al. уже не является неожиданным: согласно В. Кобелева², эта разновидность, хотя и в незначительной примеси, встречается в посевах английской пшеницы Самсунского вилайета, из которого по преимуществу и шла главная волна выселившихся из Турции армян и греков, проживающих ныне на территории Абхазии.

¹ И. Г. Бахтадзе.—Результаты обследования полевых культур ССР Абхазии и Верх. Сванетии. Сухум 1927 г.

² П. М. Жуковский.—Земледельческая Турция. Сельхозгиз 1933. Стр. 192—196.



საქართველოს
საგანმანათლებლო
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აкадеმიის
საქართველოს
საგანმანათლებლო
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აкадеმიის

Успешный результат культуры англ. пшеницы в некоторых районах Зап. Грузии заслуживает самого пристального внимания со стороны наших селекционеров, как уже оправдавшее себя указание на правильное разрешение до сих пор не осиленной задачи подбора подходящих сортов пшеницы для этих своеобразных в климатическом отношении районов. Нам кажется, что зап.-европейский скверхед и английская пшеница, с успехом культивируемые в единичных случаях в Лечхуми, могли бы сыграть, наряду с „Маркизом“, немаловажную роль в проблеме реорганизации и улучшения сортового состава пшеничных полей многих районов Зап. Грузии, куда, естественно, не могут проникнуть такие, в основном, „континентальные“ сорта, какими являются, напр., кооператорка, украинка и др.

J. N. Lomouri und V. M. Supataschwili.

Die Weizen Letschums und Nieder-Swanethiens

Vorliegende Arbeit wurde auf Grund der Angaben ausgeführt, welche noch im Jahre 1928 gewonnen wurden, als von dem Lehrstuhl des speziellen Pflanzenbaues des Landwirtschaftlichen Instituts Georgiens einige Forschungs expeditionen in die obenerwähnten Gegenden entsandt wurden. Der erste Teil dieser Arbeit, der sehr interessanten und für Letschumi kennzeichnenden Gruppe der „Spelzweizen“ gewidmet, wurde im Jahre 1929 im № 1 des „Bulletin of the Institute of experimental agriculture of Georgia“ veröffentlicht. Vorliegende Arbeit beschränkt sich hauptsächlich mit der Untersuchung der Gruppe der „eigentlichen“ Weizen (*frumentum*); eine einleitende kurze Charakteristik der naturgeschichtlichen Verhältnisse Letschums und Nieder-Swanethiens wird vorausgeschickt; auch die grundlegenden Elemente der dort geführten Landwirtschaft im allgemeinen und des Feldbaues insbesondere werden in schematisch—kurzer Weise besprochen.

Im Gegensatz zu den meisten landwirtschaftlichen Rayons West-Georgiens, wo die Hauptgetreidearten entweder gar nicht oder nur in sehr geringen Mengen verbreitet sind, nehmen sie in der Feldbaukultur Letschums und Nieder-Swanethiens folgenden Platz ein (in Prozenten):

	Weizen	Gerste	Mais	Übrige
Zageri—Rayon (Letschumi)	28,7	0,2	70,0	1,1
Tscholuri—Rayon (N.-Smanethien)	29,2	18,7	43,7	8,4

Wie aus diesen Angaben zu ersehen ist, lässt sich die vertikale Zonalität in der Verbreitung der Feldkulturen hinreichend klar feststellen: in der niederen Zone-Letschumi (500–800 m. ü. d. M.) tritt Mais als vorwiegende Getreideart auf, anach folgt Weizen, während der Anteil

der Gerste verwindend klein ist. In der oberen Zone, d. h. in Nieder-Swanethien (mehr als 1000 m. u. d. M.) ist die Maisanbaufläche viel kleiner, während die Gerste fast 19% für sich allein einnimmt. Anbei sei erwähnt, dass in den beiden obengenannten Gegenden keine Roggen- und Hafersaaten zu finden sind.

Diese Zonalität beobachtet man nicht nur im Zusammenhang der einzelnen Kulturen, sondern auch in ihrer Gruppierung der biologischen Momente nach. So sind, z. B., im Zageri-Rayon keine Sommerweizenarten zu finden, wenigstens, in so geringen Mengen, dass sie in den Jahresauszügen des Volkskommissariats für Landwirtschaft SSR Georgiens für die Jahre 1930—1933 garnicht erwähnt werden. In Nieder-Swanethien ist ein entgegengesetztes Bild zu beobachten: die Sommerformen dominieren hier ganz deutlich, während die Winterroezien nur ausnahmsweise vorkommen.

Was den Artenbestand betrifft, so ist hier eine genügende Vollständigkeit festzustellen. Hier kommen *Tr. vulgare* Vill., *Tr. compactum* Host., *Tr. durum* Desf., *Tr. persicum* Vav. und *Tr. targidum* L. vor.

Wie auch überall in Georgien nimmt hier der gemeine Weizen den Hauptplatz ein; er dominiert in den Saaten der niederen Zone, und seine Sommerformen nehmen auch fast die ganze Weizenanbaufläche der Gebirgszone ein und behaupten sich bis zu der höchsten Grenze der Getreidekultur überhaupt.

Die Zahl der Abarten des gemeinen Weizens ist hier ziemlich gross; es wurden im Gomzen 13 Abarten registriert, deren Liste siehe im georgischen Texte, S....

Von den begrannnten Formen ist var. *erythrospermum* Lörn. die vorherrschende; var. *ferrugineum* Al. begleitet sie beständig als eine mehr oder weniger bedeutende Beimischung; als Reinsaat wurde diese letzte nur in einem Falle beim Dorfe Lailaschi (Zageri-Rayon) registriert; von den Einwohnern wird sie als „russischen“ Weizen bezeichnet. Auch die übrigen Abarten kommen nur als ziemlich seltene Beimischungen vor; doch wurde in einem Falle auf den Ackerfeldern der Stadt Zageri var. *caesium* Al. als Reinsaat notiert und in zwei anderen Fällen wurden Saaten registriert, die bis zu 70% aus var. *Hostianum* Clem. bestanden.

Was die unbegrannnten gemeinen Weizen betrifft, so ist ihre Bedeutung nicht minder als die der begrannnten; in der höheren Zone dominieren sogar teilweise die unbegrannnten Formen, welche bis zu der Grenze der subalpiner Zone vorkommen (2000 m. u. d. M.).

Von den unbegrannnten Formen wurde nur in einem Falle nahe Zageri var. *albidum* Al., dabei als Reinsaat, gefunden. Diese Form ist durch einen echten „Square head“ vertreten, von einem ganz deutli-



chen Kulturtypus. Sie war „aus Russland eingeführt“ und hat im Laufe mehrerer Jahre den Square heap-Typus der Ähre, ausgezeichnete Eigenschaften des Kornes (Tausendkorngewicht—48,5 g) und eine hohe Ertragsfähigkeit (laut Aussage der Einwohner ist sie doppelt so gross, wie die der gewöhnlichen Formen) beibehalten.

Tr. compactum—Zwergweizen ist durch eine einzige Variation *erinnacleum* Desf. vertreten, welche stets als eine unbedeutende Beimischung in den Saaten des gemeinen Weizens vorkommt. In den Umgebungen von Zageri aber wurde diese Abart auch als Reinsaat (in zwei Fällen) registriert.

Auch die Gruppe der Hartweizen ist für die Rayons nicht typisch. Sie wurde hier in 5 Variationen beobachtet: *leucurum* Al., *hordeiforme* flost., *coerulecens* Bayee, *apulicum* Körn. und *siticum* Körn. Nur in einem Falle wurde var. *leucurum* als Kansaart registriert, dabei war sie vollständig von Rost angesteckt. Die übrigen Variationen kommen nur als seltene Beimischungen vor.

Unerwartet scheint die Tatsache zu sein, dass auch der „persische“ Weizen hier garnicht kultiviert wird. Er fehlt nicht nur in der niederen, sondern auch in der höheren Zone, wo die Weizensaaten nur durch Sommerformen der *erythrosperrum* und *lutescens—milturum* vertreten sind. *Tr. persicum* Vav. ist nicht in die von uns untersuchten Rayons eingedrungen, und die einzelnen Exemplare (var. *stramineum* Zhuk., *rubiginosum* Zhuk. und *fuliginosum* Zhuk.), welche in den Sommersaaten des gemeinen Weizens gefunden werden, müssen als nur zufällige Beimischungen betrachtet werden.

Tr. turgidum L.—„englischer“ Weizen gehört nicht zu den einheimischen Formen; mit Ausnahme von nur einem Falle war diese Art weder in Reinsaaten, noch als Beimischung registriert. Vom praktischen Standpunkte aus ist dieser einzige Fall des Vorkommens des englischen Weizens (beim Dorfe Nakuraleschi, Zageri—Rayon) von hohem Interesse. Auf einer kleinen Anbaufläche von ungefähr 1 ha wurde eine Reinsaat von *Tr. turgidum* registriert. Bezeichnend waren die vor treffliche allgemeine Entwicklung der ganzen Pflanze, das gesunde Habitus und eine hohe Ertragsfähigkeit. Bemerkenswert ist auch der Saatbestand: der englische Weizen ist hier hauptsächlich durch var. *rubriatum* körn. vertreten, gemischt mit schwarzähriger, rotkörniger und behaarter Abart von *jodorum* Al., d. h. einer Form, welche laut der Feststellung K. A. Flachsberger U. S. S. R. nirgends vorkommt. Es ist uns gelungen festzustellen, dass der englische Weizen in den Zageri—Rayon von aussen eingeführt wurde; das Saatgut in kleiner Menge („eine Handvoll“) wurde aus dem diemaligen Sotschi—Bezirk gebracht, auf dessen Grenze, in ei-

nigen Dörfern des benachbarten Gagri-Kreises von J. G. Bachtadze¹ die Reinkultur des englischen . . . ns angegeben wird, welche von den aus der Türkei überbadelten Armeniern und griechen, den heutigen Einwohnern dieser Dörfer, eingeführt worden war.

Es kann als höchst wahrscheinlich angenommen werden, dass der englische Weizen in Nekuraleschi gerade aus dieser gegend hierher gebracht wurde, und somit wird seine türkische Herkunft festgestellt. Im diesem Falle muss das Vorkommen der Form jodorum Al. nichts Unerwartetes auf sich haben; denn nach W. Kobeleif² kommt diese Abart, wenn auch als unbedeutende Beimischung, in den Saaten des englischen Weizens im Samsun=Wilajet vor, aus welchem der grösste Teil der aus der Türkei emigrierten und jetzt in Abchasien ansässigen Armenier und griechen stammt.

Die Tatsache, dass der englische Weizen mit Erfolg in einigen gegenden West-Georgiens kultiviert wird, muss die grösste Aufmerksamkeit unserer Züchter auf sich lenken, als eine begründete Hinweisung auf die richtige Auflösung der bisher noch nicht gelöster Aufgale, eine Auswahl von Weizensorten aufzustellen, welche für diese ihrem Klima nach recht eigentümlichen Rayons geeignet sein würden. Es scheint uns, dass der west-europäische Square head und der englische Weizen, welche in einzelnen Fällen in Lerschumi mit Erfolg kultiviert werden, so wie die „Marquis“-Sorte, eine nicht unbedeutende Rolle in der Verbesserung des Sortenbestandes der Getreideacker in mehreren Rayons West-Georgiens spielen könnten, wohin, wie es auch ganz natürlich zu sein scheint, solche „kontinentalen“ Sorten wie „Kooperatoroka“, „Ukrainka“ und and. nicht eingeführt werden können.

¹ J. G. Bachtadze. Resultate der Untersuchung der Feldbaukulturen SSR Abchasien und Hoch-Swanethiens. Suchum. 1927 Russ.

² P. M. Zhukovsky. La Turquie agricole. 1933, S. 192—196.

პროფ. ლ. კალანდიაძე

მასალები ღაფნის (LAURUS NOBILIS L.) მავნე ენტომოფა- უნისათვის საქართველოში¹

(საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის მცენარეთა დაცვის კათედრა)

ჩვენში ღაფნა უმთავრესად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით კი შავი ზღვის სანაპიროებზე. მიუხედავად იმისა, რომ აქ ამ კულტურას დიდი ხანია მისდევენ. მისი მავნებლების შესწავლა ჯერ მაინც არავის უწარმოებია. ჩვენს ლიტერატურაში კანტი-კუნტად შემთხვევითი ხასიათის ცნობები მოიპოვება მხოლოდ იმ მავნებლებზე, რომლებიც სხვათა შორის ნაპოვნია დაფნაზე. ამის მიხედვით ძალიან ძნელია ამომწურავ სიის შედგენა ამ სასარგებლო მცენარის მავნებლების შესახებ. ქვემოთ მოყვანილი მასალები მხოლოდ წინასწარ ცნობებს წარმოადგენენ, რომლებსაც შემდეგში შეესება და შემოწმება-შესწორება დასჭირდება. ჩვენ შეძლებისდაგვარად ამოვკრიბეთ, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე უცხოეთის ლიტერატურაში გაფანტული ცნობები და თანაც გამოვიყენეთ პირადი დაკვირვებებიც. ამას გარდა საჭიროთ ვცანიით დაფნის მავნებლების სიაში ისეთი სახეების შეტანაც, რომლებიც სხვა მცენარეებთან ერთად დაფნასაც აზიანებდნენ (კალიები, მკედელელები, მინდვრის თავგები და სხვ.). აღნიშნულ სიაში შევიტანეთ აგრეთვე ისეთი მავნებლებიც, რომლების შემოტანა ჩვენში უტოლოთიდან შესაძლებელია, თუ არ იქნა მიღებული შესაფერისი საკარანტინო ზომები.

თავისთავად გასაგებია, რომ საჭიროა დაჩქარებით იქნეს დაწყებული დაფნის მავნე ენტომოფაუნის დეტალური შესწავლა, რისთვისაც უნდა გაიხსნას ამ კულტურის მთავარ რაიონში დროებითი დამკვირვებელი პუნქტი. ამ პუნქტზე მუშაობის დასრულების შემდეგ უკვე შესაძლებელი გახდება უფრო ფართო ხასიათის ნაშრომის გამოქვეყნება. ამ პატარა ნაშრომით ერთგვარი საფუძველი ეყრება ჩვენში დაფნის მავნებლების შესწავლას.

¹ ეს მასალები დამუშავებულია საქ. სოფ. მეურნ. სოც. რეკონსტრუქციის ინსტიტუტის დავალებით.

დაფნის ძირითად და უმთავრეს მავნებლებად უნდა ჩაითვალოს ფარიანები (Coccidae). ამ კულტურაზე ჩვენში გვხვდება მათი სახეების საკმაო დიდი რიცხვი. რადგანაც საქართველოშიც ფარიანები, როგორც დაფნის მავნებლები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ამიტომ საჭირო იქნება მათი სახეების ცალ-ცალკე გარჩევა. აქვე აღსანიშნავია, რომ დაფნაზე ფარიანების გავრცელების შენიშვნა ადვილია ფოთლების, ყლორტების, ტოტებისა და ზოგჯერ ღეროს გაშავების მიხედვით. ეს „გაშავება“ გამოწვეულია საპროფიტულ სოკოებისაგან, რომლებიც სახლდება ამ ფარიანების განავალზე. დაფნის ბუჩქის გაშავება ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს შავი ზღვის სანაპიროებზე. მოგვყავს ფარიანების შემდეგი უმთავრესი სახეები:

1. *Aspidiotus hederæ* Val. Sign.—ოლენდრის ფარიანი. ამ სახის მატლები და ზრდა დამთავრებული ფორმები სწუწნის ფოთლებს, ტოტებს, ყლორტებს და ღეროს, რის გამო მცენარე სუსტდება და მავნებლის მასობრივ გავრცელების დროს (განსაკუთრებით ახალგაზრდები) კიდევაც ხმება. ეს სახე ჩვენში საკმაო ფართოდ არის გავრცელებული აფხაზეთში და საერთოდ შავი ზღვის სანაპიროებზე.

2. *Aspidiotus camelliae* Sign. სწუწნის ფოთლებს ძარღვების გასწვრივ და აგრეთვე ყლორტებსაც. ჩვენში გავრცელებულია სათბურებში და საერთოდ შენობებში, მაგრამ ადვილი მოსალოდნელია, რომ დაფნას აზიანებდეს ბუნებრივ პირობებშიც, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროებზე.

3. *Chrysomphalus aurantii* Mask.—წითელი მრგვალი ფარიანი. იკვებება ფოთლის ქვედა მხარეზე, ტოტებზე, ღეროზე და წუწვნით ასუსტებს მცენარეს. ამას გარდა თავისი ექსკრემენტებით (განავალით), როგორც ზევით იყო აღნიშნული, სერის მას, რასაც ამ ადგილების გაშავება მოსდევს. გაშავების გამო, ცხადია, ასიმილაციის პროცესები ეცემა. აქვე აღსანიშნავია, რომ ფარიანის ეს სახე განსაკუთრებით ბევრ ექსკრემენტებს იძლევა. მის მასობრივ გავრცელების დროს დაფნის ფოთლები ცვივა და ის ზოგჯერ კიდევაც ხმება.

4. *Chrysomphalus dictyospermi* L. წითელი მრგვალი ფარიანის მონათესავე სახეა და დაახლოებით იგივე წესით აზიანებს დაფნას. მაგრამ მას ისე დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც წითელ მრგვალ ფარიანს, მომეტებულად გვხვდება აფხაზეთში.

5. *Chrysomphalus ficus* Ashm.—ფორთოხლის მრგვალი ფარიანი. გვხვდება ფოთლის ზედა მხარეზე, ტოტებზე და ღეროზე. ჩვენში აქამდე აღნიშნულია დაფნაზე მხოლოდ სათბურებში და შენობებში, მაგრამ მოსალოდნელია, რომ გავრცელდეს ამ კულტურაზე ბუნებრივ პირობებშიც, პირველ რიგში შავი ზღვის სანაპიროებზე.

6. *Coccus hesperidum* L.—კუხებრი ფარიანი. ცხოვრობს წარსულ და მიმდინარე წლის ტოტებზე, იშვიათად ფოთლებზე. ამ უკანასკნელებზე მას ეხვედრით ორივე მხარეზე, უმთავრესად მთავარ ძარღვების გასწვრივ. დაზიანების შედეგად მცენარის დასუსტებას, მოსავლის შემცირებას და ზოგჯერ ფოთლების ჩამოცვენასაც ვლენულობთ. ჩვენს პირობებში, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროებზე, ძალიან გავრცელებული სახეა. ისე, როგორც წითელი მრგვალი



ფარიანი, იძლევა ბევრ ექსკრემენტებს, რის გამო ხშირია მთელი ბუჩქნარის გაშავება.

7. *Iceria purchasi* Mask.—ავსტრალიის ფარიანი. ფარიანის ეს სახე ითვლება ციტრუსოვან კულტურათა და აგრეთვე დაფნის ძალიან საშიშ მავნებლათ. მის წუწნის გამო მცენარე სუსტდება, ფოთლები ცვივა, ზრდა უჩერდება და ბოლოს კიდევაც იღუპება. აღსანიშნავია, რომ ავსტრალიის ფარიანი ძალიან ჩქარა მრავლდება და თანაც 200-ზე მეტ სხვადასხვა სახის მცენარეზე ცხოვრობს. ჩვენში ეს მავნებელი პირველად შემთხვევით შემოტანილი იყო 1927 წელს, როგორც ჩანს პალესტინიდან, ქ. სოხუმში, სადაც 1931 წელს უკვე 10 ჰექტარ ბაღს მოედო. მიღებულ სასწრაფო ზომებით შესაძლებელი გახდა ავსტრალიის ფარიანის განადგურება და მისი სოხუმიდან სხვა რაიონებში გავრცელების აღკვეთა.

8. *Parlatoria pergandei* Comst. აზიანებს დაფნის ფოთლებს, წვრილ ტოტებს და ყლორტებს. მისი მასობრივი გავრცელება ჩვენში შემჩნეული არ ყოფილა და არც ისეთი მნიშვნელობა აქვს, როგორც ზემოთ დასახელებულ სახეებს. უმეტესად გვხვდება აფხაზეთში.

9. *Pseudococcus adonidum* L. სათბურის ფარიანი. ხშირათ ფოთლები, ყლორტები, ტოტები და ღეროც მთლიანად იფარება ამ თეთრი ფერის ფარიანებით. უფრო გავრცელებულია სათბურებში, მაგრამ აზიანებს სხვა მცენარეებთან ერთად დაფნისაც ნაწილობრივ უშუალოდ ბუნებრივ პირობებშიც შავი ზღვის სანაპიროებზე.

10. *Pulvinaria floccifera* Green.—რბილი ფარიანი. ეს სახე გვხვდება დაფნის ფოთლების ორივე მხარეს, ტოტებზე, ყლორტებზე და ღეროზეც. იძლევა შედარებით ცოტა ექსკრემენტებს. მასობრივად გავრცელებულია აფხაზეთში და შავი ზღვის სანაპიროებზე. ითვლება ჩაისა და ციტრუსოვან კულტურათა საქმეო მნიშვნელოვან მავნებლათ. მოსალოდნელია, რომ მას ჩვენში შესაფერისი ზიანი მოაქვს დაფნის კულტურისთვისაც.

11. *Saissetia olea* Bern Cock.—ზეთის ხილის ფარიანი. სწუწნის დაფნის ფოთლების ქვედა მხარეს ძარღვების გასწვრივ, წვრილ ტოტებს, ყლორტებს და სხვ. ჩვენში საერთოდ გვხვდება სათბურებში, მაგრამ შავი ზღვის სანაპიროებზე ნაპოვნი უშუალოდ ბუნებრივ პირობებშიც. ფრიად საშიშ მავნებლად ითვლება ზეთის ხილის კულტურისათვის, მაგრამ მოსალოდნელია, რომ დაფნისთვის მას ასე დიდი ზიანი არ მოჰქონდეს.

ბძობლა ფარიანების წინააღმდეგ. მემართავენ ისეთ გარეგან შხამების შესხურებას, როგორიც არის დელფინის საპონი, საპონ-ნავთი, ემულსოიდი, მწერშხამი (насекомояд), მინერალური ზეთები და სხვ. ეს წამლობა უფრო კარგ შედეგებს იძლევა ახალგაზრდა მატლების წინააღმდეგ. ამიტომ შესხურებას აწარმოებენ 2—3-ჯერ, რადგანაც ფარიანები 1—2 და ზოგჯერ მეტ თაობებსაც იძლევიან წლის განმავლობაში. განსაკუთრებით უფრო მისაღებია პლანტაციის გვიან შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე წამლობა უფრო დიდი დოზებით, ვიდრე ეს მიღებულია ზაფხულის განმავლობაში (დელფინის საპონი 5%, საპონ-ნავთი—4%, ემულსოიდი—4% და სხვ.) კულტურულ-სამეურნეო ზომებიდან აღსანიშნავია

ლანტაციებში და მათ ახლოს იმ მცენარეების მოსპობა, რომლებიდანაც ფარინები დაფნაზე გადმოდის (კამელია, გარეული ლიმონი და სხვ.).

დაფნის ღეროსა და ტოტებს აზიანებს ხარაბოზა *Niphona picticornis* Muls. ამ სახის მატლი ცხოვრობს მერქანში და აქ ხერვლების გაკეთებით იწვევს მცენარის ან მისი ნაწილების გახმობას. ჩვენში არ გვხვდება, მაგრამ მოსალოდნელია შემთხვევით შემოტანილი იქნეს, თუ არ იქნა დაცული კარანტინული ზომები. გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე (პალესტინა).

ბრძოლა.—კარანტინის დაცვა საზღვრებზე.

ჩვენში დაფნაზე გვხვდება ქერქიჰამია *Nyopthenemus lezhavai* Platn. ეს მავნებელი ვრცელდება უმთავრესათ დასუსტებულსა და დაავადებულ მცენარეებზე. ხერვლებს იკეთებს ქერქის ქვეშ, რასაც მავნებლის მასობრივ გავრცელების დროს ამ უკანასკნელის მოვარდნა და მცენარის გახმობაც მოსდევს. საკმაოდ გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზიანი მოაქვს ყინვებისაგან დაზიანებულ მცენარეების დაღუპვით (იმ შემთხვევაშიც კი, როცა ყინვისგან გამოწვეული დაზიანება უმნიშვნელოა).

ბრძოლა. ჰიგიენური ზომების დაცვა (დაავადებულ და ძალიან დასუსტებულ მცენარეების პლანტაციიდან გატანა-მოსპობა). მისაღება წაქცეული საჭერი ხეებიც, რომელთა გაქერქვა ან მოსპობა უნდა მოხდეს მატლების დაჭურვამდე.

ჩრდილო და შუა ევროპაში დაფნას აზიანებს მხერხავი *Priophorus padi* L. (= *Cladius albipes* auct). მისი მატლები იკვებება ფოთლებით. მათ ვხვდებით ფოთლების ქვედა მხარეზე, სადაც ისინი ღრღინა რბილ ნაწილებს. დაჭურვება ხდება პარკში ფოთლებს შუა. ჩვენში შემჩნეული არ ყოფილა. საშიშ მავნებლათ არ ითვლება.

ბრძოლა. კარგ შედეგებს იძლევა შინაგანი მზამების შესხურება ან შეფრქვევა. კარანტინულ ზომების დაცვა.

ამ ზემოდ ჩამოთვლილ მავნებლებს გარდა დაფნის საშიში მტრებია სხვა მცენარეებზე გავრცელებული მავნებლებიც, რომლებიც ჩვენს პირობებში უკვე კარგად არის შესწავლილი და რომელთა წინააღმდეგ ჩვენში თიდი ხანია ბრძოლა სწარმოებს (იხ. ლ. კალანდაძის და ირ. ბათიაშვილის წიგნი: „სას.-სამ. ენტომოლოგიის მოკლე კურსი“. სახელგამი. 1932 წ.). ამ მავნებლებს ეკუთვნის მახრა ანუ ბოსტანა (*Gryllotalpa gryllotalpa* L.) ის აზიანებს ახალ ამოსულ, წამოზრდილ მცენარეების ფესვებს და დათესილ მარცვლებს. მახრას განსაკუთრებით დიდი ზიანი მოაქვს ისეთ ნაკვეთებში, სადაც დაფნას ნასიმინდარზე სთესვენ. მოსალოდნელია, რომ იგივე ახალ ამოსულ და წამოზრდილ დაფნას აზიანებდეს (სჭირდეს ყელთან) ზვატარი ანუ მჭრელი (*Euxoa segetum* Schiff და სხვ.) და აგრეთვე მავთულაქია (*Elateridae*-ს და *Tenebrionidae*-ს წარმომადგენლები). ზიანი მოაქვს დაფნის ფესვების, გადაწვენილ ღეროს, ან გასამრავლებლათ ნიადაგში ჩარგულ ღეროს ნაჭრის გადაღრღინით მარმარილოს ხოტოს (*Polyphylla olivieri* Lap.) და ივინის ხოტოს (*Amphimalus solstitialis* L.) მატლებს. დაფნის კვირტები და ფოთლები კი ზიანდება კალიებიხაგან (*Calliptamus italicus* L., *Anacridium aegyptium* L.) და მკედლებიხაგან (*Tettigonia viridissima* L., *Conocephalus nitidulus* Scop., *Decticus*

annaelisae Ramme და სხვ.). ფოთლებზე და კვირტებზე გვხვდება ჩვენს პირობებში არ არის შესწავლილი. საეკვოა, მაგრამ შესაძლებელია, რომ დაფნის ფოთლებით იკვებებოდეს არაფარდაბრე შუმშქსოვი (*Porthetria dispar* L.) და სხვ. აბრეშუმშქსოვები.

არა მწერების კლასიდან როგორც დაფნის მავნებლები დასასახელებელია ტიპები (*Acarinea*-ს წარმომადგენლები),¹ რომლებიც თავის წუწნით იწვევს ფოთლების სილაქავეს, მცენარის დასუსტებას და ზოგ შემთხვევებში ფოთლების ჩამოცვენასაც. ადგილი აქვს ზოგ პირობებში დაფნის პლანტაციებში მინდვრის თავების გავრცელებას (*Microtus arvalis* Pall. და *Microtus socialis* Pall.). ეს უკანასკნელი ღრღინან ახალ ამოსულ და წამოზრდილ მცენარეებს, სპამენ დათესილ მარცვლებს და სხვ.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ დაფნის მავნე ენტომოფაუნის ეს სია, როგორც ზევით იყო აღნიშნული, ცხადია, სრულიად ვერ ამოსწურავს ჩვენს პირობებში ამ კულტურაზე გავრცელებულ მავნებლების სახეებს, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ შემდგომი დაკვირვებებით შევძლებთ ამ ნაკლის შეესებას.

შ მ თ ა ვ რ ა ს ი ლ ი ტ ა რ ა ტ უ რ ა ა

1. Dingler. Biologis. Zentral blaft. 1930.
2. Gray and Kirpatrick. Journ. Econ. Entom. 1928.
3. Зайцев. Записки Тифлисск. Бот. сада. III. 1923.
4. ლ. კალანდაძე და ირ. ბათიაშვილი. სსს. სამ. ენტომოლოგიის მოკლე კურსი. სახელგამი. 1932 წ.
5. Корольков. Абхазская С. Х. станция. 1925.
6. Лезава. Матер. к позн. короедов Грузии. Ленинград. 1929.
7. Lindinger. Die schildläuse. 1920.
8. Leonardi. Monograph. Coccid. 1920.
9. Marchal. Frans. Wisc. Acad. Sc. XXV. 1930.
10. Михельсон. Вредители цитрусовых культур и борьба с ними. Сухум. 1920.
11. Noguchi. Spec. Rept. Agr. Exp. St. Shiz. 1928.
12. Список вредных насекомых С.С.С.Р. и сопредельных стран. Ленинград. 1932.
13. Smith and Compere. Univ. Calif. Rubl. Ent. VI. 1928.
14. Тулашвили. Наблюдения над вредит. чая и цитрусовых. Батум. побер. в теч. 1927—1928 г. Изв. отд. Защиты Раст. № 1. Тифлис. 1930.

¹ ცალკე სახეები არ არის გამოჩვენებული.

Проф. Я. КАЛАНДАДЗЕ

МАТЕРИАЛЫ К ВРЕДНОЙ ЭНТОМОФАУНЕ БЛАГОРОДНОГО ЛАВРА (*LAURUS NOBILIS*) В УСЛОВИЯХ С. С. Р. ГРУЗИИ

(КАФЕДРА ЗАЩИТЫ РАСТЕНИЙ ГОС. СЕЛЬСКО-ХОЗ. ИНСТ. ГРУЗ)

В Грузии культурой благородного лавра занимаются уже давно, но его вредители почти вовсе не изучены. Ниже приведенные данные имеют отчасти ориентировочный характер, т. к. стационарных наблюдений мы не проводили (использованы личные наблюдения и некоторые данные, как советской, так и иностранной литературы). Для более детального изучения состава вредной энтомофауны этой весьма ценной культуры надо в срочном порядке открыть временный наблюдательный пункт на Черноморском побережье.

Важными вредителями благородного лавра являются следующие виды щитовок (*Coccidae*):

1. *Aspidiotus hederae* Val. Sign. — Олеандровая щитовка. Широко распространена в Абхазии и вообще на побережье Черного моря.

2. *Aspidiotus camelliae* Sign. В Грузии отмечен только в оранжерейных условиях и помещениях, но надо ожидать, что встречается на лавре и в естественных условиях, в особенности на черноморском побережье.

3. *Chrysomphalus aurantii* Mask. — Красная круглая щитовка. Имеет широкое распространение почти во всех районах разведения благородного лавра. Является серьезным вредителем этой культуры.

4. *Chrysomphalus dictyospermi* L. Близкий к красной круглой щитовке вид. Стмечен преимущественно в Абхазии.

5. *Chrysomphalus ficus* Ashm. — Круглая апельсиновая щитовка. Зарегистрирована как вредитель блатор. лавра в оранжереях и



помещениях, но не исключена возможность распространения ее и в природных условиях на черноморском побережье.

6. *Coccis hesperidum* L.—Черешка. Очень распространенный вид, в особенности на черноморском побережье.

7. *Jceria purchasi* Mask.—Австралийский червец. Считается весьма серьезным вредителем citrusовых, а также и благородного лавра. Случайно был завезен в Сухум в 1927 году, но в ближайшие следующие годы, благодаря решительным мерам, местные очаги были ликвидированы, вследствие чего не получил распространения в других районах.

8. *Parlatorea pergandei* Comst. Массовое размножение этого вида в Грузии не отмечено. Встречается преимущественно в Абхазии.

9. *Pseudococcus adonidum* L.—Оранжевый червец. Встречается в апельсинах на черноморском побережье, но повреждает благород. лавр отчасти и в природных условиях.

10. *Pulvinaria floccifera* Green.—Мягкий червец.—Считается довольно серьезным вредителем чая и citrusовых, но отмечен также и на благородном лавре. Встречается на всем черноморском побережье.

11. *Saissetia olea* Bern. Cock.—Оливковая щитовка. Вредит в апельсинах и в помещениях, но в Абхазии и вообще на черноморском побережье повреждает благ. лавр и в природных условиях.

Из других вредителей лавра следует отметить усача *Nipona picticornis* Muil, который сильно распространен на побережье Средиземного моря (Палестина). У нас не отмечен. Короед *Hurothenemus lezhavai* Platn. Имеет массовое распространение в Западной Грузии. Нападает в особенности на поврежденные от морозов citrusовые, благ. лавр и др. культуры. Как вредителя благ. лавра следует назвать пилильщика *Priophorus padi* L., который в Грузии не отмечен.

Кроме выше названных вредителей, благ. лавр повреждают также и вредители других культурных растений, как например: медведка (*Gryllotalpa gryllotalpa* L.), Закавказский мраморный хрущ (*Polyphylla olivieri* Lap.), июньский хрущ (*Amphimalus solstitialis* L.), саранча (*Caliptamus italicus* L., *Anacridium aegyptium* L.), кузнечики (*Tettigonia viridissima* L., *Conocephalus nitidulus* Scop., *Decticus annaelisae* Ramme) и т. д. На благород. лавре нами также были отмечены тли (*Aphididae*) и клещики (*Acarinea*), но видовой состав их еще не изучен. В некоторых случаях имело также место повреждение благ. лавра полевыми мышами (*Microtus arvalis* Pall и *M. socialis* Pall.).

Prof. L. KALANDADZE

ON THE HARMFUL ENTOMOFAUNA OF THE LAURUS NOBILIS UNDER CONDITIONS OF THE S. S. R. OF GEORGIA

(Chair for Plant protection of the State Agricultural Institute of
Georgia)

In spite of the fact that it's long since the cultivation of *Laurus nobilis* has been started in Georgia, its parasites remain almost unknown. The very character of the following data is partly just orientational and this because no stationary observations have been performed (we made use of personal observations as well as of certain data found in both soviet and foreign literature). In order to provide a detailed study regarding the very composition of the harmful entomofauna of this greatly valuable culture a temporary observatory station has to urgently be opened on the Black Sea shore.

The following varieties of *Coccidae* represent important parasites of the *Laurus nobilis*.

1. *Aspidiotus hederæ* Val. Sign.—Oleander *Coccidae*. Largely spread in Abkhazia and in general along the Black Sea shore.

2. *Aspidiotus camelliae* Sign. Is found in Georgia but under hot-house conditions; nevertheless we ought to believe that it's to be found on the *Laurus nobilis* under natural conditions especially along the Black Sea shore.

3. *Chrysomphalus aurantii* Mask.—Red, round *Coccidae*. It's Largely spread in almost all those districts in which *Laurus nobilis* is cultivated, and represents, for this culture, a serious parasite.

4. *Chrysomphalus dictyospermi* L. A variety closely related to the red, round *Coccidae*, and observed mainly in Abkhazia.



5. *Chrysomphalus ficus* Ashm.—round, orange Coccidae. Registered as a parasite of *Laurus nobilis* in hot-houses and rooms; it may, however, spread under natural conditions along the Black Sea shore.

6. *Coccus hesperidum* L.—a variety largely spread, especially along the Black Sea shore.

7. *Iceria purchasi* Mask.—Australian cochineal is considered as a very serious parasite of citruses as well as of *Laurus nobilis*. It occasionally penetrated into Sukhum in 1927, but within the following years proper measures were taken and its local hearths liquidated. Owing to above mentioned it did not spread into other districts.

8. *Parlatoria pergandei* Comst. No spreading en masse of this variety has been observed in Georgia. It's mainly found in Abkhazia.

9. *Pseudococcus adonidum* L.—orange cochineal. It's to be found in hot-houses along the Black Sea shore, but attacks *Laurus nobilis* also under natural conditions.

10. *Pulvinaria floccifera* Green—Soft cochineal. Is considered as a rather serious parasite of the tea bush and citruses, and also observed on the *Laurus nobilis*. It's found within the limits of the Black Sea shore.

11. *Saissetia olea* Bern. Cock.—olive coccidae acts as a parasite in hot-houses and rooms, but in Abkhazia and in general within the limits of the Black Sea shore injures *Laurus nobilis* under natural conditions.

As to other parasites of the *Laurus nobilis* we ought to mention *Niphona picticornis* Muls that is largely spread on the Mediterranean Sea shore (Palestine). It has not been observed in Georgia; *Hypothenemus lezhavai* Platn.—is spread en masse in Western Georgia. It mainly attacks citruses, *Laurus nobilis* and other cultures injured by frost; *Priophorus padi* L. that is not observed in Georgia, has also to be mentioned as a parasite of the *Laurus nobilis*.

Besides above mentioned parasites the *Laurus nobilis* is injured by parasites of other cultural plants such as: the mole-cricket (*Grylotalpa grylotalpa* L.), the Transcaucasian *Polyphylla olivieri* Lap., the June Amphimalus *solstitialis* L., the locus (*Caliptamus italicus* L., *Anacridium aegyptium* L.), the grass-hoppers (*Tettigonia viridissima* L., *Conocephalus nitidulus* Scop., *Decticus annaelisae* Ramme) etc.

Plant-louse (Aphididae) and mites (Acarinea) have been noted by us on *Laurus nobilis*, but these latter have not yet been studied. In certain cases *Laurus nobilis* has been injured by field mice (*Microtus arvalis* Pall. and *Microtus socialis* Pall.).

დ. იაშვილი

პროფესორი სევერიან იოსების ძე ბუაძე

(1895—1934)

ნ ე კ რ ა ლ ო გ ი


წარს. წლის 27 თებერვალს ქ. ჰალეში (Halle a/S) მოულოდნელად გარდაიცვალა ფილტვების ანთებით ტფ. უნივერსიტეტში პროფესორად ახლად მოწვეული, მედიცინის დოქტორი, სევერიან იოსების ძე ბუაძე.

საქიროა აღინიშნოს, რომ ხევ. ბუაძის სიკვდილით ჩვენმა სამეცნიერო წრემ დაპყარვა ჯერ კიდევ ახალგაზრდა (39 წლისა), ჯან-ღონით, ენერგიით და მეცნიერული ენტუზიაზმით საესე ადამიანი, რომელსაც შეეძლო არამც თუ ჩვენ სინამდვილეში, მსოფლიო მეცნიერებაშიც თვალსაჩინო ადგილი დაეკავებინა. 1925 წლიდან სიკვდილამდე მან გამოაქვეყნა 34 ფრიად სერიოზული, მეცნიერული ნაშრომი, გერმანულ და ინგლისურ ენებზე და უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალში კიდევ უფრო ნაყოფიერი, კიდევ უფრო ღრმა იქნებოდა მისი შემოქმედებითი მუშაობა.

ს. ბუაძე დაიბადა რაქაში, სოფელ ბუგეულში 1895 წელს, 9 იანვარს ღარიბი გლეხის ოჯახში. სევერიანი 3 წლისა არც კი იქნებოდა, როცა მამა გარდაეცვალა. დარჩა დედა 2 ვაჟით და 3 ქალით; მათში სევერიანი ყველაზე უმცროსი იყო. როცა სევერიანი სასკოლო ასაკისა გახდა, დედამ მიიბარა ს. ბუგეულის სასწავლებელში, სადაც იგი სამაგალითოდ სწავლობდა, მაგრამ მალე იძულებული შეიქნა სწავლისათვის თავი გაენებებინა სიღარიბისა გამო. ვინაიდან დედას არ ქონდა საშუალება, ამიტომ სასწავლებლიდან გამოიყვანა და გაგზავნა ქუთაისში, რათა ბავშვს რაიმე ხელობა შეესწავლა. აქ პატარა სევერიანი ყოფილა მოსამსახურედ წიგნის მალაზიაში, შეუსწავლია წიგნების კინძვაც, ყოფილა მესაათესთანაც და სხვ. მაგრამ იგი თურმე მთელ თავისუფალ ღროს წიგნების კითხვას ანდომებდა. ბოლოს გადაუწყვეტია კერძოდ მზადება და ქართულ გიმნაზიაში შესვლა. მას, როგორც გლეხის შვილს, გაუჭირდებოდა ქარ-



თულ სათავედ-აზნაურო გიმნაზიაში შესვლა, მაგრამ ნაცნობებს, დაუნახავთ ბავშვის დიდი მისწრაფება სწავლისადმი, უთხოვიათ გიმნაზიის მა-
შინდელი დირექტორის იოსებ ოცხელისათვის დახმარება და მასაც მიუღია
სევერიანი მე-4 კლასში.



1916 წელს სევერიანი ათაეებს გიმნაზიას და იმავე წელს მიემგზავრება
ლენინგრადის სამედიცინო აკადემიაში. ერთი წლის შემდეგ ბრუნდება საქარ-
თველოში, უნდა შესვლა ტფ. უნივერსიტეტში, მაგრამ აქ მალე გადასწყვეტს,
რათაც არ უნდა დაუჯდეს, ევროპაში წასვლას. იგი ცდილობს მოხედეს სტი-

ბენდიანტთა რიცხვში, რადგან მატერიალურად ყოველთვის გაჭირვებული მაგრამ მენშევიკების დროს მას დახმარებას არ აძლევენ. ამისდამიუხედავად ევროპაში წასვლის და იქ საექიმო უმაღლესი განათლების მიღების სურვილი იმდენად დიდი ყოფილა მასში, რომ იგი ჰქვდავს საკუთარი ინიციატივით, მხოლოდ თავისი თავის იმედით, ევროპაში გამგზავრებას. 1919 წელს თავისი განზრახვა სისრულეში მოჰყავს: მიდის გერმანიაში და 1920 წლის ზაფხულის სემესტრში შედის საექიმო ფაკულტეტზე ჰალეს უნივერსიტეტში.

ამ დროიდან იწყება მისი ენერგიული, თავდავიწყებითი მუშაობა და შრომისმოყვარეობა.

ეს ის დრო იყო, როდესაც გერმანიაში ფულის კურსი დაეცა; გაჭირვებაში ჩაყარდნო **ს. ბუაძე** ისნა პატივცემულმა პროფ. გრ. მუხაძემ, რომელიც იმ დროს შემთხვევით ჰალეში ჩავიდა და გაიცნო იგი. პროფ. მუხაძემ გააცნო ნიჭიერი სტუდენტის გაჭირვება ამხ. სერგო ორჯონიკიძეს, რომლის პირადი განკარგულებით გადაეგზავნა ბუაძეს საქართველოდან საცაო თანხა.

ს. ბუაძე თავიდანვე ასკეტურად სცხოვრობდა; მთელ თავის დროს მეცადინეობას ანდომებდა; მთელ თავის ფულს, როგორც კი მოიხელთებდა, წიგნების შესაძენად ხარჯავდა. 15 წლის განმავლობაში მან შეაგროვა ძვირფასი ბიბლიოთეკა, რომლის ღირებულება რამდენიმე ათას მანეთს უდრის ოქროთი.

ერთ დროს სევერიანს გადაწყვეტილი ჰქონდა ვენეროლოგი გამოსულიყო, მაგრამ 1924 წელს, ე. ი. ერთი წლით ადრე, სანამ საექიმო ფაკულტეტს გაათავებდა და სადოქტორო გამოცდებს ჩააბარებდა პროფესორი გრ. მუხაძის ინიციატივით და განსვენებულ პროფ. პეტრე მელიქიშვილის წარდგენით, **ს. ბუაძეს** სტოვებენ ტფილისის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიურ ქიმიის კათედრასთან საპროფესოროდ მოსამზადებლად. იგი ამ დროიდან გადასწყვეტს საბოლოოდ, ხელი მოჰკიდოს მეცნიერულ მუშაობას ბიოლოგიურ ქიმიის და ამ დარგით შემოფარგლოს თავისი მომავალი მოღვაწეობა. ჯერ კიდევ არ ჰქონდა სევერიანს გათავებული უნივერსიტეტი, რომ შედის იგი სახელგანთქმულ ემილ აბდერჰალდენის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში და იწყებს მუშაობას მისთვის ჩვეული ენერგიით. აქვე სწერს იგი თავის პირველ მეცნიერულ სადოქტორო შრომას, რომელსაც იცავს 1925 წლის ბოლოს.

1933 წლის ბოლომდე იგი აქვეყნებს 34 მეცნიერულ შრომას.

1928 წელს უკვე უნდოდა საქართველოში დაბრუნება, მაგრამ მაშინ ეს ვერ მოხერხდა; ამიტომ რჩება ე. აბდერჰალდენის ინსტიტუტში თავისუფალ ასისტენტის თანამდებობაზე; იგი განაგრძობს მეცნიერულ კვლევა-ძიებას და ამასთან ერთად, როგორც ასისტენტი, მუშაობს აკადემიურად სტუდენტებთან და ემზადება პედაგოგიურ მოღვაწეობისათვის. 1931 წელს უკვე ჩარიცხულია უნივერსიტეტის თანამშრომელთა შტატში, ხოლო 1932 წელს ჰალე-ვიტემბერგის უნივერსიტეტი აძლევს მას Venia legendi-ს ფიზიოლოგიის კათედრაზე.

„ამ რამდენიმე თვის წინად,—სწერს **ს. ბუაძე** 1929 წ. 17 ივნისს,—სამსახურიდან გაანთავისუფლეს ჩვენი ინსტიტუტის ლაბორატორიაში მომუშავე დამსახურებული პროფესორი და გერმანიის განათლების სამინისტრომ მისი თა-



ნამდებობა მე გადმომცა. ამ აქტით ჩემი მეცნიერული აწმყო და მომზადების რუნველყოფილი ვახდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოში დაბრუნება მაინც ვადაწყვეტილი მაქვს. მოვალეობის გრძნობა ჩვენი ახალგაზრდა უნივერსიტეტის წინაშე მაინც არ მახვენებს. როცა ხსენებული ადგილი ჩავიბარე და პირობას ხელი მოვაწერე, ამ უკანასკნელში აღვნიშნე, რომ საქართველოში დაბრუნების საკითხის მოგვარებისთანავე განმათავისუფლონ“. ამ კერძო წერილში მოცემულია მთლიანი სურათი სევერიან ბუჟაძისა.

მოისწრაფოდა ს. ბუჟაძე სამშობლოსაკენ, რადგან იგი გრძნობდა თავის მომზადებულ მეცნიერულ ძალას, უნდოდა ეს ძალა აქ გამოეცადა და გადაეცა იგი ჩვენი ახალგაზრდობისათვის. მართალია, გერმანიაში იგი, ჯერ კიდევ 1929 წლიდან იყო უკვე მოწყობილი, თანდათან მიდიოდა წინ, უკანასკნელად განაგებდა ჰალეს უნივერსიტეტში იმუნიტეტის ლაბორატორიას და კითხულობდა ლექციებს ჰალეს უნივერსიტეტში, მას შეეძლო მატერიალურად სრულიად უზრუნველყო თავისი თავი, მაგრამ იგი არ იყო ისეთი, რომ საბჭოთა საქართველოს უნივერსიტეტი სხვათა უნივერსიტეტზე სამუდამოთ გაეცვალა; ამიტომ, მიიღო რა საბჭოთა საქართველოში შემოსასვლელი ვიზა, დღე-დღეზე ფიქრობდა გამომგზავრებას. ელოდა მხოლოდ საჭირო თანხას თავისი ძვირფასი ბიბლიოთეკის გადმოსატანად და ლაბორატორიის შესაქენად.

„ჩემი თხოვნა,—სწერს იგი უნივერსიტეტისადმი მიმართულ განცხადებაში ლაბორატორიის შესაქენ თანხის გაღების შესახებ,—არ არის პირადი ინტერესებით ნაკარნახევი; მე თუ თქვენს მოწვევაზე სიამოვნებით ვთანხმდები, ამის მიზეზია სურვილი ვემსახურო საქართველოს ნორჩ მეცნიერებას და, უმთავრესად, ჩაუნერგო საქართველოს ნიჭიერი ახალგაზრდობას გერმანული სიღრმე და საფუძვლიანობა“-ო. ასეთი ენით შეეძლო ელაპარაკა ს. ბუჟაძეს და ამის უფლებას აწლევდა მას მის მიერ ჩატარებული ნაყოფიერი მუშაობა 15 წლის განმავლობაში, ის 34 სერიოზული მეცნიერული ნაშრომი, რომელიც მან გამოაქვეყნა გერმანულ და ინგლისურ პერიოდულ გამოცემებში.

მოისწრაფოდა ს. ბუჟაძე საბჭოთა საქართველოსკენ და თან მოჰქონდა გამზადებული თავისი მუშაობის გეგმები და ჩამოყალიბებული შეხედულებანი ბიოლოგიური ქიმიის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობის შესახებ.

მოვიყვანოთ ერთი ადგილი ტფილისის უნივერსიტეტისადმი მიმართული მოხსენებიდან გარდაცვალების 5 თვის ადრე (2 აგვ. 1933 წ.):

„ბიოლოგიურ ქიმიას აქვს არამც თუ წმინდა თეორიული ინტერესი, არამედ უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც. ამ დარგში საფუძვლიანი მომზადების გარეშე წარმოუდგენელია ჩვენს დროში სოფლის მეურნე, მედიკი თუ ფარმაცევტი, ჰიგიენისტი თუ ბაქტერიოლოგი.

ამაო იქნება ყოველგვარი ცდა სახალხო კვების (ნორმების) დადგენისა, შესწავლილი თუ არ იქნა რეალურად ფიზიოლოგია და ქიმიკ ნივთიერებათა ცვლისა, თუ შესწავლილი არ იქნა კვების საშუალებანი და საკვები ნივთიერებანი და ამ შესწავლაზე დაფუძნებული მათი ბიოლოგიური ღირებულებანი. კლნიკებისა და საავადმყოფოების ლაბორატორიათა მართვა-გამგეობა, ისე



როგორც მუნიციპალურ და საკურორტო ლაბორატორიათა მუშაობა ჰგულისხმობს კარგად მომზადებულ პირებს, რომელნიც საფუძვლიანად იცნობენ ქიმიო-ბიოლოგიურ პრობლემებს.

მაგრამ აღარ ეღირსა მას საქართველოს მზის ნახვა, ვეღარ მოესწრო ქართულ უნივერსიტეტში მუშაობის დაწყებას.

39 წლის ჯან-ღონით საესე მოულოდნელად გარდაიცვალა უცხოეთის ცის ქვეშ 1934 წლის 27 თებერვალს და იქვე ჰპოვა სამუდამო ბინა.

ანტონ ოდიშაკია

სამეგრელოს თხილის კომოლოგიური შესწავლა¹

აღნიშნული შრომა წარმოადგენს სამეგრელოს (ზუგდიდის რაიონი) დასავლეთ ნაწილში არსებული თხილის კულტურის პომოლოგიურ შესწავლა-გამოკვლევის პირველ ცდას. ამ მიზნისათვის ნაშრომში მოცემულია ბუნებრივ-კლიმატიური და ეკონომიური პირობები; აღებულია და, შეძლებისდაგვარად, აღწერილი ჯიშების ნიმუშები და ჰერბარიუმი, მოცემულია ნაყოფის სათანადო ანალიზები და ვარიაციული მრუდეები.

მასალები აღებულია 1933 წ. 30 ივლისიდან 25 აგვისტომდე ერთნაირ პირობებში გაწეხებულ თხილის ბუჩქებიდან. სანიმუშო ნაყოფი მოკრეფილია ბუჩქზე მისი სათანადოდ დამწიფების შემდეგ, ანალიზები შესრულებულია იმავე წლის დეკემბერში საქ. სასოფ.-სამ ინსტიტუტის ლაბორატორიაში, სადაც ჯიშების ცხიმოვანება გამოკვლეულია საერთო (სოქსლეტის) წესით.

სამუშეობაროდ, საჭირო დროს უქონლობისა გამო შეუსწავლელი დარჩა ზოგიერთი, წინათ შედარებით გავრცელებული და დღეს მხოლოდ აქა-იქ შერჩენილი ესა თუ ის არასამრეწველო ჯიშები და აგრეთვე აღწერილი ჯიშების ყვავილობის დრო და ხანგრძლივობა, რაც მომავალი კვლევის საგნად რჩება.

აქვე ნებას ვაძლევ ჩემ თავს უღრმესი მადლობა გადაუხადო საერთო ხელმძღვანელობის გაწევისათვის პროფ. ნ. მ. ხომიჯურაშვილს, ე. შ. ერისთავის ასულს, მ. კორძაზიას, დოკ. ი. მ. რუხაძეს, გრ. კოსტავას, მ. რჩეულიშვილს, ა. ი. ნარეშელს და გ. გ. მხეიძეს.

სამეგრელოს სამრეწველო თხილის რაიონი მდებარეობს ქ. ზუგდიდიდან დასავლეთით, შავი ზღვის ნაპირიდან პირველ ტერასზე. მის ბუნებრივ სსზღვრებს შეადგენს: აღმოსავლეთით: ს. ახალი აბასთუმანი, „ჯოღეჯიანი“-ს ჩაის რაიონი, ს. დავიდიანი, ს. ცაიში, ს. მოგირ-ნაქალია, ს. ნაჭკაღუ და ს. წვანე;

¹ ეს გამოკლევა აგრ. ანტ. ოდიშაკიას მიერ წარმოდგენილია როგორც სადიბლომო შრომა და იბეჭდება სას.-სამ. ინსტ. მებაღეობა-მევენახ. ფაკულტ. დადგენილების თანახმად.

დასავლეთით შავი ზღვა; ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით—მდ. ინგირი (ენგურის), ხოლო სამხრეთით—ს. ოხარკალუ.

მისი გეოგრაფიული მდებარეობის ზუსტი განსაზღვრა იქნება $42^{\circ} 20' 24''$ და $42^{\circ} 32' 12''$ ჩრდილ. განიდი და $59^{\circ} 13' 13''$ და $59^{\circ} 29' 42''$ აღმ. სიგრძედი. ზღვის დონიდან ეს რაიონი მდებარეობს 12 მ. სიმაღლეზე. მისი ზედაპირი წარმოადგენს დასავლეთისკენ ოდნავ დაქანებულს, ერთ მთლიან ვაკეს, აქა-იქ მცირე ბორცვიანი მიკრორელიეფით. უტყუო ადგილებში ეს ბორცვიანობა მეღავნდება იქ, სადაც მცენარეულობა ასე თუ ისე ვანეთიარებულა; ხოლო სადაც ტყეა, ადგილი იქაც ბორცვიანია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ეს ბორცვები უფრო მოდილოა. ამნაირად, ზედაპირს ახასიათებს ტალღისებურობა. ეს გარემოება ხელს უწყობს როგორც ატმოსფერულ, ისე მდინარის წყლის დაგუბებას დაბლობ ნაწილებში, რაც იწვევს ადგილის დაქაობებას.

ამ რაიონის გეოლოგიური აღნაგობა ერთგვაროვანია. მასივი მთლიანად შესდგება მეოთხეული დროის დანალექებისაგან. ხსენებული ვაკე წარმოადგენს კავკასიონიდან ჩამომდინარე ნაკადთა მოქმედების შედეგს. ამ ნაკადების მიერ ჩამოტანილ მასალებს ამოუვსია კოლხეთის უბის ეს ნაკვეთი. ამ ნაკადებში ყველაზე მნიშვნელოვანია მდ. ენგური, რომელიც გამომდინარეობს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედიდან. იგი იკრებს მთელი სვანეთის აუზის წყლებს, აწარმოებს ამ აუზის დენუდაციას, მეტად შლამიანია, და შემდეგ ამ მასალებს აგროვებს უფრო ქვემო საფეხურზე. შესწავლილ რაიონში მდ. ენგურს მიხვეულ-მოხვეული კალაპოტი ახასიათებს, დაყოფილი ტოტებად, რომელთა შორის მოქცეულია მუდმივი ან დროებითი კუნძულები და თავთხელები. მდ. ენგურის შლამი მრავალგვაროვანია, ვინაიდან მასში შედის სხვადასხვა ამოფრქვეულ კრისტალური სიღრმის ქანები (გრანიტი, სიენიტი და სხვ.) და ნალექ (თიხა-ფიქლები, ქვიშაქვები, კირქვები, მერგელები) ქანების დაშლისაგან წარმომდგარი ელემენტები. თითქმის ამნაირივე ნალექებს იძლევიან სხვა პატარა ნაკადებიც გამოჩაქლის ამ მხრივ შეადგენს მდ. ჯუმი, რომლის ნალექები უფრო კარბონატულია. ხსენებული ნაკადები წყალდიდობის დროს ნაპირებიდან გადმოდიან, ფარავენ დიდ ფართობებს და შემოთაღნიშნულ ნაშალ მასალებს ზედაპირზე ალაგებენ.

ამავე დროს დაბლობი ადგილები ქაობდებიან. ამნაირ დაქაობებას ადგილი აქვს უმთავრესად ზღვის ნაპირის გასწვრივ.

რაიონს არ გააჩნია თავისი მეტეოროლოგიური სადგური. ხოლო რაც შეეხება უახლოეს ზუგდიდის სადგურს, ის დაშორებულია რაიონის მთავარ სოფლებს 20—22 კილომეტრით, უახლოეს ნაწილს კი—9—10 კილომეტრით. ამიტომ ამ სადგურის მონაცემები, ეჭვს გარეშეა, არ იქნებიან ამ რაიონის ატმოსფერულ მოვლენათა ზუსტი გამომხატველი. მიუხედავად ამისა, იძულებული ვართ ამ რაიონის ჰაერის დასახასიათებლად ვიხელმძღვანელოთ საქართველოს „გიმეკომი“-ს მიერ გაცემულ, ქვემოლ მოყვანილ ზუგდიდის მეტსადგურის ცნობებით.



ტემპერატურა და ჰაერის სინესტე 1926—30 წ.

	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ წლის
საშუალო ° C-ით . . .	4.7	3.9	7.2	12.9	17.6	20.0	22.4	23.0	19.3	15.7	11.6	7.3	13.8
აბსოლუტ- მინიმალ. °	-8.4	-13.1	-10.9	-1.6	3.7	7.7	13.1	11.9	5.0	0.6	-1.5	-4.8	-13.1
საშუალო-მი- ნიმალ. °	-5.9	-7.5	-4.7	0.7	6.6	9.9	14.2	14.4	8.6	4.2	0.1	-3.8	3.1
მაქსიმალ. °	17.5	17.9	23.0	32.5	35.5	37.0	34.5	37.6	36.0	31.0	26.4	21.0	37.6
ჰაერის შეფარ. სინესტე % ¹ / ₁₀	69	77	71	69	77	80	83	85	85	79	73	76	83

ნალექების საშუალო 1894—1910, 1912—15 და 1926—30 წლების

	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ წლის
ნალექები მ/მ-ში . .	107.6	110.7	82.9	117.3	99.8	133.5	163.1	146.4	160.1	111.2	137.1	147.8	1517.5
ნალექ. დღიური მაქს.	70.0	70.0	56.0	57.5	72.0	102.5	164.2	138.0	181.6	84.9	72.6	81.0	181.6
ნალექ. დღეებ. რიცხ.	14	13	11	13	12	11	11	11	11	11	13	15	145
საშუალო თვიური ლრუბლიანობა ¹	4.5	7.1	6.3	6.1	4.5	4.6	5.7	4.5	6.6	3.4	3.7	6.1	5.3
ქარის საშუალო სი- ჩქარე ²	2.0	2.7	2.3	2.3	1.8	1.8	1.1	0.9	1.1	1.0	0.8	1.1	1.6

¹, ² 1926—30 წლების.

ამ ცხრილის მიხედვით ეს რაიონი, კეპენის კლასიფიკაციით რომ ვთქვათ, ეკუთვნის ნოტიო და ზომიერად თბილ ზონას. აქ წელიწადში 8 თვე საშუალო თვიური ტემპერატურა მეტია 10° -ზე. ზამთარი შედარებით თბილია. წელიწადში ყველაზე ცივი თვის (თებერვლის) საშუალო ტემპერატურა მეტია 3° -ზე. შემოდგომა თბილია გაზაფხულზე. ნალექების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ მეტია 1500 მ/მ და განაწილებულია დაახლოებით თანაბრად მთელი წლის განმავლობაში, მინიმუმი კი ხვდება გაზაფხულზე (მარტში). აქედან ჩანს, რომ ზუგდიდის ჰავა მეტად უახლოვდება ნოტიო სუბტროპიკულს. თვით ზუგდიდი როგორც ჩანს, არ ეკუთვნის საცხებით სუბტროპიკულ ზონას ტემპერატურის მიხედვით, ვინაიდან აქ წელიწადში მხოლოდ 3 თვეა ისეთი, რომლის საშუალო ტემპერატურა აღემატება 20° , ხოლო კეპენის კლასიფიკაციით სუბტროპიკულ რაიონისთვის ასეთი ცხელი თვე უნდა იყოს არა ნაკლებ ოთხისა წელიწადში. ასეთსავე სურათს ვიღებთ ზუგდიდისათვის პროფ. ფიგუროვსკის კლასიფიკაციითაც.

ფიგუროვსკის კლასიფიკაციის მიხედვით ზუგდიდის კლიმატი განისაზღვრება ფორმულით: $4 T 19 (14) 3 > 20 P. 1500$, სადაც T-ს მარცხნივ დაწერილი ციფრი აღნიშნავს წელიწადში ყველაზე ცივი თვის საშუალო ტემპერატურას, T-ს მარჯვნივ—ტემპერატურის ამპლიტუდას, ფრჩხილებში ჩასმულია საშუალო წლიური ტემპერატურა, მის შემდეგ მოცემულია ისეთი თვეების რიცხვი, რომელთა ტემპერატურა აღემატება 20° , P-ს შემდეგ ნაჩვენებია ნალექთა წლიური ჯამი.

მინიმალური ტერმომეტრის ჩვენებით ჰაერის ტემპერატურის მინიმუმი 1926—30 წლებიდან ხვდება 1929 წლის თებერვალს და უდრის 13.1° . ამ წელს მთელს საქართველოში თებერვალი, გარდა 1911 წ. თებერვლისა, იყო ყველა წლების თებერვალზე უფრო ცივი. 1911 წელს კი თებერვლის მინიმალური ტემპერატურა სოხუმში უდრიდა— 11.8° , ხოლო 1929 წელს— 9.4° . ამ მინიმუმების შედარებიდან შეიძლება დავუშვათ, რომ უმცირეს ტემპერატურას ადგილი ექნებოდა ზუგდიდში 1911 წ. თებერვალში და დაახლოებით იქნებოდა— $15,5^{\circ}$. ამრიგად ეს ტემპერატურა შეიძლება ჩაითვალოს ზუგდიდისათვის შესაძლებელ მინიმუმად.

რაიონის უდიდესი ნაწილის ნიადაგთშემქმნელი ჯიშები არიან მდინარის ამა თუ იმ სახის მექანიკური და მინერალოგიური შედგენილობის ალუვიმი.

ამ რაიონის ნიადაგის კლასიფიკაციაში შედის შემდეგი სამი ტიპის ნიადაგის კომპლექსი:

1. ჰობიანი, 2. ეწეროვანი და 3. ალუვიური ნიადაგები¹.

ეს ნიადაგები სოფლის საბჭოების მიხედვით რომ დავახასიათოთ, შემდეგ ცხრილს მივიღებთ:

¹ ნიადაგის დახასიათებას ვახდენთ 1931—32 წ. ნიადაგმცოდნის გ. კოსტავას მიერ შედგენილ ამ რაიონის ნიადაგების რუკის მიხედვით.

ამ ცხრილის მიხედვით ეს რაიონი, კეპენის კლასიფიკაციით რომ ვთქვათ, ეკუთვნის ნოტიო და ზომიერად თბილ ზონას. აქ წელიწადში 8 თვე საშუალო თვიური ტემპერატურა მეტია 10° -ზე. ზამთარი შედარებით თბილია. წელიწადში ყველაზე ცივი თვის (თებერვლის) საშუალო ტემპერატურა მეტია 3° -ზე. შემოდგომა თბილია გაზაფხულზე. ნალექების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ მეტია 1500 მ/მ და განაწილებულია დაახლოებით თანაბრად მთელი წლის განმავლობაში, მინიმუმი კი ხვდება გაზაფხულზე (მარტში). აქედან ჩანს, რომ ზუგდიდის ჰავა მეტად უახლოვდება ნოტიო სუბტროპიკულს. თვით ზუგდიდი როგორც ჩანს, არ ეკუთვნის საესებით სუბტროპიკულ ზონას ტემპერატურის მიხედვით, ვინაიდან აქ წელიწადში მხოლოდ 3 თვეა ისეთი, რომლის საშუალო ტემპერატურა აღემატება 20° , ხოლო კეპენის კლასიფიკაციით სუბტროპიკულ რაიონისთვის ასეთი ცხელი თვე უნდა იყოს არა ნაკლებ ოთხისა წელიწადში. ასეთსავე სურათს ვიღებთ ზუგდიდისათვის პროფ. ფიგუროვსკის კლასიფიკაციითაც.

ფიგუროვსკის კლასიფიკაციის მიხედვით ზუგდიდის კლიმატი განისაზღვრება ფორმულით: $4 T 19 (14) 3 > 20 P. 1500$, სადაც T-ს მარცხნივ დაწერილი ციფრი აღნიშნავს წელიწადში ყველაზე ცივი თვის საშუალო ტემპერატურას, T-ს მარჯვნივ—ტემპერატურის ამპლიტუდას, ფრჩხილებში ჩასმულია საშუალო წლიური ტემპერატურა, მის შემდეგ მოცემულია ისეთი თვეების რიცხვი, რომელთა ტემპერატურა აღემატება 20° , P-ს შემდეგ ნაჩვენებია ნალექთა წლიური ჯამი.

მინიმალური ტერმომეტრის ჩვენებით ჰაერის ტემპერატურის მინიმუმი 1926—30 წლებიდან ხვდება 1929 წლის თებერვალს და უდრის 13.1° . ამ წელს მთელს საქართველოში თებერვალი, გარდა 1911 წ. თებერვლისა, იყო ყველა წლების თებერვალზე უფრო ცივი. 1911 წელს კი თებერვლის მინიმალური ტემპერატურა სოხუმში უდრიდა— 11.8° , ხოლო 1929 წელს— 9.4° . ამ მინიმუმების შედარებიდან შეიძლება დავუშვათ, რომ უმცირეს ტემპერატურას ადგილი ექნებოდა ზუგდიდში 1911 წ. თებერვალში და დაახლოებით იქნებოდა— $15,5^{\circ}$. ამრიგად ეს ტემპერატურა შეიძლება ჩაითვალოს ზუგდიდისათვის შესაძლებელ მინიმუმად.

რაიონის უდიდესი ნაწილის ნიადაგთშემქმნელი ჯიშები არიან მდინარის ამა თუ იმ სახის მექანიკური და მინერალოგიური შედგენილობის ალუვიმი.

ამ რაიონის ნიადაგის კლასიფიკაციაში შედის შემდეგი სამი ტიპის ნიადაგის კომპლექსი:

1. ჰობიანი, 2. ეწეროვანი და 3. ალუვიური ნიადაგები¹.

ეს ნიადაგები სოფლის საბჭოების მიხედვით რომ დავახასიათოთ, შემდეგ ცხრილს მივიღებთ:

¹ ნიადაგის დახასიათებას ვახდენთ 1931—32 წ. ნიადაგმცოდნის გ. კოსტავას მიერ შედგენილ ამ რაიონის ნიადაგების რუკის მიხედვით.

კვანძ. რიცხვი	რეკის ექს-კლიკაციის №	სოფლის საბჭოები	ნიადაგის ტიპი	ქვენიადაგი
1	12	კახათი	მდინარის ალუვიონი, ქვიშა-ნი და ქვიშნარი. აქა-იქ ლების ნი-შნებით.	ალუვიონი ხეინკიანი დანალე-ქი.
2	12	შამგონა	იგივე ნიადაგები.	იგივე.
3	12	ორსანტია	იგივე.	ალუვიური ქვიშები და ქვიშ-ნარები.
4	12 13	კოკი	იგივე, ხოლო ნაწილობრივ მდინარ. ალუვიური თიხიანი და თიხნარი, აქა-იქ ლებანი.	ალუვიური ხეინკიანი დანალე-ქი.
5	13	დარჩელი	უმთავრესად მდინარის ალუ-ვიური თიხიანი და თიხნარი, აქა-იქ ლებანი.	ლიოსის მაგვარი ცისფრად შე-ფერილი თიხნარები და ალუვიური ცისფერი თიხები და თიხნარები („ქითა წყარი“).
	12		ნაწილობრივ კი მდინ. ალუ-ვიური ქვიშაანი და ქვიშნარი—აქა-იქ ლებანი.	
6	12 13	ოქტომბ.	იგივე, რაც დარჩელის ნიადა-გი.	ლიოსის მაგვარი ცისფრად შე-ფერილი თიხნარები და ალუვიუ-რი ნარიყალი დანალექი.
7	14	დიდი-ნეძი	მდინარის ალუვიური თიხიანი და კარბონატული.	კარბონატული დელუვიური თიხები, ცისფრად შეფერილი.
	7	„	ეწეროვანი დაკაობებული მძი მე თიხიანი.	ალუვიური ცისფრად შეფერი-ლი თიხები და თიხნარები.
	8	„	ეწეროვანი დაკაობებული თი-ხიანი და თიხნარები.	
8	7 8	ერგეტა	ეწეროვ. დაკაობებ. მძიმე თი-ხიანი. ეწეროვ. დაკაობებ. თიხიანი და თიხნარები.	კარბონატ-დელუვიური თიხე-ბი, ცისფრად შეფერილი. ალუვი-ური ქვიშები და ქვიშნარები. ალ-უვიური ცისფერი თიხები და თიხ-ნარები, ნაწილობრივ ალუვი-დე-ლუვიური ცისფერი თიხები.
9	12, 13 14 2, 3 9	ანაკლია	იგივე, რაც კოკის ნიადაგი. ტორფულ-კაობიანი და ლამი-ან-კაობიანი ¹ ნიადაგები. ეწეროვან-ლებიანი, ² მძიმეთი-ხიანი.	ერგეტის ქვენიადაგი, გარდა კარ-ბონატული-დელუვიური თიხებისა.
10	—	განარჯიას მუხური	ნიადაგი არ არის გამოკვლე-ული.	— —

^{1, 2} ამ ნიადაგებზე არავითარი კულტურა არ შენდება. იხ. რუკა.



ამ ტაბულით ნიადაგის მიხედვით რაიონში შემავალი სამრეწველო თხილის სოფლები შეიძლება დავეყოთ შემდეგ ორ მთავარ ჯგუფად:

1-ლი ჯგუფი—ეს იქნება ის სოფლები, რომლებსაც ახასიათებს მდინარის ალუვიური ქვიშიანი და ქვიშნარი ნიადაგები ალუვიური ნარიყალი და ალუვიური ქვიშებისა და ქვიშნარების დანალექი ქვენიადაგებით (კახათი, შამგონა, კოკი, ორსანტია). ამჟამად ჯგუფში შევლენ ის სოფლებიც, რომელთა ნიადაგი არის უმთავრესად ალუვიურ თიხიანი და თიხნარი, აქა-იქ ლების ნიშნებით, ხოლო ნაწილობრივ მდინარის ალუვიური ქვიშიანი და ქვიშნარი, ზოგიერთ ადგილას ლებიანი. მათი ქვენიადაგები შესდგებიან როგორც ალუვიურ ხვინჯიან დანალექებისა, ისე ლიოსის მავარი, ცისფრად შეფერილი თიხნარებისა და ალუვიურ ცისფერ თიხებისა და თიხნარებისაგან (დარჩელი, ოქტომბერი, ნაწილობრივ ანაკლია). მეორე ჯგუფს შეადგენენ რაიონის მეთხილეობის დანარჩენი სოფლის საბჭოები: დიდი-ნეძი, ორულ-ერგეტა და ანაკლია (უდიდესი ნაწილი). ამათ ახასიათებს ნაწილობრივ მდინარის ალუვიური თიხიანი და კარბონატული ნიადაგები (დიდი-ნეძი), სხვადასხვა ტიპის ეწეროვანი და ქაობიანი ნიადაგები (იგივე დიდი-ნეძი, ერგეტა და ანაკლია).

თუ ჩვენ ზემოხსენებულ რაიონში თხილის კულტურას იმ გარემოებას დავეუკავშირებთ, რომ პირველი ჯგუფის სოფსაბჭოების ნიადაგი რაოდენობით და ხარისხითაც მეტსა და უკეთეს პროდუქტს იძლევა, ვინემ მეორე ჯგუფის სოფსაბჭოების ნიადაგი, სადაც, მდინარეების ნაპირებთან ახლომდებარე ზოლის გარდა, შედარებით მცირესა და მდარე პროდუქტს ვღებულობთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ რაიონში სამრეწველო თხილი ხარობს უმთავრესად მდინარის ამათუმი ალუვიურ ნიადაგებზე ლებიანების გამოკლებით. ადგილობრივი მრავალწლიური დაკვირვების მიხედვით ამ ნიადაგებზე თხილნარის გაშენება მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუ ადგილის ზედაპირზე წყალი არ გუბდება და მასთან ქვენიადაგიც წყლის კარგი გამტარია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუმცა ბუჩქის ვეგეტაცია შეიძლება ნორმალური იყოს, მაგრამ მცენარე ნაყოფს ვერ გამოიყვანს.

რაიონის მკონომიური დახასიათება

სამრეწველო თხილის რაიონი, რომელიც შედის ჩვენს გამოკვლევის სფეროში, წარმოადგენს შავი ზღვის ნაპირზე მდებარე, ზუგდიდის ადმინისტრაციული რაიონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს. ამ კუთხეში შემავალი სოფლის საბჭოების მეურნეობათა და მცხოვრებთა სულობრივი რაოდენობა 1933 წლისათვის მოცემულია შემდეგ ცხრილში: (იხ. ცხრ. 3 მე-83 გვ).

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ სამეგრელოს ამ კუთხეში მეურნეობათა რიცხვი უდრის 4.894-ს, მათში: კოლმეურნეობებში შეკავშირებულია 2.537, რაც მთელ მეურნეობათა 51,8 პროც. შეადგენს. ინდივიდუალურ მეურნეობათა რიცხვი კი, 2.357 კომლი, 48.2 პროც.-ს უდრის. აღნიშნულ 10 სოფლის საბჭოს ოროვე სქესის მოსახლეობა გამოხატულია 18.978 სულით. მათ შორის 11.376, ე. ი. მთელი ამ მოსახლეობის 60 პროც., კოლექტივის წევრები არიან.

მან რიგზე	სოფლის საბჭოების დასახელება	სოფლის მეურნეობათა რაოდენობა			სოფლის მცხოვრებთა სულური რიცხვი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			კოლექტ.	ინდივ.		კოლექტ.	ინდივ.
1	კახთი	777	393	384	3.282	1.696	1.586
2	შამგონა	256	153	103	1.204	774	430
3	ორსანტია	425	321	104	1.775	1.432	343
4	კოკრ	487	274	213	2.120	1.259	861
5	ოქტომბერი	506	239	267	1.759	1.039	720
6	დიდი-ნეძი	333	145	188	1.402	602	800
7	ორულ-ფრგეტა	679	191	488	1.052	847	205
8	დარჩელი	820	543	277	3.574	2.464	1.110
9	ანაკლია	305	189	116	1.278	813	465
10	განარჯიას მუხური ¹	306	89	217	1.532	450	1.082
	სულ	4.894	2.537	2.357	18.978	11.376	7.602
	% ¹ / ₁₀₀ -ში	100	518	48,2	100	60	40

საქართველოში სახალხო მეურნეობის სააღრიცხვო სამმართველოს მიერ გამოქვეყნებული კოეფიციენტის მიხედვით ზევით ნაჩვენები მოსახლეობის რაოდენობა, 18.978 სული, მუშა ხელზე რომ გადავიყვანოთ, მივიღებთ, რომ თხილის ამ რაიონში მუშა ხელის რიცხვი 11.148 სულს უდრის.

ამ რაიონის მთელი სახანა-სათესის და სხვადასხვა კულტურების მიერ დაკავებული ფართობი შეადგენს 9678,28 ჰექტარს; მათ შორის კოლექტივებს უკავია 4.319 ჰექტარი, რაც შეადგენს მთელი ამ ფართობის 44,6 პროც.-ს; ინდივიდუალურ სექტორში კი მოქცეულია დანარჩენი 55.4 პროც.—5.359 ჰექტარის რაოდენობით. ტერიტორიის მთელი ეს ფართობი კულტურებისა და სექტორების მიხედვით იყოფა შემდეგნაირად:

¹ განარჯიას მუხური მდებარეობს რაიონის ნაჩვენებ საზღვრების გარედ—მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე ზღვის შესართავთან.



სასოფ.-სამეურნეო დარგები	კულტურები	ს უ ლ	მათ შორის		% / °-ში	
			კოლექტ.	ინდივ.	კოლექტ.	ინდივ.
მემინდვრეობა	სიმინდი . .	6,405	2,610	3,795	40.7	59.3
	ლობიო . .	146	29	117	19.9	80.1
	სოია . . .	725	385	340	53.1	46.9
	ს უ ლ .	7,276	3,024	4,252	41.6	58.4
	ტიპიკური კულტურები	ჩაი	207.58	204	3.58	98.3
რამი . . .		65—0	65	—	100	—
თამბაქო .		77—0	44	33	57.1	42.9
არახისი . .		225—0	177	48	78.7	21.3
ლუფა . . .		15—0	15	—	100	—
დაფნა . .		2—0	2	—	100	—
ს უ ლ .		591.58	507	84.58	85.7	14.3
მებაღეობა	ციტრუსები	8.6	4	4.6	46.5	53.5
	თხილი . .	1.743	752	991	43.1	56.9
	ს უ ლ .	1.751.6	756	995.6	43.2	56.8
მეზოსტენობა	სხვადასხვა ბოსტნეული	59.1	32.1	27	54.3	45.7
	ს უ ლ .	59.1	32.1	27	54.3	45.7
სულ ფართობი		9,678.28	4,319.1	5,359.18	44.6	55.4

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, სამრეწველო ხასიათის კულტურები სოია, ჩაი, რამი, თამბაქო, არახისი, ლუფა და დაფნა უმთავრესად მოქცეულია კოლმეურნეობათა სექტორში. მათი ფართობის პროცენტი 53.1 და 100 შუა მერ-

ყეობს. მაგ., დაფნა, ლუფა, რამი და ჩაი, გარდა ამ უკანასკნელის უმნიშვნელო ფართობისა (3,58 ჰექტ.), მთლიანად კოლმეურნეთა ხელშია; ინდივიდუალურ სექტორში ჯერ-ჯერობით დარჩენილია ძველი კულტურების (სიმინდი, ლობიო, თხილი) ფართობის უმეტესი ნაწილი. სასოფ.-სამეურ. დარგების და მათში შე-
მაველ კულტურების ფართობთა ხვედრითი წონა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 6.

სასოფ.-სამეურნეო დარგები	კულტურები	ს უ ლ	ხვედრითი წონა
მემინდვრეობა	სიმინდი . .	6,405	66.18
	ლობიო . .	146	1.50
	სოია . . .	725	7.49
	ს უ ლ .	7,276	75.17
ტექნიკური კულტურები	ჩაი	207,58	2.14
	რამი	65—0	0.67
	თამბაქო . .	77—0	0.79
	არახისი .	225—0	2.32
	ლუფა	15—0	0.15
	დაფნა	2—0	0.02
	ს უ ლ .	591.58	6.12
მებაღეობა	ციტრუსოვან.	8.6	0.08
	თხილი . . .	1.743—0	18.0
	ს უ ლ .	1.751.6	18.08
მებოსტნეობა	სხვადასხვა ბოსტნეული	59.1	0.63
	ს უ ლ .	59.1	0.63
სულ ფართობი		9,678.28	100

ამ ცხრილიდან ნათლად სჩანს, რომ რაიონში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დარგთა შორის ფართობის მიხედვით უმთავრესი ადგილი უჭირავს მემინდვრეობას, რომლის ხვედრითი წონა 75.17 პროც.-ს უდრის. მეორე ადგილი დათმობილი აქვს მებალეობას, რომლის ხვედრითი წონა მთელი ფართობის 18.08 პროც.-ს შეადგენს. მათ მისდევნენ ტექნიკური კულტურები—ხვედრ. წონით 6.12 პროც., და მებოსტნეობა, რომლის ხვედ. წონა გამოიხატება 0.63 პროც.-ით. მემინდვრეობის კულტურებს შორის პირველია სიმინდი, რომლის ხვედრითი წონა მთელი რაიონის ფართობის მიხედვით უდრის 66.18 პროც. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამ რაიონში თავიდანვე სიმინდი იყო და არის ძირითადი კულტურა. საერთოდ აქ სიმინდის ფართობი სულზე 0.33 ჰექტ. მოდის, რაც საშუალოდ იძლევა სულზე 4 ცენტნერ სიმინდის მოსავალს. ეს რაოდენობა სავსებით აკმაყოფილებს რაიონში მოსახლეობის კვებას.

მებალეობაში განვითარებულია მხოლოდ თხილი, რომლის ფართობის ხვედრითი წილი მთელი ტერიტორიის ფართობის 18 პროც. უდრის. რაც შეეხება ციტრუსოვანებს, მათი კულტურა აქ ჯერ-ჯერობით არ არის საქმაოდ გაგვრცელებული. როგორც ზევითაც იყო აღნიშნული, ფართობის მიხედვით ტექნიკურ კულტურათა ხვედრითი წონა რაიონში განისაზღვრება დღეს 6.12 პროც.-ით. ხოლო მებოსტნეობის 0.63 პროც.-ით. ეს აიხსნება მხოლოდ იმ გარემოებით, რომ ტექნიკური კულტურების წამოწყება აქ უკანასკნელი წლების საქმეა. ასევე ითქმის მებოსტნეობაზედაც, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გლეხები თითქმის თავის ოჯახურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლადაც კი არ მისდევდნენ. რაც შეეხება კერძოდ ჩაის, უნდა ითქვას, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი ზემოდ აღნიშნულ საზღვრებთა შორის მდებარე რაიონის ნიადაგზე ჩაის კულტურას ადგილი არა აქვს. ცხრილში ჩაის ქვეშ ნაჩვენები 207.58 ჰექტარი ფართობი თუმცა ამ რაიონში შემავალ კახათის სოფლის საბჭოს ეკუთვნის, მაგრამ იგი ჩვენს მიერ შემოხაზული რაიონის საზღვრების გარეთ ძვეს („ჯოლეჯიანი“).

გლეხის ნივთიერ მდგომარეობაზე სხვადასხვა კულტურების გავლენა მოცემულია შემდეგ ცხრილში: (იხ. ცხრ. 7).

— მოსავლიანობა მოყვანილია საქ. ს. მ. ა. ს.-ის რამოდენიმე წლის მაჩვენებლების და დამამზადებელ ორგანოების მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით. ღირებულება გამოყვანილია სახელმწიფო ფასების მიხედვით.

აღნიშნული რაიონის 10 სოფლის საბჭოს ყველა სასოფლო-სამეურნეო დარგებიდან მიღებული საერთო შემოსავლის ღირებულება, როგორც ეს უკანასკნელი ცხრილიდან სჩანს, 3.181.815 მან. უდრის. ხვედრითი წონის მიხედვით ამ ღირებულებაში პირველი ადგილი უჭირავს თხილს, რომელიც ფართობის მხრით, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მხოლოდ მეორე ადგილზე სდგას. მისი პროდუქტის საშუალო წლიური ღირებულება 1.115.520 მანეთს უდრის, რაც მთელი ღირებულებათა ჯამის 35.15 პროც.-ს შეადგენს. შემდეგი ადგილი უჭირავს სიმინდს; მას მისდევს აბრეშუმი და სხვა ტექნიკური კულტურები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა ჩვენს ცხრილში ჩაის შემოსავალი 240.83

ცხრილი 7.

კატეგორიები	ფართობი ჰექტარებში	მოსავლიანობა 1 ჰექტარზე	სულ მოსავლიანობა ცენტნერებში	ლიტრებულება მანეთებში	სულ ლიტრებულება	ხეცდროითი წონა
სიმინდი	6.405.0	12	76.860	11,65	895.419.0	28.24
ლობიო	146.0	4	584	85	49.640 0	1,60
სოია	725	6.5	4.712.5	15.25	71.866.0	2.25
ჩაი მწვანე	207.58	8.5	1.764.4	69,0	121.743.6	3.43
„ უხვეში		8.5	1.764.4	32,0	56.460.8	1.77
„ სათესლე		2.0	415,2	150,0	62.280,0	1.50
რამი	65.0	50.0	3.250.0	6.0	19.500.0	0.62
თამბაქო	77.0	4.95	381.15	171.9	65.519.7	2,10
არაზისი	225,0	4.4	990.0	108,0	106.920.0	3.46
ლუფა	15.0	2.0	30,0	1.500,0	45.000.0	1.42
დაფნა	2.0	10,0	20.0	4.00.0	8.000.0	0.35
ციტრუსოვ. (მანდარ.) . .	8.6	80.000 ც.	688.000	0.20	137.600.0	4.32
თხილი	1.743	8	13.944	80,0	1.115.520.0	35,15
ბოსტნეული	59.1	60.0	3.546.0	10,25	36.346.5	1.24
აბრეშუვის პარკი	—	—	780	500.0	390.000.0	12.55
სულ	9.678.28	—	—	—	3.181.815.6	100

მან. უდრის (56.460 მ.+62.280 მ.+121.743 მ.), მაგრამ ამ ღირებულების მიღება შესაძლებელია მხოლოდ 5—6 წლის შემდეგ, როდესაც ჩაის პლანტაცია დასრულდება და სრული მოსავლის მოცემას დაიწყებს; წელს კი მას შეუძლია ამ ღირებულების მხოლოდ 30—40 პროც. მოგვეცეს.

ამგვარად ირკვევა, რომ სადღეისოთ აქ გავრცელებულ სასოფლო-სამეურნეო დარგთა შორის უფრო ეფექტიანია მეთილიეობა, რადგან მისი შემოსავალი გლეხის ბიუჯეტის ერთ მესამედზე მეტს შეადგენს.

რაც შეეხება მესაქონლეობას, იგი ამ რაიონში ნაკლებად არის განვითარებული: მუშა ხარი რაიონში ითვლება 2.078, მეწველი ძროხა 4.828 სული, სულ—6.906 სული; წვრილფეხა საქონელიდან—ლორი 4.277 სული, ხოლო თბა და ცხვარი 110 სული, სულ 4.387 სული. აქედან—მსხვილფეხა საქონელი (მუშა საქონელი, მეწველი ძროხა და კამეჩი) ერთ მეურნეობაზე მოდის 1.41 სული, წვრილფეხა კი მხოლოდ 0.9 სული. მეწველი ძროხით მოსახლეობა უფრო დაკმაყოფილებულია, რადგან თითო მეურნეობაზე მოდის თითქმის თითო მეწველი ძროხა (4.828 ძ. : 4.894=0.99 ძროხა).

აქვე ხაზი უნდა გავუსვათ შემდეგ გარემოებას: ცხრილში ნაჩვენებ ფასები გარდა ხელისუფლება ასაქონლებს შემოსენებულ პროდუქტთა მიმწოდებელ მეურნეობებს მტკიცე ფასებში პურით, რომლის საერთო ნატურის ჯამი ზევით აღნიშნულ სიმინდის მოსავლის თითქმის ერთ მესამედს უდრის.

ცხრილი 8.

კულტურები	ფართობი ჰექტარებში	სულ მოსავალი ცენტნერებში	დასაქონლების ნორმები	პურით დასაქონლების რაოდენობა ცენტნერებში
სოია	—	4.712,5	1 ცენტნ. სოიაში $\frac{1}{4}$ ცენტ. პური	1.178
ჩაი	207,58	—	1 ჰექტ ნარგავ. 11,5 „ „	2.387
რამი	—	3.250	1 ცენტნ. რამში 1 „ „	3.250
თამბაქო	—	381,15	1 „ 1 „ „	381
ლუფა	—	30	1 „ $\frac{1}{4}$ „ „	7,5
ს უ ლ				7.203,5

ამგვარად, პურით დასაქონლება უდრის 7.203,5 ცენტნერს. ამას რომ მივემატოთ ცხრილში ნაჩვენები სიმინდის მოსავალი—76.860 ცენტნერი, მივიღებთ 84.064 ცენტნერ მარცვლეულს, რომლიდან მოსახლეობის თითოეულ სულზე მოდის 4.4 ცენტნერი.

სოფლის საბჭოების მიხედვით თხილის კულტურის ფართობის რაოდენობა და მისი ხვედრითი წონა შემდეგში გამოიხატება: (იხ. რუკა)



სოფლის საბჭოები	სულ ფართობი ჰექტარებში	ა მ ა თ შ ი		ხეცდროითი წონა
		თხილის ქვეშ	0/0 0/0-ში	
კახათი	1.361.6	222	16.3	12.73
შამგონა	487.0	87	17.9	4.99
ორსანტია	933.5	285	30.5	16.35
კოკი	1.288.0	379	29.4	21.76
ოქტომბერი	864.98	94	10.9	5.39
დიდი-ნეძი	581.0	35	6.0	2.0
ერგეტა	1.187.5	38	3.2	2.18
დარჩელი	1.665.6	307	18.4	17.62
ანაკლია	532.5	82	15.4	4.70
განარჯის მუხური	766.6	214	27.9	12.28
ს უ ლ	9.678.28	1,743	—	100

ამრიგად, სოფლის საბჭოები მათი ხეცდროითი წონის მიხედვით რომ განვიხილოთ, მივიღებთ, რომ ამ კუთხეში პირველი ადგილი მეთხილეობაში ამკამად კოკის სოფლსაბჭოს უჭირავს, შემდეგ მას მოსდევს დარჩელი, ორსანტია, კახათი და განარჯიას მუხური. დანარჩენ სოფლსაბჭოებს (ოქტომბერი, შამგონა, ანაკლია, ერგეტა და დიდი-ნეძი) მეთხილეობაში მეორე ადგილი უჭირავთ.

განხილული მაჩვენებლების ანალიზიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ამ რაიონში:

1. კოლექტივებში შეკავშირებულია სოფლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი.
2. მოსახლეობა უმთავრესად მემინდვრობას მისდევს, სახელდობრ სიმინდის კულტურას, რომლის შემდეგ ფართობის მხრივ თვალსაჩინო ადგილი თხილის ნარგავებს უჭირავს. მესაქონლეობა ნაკლებადაა განვითარებული.
3. გლეხის ბიუჯეტში თხილის კულტურა მონაწილეობს 35 პროც.-ით. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს კუთხე, სადაც სულზე 4.4 ცენტერი ანუ 27.5 ფუთი მარცვლეული მოდის და სადაც, გარდა ამისა, დიდი ადგილი სოფლის მეურნეობის სხვა დარგებსაც უჭირავს, როგორც მაგ.: მეთხილეობას, მეთამბაქობას, მებარეშუმეობას, ტექნიკურ კულტურებს და სხ., უნდა ჩაითვალოს საერთოდ დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით-კი სამეგრელოში ეკონომიურად ერთ-ერთ მოწინავე კუთხედ.

ამასთან, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებასაც, რომ:

1. ამ რაიონის ნიადაგი და ჰავა ხელს უწყობენ თხილის კულტურის განვითარებას;

2. ამ კულტურის გაშენება-გავრცელება და მოვლა შედარებით ნაკლებ ენერჯისა და ხარჯებს მოითხოვს და.

3. რაიონის ზედაპირი (ვაკე) და ნიადაგის სიფხვიერე აადვილებს აქ შექა-ნიზაციის საფუძვლით გამოყენებას, — შეიძლება ითქვას, რომ აქ თხილის კულტურას აქვს დადებითი პერსპექტივა და მისი გავრცელება მომავალში უზრუნველყოფილია კოლხეთის ქაობების ამოშრობით.

ძველად თხილის კულტურას აქ მხოლოდ ადგილობრივი მოხმარების ხასიათი ჰქონდა. ნარგავთა რაოდენობა (ძირა) მეტად მცირე იყო, ხოლო მას შემდეგ, რაც ამ საქონელზე სახელვარგარეთ მოთხოვნა გაიზარდა, გლეხებმაც კი მიჰყვეს ხელი თხილის გაშენებას სამრეწველო მიზნით და დღეს ამ რაიონში იშვიათია ისეთი მოსახლე, რომელსაც თხილის ბალი სრულებით არ ჰქონდეს. ამ კულტურას სამრეწველო ხასიათი მიეცა აქ 1890—1900-იან წლებიდან. „მეგრული თხილის“ სახელით ცნობილია ამ რაიონში მოწეული თხილი, რომელსაც საბჭოთა კავშირის ექსპორტში სათანადო ადგილი ეთმობა. რაც შეეხება სამეგრელოს (ყ. ზუგდიდის და სენაკის მაზრები) დანარჩენ რაიონების თხილს, მაგ. წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილის, ნოქალაქევის, აბაშის და სხ., თავისი თვისებით აქაური თხილი შედარებით დაბლა დგას და ჩვენს ექსპორტში მონაწილეობას ვერ-ჯერობით ვერ ღებულობს. სამეგრელოს ეს სამრეწველო თხილი ზოგიერთ კომერციულ წრეებში ცნობილია „ანაკლიის თხილის“ სახელწოდებით. ეს სახელწოდება მიიღო მან უთუოდ იქიდან, რომ ძველად, საქართველოს გასაბჭოებამდე, თხილის საწყობები ანაკლიაში იყო, საიდანაც, სხვა მოხერხებული გზების უქონლობის გამო, ნავებითა და გემებით გაჰქონდათ იგი ფოთსა და ბათუმში. დღეს კი, ჩვენში საბჭოთა წესწყობილების დამყარების შემდეგ, რაიონში გზატკეცილები და შარავნები სათანადოთაა მოწესრიგებული და, რაც მთავარია, შ. ზღვის რკინის გზა გაყვანილი, რომელიც ამ რაიონს დაშორებულია მხოლოდ 2—3 კილომეტრით (სდ. ინგირი). ამიტომ ამჟამად მთელი რაიონის თხილი გროვდება, ნაცვლად ანაკლიისა, ქ. ზუგდიდში, სადაც რკ. გზის სადგურის გვერდით აშენებულია თხილის საწმენდი ქარხანა. ამ ქარხანაში სათანადოდ გაწმენდისა და დახარისხების შემდეგ თხილი რკინის გზით გადის სხვადასხვა მიმართულებით.

ამ რაიონში თხილის კულტურის შემოტანისა და გავრცელების შესახებ ლიტერატურა სამწუხაროდ არ მოგვეპოვება. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ: 1) უხსოვარი დროიდან სამეგრელოსთან განუწყვეტელი კომერციული ურთიერთობა ჰქონდა აზიურ ოსმალეთს, რომლის მკვიდრნი — თურქები, ხოფა-ტრაპეზუნდის რაიონებიდან გადმოსახლებული, მრავლად ბინადრობდნენ ფოთსა და ყულეე-ანაკლიაში, სადაც შემოჰქონდათ თავისი ქვეყნის ნაწარმოები — ციტრუსოვანები, მარილი და სხვა, ხოლო ჩვენგან გაჰქონდათ სიმინდი, აბრეშუმი და სხვა და 2) დღეს ამ რაიონში არსებული თხილის ასორტიმენტი ანალოგიურია ოსმალეთის ზემოდ დასახლებული რაიონების თხილის ჯიშებისა, შეიძლება დავასკვნათ, რომ თხილის კულტურა აქ შემოვიდა და გავრცელდა აზიურ ოსმალეთიდან. ამას ამოწმებენ დღემდე ამ სივანზე ხალხში დარჩენილი ზეპირ-გადმოცემანიც.

როგორც სჩანს სამეგრელოში კარგად ცნობილ დამსახურებულ მასწავლებლის იოსებ ქობაღის მიერ აღგილობრივ გლეხებისაგან შეკრებილ ცნობებიდან, თურქეთიდან პირველად გავრცელებულა სამეგრელოში ორი ჯიშის თხილი „სქვერი“ და „ხოჯი“, ხოლო შემდეგ—სხვა ჯიშები. რაც შეეხება გარეულ თხილს, ე. წ. „ტყარ“ თხილს, (*Corylus Avellana L.*), აღგილობრივ მკვიდრთ არ ახსოვთ ისეთი დრო, როდესაც ეს თხილი აქ არ იყო. ამიტომ დასაშვებია, რომ ეს თხილი აღგილობრივი წარმოშობისაა და, როგორც ასეთი, დამხვედრია კულტურული თხილის. ნასიური ბინადრობა მისი იყო კახათის თემის „ჯოლეჯიანი“-ს ეწერში და „ნაიატუ“ და „ზღვაში დუდი“ შუა მდებარე ეწერში, კორცხელის თემში. ეს თხილი განთქმული იყო მოსავლიანობით. ხალხი ხმარობდა მას საქმელად. მის ჟარყოფით მხარეს შეადგენდა მეტად მაგარი ნაჭუჭი. ეს თხილი დღეს აქ თითქმის მთლიანად გადაშენებულია და ხალხში მასზე მხოლოდ მოგონება არის დარჩენილი.

სამრეწველო მიზნით თხილის კულტურის გაშენება ამ რაიონში პირველიდანვე პრიმიტიული სახით წარმოებს. სახნავ-სათესი მიწის სინაკლულეს ძველად და კულტურის სათანადოთ მოვლა-გავრცელებისათვის საჭირო ცოდნის უქონლობას იძულებული გაუხდია გლეხები თხილისთვის მემინდვრობის დარგში (მოსიმინდეთ) ნაკლებად გამოსადეგი აღვილები დაეთმოთ, მაგ. ქვიანი ნიადაგები, სიღნარი, დაქაობებული და სხვა, რაც მთელი თხილნარების ფართობის საგრძნობ ნაწილს შეადგენს. გაშენება-გამრავლება ხდება ამონაყრებით, დარგვა ნაწარმოებია, უმეტეს შემთხვევაში, წინასწარ დაუხვნელ მინდორზე ამოთხრილ პატარა ორმოებში, სადაც შემდეგ 3—4 წლის განმავლობაში ითესება სიმინდი. მეორე-მესამე წელს ხდება ნაკელის დროგამოშვებით შეტანა. რიგთა შორის მანძილი 4—5 მეტრს უდრის, ხშირად ნაკლებსაც, ხოლო რიგებში ბუჩქთა შორის მანძილი 3—4 მეტრია, ზოგ შემთხვევაში ამაზე ნაკლებიც, რაც ცხადია, ვერ აკმაყოფილებს მიღებულ აგრომომთხოვნებს. რაიონი ურწყავია. თხილი აქ, ნალექთა საკმაო რაოდენობის გამო, მორწყვას არ საჭიროებს. დროგამოშვებით ნაკელის შეტანის გარდა თხილი მოითხოვს გარეშე მცენარეებისაგან (ეკალი, რთხელა და სხვ.) გამოწმენდა-გასუფთავებას, ხოლო გადაბერების დროს (მე 12—15 წლიდან)—გაახალგაზრდავებას მიღებული აგროწესების მიხედვით.

უმიწაწყო გლეხები მენშევიკების ხელისუფლების დროს იძულებული გახდნენ, სიმინდის ფართობის გადიდების მიზნით, თავისი თხილნარები საგრძნობლად შეემცირებიათ. ამას მოჰყვა საერთოდ თხილის მოსავლიანობის შემცირება წინა წლებთან შედარებით.

უტყუარი ოფიციალური ცნობა ომამდე აქ თხილის წლიური მოსავლის რაოდენობის შესახებ სამწუხაროდ არა გვაქვს. ხოლო რაც შეეხება ბოლო წლების მოსავლიანობას, იგი მოკემულია, როგორც ზუგდიდის ქარხნის მიერ, აგრეთვე სტატისტიკურ და სათანადო დამამზადებელ ორგანოების მიერაც. ეს მოსავლიანობა, სასაქონლო გამოსავალი, ფართობები და სხვა ზუგდიდის თხილის ქარხნის 1933 წ. ცნობების მიხედვით მოყვანილია ქვემოთ შემდეგ ცხრილში:



საქართველოს
სოფლის მეურნეობის
მინისტროსთვის

მხრე	თევსაბუცის დასახე- ლება	თბილისის ფართობი ჰექტარ			საერთო გამოსავალი		სასაქონლო გამოსა- ვალი		ქარხნამ დაამზადა		
		კოლსეკ- ტორი	ინდ. სეკ- ტორი	ს უ ლ	ჰექტარზე ტონებში	ს უ ლ ტონებში	ჰექტარზე ტონებში	ს უ ლ ტონებში	ჭ 0051	ჭ 1051	ჭ 2051
1	ორსანტია . . .	139	40	179	0,6	107,4	0,48	85,92	62,28	48,2	<p>მთელი მიღებული წედველიდან სექ- სორტო თიხი გა- მიდის 75%-მდე. ხე- გვიდის რაიონიდან საქმისორტოდ იქნა გატანილი თიხი: 1930 წელს—346 ტონა, 1931 წ.—251 ტონა, 1932 წ.—76 ტონა.</p> <p>საერთოდ თბილ- ისი დაფუძნე- ლია და ამიტომ თ- იხვა ასე მკითხე მო- სავედოს. ახალ თბილ- ისარზე საშუალოდ მოსავლის ერთს მო- დის ჰექტარზე 800— 1000 კგ.</p>
2	კოკი . . .	101	60	161	0,6	96,6	0,48	77,28	68,56	9,69	
3	ანაკლია . . .	36	12	48	0,5	24,0	0,4	19,2	16,6	7,5	
4	დარბელი . . .	149	106	255	0,5	127,5	0,4	102,0	51,2	15,72	
5	განარჯიას მუშერი	35	17,5	52,5	0,5	26,2	0,4	21,0	16,0	3,3	
6	კახათი . . .	73	36,5	109,5	0,6	65,7	0,48	52,56	50,6	8,4	
7	ოქტომბერი . . .	54	13	67	0,5	33,5	0,4	25,8	20,8	1,6	
8	ორიულ-ერგვტი . . .	6	6,5	12,5	0,4	5,0	0,32	3,9	3,4	—	
9	დიდი-ნეჩი . . .	8	6,5	14,5	0,5	7,2	0,4	5,8	4,36	1,3	
10	შამგონა . . .	86	8,5	94,5	0,5	47,2	0,4	37,8	30,0	5,4	
11	სტეა არა თიხლ. სავ.	—	—	80,0	0,4	32,0	0,32	25,6	20,6	3,99	
ს უ ლ . . .		687	306,5	1073,5	0,53	572,3	0,426	456,86	600,0	344,4	105,1



ეს ცხრილი დიდად განსხვავდება ცხრილ № 7-საგან და იძლევა სურათს როგორც მოსავლიანობის რაოდენობაზე, აგრეთვე თხილის ფართობის შესახებაც, რაც უნდა აიხსნას ამ ცნობათა სიძველით. აქ ორსანტიის, კოკის და კახათის სოფლის საბჭოების ერთ ჰექტარზე ნაჩვენებია თხილის მოსავალი 0.6 ტონის რაოდენობით, ხოლო დანარჩენ სოფლის საბჭოებზე — ამაზე ნაკლები. ეს ცნობა ჯიშობრივ მოსავლიანობას კი არ გეისურათებს, არამედ იძლევა მხოლოდ სხვადასხვა ჯიშების თხილის ნარეეთა მოსავლიანობის რაოდენობას ჰექტარზე, ისიც დაახლოებით ტ საგრძნობლად ნაკლებია იმავე ცხრილ 7-ში მოცემულ ასეთსავე მოსავლიანობაზე (8 ცენტ. ჰექტარზე), რაც უფრო სარწმუნოა. აქაური თხილის ჯიშობრივი მოსავლიანობა ჯერ-ჯერობით სათანადოდ შესწავლილი არ არის და ამიტომ მასზე არავითარი სტატისტიკური ცნობები არ არსებობს. ეს კი გვაიძულებს ამ საკითხში დავეყრდნეთ ადგილზე შეკრებილ შემდეგ ცნობებს:

ცხრილი 11.

სამრეწველო ჯიშები	კარგი მოსავლიანი წელი	საშუალო მოსავლიანობის წელი	დაბალი მოსავლიან. წ.	შ ე ნ ი შ ე ნ ა
„ფუთქურამი“	1.280	960	320	მოსავალი ნაჩვენებია ჰექტარზე კილოგრამებში
„ხოჯი“	960	640	320	
„სქვერი“	800	480	160	

დანარჩენი ჯიშების მოსავლიანობა გამოკვლეული არ არის.

ჯ ი შ ე ბ ი

ა) „ფუთქურამი თხირი“ (ხავციანი თხილი). ეს ჯიში ცნობილია კომერციაში ნახევარ-ფუნდუკის სახელწოდებით. ადგილობრივი გლეხები მას აგრეთვე „ოშქაშე ხოჯი თხირს“ ეძახიან.

ბუჩქი — საშუალო ზრდის, პირამიდალური ფორმის, ხშირად დატოტეილი. მე-3 განრივის კუთხე — 80°. ამონაყარი სუსტი აქვს. საზრდელი ყლორტები — მუქი-ყვითელი; მუხლთა შორის სიგრძე — 37 მ.მ., შებუსება — საშუალო, მუხლთა შორის წერტილები — შედარებით ხშირი, საშუალო სიდიდის წერტილის მაგვარი ფორმის. საზრდელი კვირტები — სუსტად მიკრული, საშუალო სიდიდის, ბრტყელი კონუსისებური ფორმის.

1 ამ მასალების შეგროვების დროს დიდი დაზარება გავიწია მეთხილე — პრაქტიკოსმა არსენ დარასელიამ.

2 ტექნიკური მიზეზების გამო სურათების მოთავსება არ მოხერხდა.

რედ.



ფოთლი—სქელი, მომრგვალო, წვრილად დაკბილული. ყუნწის სიგრძე 14 მ/მ., ფოთლის სიფრთხანის—106 მ/მ., სივანე—97 მ/მ. შეფერვა ზედაპირის მუქი მწვანე, ქვედაპირის—ბაცი მწვანე. თანაფოთლის სიგრძე—9 მ/მ., გული-სებური. ჩენჩო ნაყოფის საგრძნობლად გრძელია თხილზე, მსხვილად, არა ღრმად დანაქვითილი, კიდების განაკვეთი—სამკუთხედის მაგვარი. ჩენჩო ძლიერ შებუს-ვილი, მოლურჯო მწვანე ფერის, ადვილად შორდება ნაჭუქს. ჯირკვლიანობა—ძლიერი.

ნაყოფი—მომრგვალო—მოპრტყო ფორმის, სიმაღლე და სივანე—21 მ/მ., მეორე სივანე—19 მ/მ. ნაჭუქი—სქელი, მაგარი, წაბლის ფერი. ზედაპირი—დასერილი, ზოლიანობა—ძლიერი. ნაყოფის ძირი—კონუსისებური; გული—თეთრი, მეტად ზეთიანი, ავსებს ნაჭუქს. კანი—წითელი. ნაყოფის რაოდენობა თანაყვავილში 2—5, ზოგჯერ მეტიც.

ამ ჯიშის ბიოლოგიურ თავისებურებას შეადგენს: საშუალო ზრდა. შედარებით ადრე ყვავილობა. შემოსვლა ივლისის ბოლო რიცხვებიდან. უყვარს ლამიანი ნიადაგი. ქვიან ნიადაგებს გაურბის, თინარ ნიადაგებზედაც ხარობს. ნაკლებად ავადდება. ახასიათებს მეტი მოსავლიანობა ნესტიან წელში. გვალვიან წლებში ნაკლებ სხმოიარობასთან გულიც ცუდათ უნეითარდება. ძლიერ ზეთიანი და გემრიელი. სიმძიმით ყველა ჯიშის თხილზე მძიმეა და განთქმულია მოსავლიანობით. ბუჩქი სტოცხლობს ხშირად 32 წლამდე, ნაყოფს ისხამს დარგვიდან მე-4—5 წლიდან. ნარგავებში უკავია 40—45 პროც.

ბ) „ციცუა თხირი“ (საადრეო თხილი). კომერციაში ეს ჯიში ცნობილია „ლაზისტანი“-ს სახელწოდებით.

ბუჩქი—ძლიერი, გადაშლილი, სუსტად გატოტილი. მე-3 განრიგის კუთხე—90°. საზრდელი ყლორტები—მუქი-ყვითელი. მუხლთა შორის სიგრძე—34 მ/მ., შებუსვა—საშუალო. მუხლთა შორის წერტილები—ოვალური ფორმის, საშუალო სიდიდის. საზრდელი კვირტები—სუსტად მიკრული, წვრილი, კონუსისებური.

ფოთლი—ელიპსის მოგვარი, არა ღრმად, უსწორ-მასწორად ორმაგ დაკბილული ყუნწის სიგრძე—10 მ/მ. ფოთლის ფირფიტა—96 მ/მ., სივანე—66 მ/მ. ზედაპირი ფირფიტის—მუქი მწვანე, ოდნავ ხორკლიანი, ოდნავ ხვერდისებურად შებუსვილი; ქვედაპირი—ღია-მწვანე, ნერვების მიყოლებითა შებუსვილი. დანერვა—ხშირი, მკაფიოდ გამოსახული. ჩენჩო თხილზე ოდნავ გრძელი, მსხვილად დანაქვითილი. კიდების განაკვეთი—სამკუთხედის მაგვარი. ჩენჩო—ოდნავ დახურული, მოყვითალო მწვანე ფერის, ადვილად შორდება ნაჭუქს, შებუსვა საშუალო. ბუსუსი—გრძელი, რბილი. ჯირკვლიანობა—საშუალო.

ნაყოფი—კვერცხის მაგვარი ფორმის, სიმაღლე—18 მ/მ., სივანე—16 მ/მ., მეორე სივანე—14 მ/მ. ნაჭუქის ზედაპირი—სადა, მოყვითალო წაბლის ფერი. ზოლიანობა ოდნავად ემჩნევა. ნაჭუქი—სქელი, მაგარი, ნაყოფის ძირი—მომრგვალო, სიდიდე 11 მ/მ., შეფერვა—ნაცრის ფერი. გული—მთლიანი, ავსებს ნაჭუქს, მომრგვალო. კანი—წითელი. თანაყვავილში 1—4 ნაყოფი, იშვიათად მეტიც.



ამ ჯიშის თავისებურებას შეადგენს: ყველა თხილზე ადრე შემოდის, ადრე ყვავილდება. სიცივეებისადმი ნაკლებ მგრძნობიარეა. მოსავალს საშუალოდ ღრუბლიანი წვიმა ზრდის. ნაყოფი ისე პატარა აქვს, რომ ქათმები მას ადვილად კენკავენ. ყველაზე ადრე ბერდება. გაახალგაზრდავებას საქიროებს მე-8—10 წლიდან. ნარგავებში უმნიშვნელო ადგილი უკავია. არა სამრეწველო ჯიშია. თხილის ცვირგრძელა-საგან შესამჩნევად ზიანდება.

გ) „სქვერი თხირი“ („შველისყურა“).

ბუჩქი—ძლიერი ზრდის, პირამიდალური ფორმის, ხშირად დატოტვილი. მე-3 განრიგის კუთხე—50—70". ამონაყარი—საშუალო. საზრდელი ყლორტები—მორუხო ფერის, საშუალო შებუსვის. მუხლთა შორის სიგრძე—42 მ/მ მუხლთა შორის წერტილები—ხშირი, ოვალური ფორმის. საზრდელი კვირტები—მაგრად მიკრული ყლორტზე, წვრილი. ფოთოლი—კვერცხისებური, მსხვილად დაკბილული. ყუნწის სიგრძე—საშუალოდ—14 მ/მ, ოდნავად შებუსვილი, ფოთლის ფირფიტის სიგრძე—101 მ/მ, სიგანე—86 მ/მ. ფირფიტის ზედაპირი—მუქი მწვანე, მკრთალი, სუსტი, ხავერდისებური, მოკლე შებუსვით, ქვედაპირი—ღია მწვანე, ძლიერი ხავერდისებური შებუსვით. დანერვა—ხშირი. ჩენჩო—ცოტათი გრძელი ნაყოფზე; მსხვილად, არა ღრმად დანაქეთილი, დახურული, ადვილად შორდება ნაჭუქს. შებუსვა—საშუალო. ფერი ჩენჩოსი მოკრეფის დროს—მოყვითალო. ჯირკვლიანობა—საშუალო. ნაყოფი—ლამაზი, კონუსისებური ბრტყელი, სიმაღლე—21 მ/მ, სიგანე—17 მ/მ, მეორე სიგანე—15 მ/მ. ნაჭუქის ზედაპირი—დასერილი; ზოლიანობა—არა ძლიერი, ფერად—წაბლის ფერი. ნაჭუქი—შედარებით სქელი, საშუალო სიმაგრის. ნაყოფის ძირი—კონუსისებური, სიღრმე—12 მ/მ, გული—თეთრი, ავსებს ნაჭუქს. კანი—წითელი. თანაყვავილში 3—5 ნაყოფი.

ამ ჯიშის დამახასიათებელია: ძლიერი ზრდა, ადრე ყვავილობა, დიდი მგრძნობიარობა გაზაფხულის ყინვებისადმი, მეწლეულობა. მოსავალს იძლევა მე-3—4 წლიდან საშუალოზე ნაკლებს. ნაყოფი, როგორც სილამაზით და გემოთი, აგრეთვე გადასამუშავებლად პირველხარისისოვანია. ბუჩქი 20—25 წელს ცოცხლობს. გაახალგაზრდავებას მე-12—14 წლიდან საქიროებს, ორგანიულ სასუქს მოითხოვს. უყვარს მზე. ჩრდილიან ადგილებსაც შედარებით კარგად ევფემა. რაიონში გავრცელებული თხილის საშინელი მტერი,—თხილის ცვირგრძელა (*Balaninus nucum* L.) მას ნაკლებად აზიანებს. „ციცუა“ თხილის შემდეგ ეს ჯიში ყველაზე ადრე შემოდის. ნარგავებში 30—35 პროც. უკავია.

დ) „დედოფალიში კიოი“ („დედოფლის თითი“) კომერციულ წრეებში წოდებულია „ტრაპეზუნდი“-ს ჯიშად. აქ შემოტანილია ხოფიდან შედარებით ბოლო ხანებში.

ბუჩქი—საშუალო ზრდის, გადაშლილი ფორმის, საშუალო დატოტვის. მე-3 განრიგის კუთხე 80". ამონაყარი—მცირე. საზრდელი კვირტები—მორუხო ფერის. მუხლთა შორის სიგრძე—55 მ/მ. შებუსვა—სუსტი. მუხლთა შორის წერტილები—არა ბევრი, ელასისებური, მსხვილი. საზრდელი კვირტები—სუსტად მიკრული მობრტყელო—კონუსისებური, წვრილი.



ფოთოლი — არა შებუსვილი, მომრგვალო — კვერცხისებური, მსხვილად, ორმაგად დაკბილული. ყუნწის სიგრძე — 19 მ/მ., ფოთლის ფირფიტის — სიგანე — 93 მ/მ. ზედაპირი ფირფიტის — გლუვი, ძლიერ მუქი-მწვანე; ქვედაპირი — ღია-მწვანე. დანერვა — ხშირი. ფოთოლთანების სიგრძე — 8 მ/მ., გულისებური ფორმის.

ჩენჩო ერთ ნახევარს თხილის სიგრძე აქვს, მეორე ნახევარი-კი ცოტათი უფრო გრძელია. ჩენჩო ადვილად შორდება ნაყოფს. ფერი ღია მწვანე. შებუსვა — სუსტი. ბუსუსი — მოკლე, რბილი. ჯირკვლიანობა — საშუალო.

ნაყოფის ფორმა მოგრძო-ბრტყელი. სიმაღლე — 25 მ/მ., სიგანე — 19 მ/მ., მეორე სიგანე — 15 მ/მ. ნაყოფის ზედაპირი — დასერილი; შუა გვერდზე ორივე მხრით სიგრძეზე ღრმა ღარი მისდევს. შეფერვა — ღია წაბლის ფერი. ზოლიანობა — ძლიერი. ნაჭუჭი — თხელი და რბილი. ძირი — მომრგვალო, სიდიდე — 11 მ/მ. გული — თეთრი, ელიპსისმაგვარი, მთლიანი, ავსებს ნაჭუჭს, გემრიელი. კანი — წითელი. თანაყვავილში — 3—7 ნაყოფი.

ჯიშის ბიოლოგიური თავისებურება: ადრე ყვავის. მოსავალი — რეგულიარული, საშუალო (ძირი იძლევა 8 კგ.). იშვიათად ქიანდება. უყვარს ღამიანი ქვიშნარი ნიადაგი, ქვიშიანზე ნაკლებად ხარობს. მოსავალს იძლევა მე-3—4 წლიდან. საუკეთესო სადესერტო ჯიშად არის რაიონში მიღებული. კომერციის მიხედვით ითვლება 1-ლ ხარისხის ჯიშად, ამიტომ მეტად ფასობს. გავრცელება ნარგავებში უმნიშვნელო აქვს (1—2 პროც.).

ე) „**სოფი თხირი**“. („ხარი თხილი). წოდებულია აგრეთვე ფუნდუკად (წითელი ფუნდუკი).

ბუჩქი — ძლიერი, მომრგვალო გადაშლილი ფორმის, საშუალო ტოტის. მე-3 განრიგის კუთხე — 70°. ამონაყარი — ძლიერი. საზრდელი ყლორტები — რუხი ფერის. მუხლთა შორის სიგრძე — 36 მ/მ. შებუსვა — სუსტი. მუხლთა შორის წერტილები — ოვალური ფორმის, არა ხშირი, საზრდელი კვირტები — საკმაო მაგრად მიკრული, კონუსისებური, საშუალო სიდიდის.

ფოთოლი — მოგრძო, კვერცხის მაგვარი, წვრილად დაკბილული. ყუნწის სიგრძე — 13 მ/მ., ძლიერ შებუსვილი. ფოთლის ფირფიტის სიგრძე — 104 მ/მ., სიგანე — 84 მ/მ. ზედაპირი — დაჭმუქნული, მუქი მწვანე, სუსტი ხავერდისებური შებუსვის; ქვედაპირი — ღია მწვანე, ძლიერი ხავერდისებური შებუსვის დანერვა — მკაფიო ხშირი.

ჩენჩო თხილზე საგრძნობლად გრძელი, წვრილად და ღრუად დანაჭეთილი, ადვილად შორდება ნაჭუჭს, დამწიფებამდე მწვანე ფერის, შემდეგ კი მოყვითალო. შებუსვა — ძლიერი. ჯირკვლიანობა — საშუალო. ნაყოფი — მომრგვალო-ბრტყელი. სიმაღლე — 20 მ/მ., სიგანე — 23 მ/მ., მეორე სიგანე — 20 მ/მ. ზედაპირი — სადა, არა ძლიერი ზოლიანობის. ნაჭუჭი — სქელი, მაგარი, წაბლის ფერი. ძირი ნაყოფისა — მომრგვალო, სიდიდე — 15 მ/მ. გული — სრული, გაშრობის შემდეგ საგრძნობლად კლებულობს. კანი წითელი. თანაყვავილში 1—11 ნაყოფი.

ჯიშის ბიოლოგიურ თავისებებს შეადგენს: ძლიერი ზრდა. მოსავალს მე-4—5 წლიდან რეგულიარულად, საშუალოს იძლევა. უყვარს ნოყიერი, მსხვილი ქვიშა-



ნარევი, შედარებით მშრალი ნიადაგი. ამ პირობებში ნესტიან წელს იტანს. თიხიანსა და კირნარ ნიადაგებზე ვერ ხარობს. მშრალსა და წლებში თხილის ცხვირგარძელა მას საგრძნობლად აზიანებს. ყვავის და ფოთლებს შლის სხვა ჯიშებზე უფრო გვიან. იწევა დაახლოებით 20 ივლისიდან. უყვარს მზიანი ადგილი. დაჩრდილულ ადგილზე ინვითარებს ნახევარგულა ნაყოფს ან მთლად უგულოს. ბუჩქი ცოცხლობს 30 წლამდე. 15—16 წლიდან მისი მსხმოიარობა თანდათან კლებულობს, ამიტომ ამ ღროიდან გაახალგაზრდავენას საჭიროებს. ომიანობამდე ეს თხილი ყველაზე მეტად ფასობდა ციმბირის ბაზარზე (ფუთი 6 მან.). საზღვარგარეთის ბაზარი დღეს მას აფასებს, როგორც შოკოლადებისათვის საუკეთესო მასალას. ნარგავებში უკავია 20 პროც.

ვ) „უჩა თხილი“ (შავი თხილი). ამას ზოგიერთები „ქულრიაჭიკ“-ს ეძახიან.

ბუჩქი — ძლიერი ზრდის, დიდად გაშლილი ფორმის, უხვად შეფოთილი. მე-3 განრიგის კუთხე—90°. ამონაყარი—ძლიერი. საზრდელი ყლორტები—მორუხო ყვავის ფერის, ძლიერი შებუსვის. მუხლთა შორის სიგრძე—34 მ/მ. მუხლთა შორის წერტილები—არა ხშირი, მოგრძო, წვრილი. საზრდელი კვირტები—საკმაოდ მიკრული, კონუსისებური ფორმის, წვრილი.

ფოთლო—ელისის მავარი, ორმაგად, წვრილად დაქბილული. ყუნწის სიგრძე—12 მ/მ, ძლიერი შებუსვით. ფოთლის ფირფიტის სიგრძე—92 მ/მ, სიგანე—64 მ/მ. ზედაპირი—სწორი, ძლიერ მუქი-მწვანე, შორიდან შავად მოსჩანს, ამიტომ უწოდეს მას „შავი თხილი“. ფირფიტის ქვედაპირი—ბაცი მწვანე. ფირფიტის ზედაპირის შებუსვა—სუსტი ხავერდისებური, ქვედაპირის—ძლიერი ხავერდისებური. დანერგა—ხშირი. ჩენჩო—თხილზე უფრო მოკლე, წვრილად დანაკეთილი, ადვილად შორდება ნაქუქს, მოყვითალო მწვანე ფერის. საშუალოდ შებუსვილი. ბუსუსი—მოკლე. ჯირკვლიანობა—ძლიერი.

ნაყოფი—მომრგვალო (ოდნავ მობრტყო) ფორმის. სიმაღლე—19 მ/მ, სიგანე—18 მ/მ, მეორე სიგანე—15 მ/მ. ზედაპირი—სადა. ზოლიანობა—საშუალო, მუქი წაბლის ფერის. ნაქუქი—სქელი, საშუალო სიმაგრის. ნაყოფის ძირი—მომრგვალო, სიდიდე—10 მ/მ.

გული—სრული, ნაქუქს ავსებს, მომრგვალო—მომბრტყო ფორმის. კანი—წითელი. თანაყვავილში მეტ შემთხვევაში წყვილი ნაყოფები: 2, 4, 6, 8. ზოგჯერ 12 ც.

ეს ჯიში ძლიერ ნაკლებად არის გავრცელებული. მას ახასიათებს კარგი მოსავლიანობა (საშუალოზე მეტი). კირიან ნიადაგებზე უკეთესად ხარობს. გაახალგაზრდავენას საჭიროებს მე-10 წლიდან. შესამჩნევად ზეთიანია. თხილის ცხვირგარძელა მას ძლიერ ემტერება. ამ მავნებლით ხშირად 30 პროც.—ით ზიანდება. არა სამრეწველო ჯიშია.

ზ) „თურქული თხილი“ (თათრული თხილი). ატარებს „კერასუნდი“-ს სახელწოდებასაც.

ბუჩქი—საშუალო ზრდის, მომრგვალო ფორმის. მე-3 განრიგის კუთხე—90°. ამონაყარი უმნიშვნელო. საზრდელი ყლორტები—მორუხო, სუსტად შებუსვილი. მუხლთა შორის სიგრძე—34 მ/მ. მუხლთა შორის წერტილები—ელისისებური,



საშუალო სიდიდის. საზრდელი კვირტები—სუსტად მიკრული, მოდირო, სისებური.

ფოთოლი მომრგვალო ფორმის, ორმაგად დაკბილული. ყუნწის სიგრძე—12 მ/მ., სუსტად შებუსხილი. ფოთლის ფირფიტის სიგრძე—97 მ/მ., სიგანე—88 მ/მ. ფირფიტის ზედაპირი—სწორი, მეჭი-მწვანე, სუსტი ხავერდისებური შებუსხვით; ქვედაპირი—ბაცი-მწვანე, შებუსხვა—ძლიერი ხავერდისებური. დანერვა—ხშირი. ნაყოფის ჩენჩო—თხილზე ცოტათი მოკლე მწვანე-ფერის, მსხვილად დანაკეთილი, კიდეების განაკვეთი—სამკუთხედის მაგვარი. ჩენჩო—სუსტი შებუსხვის, ნაქუქს ადვილად შორდება. ჯირკვლიანობა—საშუალო.

ნაყოფი—პირამიდალური ფორმის. სიმაღლე—27 მ/მ., სიგანე—20 მ/მ., მეორე სიგანე—16 მ/მ. ნაქუქი—თხელი, რბილი. შეფერვა—მუქი-ყვითელი. ზედაპირი—სუსტად დასერილი, ორივე მხრით შუაზე გაღარული. ზოლიანობა—ძლიერი. ნაყოფის ძირი—კონუსისებური, სიდიდე—13 მ/მ. გული—თეთრი, სრული, მოვრძო. კანი—წითელი. თანაყვავილში 1—5 ნაყოფი.

რაიონში ეს ჯიში ბოლოხანებშია შემოტანილი და ნაკლებად არის გავრცელებული (სოფელში 5—10 ძირი). საგვიანო ჯიშია. შემოდის აგვისტოში ყველაზე გვიან. მოსავალს საშუალო რაოდენობით და რეგულიარულად იძლევა მე-3—4 წლიდან.

ზემოდ აღნიშნულ ჯიშებიდან დღეს სამრეწველოდ ითვლებიან: „ფუთქურამი თხირი“, „სქვერი“ და „ხოჯი თხირი“, რომელთაც გავრცელების მხრით უკავიათ მთელი ნარგავების 90—95 პროც. დანარჩენი ოთხი ჯიში ჯერჯერობით მხოლოდ ადგილობრივი მოხმარების ხასიათს ატარებს.

ამათში გამონაკლისს შეადგენს ჯიში „დედოფალიში კითი“, რომელიც წინადაქ სამრეწველო იყო. დღეს ამ ჯიშს ნარგავებში უმნიშვნელო ადგილი უკავია და ამიტომ მას აქ არა სამრეწველო ჯიშთა შორის ვათავსებთ. რასაკვირველია, ამ შვიდი ჯიშით არ ამოიწურება აქაური თხილის ასორტიმენტი. შეიძლება აქა-იქ სოფლებში შეგვხვდეს თითო-ოროლა ძირი სხვა ჯიშებიც, მაგალ., „ნემსა“, „ელემე“, „ცხენის კბილა“ და სხ., მაგრამ ისინი აქ არა სამრეწველო ჯიშთა შორისაც მეორეხარისხოვანი არიან.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ შემდეგი გარემოება: სოფ. კახათში მოქ. **აღ. დარახელიამ** თავის თხილნარში შემთხვევით აღმოაჩინა ერთ ახალ ბუჩქზე პირველად გამოსკვნილი თანაყვავილი ორი ნაყოფით, რომელიც რაიონში არსებული თხილის ჯიშებისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება. ეს ახალი ჯიში (ორი ნაყოფი) სანიმუშოდ აღებულ იქნა უცნობი ჯიშის სახელით.

შესწავლილი ჯიშების თხილის წონა და ამ წონასთან გულისა და ნაქუქის წონის შეფარდება მოყვანილია შემდეგ ცხრილში: (იხ. ცხ. 12).

მეცნიერული ანალიზი

ა) სხვადასხვა ჯიშთა **თხილის წონის** (გრ-ში) ბიომეტრიკული კონსტანტების შედარება მოცემულია ქვემოთ: (იხ. ცხრილი 13).

ჯ ი შ ე ბ ი	100 თბილის წონა გრ-ში	100 თბილში		შეფარდება %/%-ში	
		გული (გრ-ში)	ნაჭუსი (გრ-ში)	გულის	ნაჭუსის
ა) "ფუთჭურამი"	350,9	145,6	205,3	41,5	58,5
ბ) "ციცუა" ¹	—	—	—	—	—
გ) "სქვერი"	264,2	133,4	130,8	50,5	49,5
დ) "დედოფალიში კითი"	294,0	135,3	158,7	46,0	54,0
ე) "ხოჯი"	403,3	168,1	235,2	41,7	58,3
ვ) "ურ თხირი"	224,3	113,1	111,2	50,4	49,6
ზ) "თურქული"	288,9	140,4	148,5	48,6	51,4

ცხრილი 13

ჯიშების დასახელება	ჯიშების №№-ბი	Lim.	M + m გრ-ში	ბ.	C %/%-ში	ი.
"ფუთჭურამი"	1	2,3—4,4	3,50 ± 0,04	+0,39	11,06	100
"სქვერი"	4	1,8—3,6	2,73 ± 0,03	+0,35	12,68	"
"დედოფალიში კითი"	5	2,2—3,5	2,93 ± 0,03	+0,31	10,55	"
"ხოჯი"	6	2,8—5,0	4,04 ± 0,05	+0,53	13,09	"
"ურ თხირი"	7	1,7—3,3	2,26 ± 0,04	+0,39	17,17	"
"თურქული"	8	2,0—3,7	2,88 ± 0,03	+0,31	10,73	"

ამ ცხრილის მონაცემების თანახმად, დასახელებული ექვსი ჯიში ნაყოფის წონის მიხედვით შემდეგ ხუთ ჯგუფად გაიყოფა:

№ 7	№ 4	№ 8	№ 5	№ 1	№ 6
2.26 ± 0.04	2.73 ± 0.03	2.88 ± 0.03	2.93 ± 0.03	3.50 ± 0.04	4.04 ± 0.05
I	II	III		IV	V

¹ ნიშნის საცნაო რაოდენობით უქონლობის გამო ეს ჯიში ანალიზის გარეშე დარჩა.



როგორც აქიდან სჩანს, ნაყოფის წონის მიხედვით ჯიშები № 7 და № 6 მკვეთრად განსხვავდებიან როგორც ყველა დანარჩენი ჯიშებისაგან, აგრეთვე ერთმანეთისაგანაც. ამასთან № 6 ჯიშის თხილის წონა ყველაზე უდიდესია, ხოლო ჯიში № 7-ს წონა—ყველაზე უმცირესი. ჯიში № 5 და № 8 საშუალო წონის ოდენობათა სხვაობა (0.05 ± 0.04) არ არის რეალური და ამიტომ ეს ჯიშები ამ თვისებით ერთიმეორისაგან არ განსხვავდებიან. რაც შეეხება ჯიშს № 1-ს („ფუტურამი“), ისიც მკვეთრად განსხვავდება ყველასაგან; ამავე დროს ჯიში № 6-ს შემდეგ მისი წონა ყველაზე დიდია. ჯიში № 4 ნაყოფის წონის მიხედვით აგრეთვე მკვეთრად განსხვავდება დანარჩენ ჯიშებისაგან.

ბ) თხილის სხვადასხვა ჯიშთა ნაჭუჭის წონის ბიომეტრიკული კონსტანტების შედარებითი ტაბულა:

ცხრილი 14

ჯიშების დასახ. №№-თ	Lim.	$M \pm m$.	s.	C %/‰-ში	n.
№ 1	1,3—2,7	$2,09 \pm 0,03$	$\pm 0,32$	15,10	100
№ 4	0,8—2,3	$1,40 \pm 0,03$	$\pm 0,26$	18,37	"
№ 5	0,9—2,3	$1,59 \pm 0,02$	$\pm 0,25$	15,61	"
№ 6	1,6—3,2	$2,35 \pm 0,03$	$\pm 0,30$	12,68	"
№ 7	0,8—2,0	$1,13 \pm 0,03$	$\pm 0,25$	22,53	"
№ 8	0,5—2,1	$1,48 \pm 0,02$	$\pm 0,22$	14,56	"

ამ ტაბულის თანახმად ნაჭუჭის წონის მიხედვით ეს ჯიშები შემდეგ 5 ჯგუფად გაიყოფიან:

№ 7	№ 4	№ 8	№ 5	№ 1	№ 6
1.13 ± 0.03	1.40 ± 0.03	1.48 ± 0.02	1.59 ± 0.02	2.09 ± 0.03	2.35 ± 0.03
I	II		III	IV	V

როგორც ვხედავთ, ნაჭუჭის წონის მიხედვითაც ჯიშები № 7 და № 6 ყველა ჯიშთა შორის ორ უკიდურესობას წარმოადგენენ, სახელდობრ: პირველი მთაგანის ნაჭუჭის წონა ყველაზე მცირეა, ხოლო უკანასკნელის—ყველაზე დიდი. ჯიშები № 4 და № 8 ამ ნიშანთვისებით ერთიმეორისაგან არ განსხვავდებიან. № 4 და № 5 ჯიში ნაჭუჭის წონის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან,




რადგან მათი წონის საშუალო ოდენობათა სხვაობა (0.19 ± 0.04) რეალურია როგორც სხვაობის შეცდომაზე სამჯერ უფრო მეტი. რაც შეეხება ჯიშს № 1-ს, ნაჭუქის წონის მიხედვით ის ყველა დანარჩენ ჯიშებისაგან მკვეთრად განსხვავდება და № 6 ჯიშის შემდეგ ამ ნიშანთვისებით ყველაზე დიდია.

გ) ქვემოთ მოყვანილია ამავე ჯიშთა გულის წონის ბიომეტრიკული კონსტანტების შედარება:

ცხრილი 15

ჯიშების დასახ. №№-თ	Lim	$M \pm m$ გრ-ში	ბ.	C %/°-ში	n.
№ 1	0,6—1,8	1,44 \pm 0,03	\pm 0,25	17,52	100
№ 4	0,5—1,9	1,35 \pm 0,02	\pm 0,19	13,97	"
№ 5	0,9—1,8	1,49 \pm 0,02	\pm 0,23	15,38	"
№ 6	0,9—2,7	1,81 \pm 0,04	\pm 0,42	23,47	"
№ 7	0,8—1,6	1,14 \pm 0,02	\pm 0,16	13,58	"
№ 8	0,7—2,0	1,42 \pm 0,02	\pm 0,19	13,20	"

ეს ჯიშები გულის წონის მიხედვით იყოფა შემდეგ ჯგუფებად:



როგორც ზემოდ მოყვანილ საშუალო ოდენობათა აღმავალ მაჩვენებლების მიხედვით დაწყობილ რიგიდან სჩანს, გულის წონის მიხედვით ექვსივე ეს ჯიშები გაიყო სამ მთავარ ჯგუფად, რომელთაგან მეორე ჯგუფი თავის მხრით იყოფა ორ ქვეჯგუფად. 1-ლ ჯგუფში შედის ყველაზე უფრო მცირე გულის წონის მქონე ჯიშები № 7, ხოლო ყველაზე უფრო დიდი გულის წონის მქონე ჯიშები № 6—მესამე ჯგუფში. რაც შეეხება მეორე ჯგუფს, უკიდურეს წევრთა ურთიერთ შორის დამოკიდებულების მიხედვით იგი იყოფა ორ ნაწილად: პირველი, —(II-ა) ერთიანობის იდენტიური ჯიშები № 4, № 8 და № 1, ხოლო მეორე—(II-ბ)



რადგან მათი წონის საშუალო ოდენობათა სხვაობა (0.19 ± 0.04) რეალურია როგორც სხვაობის შეცდომაზე სამჯერ უფრო მეტი. რაც შეეხება ჯიშის № 1-ს, ნაჭუქის წონის მიხედვით ის ყველა დანარჩენ ჯიშებისაგან მკვეთრად განსხვავდება და № 6 ჯიშის შემდეგ ამ ნიშანთვისებით ყველაზე დიდია.

გ) ქვემოთ მოყვანილია ამავე ჯიშთა გულის წონის ბიომეტრიკული კონსტანტების შედარება:

ცხრილი 15

ჯიშების დასახ. №№-თ	Lim	$M \pm m$ გრ-ში	ბ.	C %/°-ში	n.
№ 1	0,6—1,8	1,44 \pm 0,03	\pm 0,25	17,52	100
№ 4	0,5—1,9	1,35 \pm 0,02	\pm 0,19	13,97	"
№ 5	0,9—1,8	1,49 \pm 0,02	\pm 0,23	15,38	"
№ 6	0,9—2,7	1,81 \pm 0,04	\pm 0,42	23,47	"
№ 7	0,8—1,6	1,14 \pm 0,02	\pm 0,16	13,58	"
№ 8	0,7—2,0	1,42 \pm 0,02	\pm 0,19	13,20	"

ეს ჯიშები გულის წონის მიხედვით იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

№ 7	№ 4	№ 8	№ 1	№ 5	№ 6
1.14 ± 0.02	1.35 ± 0.02	1.42 ± 0.02	1.44 ± 0.03	1.49 ± 0.02	1.81 ± 0.04
I	II ა.				III
	II ბ.				
II					

როგორც ზემოდ მოყვანილ საშუალო ოდენობათა აღმავალ მაჩვენებლების მიხედვით დაწყობილ რიგიდან სჩანს, გულის წონის მიხედვით ექვსივე ეს ჯიში გაიყო სამ მთავარ ჯგუფად, რომელთაგან მეორე ჯგუფი თავის მხრით იყოფა ორ ქვეჯგუფად. 1-ლ ჯგუფში შედის ყველაზე უფრო მცირე გულის წონის მქონე ჯიში № 7, ხოლო ყველაზე უფრო დიდი გულის წონის მქონე ჯიში № 6—მესამე ჯგუფში. რაც შეეხება მეორე ჯგუფს, უკიდურეს წევრთა ურთიერთ შორის დამოკიდებულების მიხედვით იგი იყოფა ორ ნაწილად: პირველი, —(II-ა) ერთიანობის იდენტიური ჯიშები № 4, № 8 და № 1, ხოლო მეორე—(II-ბ)

№ 5, № 1 და № 8, ე. ი. ამ მეორე ჯგუფში ერთიმეორისაგან განსხვავდებიან № 4 და № 5 ჯიშები, რადგან მათი საშუალო ოდენობათა სხვაობა $(0.14 \pm 0.03$ gr. გასამკეცებულ შეცდომას თითქმის ხუთჯერაც კი აღემატება. იხ. გვ. 103—106).

ყოველივე ზემოთქმული შემდეგი მრუდეებიდანაც ცხადად სჩანს:

როგორც მოყვანილ მრუდეებიდან და ვარიაციის კოეფიციენტებიდანაც სჩანს, ყველაზე გამოუთანაბრებელი თხილის ჯიში გულის წონის მიმართ არის ჯიში № 6 („ხოჯი თხირი“—„ხარი თხილი“), ხოლო ჯიშები № 8, № 7, № 4 და № 5 მასზე უფრო მყარი გამოდგენ. რაც შეეხება ჯიშს № 1-ს,—მას ამ ორ უკიდურეს ჯგუფთა შორის შედარებით საშუალო ადგილი უკავია.

დასკვნა: I. როგორც გულის წონის, აგრეთვე ნაჭუქის წონის მიხედვით ჯიში № 7 ყველა ჯიშზე მცირეა, ხოლო ჯიში № 6 კი—დიდი. დანარჩენ ჯიშებს მათ შორის გარდამავალი საფეხურები უკავიათ.

II. გულის წონის მიხედვით ჯიშები № 1 და № 5 ერთიმეორისაგან არ განსხვავდებიან, ნაჭუქის წონის მიხედვით კი ჯიში № 1 ჯიშ № 5-ზე უფრო დიდია, ე. ი. მასზე უფრო სქელნაჭუქიანია.


დანარჩენი ჯიშები გულის წონის მიხედვით და ნაჭუქის წონის მიხედვითაც ერთნაირ თანმიმდევრობას იცავენ.

ქ ი მ ი უ რ ა ი ა ნ ა ლ ი ზ ი


რაიონიდან სანიმუშოდ აღებული და ზევით აღწერილი ყველა ჯიშების ნაყოფი, გარდა „ციცუა“ ჯიშისა, შესწავლილი იქნა ქიმიურადაც. ამ მიზნით მათ ცხიმოვანებაზე, ნაცარზე და ჰიგროსკოპიულ წყალზე საერთო (სოქსლეტის) წესით შესრულებულმა ქიმიურმა ანალიზმა შემდეგი მაჩვენებლები მოგვცა:

ცხრილი 16


ჯიშების დასახელება	ჯიშების №1-ბი	ჰიგროსკ. წყალი	ცხიმი საერთო აბსოლ. მშრალ მდგომარეობაში	ნაცარი აბს. მშრალ მდგომარეობაში
„ფუთქურამი“ . . .	1	3,79	70,85	2,63
„სჭვერი“	4	4,06	69,81	2,50
„დედრაფალიში კითი“	5	4,05	68,23	2,36
„ხოჯი“	6	4,11	68,06	2,63
„უჩა თხირი“ (შავი თხ.)	7	3,09	69,48	2,32
„თურქული“ (თათრ.) .	8	4,25	65,23	2,62



მრუდე I. № 2 და № 6 ჯიშების გულის წონა



მრუდე II № 4 და № 5 ჯიშების გულის წონა



მრუდე III. № 8 და № 1 ჯიშების გულის წონა



როგორც მე-16 ცხრილიდან ირკვევა, ზემოთ დასახელებულ ჯიშთა შორის № 1 და № 8 ჯიშები წარმოადგენენ ორ უკიდურესობას, სახელდობრ: პირველი მათგანი, ჯიში № 1, შეიცავს ყველაზე მეტ ცხიმს (თითქმის 71 პროც.-ს) და შედარებით მცირე რაოდენობით წყალს (3,79 პროც.), რაც მის დაღებში მხარეს შეადგენს; ხოლო მეორე, ჯიში № 8, პირიქით, ყველაზე მეტ წყალს შეიცავს და ცხიმებით ყველაზე უფრო ღარიბია (65,23 პროც.). დანარჩენი ჯიშები ცხიმოვნებით უფრო ჯიშს № 1 უახლოვდებიან.

ნაცრის მხრით ჯიშები № 1, № 6 და № 8 ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. დანარჩენი ჯიშებში ნაცრის რაოდენობა 2,32 და 2,50 პროც. შორის მერყეობს.

დასკვნა. თუ ჩვენ ამ ანალიზიდან მიღებულ დასკვნებს თითოეულ ჯიშის ბიოლოგიურ დახასიათებასთან ერთად განვიხილავთ, შეიძლება საბოლოოდ დავასკვნათ, რომ:

1. ჯიში № 7, მიუხედავად მისი მაღალი ცხიმოვნებისა და ყველაზე ნაკლები წყლიანობის, რაიონისათვის სამრეწველოდ ვერ გამოდგება, რადგან მოითხოვს კირით შედარებით მდიდარ ნიადაგს, რომლითაც კუთხე ძალიან ღარიბია; ამასთან მის ნაყოფს ძლიერ ემტერება თხილის ცხვირგრძელა, რომელიც მას ჩვეულებრივ თითქმის 30 პროც.-თ აზიანებს.

2. ჯიში № 8, როგორც ყველაზე მცირე ცხიმოვნების და შედარებით წყლის დიდი რაოდენობის მქონე, ანალიზის მიხედვით მოქცეულია განხილულ ჯიშებთა შორის უკანასკნელ ადგილზე. როგორც ბოლოხანებში შემოტანილი ჯიში, იგი ჯერჯერობით ნაკლებად არის ადგილზე შესწავლილი. ამიტომ საკითხი ამ ჯიშის სამრეწველო ვარგაიანობა-არვარგაიანობის შესახებ უმჯობესია ღიად დავტოვოთ. ასევე ითქმის ჯიშ № 2-ზედაც, რომლის ქვეშ ვგულისხმობთ „ცოცხა“ თხილის („საღარეო“) ჯიშს, რომელიც ანალიზების გარეშე დარჩა.

3. რაც შეეხება დანარჩენ ოთხ ჯიშს,—ისინი, როგორც ანალიზებიდან მიღებული შედეგებით, აგრეთვე თავისი ბიოლოგიური თვისებებით ამ რაიონისათვის უნდა იქნენ ცნობილი სამრეწველო ჯიშებად. ეს ჯიშები, სამრეწველო ნიშანთვისებათა დაღმავალ მაჩვენებლების მიხედვით რომ დევაწყით, შემდეგ რიგს მივიღებთ:

ჯიში № 1, № 5, № 6 და № 4. ამრიგად, ამ რაიონის სამრეწველო ჯიშებად მივიღეთ:

1. „ფუთქურამი“ (ხავსიანი) თხილი, კომერციაში წოდებული ნახევარფუნდუკად.

2. „დედოფალიში კითი“ („დედოფლის თითი“), რომელსაც აქ ეძახიან აგრეთვე „ტრაპეზუნდ“-ს.

3. „ხოჯი“ (ხარი) თხილი, კომერციაში ცნობილი „ფუნდუკის“ სახელწოდებით.

და 4. „სქვერი“ თხილი („შველისყურა“).

А. ОДИШАРИЯ

ПОМОЛОГИЧЕСКОЕ ИЗУЧЕНИЕ КУЛЬТУРЫ МЕЛКОГО ОРЕХА В МИНГРЕЛИИ (ЗУГДИДСКИЙ РАЙОН)

В Мингрелии распространены в основном следующие сорта мелкого ореха:

„Путкурами тхири“ (местное мингрельское название), в коммерческом мире идет под названием „Полуфундук“;

„Цица тхири“ (местное название), что значит „ранний сорт“. В коммерции идет под названием „Лазистан“;

„Сквери тхири“, в переводе на русский язык—„Ланье ухо“. В коммерции известен под тем же названием;

„Дедопалиши кити“, в переводе—„Царицын палец“. В коммерции же идет под названием „Трапезунд“;

„Ходжи тхири“, в коммерции известен под названием „Фундук“;

„Уча тхири“—черный орех. В коммерции известен, как „Кудрявчик“;

„Туркули тхири“,—турецкий орех,—идет под названием „красунд“ и неизвестный сорт, впервые обнаруженный в районе гр. Алексеем Дараселия и отмеченный автором.

Из всех вышеназванных сортов в настоящее время промышленными считаются „Путкурами тхири“, „Сквери“ и „Ходжи тхири“, которые занимают 90—95 проц. всей находящейся под этой культурой площади.

Остальные сорта носят ныне характер чисто местного употребления. Среди этих последних составляет исключение „Дедопалиши кити“,—сорт, который раньше считался коммерческим и вследствие незначительного своего распространения в районе постепенно отшел на задний план. По данным анализа этот сорт заслуживает полного внимания и, как таковой, должен быть распространен.

Механический и химический анализы вышеназванных сортов дали следующие результаты:



а) по абсолютному весу ореха названные сорта составляют следующие 5 групп:

№ 7 „Кудрявчик“ 2,26 гр. \pm 0,04 гр.	№ 4 „Сквери“ 2,73 гр. \pm 0,03 гр.	№ 8 „Туркули“ 2,88 гр. \pm 0,03 гр.	№ 5 „Дедопалиши кити“ 2,93 гр. \pm 0,03 гр.
I	II	III	
	№ 1 „Путкурами“ 3,50 гр. \pm 0,04 гр.	№ 6 „Х о л ж и“ 4,04 гр. \pm 0,05 гр.	
	IV	V	

Как из вышеприведенного видно, по весу плода сорта № 7 и № 6 резко отличаются как от остальных сортов, так и друг от друга. При этом вес ореха сорта № 6 — наибольший, вес же сорта № 7 — наименьший. Разница средних весовых величин ореха № 5 и № 8 ($0,05 \pm 0,04$) не является реальной и потому эти два сорта по данному признаку друг от друга не отличаются. Что же касается сорта № 1, то он по весу резко отличается от всех сортов и после сорта № 6 является наибольшим по весу. Сорт же № 4 по весу ореха также резко отличается от всех остальных сортов.

б) по весу скорлупы изученные сорта также делятся на следующие пять групп:

№ 7 1,13 гр. \pm 0,03 гр.	№ 4 1,40 гр. \pm 0,03 гр.	№ 8 1,48 гр. \pm 0,02 гр.	№ 5 1,50 гр. \pm 0,02 гр.
I	II		III
	№ 1 2,09 гр. \pm 0,03 гр.	№ 6 2,35 гр. \pm 0,03 гр.	
	IV	V	

И по весу скорлупы сорта № 7 и № 6 составляют две крайности, а именно: первый из них, № 7, имеет по весу скорлупу наименьшую из всех

сортов, а второй, № 6, — наибольшую. Сорта № 4 и № 8 по весу скорлупы друг от друга не отличаются. Сорта же № 4 и № 5 по этому признаку отличаются друг от друга, так как разница их средних весовых величин (0,19 гр. + 0,04 гр.) втрое больше своей ошибки. Что же касается сорта № 1, то он по этому признаку значительно отличается от остальных и после сорта № 6 обладает наибольшим весом скорлупы.

в) по весу ядра сорта составляют три группы:

№ 7	№ 4	№ 8	№ 1	№ 5
1,14 гр. + 0,02 гр.	1,35 гр. + 0,02 гр.	1,42 гр. + 0,02 гр.	1,44 гр. + 0,03 гр.	1,49 гр. + 0,02 гр.
II а			II б	
I		II		
№ 6				
1,81 гр. + 0,04 гр.				
III				

Как видно, в первую группу входит сорт № 7, имеющий наименьший вес ядра; сорт же № 6, имеющий наибольший вес ядра, составляет третью группу. Все остальные сорта образуют вторую группу, которая, в свою очередь, по отношению крайних ее членов друг к другу делится на две подгруппы. В первую из этих подгрупп (II а) входят идентичные по весу ядра сорта № 4, № 8 и № 1; во второй же подгруппе (II б) представлены сорта № 5, № 1 и № 8. Сорта второй подгруппы № 4 и № 5 по весу ядра резко отличаются друг от друга, т. к. разница их средних весовых величин (0,14 гр. + 0,03 гр.) больше утроенной ошибки почти в пять раз.

Все вышесказанное ясно видно и из данных в тексте вариационных кривых.

г) по химическому анализу: (см. таб. на 111 стр.).

Из анализа ясно видно, что «Путкурами тхирн» содержит самое большое количество жиров (до 71 проц.) и относительно меньше воды (3,79 проц.). Сорт же № 8 «Туркули тхирн» содержит наименьшее количество жиров (65,23 проц.) и наибольшее количество воды (4,25 проц.).

Если результаты анализов рассмотрим в связи сданной в тексте биологической особенностью каждого из изученных и описанных в тексте сор

Название сорта	№ сорта	Гигроскоп. вода	Жиры в абсолют- но в сухом ве- ществе	Зола в абсолютно сухом веществе
„Путкурами“	1	3,79	70,85	2,63
„Сквери“	4	4,06	69,81	2,50
„Дедопалиши кити“	5	4,05	68,23	2,36
„Ходжи“	6	4,11	68,06	2,63
„Уча тхири“	7	3,09	69,48	2,32
„Туркули“	8	4,25	65,23	2,62

тов, мы должны окончательно заключить, что:

1) Сорт № 7, несмотря на содержание в нем большого количества жировых веществ и наименьшего количества воды, как требующий для своего развития главным образом известковой почвы, которой данный район не располагает, не может быть промышленным; к тому же плоды его сильно повреждаются (до 30 проц.) ореховым сверлильщиком (*Balaninus piscum*).

2) Ввиду недостаточного изучения биологии сорта № 8, содержащего наименьшее количество жиров, вопрос о пригодности или непригодности его в качестве промышленного сорта пока целесообразно оставить открытым; то же самое можно сказать и относительно сорта № 2 („Цица“), который остался вне анализов.



3) Что же касается остальных четырех сортов, то они как по результатам анализов, так равно и по своим биологическим свойствам для этого района должны быть признаны промышленными сортами.

Если расположить эти сорта по нисходящим показателям их промышленных качеств, мы получим следующий ряд:

Сорт № 1, сорт № 5, сорт № 6 и сорт № 4.



მდინარეების:

I კომპლექსი წარმოადგენს:

- 1. გორაკიანი წარმოშობის ტერაქსიანი.
- 2. გორაკიანი წარმოშობის, მარმულის გიბის.
- 3. რამბან წარმოშობის.

II კომპლექსი ეწეროვან წარმოშობის:

- 5. ეწეროვანი თიხიანი და თიხნარი.
- 7. ეწეროვანი დაფარბებული მისი თიხნარი.
- 8. ეწეროვანი დაფარბებული თიხიანი და თიხნარი.
- 9. ეწეროვანი გვიხის, შიშვი თიხიანი.

III კომპლექსი პლუვიური წარმოშობის:

- 11. წივან პლუვიური ხვინციან-ლიპიანი.
- 12. შინანარის პლუვიური, ქვიშაანი და ქვიშაანი აქა-იქ გვიანის.
- 13. შინანარის პლუვიური, თიხიანი და თიხნარი აქა-იქ გვიანის.
- 14. შინანარის პლუვიური თიხიანი და ქვიშაანი გვიანის.

--- თხარის რაიონის საზღვარი



საქართველოს რუკებისა და საკანონო მხარის რაიონის
 ნიშნები
რუკა
 1:84,000

საქართველოს რუკებისა და საკანონო მხარის

1:84,000

A. ODISHARIA

ON A POMOLOGICAL STUDY OF HAZEL-NUT CULTURE IN MINGRELIA

(Zugdidi district)

The following varieties of the hazel-nut are found in Mingrelia:

„Putkurami Tkhiri“ (local mingrelian name), known in the traffic world as „Polufunduck“.

„Tsitsua Tkhiri“ (local name), meaning an early variety. In the traffic world it's known as „Lazistan“.

„Skveri Tkhiri“, meaning in russian „doe ear“. Bearing the same name in commerce.

„Dedopalishi Kiti“ if translated „Queens finger“. Known in the traffic world as „Trapezuud“.

„Khoji Tkhiri“ known as „Funduck“.

„Ucha Tkhiri“—black nut; known as „Kudriavchik“.

„Turkuli Tkhiri“—turkish nut; known as „Kerasund“.

An unknown variety observed first by cit. A. Daraselia and noted by the author.

Out of all above mentioned varieties the „Putkurami Tkhiri“, „Skveri“ and „Khoji Tkhiri“ are, at present, considered as industrial ones and occupy 90—95% of the total area of this culture.

The other varieties are, at present, considered inasmuch as this refers to local use.

Out of this latter „Dedopalishi Kiti“ has to be considered as an exception; this variety was formerly considered as an industrial one and owing to its small spreading become, gradually, of secondary importance.

Analysis have proved that proper attention has to be paid to this variety and that it must be largely cultivated.

A mechanical and chemical analysis of these varieties has given the following results:

a) according to the absolute weight of the nut the above mentioned varieties may be divided into the following 5 groups:

№ 7 „Kudriavchik“ 2,26 gr. \pm 0,04 gr.	№ 4 „Skveri“ 2,73 gr. \pm 0,03 gr.	№ 8 „Turkuli“ 2,88 gr. \pm 0,03 gr.	№ 5 „Dedopalisht Kiti“ 2,93 gr. \pm 0,03 gr.
I	II	III	
	№ 1 „Putkurami“ 3,50 gr. \pm 0,04 gr.	№ 6 „K h o j l“ 4,04 gr. \pm 0,05 gr.	
	IV	V	

As seen from this table, according to the very weight Nos 7 and 6 differ largely from all other varieties are well as from each other. No 6 is the heaviest, while No 7 the lightest. The difference in the average weight units of Nos 5 and 8 (0.05 ± 0.04) is not real and therefore, inasmuch as this point is concerned, do not differ from each other. As regards No 1 variety it's worth of mention that it largely differs in weight from all other varieties and after No 6 is the heaviest one. No 4 in weight also largely differs from all other varieties.

d) according to the weight of the shell these varieties are again divided into 5 groups:

№ 7 1,13 gr. \pm 0,03 gr.	№ 4 1,40 gr. \pm 0,03 gr.	№ 8 1,48 gr. \pm 0,02 gr.	№ 5 1,59 gr. \pm 0,02 gr.
I	II		III
	№ 1 2,09 gr. \pm 0,03 gr.	№ 6 2,35 gr. \pm 0,03 gr.	
	IV	V	

According to the weight of the shell Nos 7 and 6 again represent two extremes: the weight of No 7 shell is the lightest, while that of No 6 the heaviest. There is no difference between Nos 4 and 8. Nos 4. and 5 differ from each other as the difference of their average weight unice exceeds three times its error. No 1 differs largely from all other varieties and after No 6 has the heaviest shell.

c) according to the weight of the kernel these varieties are divided into three groups:

№ 7	№ 4	№ 8	№ 1	№ 5
$1,14 \text{ gr. } \pm 0,02 \text{ gr.}$	$1,35 \text{ gr. } + 0,02 \text{ gr.}$	$1,42 \text{ gr. } + 0,02 \text{ gr.}$	$1,44 \text{ gr. } + 0,03 \text{ gr.}$	$1,49 \text{ gr. } + 0,02 \text{ gr.}$
II a		II b		
I		II		
№ 6				
$1,81 \text{ gr. } + 0,04 \text{ gr.}$				
III				

As seen from this table, variety No 7 i. e. the one that has the lightest weight of the kernel is included into the first groupe, while No 6 the heaviest weight, into the third one. All other varieties are included into the second groupe which, in its turn, is divided, according to the relation of its extreme member, into two subgroups. Nos 4, 8 and 1, identical in weight are included into the first subgroup (II a) and Nos 5, 1 and 7 into the second one (II b). Nos 4 and 5 included into the second groupe, as regards the weight of the kernel, differ largely from each other, and this because the difference of their average weight unice ($0.14 \text{ gr.} + 0.03 \text{ gr.}$) is almost five times more than the treble error.

All above mentioned can also be well not from variational curves provided in the wording.

d) chemical analysis:



Name	№	Hygr. water	Fats in absolute dry matter	Ash in absolute dry matter
„Putkurami“	1	3,79	70,85	2,63
„Skveri“	4	4,06	69,81	2,50
„Dedopalishi Kiti“	5	4,05	68,23	2,36
„Khoji“	6	4,11	68,06	2,63
„Ucha Tkhiri“	7	3,09	69,48	2,32
„Turkuli“	8	4,25	65,23	2,62

The analysis proves that „Putkurami“ contains the largest amount of fat (up to 71%) and relatively less water (3.79%). Variety No 8 „Turkuli“ contains the smallest amount of fat (65.23%) and the largest amount of water (4.25%).

If we shall consider the results of these analysis together with the biological peculiarities, that are mentioned in the wording, of each of these varieties, we have to come to the following conclusion.

1. In spite of the fact that No 7 contains a large amount of fat and the smallest quantity of water, it cannot be considered as an industrial variety and this because it requires mainly a clayish soil that is not to be found in the said district; besides its fruit is considerably injured (30%) by *Balaninus nucum*.

2. Owing to the fact that no sufficient biological study of variety No 8 the one containing the smallest amount of fat, has been performed,

the question regarding its fitness or unfitness as an industrial one, cannot, for the time being, be solved; his also refers to № 2 ("Tsitsua") that has not been analysed.

3. As regards the other four varieties we have to mention that as regards both the results of the analysis and their biological characters, they should be, for the district mentioned, considered as industrial ones:

If we shall write these varieties down in a descending line according to their industrial qualities, we shall obtain the following row: Variety № 1, then 5, then 6 and then 4.



ბა. დბვდარიანი

ა/კ. მელორეობის გამაუმჯობესებელი, გეგმით გათვალის- წინებული ჯიში

„მელორეობაში 1933 წელს უკვე ჩაისახა აშკარა აღმავლობის ნიშნები...

1934 წელი უნდა გაზდეს და შეუძლიან გაზდეს გარდატეხის წლად აღმავლობისაკენ მეცხოველეობის მთელს მეურნეობაში“.

ი. ხტალინი.

ა/კ. მელორეობის გამაუმჯობესებელი, გეგმით გათვალისწინებული ჯიშის დასახვის მიზანია ჯიშური მრავალფეროვნობის ლიკვიდაცია; სანაშენო საქმის ორგანიზაციის ხელის შეწყობა—გაადვილება და საერთოდ ჩელორეობის განვითარება—გაუმჯობესება.

ძირითადი ფაქტორები, რომელთაგანაც დამოკიდებულია გეგმით გათვალისწინებული ჯიშის დასახვა შემდეგია:

1. მოთხოვნილება; რომელსაც სახალხო მეურნეობა ურდგენს მელორეობას (სოციალური დაკვეთა);

2. საკვები ბაზა;

3. ბუნებრივი პირობები;

4. მელორეობის მიმართულება, და

5. ღორის ფარის არსებული ჯიშური შემადგენლობა.

სოციალური დაკვეთა. ძირითადი საბუთი, რომელიც ა/კ. სოფლის მეურნეობის საწარმოო დანიშნულებას განსაზღვრავს, XVI პარტიული ყრილობის გადაწყვეტილება არის. მელორეობის მიმართ XVI პარტყრილობამ მოგვცა დირექტივა, რომლის მიხედვით ხორცის პრობლემის გადაწყვეტა, პირველ რიგში, მელორეობის ფართოდ განვითარების გზით უნდა მოხდეს.

მელორეობის მნიშვნელობას, ხორცის პრობლემის გადაწყვეტის საქმეში, განსაკუთრებული ყურადღება ამახ. იაკოვლევის მიერ ჰქონდა მიტყეული XVI პარტყრილობაზე, სადაც მან თავის მოხსენებაში სთქვა: „ყველა საბუთები მოწმობენ, რომ ხორცის პრობლემის სწრაფ გადაწყვეტაში დახმარებას გაგვიწევს



ლორი. ღორს ორი ძირითადი და უდიდესი ღირებულების უპირატესობა რომელიც შეგნებული უნდა იყოს როგორც მთელი პარტიის, ისე მთელი კავშირის მიერ.

ლორი ყველა სახის ცხოველზე უფრო ადრე ჰქმნის ხორცს და მოხმარებული საკვების ერთეულზე ხორცის უფრო მეტ რაოდენობას იძლევა, ვიდრე მსხვილფეხა საქონელი. ეს ორი უპირატესობაა, ღორს რომ პირველ ადგილს ანიჭებს.

მესაქონლეობის საკავშირო ინსტიტუტის ცნობის მიხედვით ინგლისური ჯიშის ღორი და მისი ადგილობრივთან ნაჯვარი თაობა 14 თვეზე, წესიერი კვების პირობებში, 4 რუსული ხარის ოდენა ხორცს იძლევა (დაახლოებით 884,55 კგრ.), მაშინ როდესაც მსხვილფეხა საქონელი ამავე ხნის განმავლობაში მხოლოდ 229,33 კგრ. ხორცს იძლევა. ამასთან ერთი კგრაში ღორის ხორცის მისაღებად 5 კგრ. საკვებია საჭირო (მარცვლეულ საკვებზე გადაანგარიშებით), ერთი კილოგრამი ძროხის ხორცის მისაღებად კი 15 კგრ. საკვები. აქედან დასკვნა: უახლოეს წლებში ხორცის წარმომქმნელი მთავარი ჩენი მანქანა—ღორია. აქეთ უნდა აყოს მიმართული მთავარი ჩენი ყურადღება, ყურადღება საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებისა.

აქედან გამომდინარეობენ მთელი რიგი ის ამოცანები მელორეობის პროდუქციის სწრაფი გადიდების შესახებ, რომლებიც პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ მელორეობის მეურნეობების წინაშე იყო დასმული.

მაგალითად, საკავშირო სახკომსაბჭოს 1932 წლის დადგენილების თანახმად საბჭოთა, კოლექტიურ მეურნეობათა, კოლმეურნე ერთპიროვნულ მეურნეობათა და აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის ამოცანა იყო 1932 წელს მელორეობის რიცხოვრივი გადიდება არა ნაკლებ 35 პროცენტით, იმ მოსაზრებით, რომ სამელორეო გაერთიანებაში ღორის ფარა 2,9 მილიონ სულამდე ყოფილიყო აყვანილი, მელორეობის სასაქონლო კოლექტიურ ფერმებში—4,5 მილიონამდე, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნულ მეურნეების—9 მილიონამდე და სამომხმარებლო კოოპერაციაში—1,5 მილიონ სულამდე.

მელორეობის ასეთ განვითარების საფუძველზე სამელორეო გაერთიანება საკოლმეურნეო მელორეობის ცენტრი და სამომხმარებლო კოოპერაცია ვალდებული იყვნენ 1932 წელს უზრუნველყოთ სასაქონლო პროდუქციის (ხორცის) ჩაბარება შემდეგი რაოდენობით: სამელორეო გაერთიანებას უნდა ჩაებარებია 100.000 ტონა ხორცი, საკოლმეურნეო მელორეობის ცენტრს—114.000 ტონა და სამომხმარებლო კოოპერაციას—40.800 ტონა.

კოლმეურნეობათა ცენტრი კი ვალდებული იყო ყოველ კოლმეურნეობაში, რომელსაც არ ჰქონდა მელორეობის ფერმა, მოეწყო ღორების კოლექტიური აღზრდა, გასუქება და კოლექტიური ჩაბარება (მიყიდვა) სახელმწიფოსადმი დამზადების გეგმის ანგარიშში.

ამასთან ერთად, არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ზრუნვა იმის შესახებ, რომ გადიდებული იქნეს მელორეობის პროდუქტების ექსპორტი, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მელორეობის განვითარება-გაუმჯობესების საქმეს.



ლორს, სხვა მრავალ ძვირფას სასოფლო-სამეურნეო თვისებებთან აქვს კიდევ ერთი მეტად დიდი დადებითი თვისება, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ლორის ხორცი დამარილებით და გაბოლვით არ ჰკარგავს თავის გემოსა და მარგებლობას, და ამავე დროს ხდება იმდენად გამძლე, რომ მისი გადაზიდვა შეიძლება თუნდაც დიდ მანძილზე.

ლორის ხორცის ეს თვისება მელორეობის პროდუქტებს ძვირფას საექსპორტო საქონლად ხდის. მელორეობის პროდუქტებიდან საუკეთესოა საქესპორტო საქონლად ბეკონი ითვლება. მას დიდი მოთხოვნილება აქვს საზღვარგარეთის ბაზარზე. საბეკონე წარმოებაში უდიდესი როლი შეასრულა დანიისა და ამერიკის მელორეობის განვითარების საქმეში და დღეს ეს ქვეყნები უპირველეს ადგილს იკებენ სამრეწველო მელორეობის განვითარების მხრივ.

ზემოხსენებულ მითითებების გათვალისწინებასთან ერთად, თუ მხედველობაში მივიღებთ ა/კ. რესპუბლიკების საკვებ ბაზას, ბუნებრივ და სხვა პირობებს, რომლებიც მელორეობის განვითარებას უსათუოდ ხელს უწყობენ, მესაქონლეობის ამ დარგის მნიშვნელოვანი როლი ამ.კავკასიის სახალხო მეურნეობაშიაც ადვილი წარმოსადგენი იქნება.

ცხადია, რომ ხორცის პრობლემა ა/კ. რესპუბლიკებისთვისაც ძირითადად ლორის შემწეობით უნდა იქნას გადაწყვეტილი, მით უმეტეს, რომ ა/კ.-ში არ არის სპეციალური, სახორცე მიმართულების საქონელი და ადგილობრივი ჯიშის რქოსან საქონელს აკისრია არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ვალდებულება — რძისა და მატყლის წარმოქმნა.

ბუნებრივი პირობები. მელორეობის განვითარებას ა/კ.-ში ხელს უწყობენ ბუნებრივი და სამეურნეო პირობები. ა/კ.-ის კლიმატიური პირობები სავსებით ხელსაყრელია მელორეობის განვითარებისათვის; ა/კ.-ის ზოგიერთი კუთხეები კი (დასავლეთი საქართველო და სხ.) თავისი კლიმატიური პირობების მიხედვით საუკეთესოდ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ჰავა აქ ზომიერია, რბილი, ზამთარი ხშირად უთოვლო, რაც ლორს საშუალებას აძლევს თითქმის მთელი ზამთრის განმავლობაში საძოვრებით ისარგებლოს. ყველაფერი ეს ხელს უწყობს წლის განმავლობაში გოჭების ორჯერ დაყრას, გოჭების ნორმალურ განვითარებას და ამასთან ერთად, კვებისა და კაპიტალური მშენებლობის ხარჯების შემცირებას.

ბუნებრივ პირობებიდან აღსანიშნავია აგრეთვე დიდი ტყეების არსებობა; ჩვენი ტყე მდიდარია რკოთი, წაბლითა და სხვა გარეული ნაყოფით, რომლის გამოყენება, ძვირფას პროდუქტებად (ხორცად და ქონად) გადაზუსტდება მხოლოდ ლორს შეუძლიან.

საკვები ბაზა. სასაქონლო მელორეობის განვითარების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა მყარ საკვებ ბაზას აქვს. სრულებით შემცდარია ის აზრი, რომ თითქოს ლორს შეუძლია დაქმაყოფილდეს მარტო ნარჩენებითა და ყოველივე იმით, რაც სხვა სახის ცხოველისათვის უფარგისია. მარტოდ-მარტო ნარჩენებზე მომგებიანი მელორეობის განვითარება შეუძლებელია.

რა თქმა უნდა, მელორეობის მეურნეობის ორგანიზაციის დროს აუცილებლად საჭიროა მხედველობაში იყოს მიღებული ზოგიერთ ადგილობრივი წარმო-

ებათა იაფფასიანი საკვები ნარჩენები: ქათო, კობტონი, რძის მეურნეობის, სასაკლაოების, მეაბრეშუმეობის, მეღვინეობისა და სხვა ნარჩენები. აი რა არის ნათქვამი საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილებაში მყარი საკვები ბაზის შექმნის შესახებ:

„მელორეობის ურყევი საკვები ბაზის შექმნა და კერძოდ, ხელოვნურად საძოვრების ორგანიზაცია მელორეობის საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა წინაშე ძირითად ამოცანად უნდა იყოს დასმული. ამ მიზნით:

... გ) მელორეობის ყველა საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს და სამომხმარებლო კოოპერაციას დაევალოს ყველა არსებული, შინა-სამეურნეო საკვები რესურსების მაქსიმალური მობილიზაცია, ღორების გასასუქებლად უხბლოეს სასოფლო-სამეურნეო წამოწყებათა ნარჩენების გამოყენება და საკვების სასტიკი ეკონომია“.

საკვები ბაზის მხრივაც სასაქონლო მელორეობის განვითარება ა/კ-ში შეიძლება საესებით უზრუნველყოფილი იქნეს. ეს გარემოება ჩვენთვის აშკარა გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენში საკმაო დიდი გავრცელება აქვს სიმინდის, ქერის, კარტოფილის, პარკოსნების და ნაწილობრივ ქარხლის კულტურას; ამასთან ერთად სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისა და მისი სწრაფი ტემპით განვითარებისათვის მიღებული მთელ რიგ ღონისძიებათა შედეგად, როგორც არის: კოლექტიური მშენებლობა, სათესარეების გადიდება, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა და გადიდება, თესობრუნვის შემოღება და საკვებთმომარების ორგანიზაცია,—უსათუოდ აღდგეილი ექნება საკვები რესურსების უდიდეს ზრდას.

მელორეობის მიმართულება. რაც შეეხება მელორეობის მიმართულებას ა/კ-ში, უნდა აღინიშნოს, რომ იგი (მიმართულება) თითქმის წინასწარ არის განსაზღვრული იმ მოთხოვნილებით, რომელსაც უდგენს მელორეობას სახალხო მეურნეობა—ეგრ. წოდ. სოციალური დაკვეთით.

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, მელორეობის ძირითად მიზანს ხორცის პრობლემის გადაწყვეტა წარმოადგენს, ე. ი. კავშირის მშრომელი მოსახლეობის ხორციით დაკმაყოფილება. შინა-მოთხოვნილების დაკმაყოფილების გარდა, მელორეობამ ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს საექსპორტო ამოცანების გადაჭრასაც.

მელორეობის პროდუქტებიდან საუკეთესო საექსპორტო საქონელს ბეკონი წარმოადგენს. საბეკონო წარმოების განვითარება ერთ-ერთი სტიმულია მელორეობის განვითარებისა და მისი ხარისხობრივ გაუმჯობესებისათვის; ამასთან ერთად, საბეკონე წარმოებას, მელორეობის სხვა პროდუქტების (ღორისა და ქონის) წარმოებასთან შედარებით, ბევრი უპირატესობა აქვს.

საქმე იმაშია, რომ მაშინ, როდესაც სალორე მასალის ან ქონის მისაღებად 8—9-თვიანი და კიდევ უფროსი ღორის დაყენებაა სასუქად საქირო, საბეკონე სასუქად 3—4-თვიან გოქებს დააყენებენ და მათ ჯერ კიდევ ახალგაზრდებს—6—8-თვიანებს ჰკლავენ. ეს გარემოება საგრძნობლად ამცირებს ღორების აღზრდა-კვების ხარჯებს და მელორეობაში დაბანდებულ თანხების სწრაფ

ბრუნვას ხელს უწყობს. მთავარი ის არის, რომ გაცილებით უფრო ხელსაყრელია ახალგაზრდა ცხოველის გასუქება, რადგანაც იგი საკვებს უკეთესად ანაზღაურებს და მოხმარებულ საკვებ ერთეულზე ცოცხალი წონის უფრო მეტ ნაშაბს იძლევა, ვიდრე მოზრდილი ღორი.

ეს საკითხი საესებით — გარკვეულია როგორც ამერიკის, ისე საბჭოთა კავშირის საცდელი დაწესებულებების მიერ. ქვემოთ მოგვყავს ამერიკული ცნობები იმის შესახებ, თუ ღორი ამა თუ იმ ხნოვანობაში რამდენ საკვებს ხარჯავს 100 კგრ. ცოცხალი წონის მოსამატებლად.

ღორის ცოცხალი წონა კგრ.	ცოცხალი წონის 100 კგრ. ნაშატზე დახარჯა საკვები (კგრ. საკვებ ერთეულებში)	1 კგრ. ნაშატის თვითღირებულება კაპიტებში 1 კგრ. საკვებ. 5 კ. ფასობის დროს
20-დან—40-დე	400	20,0
40 „— 60 „	437	21,8
60 „— 80 „	482	24,1
80 „—100 „	498	24,9
100 „—125 „	511	25,5
125 „—150 „	535	26,8

ასეთივე შედეგები აქვთ მიღებული ჩვენ საცდელ დაწესებულებებსაც, მაგალითად:

ცხოველის ხნოვანობა თვეებში	ცოცხალი წონის 1 კგრ. ნაშატზე დახარჯულ საკვების რაოდენობა (კგ. საკვებ ერთეულებში)	1 კგრ. ნაშატის თვითღირებულება კაპიტებში, 1 კგრ. საკვების (მარცვალზე გადაანგარიშებით) 5 კაბ. ფასობის დროს
1 თვე	2,4-დან—2,9-დე	12-დან—14,5-დე
2 „	2,7 „ —3,3 „	13 „ —16,5 „
3 „	3,2 „ —4,1 „	16,0 „ —20,5 „
4 „	4,1 „ —4,3 „	20,5 „ —21,5 „
5 „	4,5 „ —5,0 „	22,5 „ —25,0 „
6 „	5,3 „ —5,4 „	26,5 „ —27,0 „
7 „	5,5 „ —6,0 „	27,5 „ —30,0 „
8—9 „	5,9 „ —6,6 „	29,5 „ —33,0 „
10—12 „	6,6 „ —6,7 „	33,0 „ —33,5 „
15—18 „	6,7 „ —7,2 „	33,5 „ —36,0 „



ამ ცნობებიდან აშკარა არის, რომ რაც უფრო ახალგაზრდაა ცხოველ-
მით უფრო ნაკლებ საკვებ ერთეულს თხოვლობს იგი ერთეული ცოცხალი წო-
ნის ნამატზე და, მაშასადამე, კლებულობს პროდუქტის თვითღირებულებაც.

დანელებმა და ამერიკელებმა კარგა ხანია მხედველობაში მიიღეს ეს გარე-
მოება და მათ თავის მელორეობას უმთავრესად სახორცე მიმართულება მისცეს.
ისინი სთვლიან, რომ სახორცე (საბეკონე) მიმართულება უფრო ხელსაყრელია
როგორც შრომის უკეთ ამნაზღაურებელი.

ამრიგად, მელორეობას ჩვენში ძირითადად სახორცე (საბეკონე) მიმარ-
თულება უნდა ექნეს, რა თქმა უნდა, არა იმ გაგებით, რომ, ამ შემთხვევაში,
ჩვენი მიზანი იყოს მთლიანად საექსპორტო მასალის (ბეკონის) წარმოებაზე გა-
დასვლა, პირიქით, მელორეობის სახორცე მიმართულების დასახვით ჩვენ უნდა
შევძლოთ პირველ რიგში დაეკმაყოფილოთ ჩვენი მშრომელი მოსახლეობა გემ-
რიელი, მარგებელი და იაფფასიანი ღორის ხორცი (ბეკონით).

სახორცე მიმართულების დასახვით ჩვენ არ ვსპობთ ქონის მიღების შესა-
ძლებლობას, რომელიც ისევე, როგორც ხორცი, ძვირფას საზრდო მასალას წარ-
მოადგენს.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, გეგმით გათვალისწინებული ჯიში (სახორ-
ცე—საქონე ტიპის) სავესებით უზრუნველყოფს, საჭიროებისდა მიხედვით, ნა-
ხევრად საქონე (სახორცე საქონე) სუქებაზე გადასვლის საშუალებას; ამ შემთ-
ხვევაში, საკითხს მხოლოდ ნასუქის ხნოვანება და კვების წესი გადასწყვეტს.

თუ, მაგალითად, საბეკონე სუქებაზე 3—4-თვიან გოჭებს აყენებენ,—ნახე-
რად საქონე სუქების დასაწყებად 9—10-თვიანი ბურვაკები არიან საჭირო; კვე-
ბაც მათი სუქების პერიოდში საბეკონე სუქებისაგან განსხვავებულია. რაც შე-
ეხება საქონე სუქებას, უნდა ითქვას, რომ ხალსად საქონედ გასუქებისათვის
შეიძლება გამოვიყენოთ დაწუნებული ნეზები და კერატები, რომლებიც ან სა-
ნაშენოდ არ გამოდგენ, ან ეს დანიშნულება მათ უკვე დაამთავრეს.

ღორის ფარის ჯიშური შემადგენლობა. იმის შემდეგ, რაც ჩვენ გავარ-
კვით სოციალური დაკვეთა და დავსახეთ მელორეობის მიმართულება, ისმის
საკითხი, თუ რას წარმოადგენს ა/კ. რესპუბლიკების ადგილობრივი ღორი და
შეუძლია თუ არა მას დაეკმაყოფილოს ის მოთხოვნილება, რომელსაც მას სახალ-
ხო მეურნეობა ურდგენს?

ა/კ.-ში გავრცელებული ღორების უდიდესი მასა ეკუთვნის ადგილობრივს,
უბრალო, არა გაუმჯობესებულ ფორმებს. ეს ღორი ხასიათდება დიდი სიმაგ-
რით, გამძლეობით, ამტანობით, საძოვრების გამოყენების კარგი უნარიტა და
სხ. მაგრამ, სამაგიეროდ მოკლებული არის კულტურული ღორის ძვირფას სა-
მეურნეო თვისებებს, როგორცაა, მაგალითად: ადრეულობა, დიდი ცოცხალი
წონა, საკვების ანაზღაურებისა და ადრე სუქების კარგი უნარი და სხ. ე. ი. მას
აკლია ის, რაც ღორს დიდ ეკონომიურ მნიშვნელობას ანიჭებს და სასოფლო-
სამეურნეო ცხოველთა შორის პირველ ადგილზე აყენებს, როგორც მოკლე
ხნის განმავლობაში იაფი ხორცისა და ქონის მომცემ ცხოველს. პროფ. ი. კა-
ლუგინის ცნობით, აზერბეიჯანის ადგილობრივი, (ყარაბაღული) ღორის მთა-

გარ ნაკლან მისი პატარა ტანი, გვიანი მწიფება, მცირე რძიანობა და გასუქების ცუდი უნარი უნდა ჩაითვალოს. ნეზების საშუალო სიმაღლე ქედში 59,65 სანტ. უდრის. ტანის ირიბი სიგრძე საშუალოდ—72,48 სანტ.. თაენი ნეზების ცოცხალი წონა გაუსუქებლად 54,4 კგრ. უდრის.

ყარაბაღული ღორის ნაყოფიანობა მცირეა: უფრო ხშირად ბუდეში 4—6 გოქს იძლევა. ნეზის მცირე რძიანობის გამო, რძე მხოლოდ 4—6 გოქს ჰყოფნის; ამიტომ ბუდეში ზედმეტ გოქებს ჰკლავენ.

იმავე ავტორის ცნობით, ყარაბაღული ღორი გასუქების მთელი პერიოდის (3 თვე) განმავლობაში მხოლოდ 16—ა2 კგ. ცოცხალ წონას იმატებს და 1 კგ. ნამატზე 10—1ა კგრ. მარცვლოვან საკვებს საჭიროებს. სომხეთის ადგილობრივი ღორი, პროფ. ა. თამაშვევის ცნობით, პატარა ტანის არის; გასუქებული ღორის საშუალო ცოცხალი წონა 5ა—75 კგრ.-დე მერყეობს. საკლავი წონა ცოცხალი წონის 60—70 პროც. უდრის. ნაყოფიანობა არა აქვს დიდი; გოქების რიცხვი ბუდეში 4—10-დე მერყეობს.

ასეთივე ცნობები შეიძლება მოვიყვანოთ ადგილობრივი ქართული ღორის შესახებ, რომლის დამახასიათებელია აგრეთვე მცირე ცოცხალი წონა, გვიან-მწიფება და სხვა.

ზოგიერთი ცნობები საქართველოში გავრცელებულ ღორის ცალკე ბუდეების შესახებ მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

პან რიგზე	ბუდის დასახელება	ნეზების პროდუქტიულობა		განაზომები		ობიექტების რიცხვი (№)
		ცოცხალი წონა კგრ.	ნაყოფიანობა	სიმაღლე ქედში სანტ.	ტანის სწორ-ნაზოვანი სიგრძე სანტ.	
1	კახური ბუდე	79,2	6,9	62,78	99,94	276
2	ს. ოსური „	71,4	7,0	57,81	91,25 /	153
3	სვანური „	36,8	4,2	52,50	86,07	212
4	მეგრული „	72,0	8,4	64,64	100,26	72

ეს ცნობები მიღებულია ა/კ. მესაქონლეობის კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტის მეღორეობის სექტორის მიერ გამოკვლევით შეგროვილ მასალათა წინასწარი დამუშავების შედეგად.



დასახელებულ ბუდეების შესწავლის დროს ცოცხალი წონის გაგება წორის საშუალებით ხდებოდა; ტანის სწორხაზოვანი სიგრძე კეფისა და კულის ძირის შორის იზომებოდა.

კახური და მეგრული ღორის ბუდეს შესახებ ცნობები მელორეობის სასაქონლო კოლექტიურ ფერმებში და საბჭოთა მეურნეობებშია შეგროვილი, ხოლო ოსურისა და სვანურის შესახებ,—უმთავრესად ინდივიდუალურ მეურნეობებში.

ცხრილში მოყვანილი ცნობები ნათლად ადასტურებენ საქართველოს ადგილობრივი ღორის დაბალ პროდუქტიუობას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის მელორეობის მხრივ საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს, როგორც ღორების აბსოლუტური რიცხვის, ისე მისი გავრცელების სიმჭიდროვის მიხედვით. გაუმჯობესებული ღორების პროცენტის საქართველოში გაცილებით მეტია, ვიდრე ა/კ-ის დანარჩენ ორ რესპუბლიკაში.

საინტერესოა საბჭოთა კავშირის საცდელ დაწესებულებების ცნობები იმის შესახებ, თუ წლის განმავლობაში საშუალოდ რამდენი მარცვლეული საკვებია საჭირო 1 კგ. ცოცხალი წონის მისაღებად. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ კულტურული ჯიშის ღორი ცოცხალი წონის 1 კგ. ნამატზე 5 კგ. მარცვლეულს საკვებს სჭამს, ჰიბრიდი—7 კგ-ამს და ადგილობრივი—უბრალო—11 კგ-მს.

აქედან ცხადია, რომ ადგილობრივი—უბრალო ღორის შენახვა არ არის მიზანშეწონილი, მეტადრე დღეს, როდესაც ჩვენი სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის მთელი რიგი ღონისძიებებია მიღებული.

როგორც მოყვანილ ცნობებიდან სჩანს, ადგილობრივი უბრალო ღორის ხორცი ორჯერ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე კულტურული ღორისა და ერთ-ნახევარჯერ უფრო ძვირი, ვიდრე გაუმჯობესებულის.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადგილობრივი—უბრალო ღორი იმის გამო, რომ იგი მსხვილძვლიანია და საჭირო რაოდენობით ხორცის დაგროვების ცუდი უნარი აქვს, საექსპორტო მისალის დასამზადებლად სრულებით არ გამოდგება.

ყველა შემოხსენებულიდან ის დასკვნა გამოდინარეობს, რომ იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც მელორეობის წინაშე სდგანან, ა/კ-ის მელორეობის რიცხობრივ ზრდასთან ერთად აუცილებელია მისი ხარისხობრივ სწრაფი გაუმჯობესება.

გვერდით გათვალისწინებული მელორეობის სწრაფი გაუმჯობესებისა და ადგილობრივ მაღალპროდუქტიული ჯიშის ჩამოსაყალიბებლად ჩვენ უნდა მივმართოთ გაუმჯობესების ადრეულ მეთოდს—მეტისაიციას; ადგილობრივი ღორი კულტურული ჯიშის ღორს უნდა შეეჯავროთ.

მეტისაიციის დროს უდიდესი მნიშვნელობა გამაუმჯობესებელი ჯიშის ამორჩევას აქვს.

გამაუმჯობესებელი ჯიში მთლიანად უნდა ეფარდებოდეს ადგილობრივ სამეურნეო, ეკონომიურ და სხვა პირობებს და ამასთან ერთად შესამჩნევ ეფექტს უნდა იძლეოდეს.



ერთ-ერთი ჯიში მთელ მსოფლიოში, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ევროპისა და ნაწილობრივ ამერიკის ადგილობრივი ღორის ჯიშების გაუმჯობესებაში და ახალ მაღალ პროდუქტულ ჯიშების ჩამოყალიბებაში, არის „ინგლისური თეთრი მსხვილი“.

ამერიკის ზოგიერთი კულტურული ჯიშები, აგრეთვე დანიის, გერმანიის, საფრანგეთისა და ევროპის სხვა სახელმწიფოების გაუმჯობესებული ჯიშები უმთავრესად წარმოშობილი არიან ინგლისური თეთრი მსხვილი ჯიშის შემწეობით.

ამერიკელი პროფ. იონსის სიტყვით ამ ჯიშის ღირსებას შეადგენს:

- 1) მაგარი კონსტიტუცია, რომელიც ხელს უწყობს ამ ჯიშს ადვილად შეგუვოს როგორც ცივს, ისე ცხელ ჰავას;
- 2) ამ ჯიშის ნეზეები ნაყოფიანია და გოჭებს კარგად ზრდის;
- 3) ეს ჯიში საკვებს კარგად ამუშავებს და აქვს გასუქების კარგი უნარი ყოველ ასაკში.

4) კარგად მოზარდი ჯიშია და ამიტომ იგი სხვადასხვა საბაზრო პროდუქტების დასამზადებლად გამოსადგეია და სხვ.

ლიტერატურული ცნობებიდან სჩანს, რომ უბრალო, არა გაუმჯობესებული ღორი 100 კგ-ში ცოცხალი წონის მისაღწევად 800—900 კგ. საკვებ ერთეულს საჭიროებს და ამ წონის მიღწევას საშუალოდ 12 თვეს უნდება. ინგლისური თეთრი მსხვილი ჯიშის ღორი კი იმავე ცოცხალ წონას საშუალოდ 6,5 თვეში აღწევს და 400—500 კგ. საკვები ერთეული სჭირდება. უბრალო ღორის სასარგებლო პროდუქტების რაოდენობა ცოცხალი წონის 65—70 პროც. უდრის, ინგლისური თეთრი მსხვილისა კი—85—88 პროც.

იმ მასიურ დაკვირვებებიდან და გამოკვლევებიდან, რომლებიც ამერიკაში იყო ჩატარებული, სჩანს, რომ ინგლისური თეთრი მსხვილი ჯიშის ღორი საკლავი წონის მიხედვით ყველა ადგილობრივ კულტურულ ჯიშებზე მაღლა სდგას და 2,14 პროცენტით უფრო მეტს ხორცს იძლევა, ვიდრე ბერქშირის ჯიშის კი.

ცხადია, რომ ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გამაუმჯობესებელი ჯიშის არჩევის დროს, რადგანაც მას უდიდესი გავლენა ექნება ხორცის ბალანსზე სამრეწველო მელიორებაში.

ამ ჯიშის საბჭოთა კავშირის საუკეთესო სამომშენებლოებას კერატისა და ნეზვის საშუალო ცოცხალი წონა კილოგრამებში მოყვანილია ქვემოთ დართულ ცხრილში. (იხ. ცხრ. 127 გვ.).

ნაყოფიანობა ინგლისურ თეთრ მსხვილ ჯიშს დიდი აქვს. გოჭების რიცხვი ბუდეში საშუალოდ 11 ითვლება. მათი აღზრდის პროცენტი აგრეთვე მაღალია, იგი თითქმის ყველა გამოჩენილ კულტურულ ჯიშთა გოჭების აღზრდის პროცენტს აღემატება.

„ინგლისური თეთრი მსხვილი ჯიშის“ ყველა ჩამოთვლილ ღირსებებს უნდა დაემატოს კიდევ ერთი დადებითი თვისება,—მემკვიდრეობით მტკიცედ გადაცემის დიდი უნარი. იგი შეჯვარების შედეგად ყოველთვის იძლევა როგორც ცო-

ცხალი და საკლავი წონის მომატებას, აგრეთვე საკვების მეტ ანაზღაურებასა და სხ. ამიტომ, ინგლისური თეთრი, მსხვილი ჯიში კარგ გამოუმჯობესებლად ითვლება არა მარტო ადგილობრივ უბრალო ღორების, არამედ უკვე გაუმჯობესებულთათვისაც. ინგლისური თეთრი მსხვილის შესახებ ა/კ-ის და, უმთავრესად, საქართველოს შესაფერ დაწესებულებების მიერაც იყო ნაწარმოები ცდები და დაკვირვებები, საიდანაც ჩანს, რომ ეს ჯიში და მისი ადგილობრივ ღორთან მეტი სები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში თავისი მაღალი პროდუქტიულობითა და საკმაო ამტანობით დიდ ინტერესს იწვევენ.

ხნოვანობა	კ ე რ ა ტ ი		ნ ე ზ ე ი	
	საშუალო	მაქსიმალური	საშუალო	მაქსიმალური
3-თვიანი	34,0	39,0	30,4	40,5
6 „	85,0	110,5	71,0	86,5
9 „	141,0	156,5	132,0	151,5
12 „	199,0	217,5	171,0	195,0
18 „	214,0	233,0	200,0	230,5
30 „	265,0	305,0	238,5	276,5
36 „	349,0	400,0	264,5	307,0

ცდებმა, რომლებიც საქართველოს ცენტრალურ ზოოტექნიკურ საცდელ სადგურში და აჯამეთის საცდელი სადგურის ზოოტექნიკურ განყოფილებაში იყო ჩატარებული, გვაჩვენა, რომ „თეთრი მსხვილი“ და ადგილობრივი ღორის მეტი სი პირველ თაობაში, 8—9 თვის ასაკში, სრულებით დამაკმაყოფილებელ საბეკონე მასალას იძლევა.

წინა წლებში ამიერ-კავკასიაში ინგლისურ თეთრ მსხვილ ჯიშთან ერთად ღორის სხვა ჯიშებიც ყოფილა შემოყვანილი, მაგალითად, ბერკშირი, თემგორსი, პოლონური და სხვა; მაგრამ თეთრმა მსხვილმა ჯიშმა განდევნა ყველა სხვა ჯიშები და დღეს ამიერ-კავკასიაში უმთავრესად მარტო ინგლისურ თეთრ მსხვილსა და მის ადგილობრივ ღორთან მეტისებს ვხვდებით.



გამაუმჯობესებელი (გვეგვით გათვალისწინებულ) ჯიშის ამორჩევის ჩვენ არ შეგვეძლო ბერქშირის ჯიშის ღორზედაც არ შეგჩერებულიყავით, რომელიც თავის სასოფლო-სამეურნეო თვისებების მიხედვით აგრეთვე მაღალხარისხიან და ძვირფას ჯიშად ითვლება; მაგრამ უპირატესობა მაინც ინგლისურ თეთრ მსხვილს რჩება, რადგანაც იგი ცოცხალი წონით, ნაყოფიანობით, აღრულობითა და სხვა თვისებებით ბერქშირზე უფრო მაღლა სდგას. ამასთან ერთად, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, თეთრი მსხვილი ამტანი და მგარი კონსტიტუციის მქონე ჯიშია და ამ მხრივ იგი ბერქშირს სრულებით არ ჩამოუვარდება. რაც შეეხება საბეკონე თვისებებს, უნდა ითქვას, რომ „თეთრი მსხვილი“ ერთადერთი საბეკონე ჯიშია მთელ მსოფლიოში, რომელიც საუკეთესო ხარისხის ბეკონს იძლევა, როგორც ხალასად, ისე ადგილობრივ უბრალო ღორებთან შეჯვარებით.

ინგლისურ მსხვილ საბეკონე წარმოებების აზრით მრავალრიცხოვან კულტურულ ჯიშთა შორის „თეთრი მსხვილი“ ყველაზე უფრო ახლოს სდგას იდეალურ საბეკონე ტიპთან.

საბეკონე თვისებების მხრივ ეს ჯიში პირველ ადგილს იკერს ამერიკაშიაც. „თეთრი მსხვილი“ დიდი რაოდენობით არის გავრცელებული არა მარტო კანადაში, არამედ ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების ჩრდილო-დასავლეთ შტატებშიაც. ამერიკაში ბეკონის მწარმოებელი მსხვილი ფირმები ფართოდ ავრცელებენ თეთრი მსხვილი ჯიშის კერატებს თავის მოქმედების რაიონში და ამ ჯიშის ღორის ხორცზე პრემიებს აძლევენ.

ევროპისა და ამერიკის მრავალ გამოფენებზე საბეკონე თვისებებისათვის თეთრი მსხვილი და მისი თეთრ საშუალო ჯიშთან მეტისები პირველ ადგილს იკერენ, თეთრი მსხვილის და ინგლისური შავი მსხვილის მეტისები—მეორე ადგილს, და ხალასი ბერქშირები მესამე ადგილს.

ამრიგად, გვეგვით გათვალისწინებულ, ამიერ-კავკასიის ადგილობრივ უბრალო ღორის გამაუმჯობესებელ ჯიშად ინგლისური თეთრი მსხვილი უნდა გახდეს.

ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ინგლისურ თეთრ მსხვილ ჯიშში ორ ტიპს არჩევენ: ხალას საბეკონე ტიპსა და სახორცე—საქონე (უნივერსალურ) ტიპს. ჩვენი პირობებისათვის უპირატესობა მეორეს (უნივერსალურს) უნდა მიეცეს. საქმე იმაშია, რომ ამიერ-კავკასიის ადგილობრივი ღორი უფრო სახორცე მიმართულების არის; ყოველ შემთხვევაში ახალგაზრდობაში (საბეკონე ასაკში) მას გასუქების უნარი არა აქვს,—მკვლე ხორცს იძლევა. ამიტომ მას თეთრი მსხვილი ჯიშის სახორცე—საქონე (უნივერსალური) მიმართულების ტიპს შეჯვარებით ქონის ზომიერი დავროვების უნარი უნდა გადაეუნერგოთ და ამრიგად, მაღალხარისხიანი პროდუქტის მიღება უზრუნველყვით. ცდები გვიჩვენებენ, რომ საბუთოთა კავშირში საუკეთესო ხარისხის ბეკონს ადგილობრივი და ინგლისური თეთრი მსხვილი ჯიშის სახორცე—საქონე მიმართულების ტიპის მეტისები იძლევიან. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადგილობრივი ღორის გამაუმჯობესება—მეტისაცია ჯვარულ მოშენების მეთოდის სამელიორაციო წესის



გამოყენებით უნდა მოხდეს და არა ჯვარულ შთანთქმითი ანუ განდევნი-
სით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი შედარებით უფრო ხანგრძლივი
წესია და მეორე იმიტომ, რომ მოშენების ამ წესს ჩვეულებრივ ადგილობრივი
ლორის გაუმჯობესებასთან ერთად განაზება მოსდევს. ჩვენი მიზანი კი არის
ადგილობრივ ღორს გეგმით დასახული ჯიშის ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო
თვისებები (დიდი წონა, ადრეულობა და სხ.) გადაუწერგოთ და ამასთან ერთად
მას თავისი სასარგებლო თვისებები (სიმაგრე, ამტანობა და სხ.) შევუნარჩუნოთ.

მეტეზაციაზე ლაპარაკის დროს ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავევიწ-
ყოთ ის გარემოება, რომ საერთოდ მესაქონლეობის ამ მეთოდით გაუმჯობესე-
ბის შედეგი მთლიანად ზოოტექნიკური სხვა მომენტებისაგან არის დამოკიდე-
ბული, მაგალითად: სანაშენო საქმის, ხარისხიანი კვების, მოვლა-პატრონობისა,
აღზრდის პირობებისაგან და სხ. ამიტომ მელორეობის პროდუქციის როგორც
რიცხოობრივს, ისე ხარისხობრივ ზრდას მხოლოდ იმ შემთხვევაში მივალწვეთ,
თუ მეტიზაციასთან ერთად უზრუნველყოფილი იქნება ცხოველთა რაციონალუ-
რი კვება, მოვლა-პატრონობა, აღზრდა, სანაშენო საქმის წესიერად დაყენება,
ვეტერინარული მომსახურება და სხ.

Г. П. ДЕВДАРИАНИ

ПЛАНОВАЯ УЛУЧШАЮЩАЯ ПОРОДА СВИНЬИ В ЗСФСР

(Из работ лаборатории свиноводства ЗакКНИИЖ)

Целью выбора плановой улучшающей породы свиньи является развитие и повышение продуктивности свиноводства в ЗСФСР, ликвидация породной пестроты и частой смены пород, что затрудняет правильную организацию племенной работы.

Главными факторами, от которых зависит выбор плановой породы для Закавказья, являются:

- 1) требования, предъявляемые свиноводству со стороны народного хозяйства,
- 2) кормовая база,
- 3) природные условия,
- 4) направление свиноводства и
- 5) существующий породный состав свиноводства.

Исходным пунктом, определяющим производственное назначение сельского хозяйства Закавказья, являются решения XVI партс'езда.

Мясная проблема и для республик Закавказья, несомненно, должна быть в основном разрешена правильной постановкой свиноводства, тем более, что в ЗСФСР нет мясного скота, а на рогатый скот у нас возлагается не менее важная задача — снабжение молоком и шерстью.

Развитию свиноводства в ЗСФСР способствуют природные и хозяйственные условия страны. Климатические условия Закавказья для свиноводства великолепны; некоторые же районы республик Закавказья по своим климатическим условиям являются исключительными — климат мягкий, умеренный, зима зачастую беснежная и т. п. К числу благоприятных природных условий надо также отнести наличие больших лесов, богатых желудями, каштанами и дикими плодами.

Но решающим моментом в деле развития товарного свиноводства является прочная кормовая база. В этом отношении в ЗСФСР вполне под-

ходящие условия, благодаря большому распространению у нас культуры кукурузы, ячмени, картофеля, отчасти свеклы, бобовых. В результате мероприятий, принимаемых для реконструкции и быстрого темпа интенсификации сельского хозяйства, естественно, получится колоссальный рост кормовых ресурсов.

Направление свиноводства в ЗСФСР должно быть в основном мясное (бэконное), которое имеет все преимущества перед полусальным и сальным, разумея при этом, что бэкон будет производиться в первую очередь для удовлетворения потребностей трудящегося населения Закавказских республик. Установление мясного (бэконного) направления свиноводства не исключает возможности получения и сала, как очень ценного продукта питания. Намеченная плановая улучшающая порода (универсального типа) вполне гарантирует возможность организации и полусального (мясо сального) откорма. На чисто сальный откорм будут поступать забранные взрослые матки и хряки.

На вопрос, что представляет собою местная свинья Закавказских республик, может ли она удовлетворить требованиям, предъявляемым со стороны нашего народного хозяйства, — следует ответить, что свиньи, разводимые в ЗСФСР, в основной массе местные, не улучшенные. Местная свинья отличается большой выносливостью, устойчивостью против болезней, способностью и умением хорошо использовать пастбища и т. д., но она лишена очень ценных качеств культурных свиней — скороспелости, большого живого веса, способности хорошо использовать корм, быстро откармливаться и т. п.; иначе говоря, у местной свиньи нет тех сельскохозяйственных качеств, которые делают свинью экономически наиболее выгодной из всех с.-х. животных.

Отсюда вывод — для скорейшего получения желательных результатов от свиноводства необходимо вместе с количественным ростом позаботиться о качественном улучшении свиного стада в Закавказьи. Для осуществления этой задачи следует прибегнуть к метизации с культурной породой.

Лучшей (из ныне существующих) породой в мире, сыгравшей существенную роль в деле улучшения местных пород и создания новых высокопродуктивных пород свиней (как в Европе, так, отчасти, и в Америке), является „Английская Крупная Белая“. Порода эта известна своей скороспелостью, плодовитостью, большим живым и убойным весом, крепкой конституцией, большой способностью передавать при скрещивании свои лучшие качества потомству и т. д. Эта же порода дает высокого качества бэкон, как в чистом виде, так и при скрещивании с местными простыми свиньями.

Относительно „Крупной Белой“ породы имеются наблюдения и опыты соответствующих учреждений ЗСФСР. Эта порода и ее метисы с ме-

стной в Закавказских республиках привлекают большой интерес своей высокой продуктивностью и сравнительной выносливостью.

Таким образом, плановой породой, улучшающей местных простых свиней Закавказских республик, должна стать „Английская Крупная Белая“ порода универсального типа.

Тут же надо отметить, что при метизации местных простых свиней с плановой породой следует пользоваться методом мелиоративного скрещивания и вести углубленную селекционную работу — стараться сохранить лучшие хозяйственные качества (крепость, выносливость и т. п.) местных свиней и привить им ценные хозяйственно-полезные свойства (величину, скороспелость и т. п.) „Крупной Белой“ породы.

При метизации не следует забывать, что результаты этого метода улучшения животноводства в значительной мере зависят от целого ряда других зоотехнических моментов — от качества племенной работы, условий кормления, ухода — содержания, выращивания молодняка и т. д.

Только при правильной организации, параллельно с метизацией, всех этих вопросов можно добиться желаемого количественного и качественно-го повышения продукции свиноводства.

G. P. DEVDAPIANI

REFERRING TO A BREED OF SWINE PROVIDED TO IMPROVE SWINE BREEDING IN TRANSCAUCASIA

The very aim of our work is to select a breed that will serve to develop and increase the productivity of swine—breeding in Transcaucasia and liquidate the very fact of having so many different breeds as well as the very frequent substitution of one breed by another that certainly hinders the proper organisation of breeding.

The selection of such a breed for Transcaucasia depends on the following main factors:

1. The requirements of national economy;
2. Forage basis;
3. Natural conditions;
4. The very aim of swine breeding and
5. The actual breeds of swine.

The decisions of the-XVII-th Party Congress represent the basic point i. e. the one that has to define the very aim of agricultural production of Transcaucasia.

The meat problem has, and this certainly refers also to Transcaucasia, to be solved by means of properly organising swine—breeding; we have no beef—cattle while our cattle and sheep have to fulfill another no less important problem viz. supply us with milk and wool.

Natural and economical conditions of Transcaucasia favour the development of swine—breeding; the climatic conditions are splendid; in certain districts the climatic conditions are exceptional i. e. the climate is soft, moderate, the winter often without any snow etc. The large area of forests rich with acorns, shestnuts, and other fruit has to be considered as another favorable factor.

The main factor, however, is a solid forage basis. As regards this latter it's worth of mention that conditions in Transcaucasia are quite



favorable and this because the culture of corn, barley, potatoes, and partly that of beet and beans is largely spread. Various means applied to reconstruct agriculture and increase the tempo of the intensification of agriculture will naturally lead to an enormous increase of our forage stock.

Swine—breeding in Transcaucasia, must first of all consider the production of bacon as this latter, when compared with that of lard (or semi-lard) appears much more advantageous. It's understood that bacon will first of all be produced to satisfy the needs of the working class of Transcaucasia. The production of a bacon-type of swine, will not exclude the possibility of producing lard—a very valuable food product. The breed we consider to use (a universal type) to improve our local breeds guarantees the possibility of organising a semi-lard (pork-lard) fattening.

Adult sows and boars considered as being no-good will be fattened for the production of lard.

A question arises regarding the possibility of our local breed to satisfy the demands of the countries national economy, and the value of the very breed. We shall reply to this question as follows: the majority of swine bred in Transcaucasia are of the local, non-improved breed; it is a very strong and resistant (as regards disease) breed and able to make good use of pastures etc; it lacks, however, those most valuable qualities that characterise the so called cultural breeds of swine viz. earliness, heavy live-weight, ability to make good use of the forage, early fattening etc. In other words the local breed has non of those agricultural qualities that make the swine the most economically useful domestic animal.

We, therefore, may conclude that in order to obtain, as soon as possible, proper results we have not only to increase the quantity of our local swine, but also consider the matter of its qualitative improvement.

In order to fulfill above mentioned we have to cross-breed our local swine with one of the cultural breeds.

The world's best breed, the one that has played a most important role in improving local breeds and creating new highly productive breeds of swine (in Europe and also partly in America) is the „English Large White“. This breed is known for its earliness, productivity, heavy live-weight, strong constitution as well as the ability to transfer, its best qualities to the offspring. This breed gives a high-grade bacon even when crossed with any local breed.

Institutions concerned have performed, in Transcaucasia, experiments with the above mentioned Large White breed. This breed as



well as its offspring obtained by crossing it with local breeds are highly productive and comparatively resistant.

Therefore it's this very breed viz. the Large White Universal breed that has to be selected and used to improve the local breed in Transcaucasia.

We have to mention that when crossing this breed with the local breed we ought to apply the method of the so-called meliorative crossing and perform an increased selection work; we must try to maintain the useful economical qualities of our local breed (strength, resistance, etc.) and supply it with economically—useful properties (size, earliness, etc.) of the Large White breed.

When crossing these two breeds we ought to bear in mind that the results of such a method of improving animal husbandry depend largely on a whole number of other zootechnical factors, say the quality of the breeding work, feeding, maintaining, raising conditions etc.

Only a proper organisation of all above mentioned together with cross-breeding will enable us to increase the quality and quantity of our swine-husbandry production.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 1933/34 სამოსწავლო

წლის მუშაობის ანგარიში

ძირითად საბრძოლო ამოცანას, რომლითაც ხელმძღვანელობდა ინსტიტუტი თავის მუშაობაში, შეადგენდა ხარისხობრივი მაჩვენებლების მაქსიმალური გადიდება და მთელი სასწავლო-პედაგოგიურ და საგამოკვლევო პროცესის იმგვარი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფდა ამ მთავარ ამოცანის განაღდებას. საკავშირო ცაკის 1932 წ. 19 სექტემბრის ისტორიული დადგენილება, რომელიც უდიდეს მნიშვნელობის დოკუმენტს წარმოადგენს უმაღლეს სასწავლებელში სწავლების ძირითად გაუმჯობესების საქმეში და რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს მეორე ხუთწლედის წინაშე მდგომ ამოცანებიდან — ხარისხობრივ მაჩვენებლების ზრდის შესახებ და შემდგომ საკ. კომ. პარტიის (ბ) ცეკას მიერ ევრონეეის სას.-სამ. ინსტიტუტის მიმართ დასახული ღონისძიებანი, წარმოადგენდნენ გამოსავალ წერტილს, რომლის საფუძველზე ინსტიტუტმა ძირითადად გარდაქმნა თავის მუშაობა და დასახა კონკრეტული ზისიათის ღონისძიებათა სისტემა.

თუ ვასულ აკადემიურ წელს ჩვენმა ინსტიტუტმა თავის მუშაობის შედეგად მოიპოვა საქართველოს მასშტაბით მოწინავე ინსტიტუტის სახელი, საანგარიშო 1933/34 აკადემიურ წელს, მთავარ მიზანს წარმოადგენდა არსებულ მიღწევების განმტკიცება და ბრძოლის გაშლა ახალ წარმატება-გამარჯვებისათვის. ამ ძირითად ამოცანის რეალიზაციის ირგვლივ მოხილნიზებული იქნა ინსტიტუტში მომუშავე ყველა ორგანიზაციების: პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულის ყურადღება, რომლებიც აქტიურად ხელს უწყობდნენ დირექციის მიერ დასახულ ღონისძიებათა გატარებას. წინამდებარე საანგარიშო მიმოხილვაში ჩვენ ავლნიშნავთ ინსტიტუტის მუშაობის მხოლოდ მთავარ მომენტებს და აგრეთვე იმ ღონისძიებებს, რომლებიც დასახული და რეალიზებული იქნა ინსტიტუტის მიერ 1934/35 აკადემიური წლის ნორმალურად დაწყების უზრუნველყოფის მიზნით.

ინსტიტუტის სტრუქტურა და შემადგენლობა

სას.-სამ. ინსტიტუტმა, რომელიც ჩამოყალიბდა 1929 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის საფუძველზე, განიცადა არა ერთი



რეორგანიზაცია; მხოლოდ საკავშირო ცაკის 1932 წლის 19/IX-ის დადგენილებების შედეგად, მან მიიღო უფრო სტაბილური სახე და საანგარიშო აკადემიურ წელში ინსტიტუტი შევიდა შემდეგი ფაქულტეტების სახით:

1. მემინდგრობის.
2. მებალე-მევენახეობის.
3. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და
4. მეაბრეშუმეობის.

საანგარიშო წლის დასაწყისში დაარსდა აგრო-ეკონომიური ფაქულტეტი, ხოლო ამავე წლის შუა პერიოდში, სუბტროპიკულ და მცენარეთა დაცვის ინსტიტუტთა გაუქმების გამო, კიდევ ორი ფაქულტეტი სათანადო სახელწოდებით, ე. ი. მცენარეთა დაცვის და სუბტრ. კულტურათა ფაქულტეტი. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია ორი განყოფილებით: ა) სუბტროპიკული კულტურის და ბ) ჩინის ტექნოლოგიის. ამრიგად 1933/34 წ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტი შესდგება შვიდი ფაქულტეტისაგან.

კათედრების მუშაობასთან მქიადროთ დაკავშირებისა და კონკრეტულ ხელმძღვანელობის განხორციელების მიზნით, თვითეულ ფაქულტეტზე სპეციალობის მიხედვით, მიმაგრებულია შესაფერისი კათედრები.

გარდა ამისა, ინსტიტუტს აქვს საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა და სამოსწავლო მეურნეობა 6,5 ჰექტარის ფართობით.

სტუდენტთა რიცხვი: ახალ სამოსწავლო გეგმაზე გადასვლისა და, მასთან დაკავშირებით სწავლების ვადის გახანგრძლივების გამო, საანგარიშო წლის განმავლობაში ინსტიტუტს გამოშვება არ ქონდა, გარდა მექანიზაციის ფაქულტეტის სალიკვიდაციო კურსისა, რომელმაც სწავლა დაამთავრა ძირითადად ძველი სამოსწავლო გეგმის მიხედვით.

სტუდენტთა პარტიული და სოციალური შემადგენლობის შესახებ წარმოდგენას იძლევა შემდეგი ცნობები (მეცადინეობის დაწყებისა და დამთავრების პერიოდში), რომელიც აგრეთვე გვაძლევს სტუდენტთა მოძრაობის, დენადობის სურათს. (იხ. ცხრ. 138 გვ.).

პროფესორ-პედაგოგიურ პერსონალით უზრუნველყოფა

კვალიფიციური პედაგოგიური ძალები არის ინსტიტუტის აკადემიურ სიძლიერის ძირითადი საზომი და მაღალკვალიფიციურ წიგნელი სპეციალისტების მომზადების აუცილებელი პირობა, რასაც ინსტიტუტის ღირებულება იმთავითვე განსაკუთრებულ ყურადღებით ეპყრობოდა: ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ჩვენი ინსტიტუტი არა მარტო საქართველოს, არამედ კავშირის მასშტაბით ერთ-ერთ მძლავრ ინსტიტუტს წარმოადგენს.

საანგარიშო წლის პერიოდში ინსტიტუტში ირიცხებოდა: პროფესორი—14, დოცენტი 35, ლექტორი 10, ასისტენტები 47 და დანარჩენი დამხმარე პერსონალი (ლაბორანტ-პრეპარატორები) 21. სულ 127 კაცი.

ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ პროფესორ-პედაგოგიური პერსონალი მომსახურეობას უწყვედა არა მარტო ჩვენს ინსტიტუტს, არამედ სხვა სას.-სამ.



ხასიათის ინსტიტუტისა (ჯერ წინათ—ჩაის საკავშირო ინსტიტუტს, შემდეგ სოხუმის ინსტიტუტს, მცენარეთა დაცვის და სუბტროპიკულ ინსტიტუტს), სადაც პერიოდულად ინსტიტუტის მიერ მივლინებული იყო კურსის ჩასატარებლად პროფესორ-პედაგოგიური პერსონალის ესა თუ ის წევრი.

შემადგენლობა	I/IX—1933 წ.		I/VI—1934 წ.	
	აბსოლ.	%	აბსოლ.	%
სტუდ. საერთო რიცხვი	899	100	850	100
მათ შორის:				
ა. კ. პ. წევრები და კანდიდატები	99	11,1	99	11,6
ბ. კომკავშირ. წევრები და კანდიდატები	480	58,3	470	55,3
გ. პროფ. კავშირის წევრები	899	100	850	100
დ. მუშები და მუშის შვილები	323	35,9	306	37,2
ე. კოლმეურნე და მათი შვილები	223	24,8	220	25,9
ვ. ინდივიდუალური გლეხ. და მათი შვილები	130	14,5	108	12,8
ზ. მოსამსახურეთა შვილები და სხვა	223	24,8	206	24,1

სტუდენტთა რიცხვის შემცირება (49 კაცით) არის აკადემიური წმენდის და აკადემიურ დისციპლინის დამრღვევ სტუდენტთა წინააღმდეგ მიღებული ზომების შედეგი.

ფაკულტეტობრივ და კურსის მიხედვით სტუდენტები განაწილებული არიან შემდეგნაირად:

ფაკულტეტები	I კურსი	II კურსი	III კურსი	IV კურსი	შ/ს
1. მემინდერეობის	66	56	64	—	190
2. მებალე-მევენახეობის	59	68	115	—	238
3. მკანიზაციის	58	46	83	95	282
4. მებარეშემეობის	25	32	83	—	140
5. აგრო-ეკონომიური	—	—	—	—	—
ს უ ლ	208	202	345	95	850



ზოგიერთი ახალი დისციპლინის კვალიფიციური ძალებით უზრუნველყოფის მიზნით ინსტიტუტმა მისცა ხანგრძლივი მივლინება მოსკოვში 2 მეცნიერულ თანამშრომელს.

კაბინეტები და ლაბორატორიები

ლაბორატორია-კაბინეტებით უზრუნველყოფა წარმოადგენს სწავლების თავის სიმაღლეზე დაყენების და საგამოკვლევო მუშაობის აუცილებელ პირობას. ინსტიტუტში წარმოდგენილია შემდეგი კაბინეტები და ლაბორატორიები:

ფაკულტეტები	ლაბორატორიები	კაბინეტები	შენიშვნა
1. მეხალე-მევენახე	8	6	სახელოსნო
2. მემინდვრობის	3	3	
3. მექანიზაციის	2	—	
4. მეაბრეშუმეობის	2	2	
5. აგრო-ეკონომიური	—	1	
ს უ ლ	15	12	

ინსტიტუტს აქვს კარგად მოწყობილი სას.-სამ. ლაბორატორია, სადაც სწარმოებს საგამოკვლევო მუშაობა; მაგრამ იგივე ვერ ითქმის ინსტიტუტში არსებულ ყველა კაბინეტებისა და ლაბორატორიების შესახებ. ზოგიერთი კაბინეტი და ლაბორატორია ვერ არის შესაფერისად მოწყობილი.

სწავლების მეთოდი და კათედრების მუშაობა

სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის სათანადო ორგანიზაციისა და მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების მისაღებად უაღრესი მნიშვნელობა აქვს მეთოდურ საკითხების დამუშავება-გატარებას. დირექციამ სწავლების განახლების პირველ დღეებიდანვე გაამახვილა ყურადღება აღნიშნულ საკითხზე: სამოსწავლო ნაწილთან არსებული მეთოდ-ბიურო და შემდეგ ინსტიტუტის საბჭო სისტემატიურად იწვევდა ფაკულტეტის და კათედრების გამგეთა თათბირს, სადაც ირჩეოდა მეთოდური საკითხები, რის შედეგად კათედრებს ეძლეოდა კონკრეტული მითითებანი და დავალებანი. ამგვარი ხასიათის თათბირი მოწყვეული იქნა 4-ჯერ.



კათედრების გამგეებს დროულად დაეგზავნა, შესაფერის მეთოდური მითითებები თა გარდა, „კათედრის მუშაობის დებულება, რომელშიაც განსაზღვრულია კათედრის გამგის და მისი წევრების უფლება-მოვალეობანი და მუშაობის ხასიათი; ამ საფუძველზე, სამოსწავლო ნაწილისაგან მიცემულ მითითებების მიხედვით, ყველა კათედრის მიერ შედგენილია წლიური სამუშაო გეგმა.

ინსტიტუტის მიერ გამოყენებული იქნა ის სამი ძირითადი მეთოდი (ლექციური, სემინარული, ლაბორატორიული), რომელიც საკავშირო (კაცის დადგენილებაში და შემდეგ უმაღლეს პროფ. ტექნიკურ კომიტეტის მითითებებში არის აღნიშნული.

აღნიშნული სამი მეთოდის ხვედრითი წონა და მისი ადგილი პედაგოგიურ პროცესის საერთო სისტემაში არ იყო ინსტიტუტის მიერ მექანიკურად, ტრადიციულად მიღებული და ათვისებული; ეს საკითხი დამუშავებული იყო კათედრებზე, რის დროს გამოინავალ წერტილს შეადგენდა მოცემული დისციპლინის თავისებურება, მისი ხასიათი; მხედველობაში იყო მიღებული აგრეთვე ამა თუ იმ დისციპლინის ლაბორატორიით, სადემონსტრაციო მასალებით, სახელმძღვანელოებით თუ დამხმარე ლიტერატურით უზრუნველყოფის ხარისხი.

როგორც პირველ სემესტრის, ისე წლიური მუშაობის შეჯამების დროს სამოსწავლო ნაწილში მოწვეულ კათედრების გამგეთა თათბირზე და წლის განმავლობაში დირექციის მიერ წარმოებულმა შემოწმებამ საკმაოთ ნათელყო, რომ სწავლების მეთოდის საკითხი პროფესორ-პედაგოგიურ პერსონალის მიერ ძირითადად სწორად იქნა გაგებული და გატარებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ საგნებში მიმდინარე აღრიცხვა სუსტად სწარმოებდა, რის გამო რამოდენიმე საგანში ამ აღრიცხვის მასალები ვერ იქნა შესაფერისად გამოყენებული საგნის დამთავრებისას.

კათედრების მუშაობა. სასწავლო-მეთოდური და აგრეთვე საგანმეცნიერო მუშაობის ძირითად რგოლს წარმოადგენს კათედრა, რომლის მუშაობის გაცხოველებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დირექცია.

მონათესავე დისციპლინათა შორის მჭიდრო კავშირის დამყარების და პედაგოგიურ პროცესის უკეთ ორგანიზაციის თვალსაზრისით ჩატარებული იქნა კათედრების გამსხვილება, რის შედეგად წინა წელს არსებულ 24 კათედრის ნაცვლად ჩამოყალიბებულ იქნა 17 კათედრა (სუბტროპიკულ და მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის კათედრების გარდა). კათედრებს ხელმძღვანელობენ პროფესორები, გარდა სამი კათედრისა, სადაც გამგეთ დანიშნულია დოცენტები. კათედრების მიერ ჩატარებული მუშაობა ძირითადად გამოიხატება შემდეგში:

1. საერთო მეთოდებიდან გამომდინარე, დამუშავებული იქნა, ცალკე დისციპლინის თავისებურების მიხედვით, სწავლების კერძო მეთოდიკა.
2. დამუშავებული იქნა პროგრამები სამოსწავლო ნაწილიდან მიღებულ მითითებათა საფუძველზე, რომლებიც შემდეგ განხილულ და დამტკიცებულ იქნა სამოსწავლო ნაწილთან არსებულ მეთოდბიუროში.

3. კათედრების დიდ უმრავლესობის მიერ ტარდებოდა ხელმძღვანელობა კათედრაში შემავალ პედაგოგთა რაოდენობის პროცენტში შემოწმებისა და შემდეგ კათედრაზე მასწავლებელთა მუშაობის მოხმენისა და კონკრეტულ მითითებათა მიცემის სახით.

4. დირექციიდან მიცემულ დავალებების საფუძველზე შემოწმებულ იქნა არსებული სახელმძღვანელოები და დასახული იქნა გამოსაცემი ლიტერატურა.

5. განხორციელებული იქნა ხელმძღვანელობა (თუმცა არა ყველა კათედრის მიერ) ასპირანტების მიმართ.

6. მოწყობილი იქნა კათედრის საჯარო სხდომები, სადაც განხილული იყო მთელი რიგი მეცნიერულ თვალსაზრისით მეტად საინტერესო პრობლემები; საანგარიშო პერიოდში ჩატარებული იყო 15 სხდომა. მოხსენებების ამგვარმა ორგანიზაციამ ვაიცხოველა ინტერესი, როგორც პედაგოგიურ პერსონალის, ისე სტუდენტთა შორის, რის შედეგად მათი დასწრების პროცენტი საგრძნობლად გაიზარდა.

7. დირექციის დავალების საფუძველზე კათედრების მიერ დამუშავებული იქნა სადიპლომო შრომების თემატიკა, რაც სამოსწავლო ნაწილში განხილვის და დამტკიცების შემდეგ დაყვანილი იქნა სტუდენტობამდე.

აღსანიშნავია, რომ სადიპლომო შრომების დამუშავება შედარებით ახალ საქმეს წარმოადგენს ინსტიტუტის აკადემიურ ცხოვრებაში, ამიტომ ინსტიტუტი დიდი სიფრთხილით და სერიოზულობით მიუღდა ამ საკითხს; მაგრამ იმის გამო, რომ დიპლომანტებზე ვერ იქნა განხორციელებული ყველა საჭირო მოთხოვნები, ვინაიდან მათ მიერ ინსტიტუტი სამ წლიანი კურსის მიხედვით იქნა დამთავრებული და, მაშასადამე, უკანასკნელი საწარმოო პრაქტიკა ვერ იქნა გამოყენებული სადიპლომო შრომების დასამუშავებლად, ამიტომ კათედრები ვერ ანხორციელებდნენ შესაფერ ხელმძღვანელობას. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს მექ. ფაკულტეტი, სადაც სადიპლომო შრომები დამუშავებული იყო ინსტიტუტის დამთავრებამდე და, მაშასადამე, კათედრებს ქონდათ შედარებით უკეთესი ხელმძღვანელობის განხორციელების შესაძლებლობა.

8. კათედრები და მისი ცალკე წრეები მუშაობას აწარმოებდნენ ინსტიტუტის გარეშეც სხვა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებში კონსულტაციის, დახმარების გაწევის სახით.

9. ინსტიტუტში განსაკუთრებულ მტკივნეულ მხარეს წარმოადგენს სტუდენტთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საკითხი. ამ მიზნით დირექციამ გამოარკვია სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის ხარისხი და ამავე დროს შეისწავლა არსებულ სახელმძღვანელოთა გამოყენების შესაძლებლობა; აქედან გამომდინარე ინსტიტუტმა შეიმუშავა გამომცემლობის მთლიანი გეგმა, სადაც გათვალისწინებული იყო წიგნების გამოცემა, როგორც სახელმწიფო გამომცემლობის, ისე საკუთარი (ლიტოგრაფიის) საშუალებათა ხაზით.

საანგარიშო წლის განმავლობაში ინსტიტუტმა სთარგმნა შემდეგი სახელმძღვანელოები: 1) მეზოსტენოზაში—ინგლისურიდან და 2) მეაბრეშუმეობაში რუსულიდან. გარდა ამისა გამზადებულია დასაბეჭდათ: 1) მევენახეობა და

2) პარკონები. გამომცემლობის საქმის მოსაწესრიგებლად ინსტიტუტმა გამაჭრ სპეციალური პირი.

სტუდენტთა აკადემიური წარმატება

აკადემიური წარმატების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს აკადემიური დისციპლინის განმტკიცება, როგორც სტუდენტთა, ისე პროფესორ-პედაგოგიურ პერსონალს შორის. ამ მიზნით ინსტიტუტის მიერ სწავლების დაწყების პირველ დღეებშივე მიღებული იყო გადამჭრელი ზომები: დამუშავებული და გატარებული იქნა აკადემიურ დისციპლინის დამრღვევთა მიმართ დისციპლინარული სასჯელის სისტემა, რის შედეგად მინიმუმამდე იქნა დაყვანილი სტუდენტთა გაცდენები. თუ მეცადინეობის განახლების პირველ პერიოდში (სექტემბერი, ოქტომბერი) სტუდენტთა გაცდენები უდრიდა 3,7 პროც., წლის დასასრულს ის დაყვანილი იქნა 1,2 პროც.-მდე.

გაცილებით უფრო საგრძნობი შედეგი იქნა მიღებული პროფესორ-პედაგოგიურ პერსონალის მხრივ, რომელმაც მთლიანად აღადგინა გაცდენილი საათები და, მაშასადამე, გათვალისწინებული გეგმაც შეასრულა 100 პროც.-ით.

სტუდენტთა აკადემიური წარმატების გააორკვევა სწარმოებდა, ერთის მხრივ, მიმდინარე აღრიცხვის საშუალებით, რომელიც გატარებული იყო, როგორც სესიურ, ისე განსაკუთრებით არასესიური საგნების მიმართ და მეორეს მხრივ, ზამთრის და გაზაფხულის სესიებზე. აკადემიური წარმატების აღრიცხვის სალ, პედაგოგიურ საფუძველზე დაყენების მიზნით, ინსტიტუტის მიერ შემუშავებული იყო სტუდენტთა ცოდნის დიფერენციულ ნიშნებით (ფრიადი, კარგი, დამაკმაყოფილებელი) განსაზღვრის კრიტერიუმი. სესიების ნორმალურად და გეგმიანად წარმოების თვალსაზრისით ჩატარებული იქნა მოსამზადებელი მუშაობა, რაც ძირითადად გამოიხატა შემდეგში:

1) თავიდანვე განსაზღვრული და დაყვანილი იქნა სტუდენტობისა და პედაგოგიურ პერსონალამდე ხესიური და არახესიური საგნების სია; კათედრებს მიცემული ქონდათ მითითება სესიების ჩატარების წესის შესახებ; იგივე მითითება დამუშავებული იყო აგრეთვე სტუდენტთა ორგანიზაციებში.

2) ჯერ კიდევ პირველი სემესტრის დამთავრების მოახლოებისას, კათედრებმა, მე-17 პარტყრილობასთან დაკავშირებით, აიღეს თავის თავზე მთელი რიგი ვალდებულებათა სესიების წარმატებით ჩატარების ირგვლივ, სახელდობრ:

ა) ზოგიერთ დისციპლინებში დამატებითი მეცადინეობის ჩატარება;

ბ) აკადემიურად ჩამორჩენილ სტუდენტთათვის დახმარების გაწევა საკონსულტაციო საათების მიცემის სახით;

გ) სესიებზე დაუკვიანებლივ გამოცხადება და მიმდინარე აღრიცხვის ფართოთ გამოყენების საფუძველზე სტუდენტთა მომზადების ზუსტათ განსაზღვრა და სხვ.

აღნიშნული ვალდებულებანი შესრულებული იყო კათედრების მიერ, რამაც ხარისხობრივ მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე დადებითი გავლენა მოახდინა.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა გარდა, იმ მიზნით, რომ გამორკვეულიყო სტუდენტთა აკადემიური წარმატება საგნების მიხედვით და ამასთან ერთად რამოდენიმე მაინც გამოგვეჩვენა ცალკე მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი მოთხოვნილებანი სტუდენტთა მიმართ, ინსტიტუტის მიერ აღრიცხული იყო სტუდენტთა წარმატება ცალკე დისციპლინებისა, კურსების, ფაკულტეტების მიხედვით და ბოლოს ინსტიტუტის მასშტაბით.

სასწავლო გეგმის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შესრულების სურათს იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცნობები.

სტუდენტთა აკადემიური წარმატება

№პ/რ.	ფაკულტეტი	ფრიადი	კარგი	დამაკმაყოფილებელი	სუსტი
1	მეზინდერეობის	348 22,1%	483 30,6%	620 39,5%	124 7,8%
2	მებაღე-მევენახ.	516 23,6%	766 35,1%	758 34,8%	143 6,5%
3	მებაბრეშუმეობის	227 20,7%	361 33,0%	483 42,1%	53 4,7%
4	მექანიზაციის	424 16,2%	492 35,2%	555 39,7%	125 8,9%
ს უ ლ		1315 20,9%	2102 33,5%	2416 38,5%	445 7,1%

როგორც აქ მოყვანილი ხარისხობრივი მაჩვენებლები გვიდასტურებენ, „ფრიადი“-ს და „კარგი“-ს ხვედრითი წილი საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს გარემოება უნდა აიხსნას ჯერ ერთი მიმდინარე აღრიცხვის შედარებით კარგად დაყენებით, რაც საშუალებას იძლეოდა ჩამორჩენილ სტუდენტთა თავის დროზე გამორკვევის და მათთვის დახმარების გაწევის და მეორე—თვის სტუდენტთა მიერ ენერგიულ მუშაობით და ბრძოლით კარგი ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის.

ამასთან ერთად აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 1933/34 აკადემიურ წლის განმავლობაში ადგილი ქონდა ზოგიერთ საგნებში (მაგ. კერძო მიკრო-

ბიოლოგიაში, მედიკოსებში) ერთგვარ ლიბერალურ დამოკიდებულებას წაველებელთა მხრივ, რამაც, ცხადია, ნაწილობრივ გაზარდა კარგი ნიშნების ხვედრითი წონა. აღნიშნულ ლიბერალურ დამოკიდებულების მიმართ გამახვილებული იქნა კათედრების ყურადღება, რის შედეგად მტკიცეთ იქნა გამოყენებული სტუდენტთა ცოდნის შემოწმების კრიტერიუმი.

საწარმოო პრაქტიკა

ახალ სამოსწავლო გეგმაზე გადასვლასთან დაკავშირებით საწარმოო სწავლება წყვილად ფაკულტეტებზე იწყება III კურსიდან. საწარმოო სწავლების ნორმალური შესრულების უზრუნველსაყოფად ინსტიტუტის მიერ ჩატარებული იქნა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, რაც ძირითადად გამოიხატება შემდეგში:

1) შემცირებული იქნა საწარმოო ობიექტების რიცხვი და შერჩეული უფრო მსხვილი ბაზები, რასაც წინ უძღოდა ფაკულტეტებისა და კათედრების მიერ აღნიშნული ბაზების შესწავლა. ამ მიზნით საწარმოო პრაქტიკის ადგილებში მივლინებული იყო ინსტიტუტიდან სპეციალისტები.

2) კათედრების მიერ დამუშავებული იყო სამუშაო გეგმები და პროგრამები შეთანხმებით შესაფერის სამეურნეო ორგანიზაციებთან, რომლებთანაც სადირექტივო ორგანოების დადგენილების საფუძველზე წინასწარ დადებული იყო ხელშეკრულება.

3) საწარმოო პრაქტიკის ვადები ზუსტად შეფარდებული იყო ძირითად სას.-სამ. კამპანიებთან.

საწარმოო პრაქტიკისათვის სათანადო მნიშვნელობის მიცემის მიზნით, დირექციამ მიიღო გადაწყვეტილება ზომები პრაქტიკაზე სტუდენტთა მთლიანად გასავზავნად, რასაც შემდეგ ცნობები ადასტურებენ:

№№ რ/რ.	ფაკულტეტი	რ. სტუდენტები ფაკ.	გაიგზავნა	წ/მ/წ-ში	შენიშვნა
1	მემინდვრეობის	64	60	93,7	3 სტუდ. არ გაიგზავნა ავადმყოფობის გამო.
2	მებაღე-მევენახ.	115	113	98,2	
3	მექანიზაციის	83	80	96,5	2 სტუდ. არ გაიგზავნა ავადმყოფობის გამო.
4	მებარეშეშობის	83	83	100	
	სულ	345	336	97,4	



აღნიშნული შედეგები აკადემიური დისციპლინის განმტკიცების მიზნებისთვის მიმართულია, რაც თავის მხრივ ზრდის საწარმოო პრაქტიკის მნიშვნელობას.

საგამოკვლევო მუშაობა

მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით შედარებით მცირე თანხა იყო გათვალისწინებული (30.000 მან.), ინსტიტუტმა მაინც შესძლო მეტად მნიშვნელოვანი მუშაობის ჩატარება ამ მიმართულებით. საგამოკვლევო მუშაობის თემატიკის ჩვენი სოციალისტური მშენებლობასთან დაკავშირების შედეგად, ინსტიტუტმა ჩააბა ამ მუშაობაში სამეურნეო ორგანიზაციები (სამტრესტი, წყალთა მეურნ. სამმართველო, ქალ. აღმასკომი და სხვა), რომლებიც დაინტერესებული იყვნენ მათთვის აქტუალური თემების დამუშავებით. ამ მიზნით ისინი გარკვეულ ფინანსიურ დახმარებასაც უწყვედენ ინსტიტუტს.

საანგარიშო აკადემიურ წლის განმავლობაში საგამოკვლევო მუშაობას აწარმოებდა შემდეგი კათედრები:

1. ბოტანიკის კათედრა (მცენ. ანატ. და ფიზიოლოგიის კაბინეტი).
2. მიწათმოქმედების კათედრა.
3. მცენარეთა დაცვის კათედრა.
4. ს. მ. ეკონომიის და ორგანიზაციის კათედრა.
5. მეღვინეობის კათედრა.
6. მევენახეობის კათედრა.
7. მებაღეობის კათედრა.
8. მარცვლოვან კულტურის კათედრა.
9. მეაბრეშუმეობის კათედრა.
10. ფიზიკის კათედრა (აგრო-მეტეოროლოგიის ხაზით).

საგამოკვლევო მუშაობაში ჩაბმული იყო, გარდა კათედრის უშუალო თანამშრომლებისა, ასპირანტებიც.

საგამოკვლევო მუშაობის შედეგები ქვეყნდება ინსტიტუტთან არსებულ საკუთარ ორგანოში „მოამბე“-ში.

ინსტიტუტის ბიბლიოთეკა

ინსტიტუტს აქვს საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავს 130.000-მდე სხვადასხვა სახელწოდების წიგნს. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია უმთავრესად ძველი აგრონომიული ხასიათის ლიტერატურა. მიმდინარე წელს დირექციამ გააძლიერა ახალი პერიოდული ლიტერატურის შექმნა, აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მხატვრული ლიტერატურით ბიბლიოთეკის შევსებას. სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, დირექციამ გახსნა ე. წ. მოძრავი ბიბლიოთეკის სახით განყოფილება სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, სადაც სამეცადინო წიგნების გარდა წარმოდგენილია მხატვრული ლიტერატურაც.



სამხედრო მომზადება

სას.-სამ. ინსტიტუტში სწარმოებს სამხედრო მეცადინეობა. სამხედრო დისციპლინებზე და საბანაკო შეკრებაზე სამოსწავლო გეგმით გათვალისწინებულია საკმაოდ დიდი დრო. მიმდინარე წლის მიღწევებიდან აღსანიშნავია, რომ:

- 1) სამხედრო ბანაკში მონაწილეთა შორის ყველას (გარდა ერთისა) მიენიჭა უმცროსი კომუნადგენ. წოდება.
- 2) ჩატარებულ შემოწმების შედეგად სას.-სამ. ინსტიტუტმა დაიკავა პირველი ადგილი ა/კ. უმაღლეს სასწავლებელთა შორის. შრომის და თავდაცვის პირველი ხარისხის ნორმები ჩაბარებულია ყველას მიერ.
- 3) ძირითად დისციპლინებში მიღწეულია საკმაოდ მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლები:

1. პოლიტ-მომზადებაში	4,6
2. ტაქტიკ.	4,6
3. ბრძოლის ტექნ. საშუალებ.	4,3

გარდა ამისა, ფიზკულტურის დაყენების საქმეშიც ინსტიტუტს აქვს მიღწევები: სპეციალურ სასპორტო დარბაზში, რომელიც უზრუნველყოფილია საჭირო სამეცადინო იარაღებით, სწარმოებს ცხრილის მიხედვით სისტემატიური მეცადინეობა. ხელმძღვანელებად მოწვეულია მაღალი კვალიფიკაციის პირები.

სახოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა და კულტ-მომზადების საქითხები

ინსტიტუტში ფართოთ იყო გაშლილი სახ.-პოლიტიკური მუშაობა, როგორც პროფესორ-პედაგოგიურ პერსონალის, ისე განსაკუთრებით სტუდენტობის შორის. პირველთათვის ჩამოყალიბებული იყო დიალექტიკური მატერიალიზმის წრე, სადაც სწარმოებდა ძირითადი პრობლემების დამუშავება. ინსტიტუტში დაარსებულია 25 პოლიტწრე, რომელშიდაც გაერთიანებული იყო პარტიის წევრთა, კანდიდატთა და კომკავშირელთა 100 პროც. და უპარტიოთა 89 პროც.

საანგარიშო წლის განმავლობაში ჩატარებულია 41 პოლიტ-მეცადინეობა; საშუალო დასწრება უდრის 98 პროც., ხოლო უკანასკნელ პერიოდში 99,6 პროც.-მდე მიაღწია. პოლიტ-წრეებში მეცადინეობის შეუასება გვაძლევს წარმატების შემდეგ მაჩვენებლებს: ფრიადი—21,8 პროც.; კარგი—39,2 პროც., საკმაო—37,6 და არა დამაკმაყოფ—1,4 პროც. გარდა ამისა სისტემატიურად გამოდიოდა კედლის გაზეთები, როგორც ფაკულტეტის, ისე ინსტიტუტის მასშტაბით, და აგრეთვე საერთო საცხოვრებელშიაც.

სტუდენტთა კულტურული დონის ამაღლების საქმეში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კათედრების ღია სხდომებზე გაკეთებულ მოხსენებებს, სადაც



გაშუქებული იყო მნიშვნელოვანი საკითხები მეცნიერების ახალ მიღწევებთან დაკავშირებით.

ინსტიტუტში მოწყობილია აგრეთვე სხვადასხვა სახის გასართობები; ინსტიტუტის კლუბთან ჩამოყალიბებულია წრეები: დრამატული, ფიზკულტურის, მუსიკალური, კადრაკის და სხვა. აგრეთვე იმართება წარმოდგენა-სალამოები და კინო.

დიდი ყურადღება ჰქონდა მიპყრობილი საერთო საცხოვრებელში ჰიგიენურ პირობების შექმნის საკითხს, რომელსაც მეთვალყურეობდა და კონტროლს უწევდა, როგორც ღირექცია, ისე ფაკულტეტები, მიღებულ ზომების შედეგად საკმაოდ გაუმჯობესდა სისუფთავე საერთო საცხოვრებელში.

საანგარიშო წლის განმავლობაში ღირექციამ მიიღო ზომები დამკვერელ სტუდენტთათვის 10 ოთახის გაუმჯობესებულად მოწყობისათვის.

ყოფა ცხოვრების დანარჩენ მხარეებიდან აღსანიშნავია სასადილოს, ფეხსაცმელის შესაკეთებელ სახელოსნოს, საპარკმახეროს და კბილის ამბულატორიის არსებობა, რომელიც დიდ სამსახურს უწევს სტუდენტობას. დასასრულ, აღსანიშნავია აგრეთვე ადგილკომთან არსებულ სამეცნიერო სექციის მუშაობა, რომელიც ენერგიულ დახმარებას უწევდა ღირექციას სამოსწავლო საქმის გაუმჯობესების საქმეში.

სოც-შეჯიბრი და დამკვერლობა

ინსტიტუტში არსებული მიღწევები, როგორც აკადემიურ დარგში, ისე ყოფა-ცხოვრების თუ სხვა სფეროში, იყო შედეგი იმ ენერგიულ მუშაობის, რომელსაც აწარმოებდა ღირექცია პარტიულ, კომპავეზირის, პროფესიონალურ ორგანიზაციების დახმარებით. ამ მუშაობაში ფართოთ იყო გამოყენებული შრომის სოციალისტური ფორმები—სოცშეჯიბრი და დამკვერლობა; როგორც პროფესორ-პედაგოგიურ, აღმინ.-ტექნიკურ პერსონალის, ისე სტუდენტთა შორის ფართოთ იყო გავრცელებული სოც-შეჯიბრი და დამკვერლობა. სოცშეჯიბრში ჩაბმული იყო ინსტიტუტის ფარგლებში: ფაკულტეტები, კათედრები, აკადემიური ჯგუფები. გარდა ამისა ინსტიტუტი ჩაბმული იყო სოციალისტური შეჯიბრების მეორე ტურში და გამოწვეული ჰყავდა: ხარკოვის სას.-სამ. ინსტიტუტი, აზერბეიჯანის სას.-სამ. ინსტიტუტი და ა/კ. გზათა მიმოსვლის ინსტიტუტი. ამასთან დაკავშირებით ინსტიტუტმა აიღო თავის თავზე და განახორციელა მთელი რიგი ვალდებულბანი და მათ შორის სოციალისტურ სას.-სამ. წამოწყებული სათვის პრაქტიკულ დახმარების აღმოჩენა. ინსტიტუტის ყველა ძირითადი კათედრა დახმარებას უწევდა გორის სამანქანო-სატრაქტორო სადგურს, დილომის საშეფო სოფელს, სადაც პერიოდულად, გარკვეულ გეგმის მიხედვით, სწარმოებდა პროფესორ-პედაგოგიურ პერსონალის მივლინება კონსულტაციების მისაცემად და ადგილობრივ პრაქტიკულ დახმარების აღმოსაჩენად.

პედაგოგიური პროცესის და საერთოდ სწავლებასთან დაკავშირებულ დანარჩენ მხარეების სათანადო ორგანიზაციისათვის სას.-სამ. ინსტიტუტი საკავშირო ორგანოების მიერ შეფასებული იქნა როგორც მოწინავე.

1934 წ. ივლისში ქ. მოსკოვში მოწვეულ სას.-სამ. ინსტიტუტების დირექტორთა სრულიად საკავშირო თათბირის შემდეგ საკავშირო მიწისაჯომის მიერ წარდგენილი იყო ჩვენი ინსტიტუტი, როგორც მოწინავე, დასაჯილდოებლად კომკავშირის ცეკაში. ხოლო თავის ხაზით საკავშირო მიწისაჯომის და კერძოთ სახ. კომისრის ანხ. ჩერნოვის მიერ ინსტიტუტს ჯილდოს სახით მიეცა ინსტიტუტისათვის საქირო სხვადასხვა მოწყობილობა. ინსტიტუტი დაჯილდოებულია აგრეთვე საკავშირო კომკავშირის სოცშეჯიბრის ხაზით გარდამავალი დროით და ფულით.

აღნიშნულ მიღწევებთან ერთად ინსტიტუტის მუშაობაში ადგილი ჰქონდა დეფექტებსაც, რომელთა შორის აღსანიშნავია:

1) ზოგიერთმა კათედრამ, მიუხედავად მიცემული მითითებებისა, ვერ გადაქნა თავისი მუშაობა პროფექტნიკურ უმაღლეს კომიტეტის მოთხოვნისა და საფუძველზე.

2) პედაგოგიურ პერსონალში ადგილი აქვს შეთავსებებს სხვა სამეურნეო ორგანიზაციებში, რაც იწვევს მათ ზედმეტად გადატვირთვას და აძნელებს ინსტიტუტის ფარგლებში მათი მუშაობის გაშლას.

3) ზოგიერთ სპეციალურ დისციპლინაში, განსაკუთრებით მექანიზაციის ფაკ-ზე, ინსტიტუტს არა აქვს სპეციალური მოწყობილობანი (სახელოსნო, სადემონსტრაციო მასალა და სხ.).

4) არ არის შექმნილი მტკიცე ფინანსიური ბაზა საგამოკლევო მუშაობის წარმოებისათვის.

5) სტუდენტთა კულტურული და ყოფაცხოვრების საქმე ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე და სხ.

ლონისძიებანი ახალი სამოსწავლო წლისათვის

ჯერ კიდევ საანგარიშო აკადემიური წლის დამთავრებამდე, ინსტიტუტის დირექციამ შეიმუშავა ღონისძიებათა სისტემა ახალი სამოსწავლო წლის მზადებისათვის, რომლის დროული ჩატარება პედაგოგიურ პროცესის სწორი ორგანიზაციის და, მასთან დაკავშირებით, ხარისხობრივ მაჩვენებლების ზრდის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ამ მიმართულებით ჩატარებული იქნა მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც ძირითადად შემდეგში გამოიხატება:

1) განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული ჰქონდა ახალი ნაკადის მიღების ორგანიზაციას, რომელსაც უნდა უზრუნველყო კანდიდატთა სწორი შერჩევა მომზადების, პარტიულ და სოციალურ შემადგენლობის მიხედვით. ამ მიზნით მოწყობილი იყო რამოდენიმე პუნქტში (როგორც ტფილისში, ისე რაიონებში) მოსამზადებელი კურსები 120 კაცისათვის. გარდა ამისა, თავის დროზე გამოქვეყნებული იყო ინსტიტუტში მიღების პირობები; ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად შესაძლებელი გახდა კანდიდატთა შერჩევა (შემოტანილი იყო 705 განცხადება). აგრეთვე ორგანიზებულად იყო ჩატარებული მისაღები გამოცდებიც.

2) წინასწარ დამუშავებულ იქნა სამოსწავლო პროგრამები, რის შესახებ კათედრის გამგეებს მიეცათ დროულად მითითება. პროგრამები დამუშავებული და გადამუშავებული იქნა უმაღლეს პროფტექნიკურ კომიტეტის მითითებათა საფუძველზე. ამასთან ერთად დაზუსტებულ იქნა სამოსწავლო გეგმები.

3) კათედრებს იმ თავითვე მიეცათ მითითება სახელმძღვანელოების დამზადების შესახებ იმ დისციპლინებში, რომელშიც ქართულ ენაზე არ მოიპოვება შესაფერისი სახელმძღვანელო ან დამხმარე ლიტერატურა.

პრიტიკა და ზიგლიოზრავია

„ტერიტორიის ორგანიზაცია“ თუ გავნებელთა თეორიების კოპულიარიზაცია

ნ. იაშვილი.— „მასალები სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის შესასწავლად. ტერიტორიის ორგანიზაცია“. წიგნი მეოთხე. 1934 წ.

სოციალისტურ სოფლის მეურნეობის წამოწყებათა ორგანიზაციის პრობლემები უაღრესად აქტუალური და მნიშვნელოვანია. მათი გულდასმით დამუშავება და ანალიზი მარქსიზმ-ლენინიზმის და კერძოდ **სტალინის** ნაშრომების საფუძველზე, პროლეტარიატის დიქტატურისა და მისი ხელმძღვანელი **ლენინ**—**სტალინის** პარტიის ბრძოლა და ამ ბრძოლის შესწავლა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის წარმოადგენს მეტად საპასუხისმგებლო და სასახელო ამოცანას. ეს ამოცანა განსაკუთრებით მწვავედ დგას ჩვენში, რადგან ქართულ ლიტერატურაში თითქმის არ მოიპოვება ცოტად თუ ბევრად სისტემატიზირებული და გულდასმით დამუშავებული წიგნი სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა და მისი ელემენტის—ტერიტორიის ორგანიზაციის დარგში.

ზემოხსენებულიდან გასაგებია, რომ მეტად საინტერესოა ცალკე ავტორების ცდა სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის დამუშავების დარგში და დოც. **ნ. იაშვილის** ნაშრომიც თითქოს ამ ამოცანის შესრულებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. მაგრამ ხსენებული შრომა არამც თუ ვერ ასრულებს ზემოხსენებული ამოცანების ნაწილსაც კი, არამედ წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკის აშკარად დამახინჯებას, მიწის ნაციონალიზაციის როლის შეგნებულად მიჩქალვას ტერიტორიის ორგანიზაციის საქეში, ბურჟუაზიულ მავნებელურ თეორიების (ჩაიანოვი, სტუდენსკი, მაკაროვი და სხვა) რესტავრაცია-პოპულიარიზაციის და აშკარად ანტიმარქსისტულ—ანტილენინური მეთოდოლოგიის დაცვას. ამ წიგნში ავტორი ახდენს თავის ძველი შეცდომების აღდგენას და ეწევა მათ პროპაგანდას.

ავტორის უხეში პოლიტიკური და მეთოდოლოგიური შეცდომები ძირითადად შეიძლება ასახულ იქნას ქვემოთ მოყვანილ დებულებებში:

1) წიგნის ავტორი გვერდს უვლის ოქტომბრის რევოლუციის შედეგად მოხდენილ ძირფესვიან გარდატეხას მთლიანად სოფლის მეურნეობის ორგანიზა-

ცბისა და კერძოთ ტერიტორიის ორგანიზაციის საქმეში, უგულველყოფის საგნებით მიწის ნაციონალიზაციის, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ერთერთ ბერკეტის, უდიდეს მნიშვნელობას სოცმშენებლობის საქმეში.

2) დოკ. იაშვილი სრულებით ვერ „ამჩნევს“ პროლეტარიატის დიქტატურისა და მისი ხელმძღვანელი კომუნისტური პარტიის დიად ბრძოლას და მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებებს ტერიტორიის ორგანიზაციის კაპიტალისტური და კაპიტალიზმამდე არსებულ ანტაგონისტურ-ექსპლოატატორულ პრინციპების რევოლუციონური აღმოფხვრისა და მის სოციალისტურ საფუძველზე მოწყობისათვის გმირული ბრძოლის 18 წლის პრაქტიკას. პირიქით, იგი კიდევაც დასცინის ამ პრაქტიკას, როდესაც ამბობს, რომ „ეს ორი მაგალითიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ წინდაუხედავად მოქმედებენ ხშირად თანამედროვე რთული სასოფლო-სამეურნეო წამოწყების შემთხვევით „ორგანიზატორები“ (გვ. 51).

3) ავტორი ახლაც დალადებს კერძო წარმოების პრინციპების უპირატესობას, როცა ამბობს, რომ „ამ შემთხვევის (ე. ი. ისეთი შემთხვევა ტერიტორიის კონფიგურაციის, სადაც ყველაზე ნაკლებია შიდასამეურნეო და სატრანსპორტო ხარჯები) დაშვება თეორიულადაც კი შეიძლება მხოლოდ კერძო მეურნეობის თვალსაზრისით“ (ხაზი ჩვენია). ე. ი. თითქოს ყველაზე უფრო რაციონალური მოწყობა ტერიტორიას თეორიულადაც კი მხოლოდ კერძო მეურნეობაში შეიძლება, რაც ბუნებრივია მისი აზრით და წარმოუდგენელია მსხვილ სოციალისტურ მეურნეობაში.

4) ავტორის მიერ უგულველყოფილია საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობათა ტერიტორიის ორგანიზაციის პრობლემები და გვერდავლილია მ. ტ. ს. -ების როლი ამ საქმეში, ხოლო სადაც კი მოყავს სოც. მშენებლობის მაგალითები, ისიც საფერად, მხოლოდ იმიტომ, რომ გათქვიფოს ერთმანეთში საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიის ორგანიზაციის ამოცანები და ამით დაამახინჯოს სოც. მშენებლობის დიადი პრაქტიკა.

5) დოკ. იაშვილი ბურჟუაზიული წყობილების აპოლოგეტებისა და მავნებლების თეორიასთან სრული ჰარმონიით ცდილობს გააღმერთოს ბუნების ძალები და მიწის ფართობის გამოყენებისათვის ბრძოლა გამოაცხადოს ისტორიის მამოძრავებელ ღერძად. იგი ამბობს: „მიწის ამა თუ იმ ფართობის გამოყენებისათვის ბრძოლა უხსოვარი დროიდან წარმოადგენდა ისეთ ფაქტორს, რომელიც ხალხთა განვითარების ყოველ მხარეს (ხაზი ჩვენია) ისტორიულ მიმართულებას აძლევდა (გვ. 9). ანდა „სოციალ-ეკონომიური პირობებისაგან გამოწვეული წინააღმდეგობა, თითქმის ყოველთვის, ემორჩილება მეურნე ადამიანის შეგნებულ ნებისყოფას და მისი შეცვლა, ყოველ ცალკე შემთხვევაში, საჭირო ეკონომიური ღონისძიებათა გატარების მიზანშეწონილებასეა დამოკიდებული“. ხოლო „ბუნებრივ პირობებისაგან გამოწვეული წინააღმდეგობა უფრო ნაკლები ხარისხით ექვემდებარება მეურნე ადამიანის შეგნებულ ნებისყოფას“ (გვ. 31). ავტორს ეს დებულებები მხოლოდ იმიტომ სჭირდება, რომ ბუნებრივი პირობების გაღმერთების ბურჟსში გახვიოს კლასობრივი ექსპლოატაცია და კლასობრივი ბრძოლა

და კაპიტალიზმისა და კაპიტალიზმამდე არსებულ ანტაგონისტურ წარმოების წესის „უარყოფითი მხარეები“ გამოაცხადოს ადვილად დასაძლევ მოვლენად კაპიტალიზმის დაუშვობლად და ამით შეეცადოს კაპიტალიზმის მუდმივობის დასაბუთებას. ზემოხსენებული დებულებანი წარმოადგენენ მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლას ბურჟუაზიულ წყობილების აპოლოგეტთა პოზიციებიდან.

6) ავტორი იქაც კი, სადაც ცდილობს „გამოიყენოს“ მარქსისტული ტერმინოლოგია, სჩადის ამას მხოლოდ იმ მიზნით, რომ უკანასკნელი გააყალბოს. ასე მაგ., იგი ამბობს: „წარმოების საშუალებათა განვითარების, მოთხოვნილებათა გამრავალფეროვნებისა და მოსახლეობის რაოდენობით ზრდის პარალელურად ხალხთა საწარმოო ურთიერთობის ცვალებადობის პირობებში, ტექნიკის ზრდადი დონე, განსაზღვრავდა მიწის ფართობის რაოდენობით და ხარისხობრივი გამოყენების წესებსა და რაგვარობას. პირველი მომენტის რეგულირება ამა თუ იმ საზოგადოებრივ ფორმაციის თანდართულ იურიდიული—უფლებრივი მომენტით ინორმებოდა. მეორე მხარე კი ქმნიდა სოფლის მეურნეობის წარმოების თანმიმდევრობით ცვალებად ფორმებსა და სისტემებს“ (გვ. 9). აქ ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული და იგი ბურჟუაზიულ ეკლექტიზმის ნიმუშს წარმოადგენს. ჯერ ერთი, ავტორის აზრით საწარმოო ძალების განვითარება დაქვემდებარებულია იურიდიული-უფლებრივ ნორმებზე, რითაც ავტორი ახდენს შტამლეროვშიინის და რუბინშიინის რესტავრაციას მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ. მეორეც, ტექნიკა აღებული აქვს მექანიკური გაგებით და სურს იგი საფუძვლად დაუდვას სოფლის მეურნეობის წარმოების ცვალებად ფორმებსა და სისტემას. ამაზე შორს მარქსიზმის დამახინჯება ვერ წავა.

7) ავტორი აშკარად აყალბებს მარქსის დებულებებს და იგი წვრილი წარმოების და ფეოდალური ნაშთების აპოლოგეტად სურს გამოიყვანოს.

მას მოყავს მარქსის შემდეგი ციტატი: „მიწის საკუთრების ჩვენს მიერ განხილული ფორმა, არის სპეციფიური ისტორიული ფორმა მისი გარდაქმნისა, რაიც გამოწვეულია კაპიტალისა და წარმოების კაპიტალისტური წესის ზემოქმედების შედეგად; მიწის საკუთრების ფეოდალური ან წვრილი გლეხური მიწადმოქმედების ფორმა, რომელიც სწარმოებს თავის დარჩენა-გამოკვებისათვის და რომლის დროსაც მიწის ფლობა წარმოადგენს უშუალოდ წარმოებისათვის წარმოების ერთერთ პირობას, ხოლო მიწის მესაკუთრესათვის კი წარმოადგენს მისი წარმოების წესის აყვავების ყველაზე უფრო მეტად სასარგებლო პირობას“. ამ ციტატიდან ავტორი ასკვნის—ეს „დამახასიათებელია წარმოების კაპიტალისტური წესისათვის და მოისპობა წარმოების ამ წესის მოსპობასთან ერთად“, (გვ. 11). ჯერ ერთი, დამახინჯებულია თარგმანი რუსულიდან, მარქსის გაყალბების მიზნით; მოვიყვანოთ რუსული ციტატი. მარქსი ამბობს: „Рассматриваемая нами форма земельной собственности есть специфически историческая форма ее, превращенная вследствие воздействия капитала и капиталистического способа производства, форма феодальной земельной собственности или мелкого крестьянского зем-

леделия, которое ведется для пропитания и в котором владение землею является одним из условий производства для непосредственного производителя, а собственность на землю является для него наивыгоднейшим условием,—условием расцвета его способа производства“ (К., том III, стр. 441).

ეს ციტატი გვიჩვენებს, რომ დოცენტმა იგი „შელამაზა“; მარქსის ხაზგასმები გამოსტოვა, წინადადებები გადააბრუნა და მწარმოებლის მაგიერ წარმოება იხმარა, მხოლოდ იმიტომ, რომ მარქსის აზრი გაეყალბებია და იგი კაპიტალისტურ საზოგადოებაში წვრილი წარმოების ან ფეოდალური ნაშთების მომხრეთ გამოეცხადებია. მარქსი კი ამ ციტატაში ამბობს, თუ რაზე იმოქმედა და რა გარდაქმნა კაპიტალმა, ხოლო შემდეგ მარქსი აღნიშნავს, რომ „...Предпосылка капиталистического способа производства такова: действительные земледельцы суть наемные рабочие, получающие работу от капиталиста, арендатора, который ведет сельское хозяйство, только как особую область эксплуатации капитала“ (К., т. III, стр. 444).

მაშასადამე, დოცენტმა — ორგანიზატორმა სწორედ ის, რაც მარქსის აზრით არ ახასიათებს კაპიტალისტურ სოფლის მეურნეობას და რაც გარდაიქმნება კაპიტალის ზეგავლენით, გამოიყვანა კაპიტალიზმის დამახასიათებლად მიწათმოქმედებაში და ამით კაპიტალის მოსპობა ფეოდალიზმის ნაშთების მოსპობამდე დაიყვანა, ხოლო წვრილი წარმოების მოსპობა უშუალოდ დაუკავშირა პროლეტარულ რევოლუციის აქტს.

8) თუ ავტორი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების აზრთა გაყალბების საქმეში დიდ უნარსა და გულმოდგინებას იჩენს, სამაგიეროდ იგი დიდი პატივისცემით ეპყრობა თავის ნამდვილ მასწავლებლებს ჩაიანოვს, სტუდენტსკის და მავნებელთა მთელ პლეადას. დოც. იაშვილი აშკარად ეწვევა მავნებელთა თეორიების პროპაგანდას და ამით სურს გამოაცოცხლოს და იაენანა უმღეროს კულაკურ მეურნეობას. მას მოჰყავს ჩაიანოვის და მარკვეიზის განმარტება ნაკვეთის ოპტიმალ ოდენობის ცნების შესახებ და ამ განმარტებას დასქენს რ. ს. ფ. ს. რ. მიწსახკომის 1930 წლის ინსტრუქციის განმარტებას, სადაც სწერია: „რომ მეურნეობათა ოპტიმალ ფართობის განსაზღვრა მდგომარეობს მისი ისეთი რაოდენობის, კონფიგურაციისა და სახმარი მიწების შეთანაბრების დადგენაში, რის დროსაც სასოფლო-სამეურნეო წარმოება მოგვეცემს უმცირეს თვითღირებულებას“. ავტორი ვანაგრძობს: „ოპტიმალ ოდენობის ცნების ზემოდ მოყვანილ (ჩაიანოვის და მარკვეიზის განმარტებანი) განმარტებათაგან ყველაზე უფრო სრულად და მართებულად ეს უკანასკნელი უნდა იყოს მიჩნეული“ (გვ. 18). ჯერ ერთი, დოც. იაშვილს მიწსახკომის 1930 წლის ინსტრუქცია სჭირდება მხოლოდ საფერად, რომ მავნებლური თეორიები გაასაღოს; მეორე — მიწსახკომის ეს განმარტება არაფრით არ განსხვავდება ჩაიანოვის და მარკვეიზის განმარტებისაგან; ყველა ეს განმარტებები ოპტიმალ ოდენობის განსაზღვრას საფუძვლად უდებენ სასაქონლო-კაპიტალისტურ თვითღირებულებას; მესამეც — განმარტებით

დოც. იაშვილს სურს კერძო სამეურნეო თვალსაზრისით მიუღდეს ტერიტორიის ორგანიზაციის საკითხს საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში, რაც აშკარად ყალბია, ხოლო თვითღირებულების პრინციპის აღება კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო საქმიანობის აშკარა დამახინჯებაა. მეოთხეც, დოცენტი „თავისი“ თვითღირებულების პრინციპით ცდილობს მიჩქმალოს პროლეტარიატის დიქტატურის და მისი ხელმძღვანელი პარტიის დავალებების განმსაზღვრელი როლი სოფლის მეურნეობის წარმოების ორგანიზაციისა და მისი მონეტის — ტერიტორიის ორგანიზაციის საქმეში.

9) მეორე ადგილას დოც. იაშვილი პირდაპირ გამომდინარეობს მავნებელ სტუდენტის დებულებებიდან და ეწევა ამ დებულებების პოპულიარიზაციას. მას მოყავს სტუდენტის ციტატი, სადაც სწერია: „სას.-სამ. წამოწყების ორგანიზაციის ამოცანაა სას.-სამ. აგარების (სახმარი მიწების) სამეურნეო ცენტრისადმი ისეთი განლაგების მიღწევა, რომელიც შესაძლოდ გახდის ამ აგარების რაც შეიძლება იაფ ექსპლოატაციას“. ვასაგებია, რომ ეს დებულება, რომელსაც დოც. იაშვილი მთლიანად ღებულობს და იცავს, ეყრდნობა და ასახავს კერძო კაპიტალისტურ მეურნეობის შიგნით სახმარი მიწების განლაგებას, რაც შეიძლება იაფი ექსპლოატაციისათვის, მოგების გადიდების მიზნით სამუშაო ძალის განადგურებისა და ნიადაგის გაჩანაგების საფუძველზე. ეფარება რა იაშვილი ეფექტიანობის ცნებას, იგი ცდილობს ეს უკანასკნელი, როგორც კაპიტალისტური რენტაბელობა, ააფუძვლად დაუდგას სოციალისტურ წამოწყებებში ტერიტორიის ორგანიზაციის პრინციპს, რაც პირდაპირ ამახინჯებს და უარყოფს სტალინის დებულებას, რომ „რენტაბელობას არ შეიძლება შევხედოთ ვაჭრულად მოცემული წუთის თვალსაზრისით. რენტაბელობა უნდა ავიღოთ საერთო სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით რამდენიმე წლების მანძილზე“ (სტალინი). ცხადია, რენტაბელობის ასეთ გაგებასთან არაფერი საერთო არა აქვს დოც. ნ. იაშვილს; იგი სწორედ ვაჭრული რენტაბელობისაგან გამოდის ტერიტორიისა და აგარების ორგანიზირების დროს.

10) დოც. ნ. იაშვილი არა მარტო სავსებით იზიარებს და აპოპულიარიზირებს ბურჟუაზიულ თეორიებს და სურს ის თავზე მოახვიოს სოც. მშენებლობის პრაქტიკას, არამედ მისი წიგნი „ტერიტორიის ორგანიზაცია“ სავსებით აგებულია ბურჟუაზიულ მავნებლურ მეთოდოლოგიურ საფუძველზე და ყველა ცალკე საკითხები განხილულია ბურჟუაზიული თეორეტიკოსების მეთოდის და მეთოდის ასპექტში. ეს მეთოდები და მეთოდიკა დოც. იაშვილი გვიჩვენებს ფართოდ გამოვიყენოთ საბჭოთა მეურნეობაში და კოლმეურნეობებში ტერიტორიის უკეთესი ორგანიზაციისათვის; ასე მაგალითად: დოც. ნ. იაშვილი იღებს ჩიანოვის მიწათმოწყობის კოეფიციენტს და ცდილობს მას გზა გაუკაფოს ჩვენს პრაქტიკაში. ავტორი იხილავს კომპენსაციის მეთოდს, რომელიც დამუშავებული იქნა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ თეორეტიკოსების მიერ და რომლითაც ისინი ცდილობენ დაეკანონებიათ და დაეცვათ კულაკ პომეშჩიკის მიერ მშრომელი გლეხობის მიწების ექსპროპრიაცია. ზემოხსენებული მავნებლური აბლაუბის შემდეგ დოც. ნ. იაშვილი დაასკენის, რომ „მიწადმოწყობის რენტაბე-

ლობა უნდა განისაზღვროს ფართობის საერთო და წმინდა შემოსავლით მიწადმოწყობამდე და ამის შემდეგ, ან ერთგვაროვან პირობებში ან არა და ცვალებად პირობების ზუსტი გათვალისწინებით* (გვ. 46). კომენტარიები ზედმეტია; ავტორი კერძო კაპიტალისტური მეურნეობის უკანასკნელი ნაშთების იდეოლოგიურ დამცველად გამოდის.

ასევე დოც. იაშვილი იმავე წიგნში (გვ. 35) აშკარად აყალბებს ხარვეზების წარმოშობის ისტორიას, დაჰყავს რა იგი ძირითად წვრილ-მწარმოებელთა ბრძოლამდე თავის ფართობის გაფართოებისათვის (გვ. 38, 42, 44 და სხ.). ავტორი ფართო პროპაგანდას უწევს თიუნენის, საზონოვის და სხვა ბურჟუაზიულ მოაზროვნეთა მეთოდებს ტერიტორიის ორგანიზაციის საკითხთა ირგვლივ. გარდა ზემოხსენებული საკითხებისა, წიგნში არის მთელი რიგი სხვა პოლიტიკური შეცდომებიც.

11) დოც. იაშვილი, ლაპარაკობს რა თესლთაბრუნვების შესახებ, დასძენს: „თესლთა ბრუნვების დაწვრილებითი განხილვა მოყვანილია კურსის სათანადო ნაწილში (იხილეთ აგრეთვე ჩვენი ცალკე წიგნი სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის შესახებ), გამოცემა 1929 წ.“ (გვ. 121). ეს წიგნი ჯერ კიდევ 1930 წ. მიჩნეული იყო, როგორც მავნებლური და ამოღებული იყო ხმარებიდან. ამასთან ერთად ავტორი წიგნს ურთავს (გვ. 132, 33, 34) თავისი შრომების სრულ სიას, დაწყებული 1923 წლიდან დღემდე. დანართში მითითებულია დაუსტამბავი შრომები და ცალკე ანგარიშებიც კი. ეს შრომები წარმოადგენდა და წარმოადგენს კონდრატეევ-ჩაიანოვის დებულებების გადმოწერას და იდეების პროპაგანდას საქართველოში. გასაგებია, რომ ლიტერატურის სიის გამოქვეყნება და მათზე მითითება სხვას არაფერს მოასწავებს, თუ არა ბურჟუაზიულ-მავნებლურ თეორიებისა და პრაქტიკის გაპარების ცდას და მის ქადაგებას რესტავრაციის მიზნით. მით უმეტეს, რომ თვით დოც. ნ. იაშვილმა თავის დროზე სცნო ეს შეცდომები და ახლა კი უარყოფს თავის მაშინდელ უარყოფას, ძველის რესტავრირების თვალსაზრისით.

გამოყენებულ ლიტერატურის სიაც აშკარად ასაბუთებს იმ ფაქტს, რომ დოც. ნ. იაშვილი ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ თეორიებშია გახვეული. იგი მარქსისა და ლენინის მხოლოდ 4 შრომაზე მიუთითებს მაჩვენებელში, ენგელსის და განსაკუთრებით სტალინის ნაშრომები, პარტიისა და მთავრობის დადგენილებები და აგრეთვე მარქს-ლენინის სხვა შრომები ავტორისათვის არ არსებობს; სამაგიეროდ მავნებლებისა და საერთოდ ბურჟუაზიული ეკონომისტების შრომები გამოუკლებლივა დასახელებული.

აღნიშნულ დებულებებიდან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ დოც. იაშვილის „ტერიტორიის ორგანიზაცია“ წარმოადგენს არა საბჭოთა და კოლმეურნეობების ტერიტორიის ორგანიზაციის შესახებ წიგნს, არამედ საერთოდ ბურჟუაზიული და კერძოდ მავნებლების თეორიის და პრაქტიკის პროპაგანდა-პოპულიარიზაციას, ეს წიგნი აშკარად ანტისაბჭოთა წიგნია და მას ზიანის მეტი არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია მშრომელებისა და სოცია-

ლისტურ მშენებლობისათვის. გასაგებია, რომ წიგნი ამოღებულ უნდა იქნას ხმარებიდან და აიკრძალოს, როგორც ანტისაბჭოთა წიგნი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ წიგნის განხილვის დროს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექციის მიერ მოწვეულ სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა და ს.ო.ე. ეკონომიური დისციპლინების კათედრების გაერთიანებულ სხდომაზე ა/წ. 9/IV-ს დოც. ნ. იაშვილი შეეცადა სავსებით დაეცვა თავისი წიგნი, მაგრამ საფუძვლიანი კრიტიკის შემდეგ, რომელიც ამ წიგნს მისცეს დირექციის წევრებმა, დოც. ნ. იაშვილმა დასწერა თავის შეცდომების და დეფექტების აღიარება, რომელშიაც იგი ძირითად შეცდომებს ახლად არ ცნობს (ბუნების ძალების ვალმერთება და სოციალ-ეკონომ. პირობების მიჩქმალვა, ბურჟუაზიულ მავნებლების მეთოდოლოგიის და მეთოდიკის გამოყენება და სხვა). ეს კი ლაპარაკობს მასზე, რომ დოც. იაშვილი არ ფიქრობს დააღწიოს თავი მავნებლების და ბურჟუაზიულ თეორიასა და პრაქტიკას. ხსენებულთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ სას.-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის წარმოების ორგანიზაციის კათედრამ (გამგე ბენო მესხი) ვერ გამოიჩინა სათანადო კლასობრივი და პარტიული სიფხიზლე, არ განიხილა დოც. იაშვილის შრომა და იგი ვადაეცა სტამბას შეუმოწმებლად, ხოლო წიგნის გამოსვლის შემდეგ კათედრის გამგემ და წევრებმა დროულად და თავისი ინციატივით არ დააყენეს საკითხი ამ წიგნის მავნებლური ხასიათის შესახებ. საჭირო შეიქნა დირექციის უშუალო ჩარევა საქმეში და მის მიერ საკითხის დაყენება, რომ წიგნი განხილულ ყოფილიყო. ცხადია, რომ კათედრამ დაუშვა უხეში პოლიტიკური შეცდომა ამ საქმეში, რაც კონსტანტირებულა დირექციის დადგენილებაში. აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ყოფილმა სამოსწავლო ნაწილის გამგემ დოც. ჯაშმა მისცა წიგნს ვიზა ინსტიტუტის სახელით, თუმცა მას არ ქონდა ამის შესახებ სათანადო დასკვნა კათედრის მიერ; ამით მან შეცდომაში შეიყვანა სათანადო ორგანიზაციები.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექციამ და პარტკომმა დროულად განიხილა წიგნი, გამოავლინა მისი მავნებლური ხასიათი და დასდო მას სათანადო მსჯავრი.

გარდა ამისა, დოც. ნ. იაშვილმა იმავე დოც. ჯაშის ვიზით, რომელსაც არ ქონდა სათანადო დასკვნა კათედრის მიერ, მეორე წიგნიც („საორგანიზაციო საწარმოო გეგმის შედგენის მეთოდიკა“) გადასცა სტამბას; ეს წიგნი აიწყო და მიუხედავად დირექციის წინადადებისა ჯერ კიდევ მარტის პირველ რიცხვებში, წიგნი აიკინდა და დოც. ნ. იაშვილმა ნაწილი გაავრცელა კიდევ თავისი ინიციატივით. ამ წიგნზე გამოყოფილია დირექციის და პარტკომის მიერ სპეციალური კომისია, რომელიც წარმოადგენს სათანადო დასკვნებს. დირექცია და პარტკომი გამოიტანს მასზე სათანადო დასკვნებს.

მოყვანილი ფაქტები აშკარად ლაპარაკობენ მასზე, თუ რამდენად აუცილებელია პარტიული და კლასობრივი სიფხიზლის შემდგომი გამახვილება, რომ კლასობრივი მტერი ახლაც სცდილობს ათასგვარი მახინაციებით გაავრცელოს

ანტისაბჭოთა თეორიები და ნიღაბაფარებული ებრძოლოს პარტიას დასუფლებას.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს დასკირდება კიდევ დიდი მუშაობის ჩატარება ზემოხსენებულ მიმართულებით კლასობრივი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. და ამ მტრების ყოველგვარ მახინაციების აღმოსაფხვრელად, რათა მიეცეთ სოციალისტურ მშენებლობას ბოლშევიკურად გამობრძმედილი კადრები და სტალინურად შევისწავლოთ სოც. მშენებლობის დიადი პრაქტიკა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე.

ან. ბუაჩიძე.
ი. ბაჯაძე.
შ. კალაძე.

ს ა რ ჩ ე ვ ი

	83•
1. მოწინავე—სოფლის მეურნეობის ყველა დარგების გაშლილი აღმავლობის ხუთწლელი	3
2. ი. ლომოური და ვალ. სუპატაშვილი—ლეჩხუმ—ქვემო სვანეთის ხორბლელეული	28
3. პროფ. ლ. კალანდაძე—მასალები დაფნის (<i>Laurus nobilis</i> L.) მანეენტომოფაუნისათვის საქართველოში	63
4. დ. იაშვილი—პროფესორი სევერიან იოსების ძე ბუაძე (1895—1934)—ნეკროლოგი	72
5. ანტონ ოდიშარია—სამეგრელოს თბილის პომოლოგიური შესწავლა	77
6. გრ. დედვარიანი—მელორეობის გამაუმჯობესებელი, გეგმით გათვალისწინებული ჯიში	118
7. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 1933/34 სამოსწავლო წლის მუშაობის ანგარიში	136

ქ რ ი ბ ი ა და ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

8. ან. ბუაჩიძე, ი. ბაჯაძე, შ. კალაძე—„ტერიტორიის ორგანიზაცია“ თუ მავნებელთა თეორიების პოპულარიზაცია	150
---	-----

ОГЛАВЛЕНИЕ—CONTENTS

	Стр.
1. Передовая—Пятилетка развернутого под'ема всех отраслей сельского хозяйства	3
2. Ю. Н. Ломоури и В. М. Супаташвили—Пшеницы Лечхума и Нижней Сванетии	55
J. N. Lomouri und V. M. Supataschvili—Die Weizen Le-tshums und Nieder-Swanethiens	59
3. Проф. Л. Каландадзе—Материалы к вредной энтомофауне благородного лавра (<i>Laurus nobilis</i>) в условиях С. С. Р. Грузии	68
Prof. Kalandadze—On The Harmful Entomofauna of The <i>Laurus nobilis</i> under conditions of The S.S.R. of Georgia	70
4. Д. Яшвили—Профессор Севериан Иосифович Буадзе (1895—1934)—Некролог	72
5. Антон Одишария—Помологическое изучение культуры мелкого ореха в Мингрелии (Зугдидский район)	108
A. Odisharia—On a pomological study of hazel—nut culture in Mingrelia (Zugdidi district)	113
6. Г. П. Девдариани—Плановая улучшающая порода свиньи в ЗСФСР	130
G. P. Devdariani—Referring to a breed of swine provided to improve swine breeding in Transcaucasia	133
7. Отчет о работе Сельско-Хозяйственного Института за 1933/34 учебный год	136

КРИТИКА и БИБЛИОГРАФИЯ

8. Ан. Буачидзе, И. Баджадзе, Ш. Каладзе—„Организация территории“ или популяризация теорий вредителей	150
---	-----

სარედაქციო კოლეგია

პროფ. ან. გუაჩიძე (პ/მგ. რედაქტორი), პროფ. კ. მრღვებაძე, პროფ.
ი. ლომოური, პროფ. ხომეიჭურავილი, დოც. ი. ბაჭაძე, პროფ. ძ. აში-
რეჯიბი, პროფ. ნ. ხაბაპურიძე, პროფ. ლ. კალანდაძე, დოც. ი. დოლიძე,
დოც. ბ. მახვილი და დოც. ვ. ხოშტარიანი.

